

მართლმსაჯულება № 3 '17
კანონი

Justice and Law Legal Journal
#3(55)'17

N3(55)'17

მართლმსაჯულება



კანონი

**რედაქტორი
ნინო ძიციგური**

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბეჟაური
ნომერზე მუშაობდნენ:
მარინე ვასაძე
თარგმანი:
თამარ ნეფარიძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:
დინა ბერეკაშვილი
ნინო გვენეტაძე
თამარ ზამბახიძე
ზზია თოდუა
ზაზა შიშვილი
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
NINO GVENETADZE
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

**Editor:
NINO DZIDZIGURI**

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Translated by
TAMAR NEPHARIDZE

Designed by
BESIK DANELIA



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

სარჩევი / CONTENTS

- 5 ბადრი ნიპარიშვილი
მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული
სამართლის მიხედვით
-
- ADMISSIBILITY OF EVIDENCE IN CRIMINAL PROCEDURE ACCORDING TO
THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
BADRI NIPARISHVILI
- 57 მალხაზ ლომსაძე
გამოძიების საფუძვლები
-
- GROUND S OF INVESTIGATION
MALKHAZ LOMSADZE
- 68 დავით გეფერიძე
საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქციები
რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ
-
- INTERNATIONAL LEGAL RESPONSIBILITY AND SANCTIONS AGAINST
THE RUSSIAN FEDERATION
DAVIT GEPERIDZE
- 77 თამარ გეგელია
სისხლის სამართლის ნორმის იდენტიფიკაციის
(მატერიალური თუ საპროცესო) სწორად განსაზღვრის
მნიშვნელობა LEX PRAEVIA პრინციპის გამოყენებისთვის
-
- ON THE SIGNIFICANCE OF CORRECT DETERMINATION OF THE IDENTITY OF
A CRIMINAL NORM (MATERIAL OR PROCEDURAL) FOR THE APPLICATION OF
LEX PRAEVIA PRINCIPLE
TAMAR GEGELIA
- 91 გიორგი სვიანაძე
დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული
სასამართლო პრაქტიკის ანალიზი
-
- ANALYSIS OF JUDICIAL PRACTICE ON REQUESTING A DOCUMENT OR
INFORMATION
GIORGI SVIANADZE
- 101 ეკატერინე ნანდოშვილი
ანდერძი და სამკვიდრო ქონება
-
- THE WILL AND INHERITANCE PROPERTY
EKATERINE NANDOSHVILI

114 ელენე გერმანოზაშვილი
მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის
პროცესის სისტემაში და მათი შეფასება

CONCEPT AND PLACE OF EVIDENCE IN THE SYSTEM OF CRIMINAL
PROCEDURES AND THEIR EVALUATION
ELENE GERMANOZASHVILI

128 ვლადიმერ მაჩარაშვილი
მხარეთა მიერ საგამოძიებო მოქმედებების წარმოება სისხლის
სამართლის პროცესში

CARRYING OUT INVESTIGATIVE ACTIONS BY PARTIES IN CRIMINAL
PROCEDURE
VLADIMER MACHARASHVILI

136 ნინო ფიფია
ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი, მისი დაშვებისა და
დაუშვებლობის პირობები

INSTITUTE OF LEAVING AN AGREEMENT, CONDITIONS FOR ITS
ADMISSIBILITY AND INADMISSIBILITY
NINO PIPIA

146 მაია ყუშიტაშვილი
მტკიცების პროცესი მხარეთა შეჭიბრებითობის
და თანასწორობის პირობებში

PROCESS OF PROOF IN THE ENVIRONMENT OF ADVERSARIAL PROCEEDINGS
AND EQUALITY OF PARTIES
MAIA KUSHITASHVILI

მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

ბადრი ნიპარიშვილი

*თეორიწაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი*

შესავალი

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ წარდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, რა შედეგით დასრულდება საქმე – გამოტანილ იქნება გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი ვერდიქტი.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მან მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს იმ გაგებით, რომ განაჩენი დაეყრდნოს დაუშვებელ მტკიცებულებებს.

„ცხადია, რომ ამ პროცესში ყალბი, არასანდო ან საეჭვო მტკიცებულების დაშვების შესაძლებლობა, იმავდროულად, უდანაშაულო

პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის დაშვებასაც გულისხმობს, რაც არა მხოლოდ კონსტიტუციით დაცულ უფლებას, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებსაც უპირისპირდება.⁴¹

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია² (შემდეგში ევროპული კონვენცია ან კონვენცია) და აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს³ (შემდეგში ევროპული სასამართლო ან სასამართლო) პრეცედენტული სამართალი უდიდეს როლს ასრულებს შიდა სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესწავლა მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სასამართლოს მიდგომები პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და ზოგადად, კანონმდებლობის განმარტებაზე.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპული კონვენცია (კერძოდ კი, მისი მე-6 მუხლი) არ მოიცავს დებულებას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, რადგან აღნიშნული საკითხი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის რეგულირების ნაწილია. სასამართლოს ეს მიდგომა დაკავშირებულია კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების ფართო არეალის მინიჭებასთან (wide margin of appreciation⁴), რომლის ფარგლებშიც სასამართლო იტოვებს უფლებამოსილებას, თავად შეაფასოს სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის რამდენიმე მუხლთან მიმართებით, აუცილებლად მიიჩნია ემსჯელა როგორც ზოგადად, მტკიცებულებების გამოყენებაზე, ისე საკუთრივ, მათ დასაშვებობაზე, რის გამოც ამ საკითხების დეტალური შესწავლა ნათელს გახდის, თუ რა პრინციპებს ეფუძნება ევროპული სასამართლო მათი შეფასებისას.

რელევანტურ საკითხებს მიმოვიხილავთ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლების ფარგლებში, ასევე, გარკვეული საკითხები წამოიჭრება მე-5 მუხლთან (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მიმართებითაც.

I. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები მტკიცებულებათა დასაშვებობაზე

ვიდრე უშუალოდ განვიხილავდეთ, თუ რა მიდგომები აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით, საინტერესოა, გავცნოთ იმ ზოგად პრინციპებს, რომლებიც პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბდა მტკიცებულებათა დასაშვებობასთან მიმართებით.

ზოგადად, სასამართლო ხაზს უსვამს თავის მოვალეობას, უზრუნველყოს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებების შესრულება კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად. კერძოდ, მის ფუნქციაში არ შედის ფაქტებსა თუ კანონში ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებულ შეცდომა-

თა განხილვა, ვიდრე გარკვეული ზომით არ დაირღვევა კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. თუმცა, იგი, როგორც ასეთი, არ აღგენს რაიმე წესებს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე, რაც უმთავრესად ეროვნული კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს (იხ.: Schenk v. Switzerland, 12 July 1988, პარ. 45-46, Series A no. 140 და Teixeira de Castro v. Portugal, 9 June 1998, პარ. 34, Reports 1998-IV).⁵

მაშასადამე, სასამართლოს ფუნქცია არ არის განსაზღვროს, შეიძლება თუ არა დასაშვები იყოს კონკრეტული მტკიცებულება, მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული ან მართლაც დამნაშავეა თუ არა განმცხადებელი. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: იყო თუ არა მთლიანობაში სამართალწარმოება სამართლიანი მტკიცებულებათა მოპოვების ხერხის ჩათვლით? ეს ასევე მოიცავს სადავო „უკანონობაზე“ მსჯელობას, თუ მოიპოვება კონვენციის სხვა უფლების დარღვევა და ამ დარღვევის ბუნების განსაზღვრას (იხ.: inter alia, Khan v. the United Kingdom, no. 35394/97, par. 34, ECHR 2000-V; P.G. and J.H. v. the United Kingdom, no. 44787/98, პარ. 76, ECHR 2001-IX და Allan v. the United Kingdom, no. 48539/99, პარ. 42, ECHR 2002-IX).⁶

იმის განსაზღვრისას, მთლიანობაში სამართალწარმოება იყო თუ არა სამართლიანი, გასათვალისწინებელია, რამდენად იქნა დაცვის უფლებები რეალიზებული. კერძოდ, გასარკვევია, რამდენად მიეცა განმცხადებელს საშუალება ხელისუფლების ორგანოების წინაშე გაესაჩივრებინა მტკიცებულებათა ავთენტურობა და შეწინააღმდეგებოდა მათ გამოყენებას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მტკიცებულების ხარისხი/ვარგისიანობა და ისიც, თუ რამდენად აღძრავს ეჭვს იმ გარემოებათა სანდოობა და სიზუსტე, რომლებშიც ისინი მოიპოვეს. სამართლიანობის პრობლემა აღარ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა მოპოვებული მტკიცებულება შეუთავსებელია სხვა მასალებთან. შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ მტკიცებულება ძალიან მყარია და არ არსებობს მის სანდოობაში ეჭვის შეტანის რისკი, მცირდება სხვა მტკიცებულებით მისი გამყარების საჭიროება (იხ.: inter alia, Khan v. the United Kingdom, no. 35394/97, პარ. 35 და 37, და Allan, ციტირებულია ზევით, პარ. 43). ამასთან, როდესაც მტკიცებულების სანდოობა საკამათოა, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამ მიმართებით სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს სამართლიანი პროცედურების არსებობას, ასევე, იყო თუ არა სადავო მტკიცებულება გადამწყვეტი სისხლისსამართალწარმოების შედეგისთვის.⁷

კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები მიესადაგება ყველა კატეგორიის სისხლის სამართალწარმოებას, განურჩევლად დანაშაულის სახისა. თუმცა, იმის განსაზღვრისას, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანად სამართალწარმოება გასათვალისწინებელია, საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეს დასჯაში და შეიძლება წონადი გახდეს ინდივიდის ინტერესთან შედარებით – კანონიერად შეგროვდეს მტკიცებულებები მის მიმართ. თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებს არ შეუძლიათ გაამართლონ ისეთი ზომების გამოყენება, რომლებიც ჩრდილავენ განმცხადებლის დაცვის უფლების სიღრმისეულ არსს, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის ჩათვლით (იხ.: mutatis mutandis, Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97, პარ. 57-58, ECHR 2000-XII).

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმის განსასაზღვრად, მთლიანობაში რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოება და ხომ არ გამოიწვია კონკრეტული მტკიცებულების ბრალდებულის წინააღმდეგ გამოყენებამ კონვენციის დარღვევა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: 1. მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი; 2. რამდენად იქნა უზრუნველყოფილი დაცვის უფლებები – შეეძლო თუ არა ბრალდებულს, ედავა მტკიცებულების ავთენტურობაზე, დასაშვებობაზე, მონაწილეობა მიეღო მათ გამოკვლევაში, დაეკითხა მოწმეები, სხვადასხვა ეტაპზე ესარგებლა წარმომადგენლით/ადვოკატით; 3. მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა – რამდენად ხარისხიანია მტკიცებულება, რამდენად სანდო და ზუსტია მისი მოპოვების გარემოებები, რაც ეჭვს გააჩენდა მის ავთენტურობასა და სანდოობაზე, რამდენად ძირითადი და გადამწყვეტია მტკიცებულება, არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულებები; 4. კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისა და დასჯის საჯარო ინტერესი.

II. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში მე-3 მუხლს – „წამების აკრძალვა“ – ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მე-3 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.⁸ იგი მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიგს, რაც გულისხმობს, რომ ამ მუხლიდან გადახვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამ უფლების შეზღუდვის გამონაკლისებს არც თავად მე-3 და არც მე-15 მუხლი ითვალისწინებს, რომელიც კონვენციიდან საგანგებო მდგომარეობისას გადახვევის წესებს განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ, საინტერესოა, თუ რა მიდგომები და სტანდარტები ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით.

2.1. ჩვენება, რომელიც მოპოვებულია მე-3 მუხლის დარღვევით

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ საკითხი შეიძლება დადგეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების შემთხვევაში მაშინაც, თუ ასეთი მტკიცებულების დაშვება გადამწყვეტი არ იყო პირის მსჯავრდებისთვის. სისხლის სამართლის პროცესში ამგვარი გზით მიღებული მტკიცებულების გამოყენება სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს ამგვარი პროცესის სამართლიანობასთან მიმართებით. მაინკრიმინირებელი მტკიცებულება – იქნება ეს აღიარების, თუ ნივთიერი მტკიცებულების სახით, რომელიც მიღებულია ძალადობისა თუ სასტიკი ქმედებების ან სხვა სახის მოპყრობის შედეგად და შეიძლება დახასიათდეს, როგორც წამება, ვერასდროს გახდება პირის მსჯავრდების საფუძველი მისი მამტკიცებელი ღირებულების მიუხედავად. ყველა სხვაგვარი დასკვნა შეიძლება ემსახუროდეს მორალურად გასაკიცხი ისეთი ქმედების არაპირდაპირ დაკანონებას, რომლის აკრძალვასაც მიზნად ისახავდნენ

კონვენციის მე-3 მუხლის ავტორები, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, „სისასტიკეს შევმოსავდით მართლმსაჯულების მანტიით.“⁹

აღნიშნულთან კავშირში სასამართლო იმეორებს, რომ მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ შემთხვევებშიც კი, როგორებიცაა – ტერორიზმთან ან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან სხვა სახის ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, მიუხედავად მსხვერპლის ქმედებისა. კონვენციის სხვა არსებითი მუხლებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს პირობიდან გამონაკლისებს და არც მე-15 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, მისი დარღვევის შესაძლებლობას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების შემთხვევაშიც კი, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს.¹⁰

2.1.1. ბრალდებულისგან მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ჩვენების დასაშვებობა

Harutyunyan-ის საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ არაფერს ცვლის ის ფაქტი, რომ მსხვერპლებმა აღიარებითი ჩვენებები მისცეს გამომძიებელს და არა პოლიციის იმ ოფიცრებს, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს არასათანადო მოპყრობა. აგრეთვე ის ფაქტი, რომ მომდევნო პერიოდში მსხვერპლებმა დაადასტურეს მიცემული ჩვენებები, იმის გათვალისწინებით, რომ პარალელური პროცესის პირობებში დადგინდა პოლიციელების პასუხისმგებლობა არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, არაფერს ცვლის, რადგან აღნიშნული ვერ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ასეთი აღიარება ან მოგვიანებით გაკეთებული განცხადება, არ არის არასათანადო მოპყრობის ან შიშის შედეგი, რასაც ეს ადამიანები შესაძლოა, განიცდიდნენ ამის შემდეგ. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ეს პირები კვლავ სამხედრო სამსახურში მსახურობდნენ, უეჭველად აძლიერებდა მათ შიშს და გავლენას ახდენდა მათ განცხადებებზე, რაც დადასტურდა იმითაც, რომ ამ განცხადებების ბუნება მნიშვნელოვნად შეიცვალა დემობილიზაციის შემდეგ.¹¹

აღსანიშნავია, რომ Harutyunyan-ის საქმეში სასამართლომ ცალკე თვითინკრიმინაციის პრივილეგიის დარღვევა აღარ განიხილა, რადგან უკვე დადგენილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევიდან გამომდინარე სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის კონტექსტში.¹²

ევროპულმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ წამების შედეგად მიღებული მტკიცებულების მითითების უბრალო ფაქტიც კი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი განმსაზღვრელი მსჯავრდებისთვის, მთლიანად პროცესს აქცევს უსამართლოს.¹³ მოცემულ საქმეში განმცხადებლები 5 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის გარეშე, პირველ დღეებში მათზე განხორციელდა წამება და ისინი ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა დატოვეს იმ პირების ხელში, ვინც ისინი აწამა, შემდეგ დღეებში კი, განმცხადებლებმა აღიარებითი ჩვენებები მისცეს.¹⁴ წამების, ადვოკატისა და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის გარეშე პირის დატოვებას ვერავითარი პროცედურული გარანტიები ვერ დააბალანსებენ,¹⁵ რაც გულისხმობს, რომ მათი შემოწმების საჭიროება არ არსებობს. საკმარისია იმის დადგენა, რომ შესაბამისი ინსტანციების მიერ დადგენილი ფაქტები ეფუძნება მოსარჩელის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ადვოკატის

არყოლის პირობებში მიღებულ ჩვენებებს.¹⁶ პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნული აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა მოქმედებს ყოველთვის, იმისდა მიუხედავად, მტკიცებულება მოპოვებულია პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით.¹⁷

ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ წამების შედეგად გაკეთებული განცხადება შინაგანად არასანდოა,¹⁸ რადგან წამების მსხვერპლი იტყვის ყველაფერს – სიმართლეს ან ტყუილს, რადგან აღნიშნული ყველაზე სწრაფი მეთოდია წამებისგან თავის დასაღწევად.¹⁹ საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაშვება აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო მე-6 მუხლს, არამედ სამართლიანი სასამართლოს შესახებ ძირითად საერთაშორისო სტანდარტებს. იგი მთლიანად პროცესს ხდის არა მარტო ამორალურსა და უკანონოს, არამედ მთლიანობაში არასანდოს შედეგებითურთ და გამოიწვევს მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარს. ამავე საქმეში სასამართლომ არ გამოორიცხა, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში წამების გარდა სხვაგვარი მოპყრობის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებზე იგივე სტანდარტი უნდა გამოყენებულიყო.²⁰

საქმეში El Haski ბელგიის წინააღმდეგ, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სისხლის სამართლის პროცესში მე-3 მუხლის დარღვევით – მიუხედავად იმისა კლასიფიცირდება წამებად, არაადამიანურ, თუ დამამცირებელ მოპყრობად – მოპოვებული ჩვენებების გამოყენება მთლიანად პროცესს აქცევს უსამართლოს, არღვევს რა კონვენციის მე-6 მუხლს (იხ.: CASE OF GÄFGEN v. GERMANY, [GC], (no. 22978/05), 1 June 2010, პარ. 166-167 და 173). აღნიშნული ასევე, ეხება ნივთიერ მტკიცებულებას, რომლის მოპოვებაც წამების პირდაპირი შედეგია (იქვე, პარ. 173). ამგვარი მტკიცებულების დაშვება, რომელიც მოპოვებულია მე-3 მუხლიდან გამომდინარე არაადამიანური მოპყრობის შედეგად, მაგრამ არ წარმოადგენს წამებას, მე-6 მუხლს მაინც დაარღვევს, თუ უკვე სახეზეა, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ გავლენა მოახდინა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმართული პროცესის შედეგზე, ანუ გავლენა აქვს მის მსჯავრდებასა თუ სასჯელის შეფარდებაზე (იქვე, პარ. 178).²¹

საქმეში Turbylev v. Russia, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ დადასტურებულად მიჩნეულიყო ბრალდებულის გაფრთხილება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიაზე, იგი სრულყოფილად ვერ ისარგებლებდა ამ უფლებით, ვინაიდან აღიარებითი ჩვენება მიცემული ჰქონდა პოლიციის მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგად. ნებისმიერ შემთხვევაში, სანდობა არ შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ამ უფლების შეხსენებასა და შესაბამის ოქმზე ბრალდებულის ხელმოწერის არსებობას (იხ.: Salduz v. Turkey, [GC], (no. 36391/02), 27 November 2008, პარ. 59; Płonka v. Poland, no. 20310/02, 31 March 2009, პარ. 37). გარდა ამისა, აღიარებამდე ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების არგანმარტებაც არ ჩაითვლება შესაბამისად.²²

2.1.2. მესამე პირებისგან მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ჩვენების დასაშვებობა

იგივე სტანდარტი გამოიყენა სასამართლომ მესამე პირებისაგან მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით პირის მსჯავრდების შემთხვევაში. ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევხებოდეთ, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ პირველად Soering-ის საქმეში დაადგინა, რომ მე-6-

მუხლთან დაკავშირებით საკითხი გადაწყვეტის ან ექსტრადირების შემთხვევაშიც დადგება, თუ მომთხოვნ სახელმწიფოში დევნილი პირი უკვე დაექვემდებარა ან არსებობს რისკი, რომ დაექვემდებარება მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარს.²³ Othman (Abu Qatada)-ის საქმეში არსებობდა რეალური საფრთხე, რომ მისი იორდანიაში დეპორტაციის შემთხვევაში, პროცესზე გამოიყენებდნენ სხვა ორი პირის წამების შედეგად მოპოვებულ ჩვენებებს. აღნიშნულის გამო სასამართლომ განაცხადა, რომ წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სისხლის სამართალწარმოებაში დაშვება იწვევს მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარს.²⁴ წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამორიცხვის არგუმენტაციისას სასამართლო დაეთანხმა ლორდ ბინჰემს, რომ იგი არასანდო, უსამართლო, ადამიანურობისა და ღირსების გავრცელებული სტანდარტისთვის შეურაცხმყოფელია და შეუთავსებელია იმ პრინციპებთან, რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო.²⁵

2.2. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია მე-3 მუხლის დარღვევით

მიუხედავად იმისა, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია მოიაზრება არა კონვენციის მე-3, არამედ მე-6 მუხლში, აუცილებელია, აქვე აღინიშნოს მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთ მთავარ საქმეში *Jalloh v. Germany* – სწორედ მე-3 მუხლის დარღვევამ გამოიწვია თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის დარღვევა.

ზოგადი მიდგომის თანახმად, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია გულისხმობს ბრალდების მხარემ საქმე ამტკიცოს ბრალდებულის წინააღმდეგ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოპოვებული არ არის იძულების, მუქარის ან ბრალდებულის ნებაზე სხვაგვარი ზემოქმედებით.²⁶ აღნიშნული გაგებით, ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომელსაც მოიცავს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია თავიდანვე დაკავშირებულია ბრალდებულის ნების პატივისცემასთან – აირჩიოს დუმილი. როგორც ზოგადააა გაგებული, იგი არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მასალების გამოყენებაზე, რომლებიც თუმცა, მოპოვებულია იძულების წესით, მაგრამ არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, მაგალითად: ორდერის საფუძველზე მიღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმისა და ხმის ნიმუშები, სხეულის ქსოვილი დნმ-ის ტესტისთვის.²⁷

იმის განხილვისას, უგულებელყვეს თუ არა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის ძირითადი არსი, სასამართლომ უნდა შეისწავლოს იძულების ბუნება და ხარისხი, გამოიკვლიოს პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობა და ამგვარად მოპოვებული მასალების გამოყენების ხარისხი (მაგალითისთვის, იხ. *Tirado Ortiz and Lozano Martin v. Spain*, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 43486/98), dec, ECHR 1999-V; *Heaney and McGuinness v. Ireland*, no. 34720/97, პარ. 51-55, ECHR 2000-XII; *Allan v. the United Kingdom*, no. 48539/99, პარ. 44, ECHR 2002-IX).²⁸

მტკიცებულებაზე, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევითაა მოპოვებული, სხვა მუხლების დარღვევისგან განსხვავებული მიდგომა გამოიყენება. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საკითხი

მაშინაც კი, როდესაც ასეთი მტკიცებულება არ ყოფილა გადამწყვეტი მსჯავრდებისთვის (იხ.: İçöz v. Turkey (dec.), no. 54919/00, 9 January 2003 და Koç v. Turkey (dec.), no. 32580/96, 23 September 2003).²⁹

2.2.1. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულების დაშვება იწვევს მე-6 მუხლის დარღვევას

Jalloh-ის საქმეში, განმცხადებლის მიერ გადაყლაპული ნარკოტიკების იძულებით ამოსაღებად გამოიყენეს ემეტური (ღებინების გამომწვევი) საშუალებები, რაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დებულებების საწინააღმდეგოდ, არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი მოპყრობის თვალსაზრისით. ამგვარად, სისხლის სამართალწარმოებისას განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი უფლების პირდაპირი დარღვევით.³⁰ მიუხედავად იმისა, რომ მოპყრობამ არ მიაღწია წამებას, იგი მივიდა სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვრამდე, რასაც კრძალავს მე-3 მუხლი. არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მტკიცებულების გამოყენებამ, რომელიც მიღებულ იქნა კონკრეტული საქმის ფაქტებზე მიზნმიმართული არასათანადო მოპყრობით, რომელიც არ უტოლდება წამებას, განმცხადებლის წინააღმდეგ უსამართლოდ წარმართოს პროცესი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სერიოზული დანაშაულია სავარაუდოდ ჩადენილი, რამდენად მნიშვნელოვანი ძალისაა მტკიცებულება და რა პირობები იყო შექმნილი იმისთვის, რომ მსხვერპლს გაესაჩივრებინა მათი დასაშვებობა და სასამართლო პროცესზე გამოყენება.³¹

წინამდებარე საქმეში სასამართლომ ღიად დატოვა კითხვა – რამდენად შეუძლია არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად შეფასებული ქმედებით მოპოვებულ მტკიცებულებას ავტომატურად აქციოს სასამართლო პროცესი უსამართლოდ. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლისთვის ტკივილისა და ტანჯვის მიყენება რომც არ ყოფილიყო ხელისუფლების ორგანოთა მიზანი, მტკიცებულება მოიპოვეს კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი უფლების დარღვევით. უდავო იყო გარემოება, რომ იძულების გზით ამოღებული ნარკოტიკები იყო გადამწყვეტი ელემენტი განმცხადებლის მსჯავრდების უზრუნველსაყოფად. ისიც სიმართლეს შეესაბამება, რომ განმცხადებელს მიეცა შესაძლებლობა (რომელიც მან გამოიყენა), გაესაჩივრებინა იძულებითი გზით ამოღებული ნარკოტიკების მტკიცებულებად გამოყენება. ამასთან, არ რჩებოდა არავითარი დისკრეციის ადგილი აღნიშნული მტკიცებულების გამოსარიცხად, რადგან შიდა სასამართლოებმა ემეტურ საშუალებათა გამოყენება ადგილობრივი კანონმდებლობით დაშვებულ ნორმად მიიჩნიეს.³² მეტიც, საზოგადოებრივი ინტერესი განმცხადებლის მსჯავრდების უზრუნველყოფაში არ უნდა განხილულიყო ისეთი წონის მქონედ, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მტკიცებულების სასამართლო პროცესზე გამოყენება, რომ შევადაროთ ჩატარებული ღონისძიების მიზნობრიობა ქუჩის ნარკორეალიზატორის შემთხვევას, რომელიც მცირე დოზებს ყიდდა და საბოლოოდ მიესაჯა ნ-თვიანი პირობითი სასჯელი.³³

სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლიდან ხსენებული გზით ამოღებული მტკიცებულების გამოყენებამ მთელი სასამართლო პროცესი აქცია უსამართლოდ. ეს დასკვნა თავისთავად საკმარისი საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს მე-6 მუხლის დარღვევით უარი ეთქვა სამართლიან სასამართლო პროცესზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ

ჯეროვნად მიიჩნია, ყურადღება მიეპყრო განმცხადებლის საჩივარზე, რომ იმან, თუ რა ხერხით მოხდა მტკიცებულების ამოღება და მისმა გამოყენებამ, ძირი გამოუთხარა მის უფლებას არ მოეხდინა თვითინკრიმინაცია.³⁴

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სახეზე იყო ნივთიერი მტკიცებულება³⁵ და არა აღიარება, რომელიც განმცხადებლის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ძალისმიერი ჩარევითაა მოპოვებული. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებში, საყოველთაო გაგებით, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ნიშნავს ბრალდებულის ნების პატივისცემას, შეინარჩუნოს დუმილი დაკითხვისას და იძულების გარეშე მისცეს ჩვენება. მიუხედავად ამისა, სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ აღნიშნულ პრივილეგიას, რათა მოიცვას ის საქმეები, სადაც ნივთიერი მტკიცებულებები იძულებით გადასცეს ხელისუფლების ორგანოებს. მაგალითად, საქმეში *Funke v. France* (25 February 1993, პარ. 44, Series A no. 256-A), სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულების მდგელობა, გადაეცა დოკუმენტაცია და ამით წარმოედგინა მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება, არღვევდა მის უფლებას თვითინკრიმინაციაზე. მსგავსად, საქმეში *J. B. v. Switzerland* (მოტანილია ზევით, 29-ე სქოლიო, პარ. 63-67) სახელმწიფო ორგანოები შეეცადნენ იძულებული გაეხადათ განმცხადებელი წარმოედგინა დოკუმენტები, რომელთაც შესაძლოა, გამოეაშკარავებინათ მის მიერ გადასახადებისგან თავის არიდება. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიას (მისი ფართო გაგებით). აქვე სასამართლო იხსენებს სხვადასხვა ნიმუშებთან მიმართებით პრეცედენტულ სამართალს (განხილულია ზევით).³⁶

მოცემულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ემეტურ საშუალებათა გამოყენებით მიღებული, განმცხადებლის ორგანიზმში დამალული ნარკოტიკები შეიძლება მიეკუთვნოს მასალის იმ კატეგორიას, რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად და რომლის გამოყენებაც ზოგადად, აკრძალული არ არის სისხლის სამართალწარმოებისას. თუმცა, არის რიგი ელემენტებისა, რაც ამ საქმეს განასხვავებს, უპირველესად, *Saunders*-ის საქმეში ჩამოთვლილი მაგალითებისაგან და ასევე საქმეებში – *Funke v. France* და *J. B. v. Switzerland* გამოყენებული მეთოდებისაგან. კერძოდ:

1. ამ შემთხვევაში, ემეტური საშუალებები გამოიყენეს განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ ნივთიერი მტკიცებულების ამოსაღებად. ამის საპირისპიროდ *Saunders*-ის საქმეში ჩამოთვლილი ორგანული მასალები მოიცავდა იმ ნიმუშებს, რომელთა ამოღებაც მოხდა იძულების გზით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისთვის, რათა მაგალითად, დაედგინათ ორგანიზმში ალკოჰოლის ან ნარკოტიკების შემცველობა;

2. წინამდებარე საქმეში გამოყენებული ძალის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება იძულების იმ დონისგან, რაც ჩვეულებისამებრ, მოითხოვება *Saunders*-ის საქმეში ჩამოთვლილი მასალების ამოსაღებად. ამგვარი მასალის მოსაპოვებლად, ბრალდებულს მოეთხოვება მშვიდად მოითმინოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგალითად, სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილების ნიმუშების აღებისას). მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა, *Saunders*-ის საქმის თვალსაზრისით, ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით

წარმოშობილ მასალებს (როგორცაა: სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები). ამის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში მტკიცებულების ამოღებინების მიზნით, განმცხადებელს იძულებით შეუყვანეს ზონდი ცხვირის არედან და ამ გზით მიაწოდეს ნივთიერება, რასაც მისი ორგანიზმის პათოლოგიური რეაქცია უნდა გამოეწვია და ეს პროცედურა არ იყო უსაფრთხო განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის; 3. წინამდებარე საქმეში მტკიცებულება მოიპოვეს პროცედურით, რომელმაც დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი. იგი განსხვავდება იმ პროცედურებისგან, რომელთა მიზანია, მაგალითად, სუნთქვის ტესტის ჩატარება ან სისხლის ნიმუშის აღება. ამ ტიპის პროცედურები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ აღწევენ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით ეს პროცედურებიც არის ერთგვარი ჩარევა ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მათი გამოყენება ზოგადად, მაინც გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან აუცილებელია სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად (იხ.: *inter alia*, Tirado Ortiz and Lozano Martin, მითითებულია ზევით).³⁷

ბემოაღნიშნული არგუმენტებისა და კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც შეფასებულია წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, სასამართლომ ასევე დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიასთან მიმართებით.

2.2.2. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულების დაშვება არ იწვევს მე-6 მუხლის დარღვევას

ევროპულმა სასამართლომ რამდენადმე განსხვავებული მიდგომა ჩამოაყალიბა Gäfgen-ის³⁸ საქმეში საკითხზე, გამოძიების პროცესში კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური მოპყრობის ხარისხი) დარღვევამ მოახდინა თუ არა გავლენა განმცხადებლის მიერ ბრალის აღიარებაზე სასამართლო განხილვისას და აღნიშნული ავტომატურად უსამართლოდ აქცევს თუ არა მთლიანად აღნიშნულ სამართალწარმოებას.

აღნიშნული საქმის რელევანტური ფაქტობრივი გარემოებები შემდეგია: 2002 წლის 1 ოქტომბერს ბავშვის გატაცების ბრალდებით დაკავებულმა ბატონმა გეფგენმა მძიმე ფიზიკური ტკივილის მიყენების მუქარით, რაც სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა,³⁹ აღიარებითი ჩვენება მისცა გამომძიებელს. აღნიშნულის საფუძველზე აღმოჩენილ იქნა გვამი და განმცხადებლის ავტომანქანის საბურავების კვალი შემთხვევის ადგილთან ახლოს. ამის შემდგომ განმცხადებელმა კვლავ აღიარა ჩადენილი დანაშაული და მისცა დეტალური ჩვენება, რის შედეგადაც აღმოაჩინეს მსხვერპლის სკოლის სავარჯიშოების რეგული, სასკოლო ჩანთა, ტანსაცმელი და საბეჭდი მანქანა, რომელზეც განმცხადებელმა დაწერა შანტაჟის წერილი. ასევე ჩატარდა აუტოფსია, რომელმაც დაადგინა გარდაცვალების მიზეზი (დახრჩობა).⁴⁰

პალატამ აღნიშნა, რომ Jalloh-ის საქმეში ღიად დარჩა კითხვა – ისეთი ქმედებით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულების გამოყენება, რომელიც კვალიფიცირდება არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელ მოპყრობად, მაგრამ არ წარმოადგენს წამებას, მტკიცებულების მნიშვნელობისა

და მისი მტკიცებულებითი ძალის, ბრალდებულის მიერ მისი დასაშვებობის გასაჩივრებისა და სასამართლო განხილვაზე გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, ყოველთვის ხდის თუ არა საქმის სასამართლო განხილვას არასამართლიანს. ამ საქმეში მე-ნ მუხლის დარღვევა დადგინდა საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.⁴¹ შესაბამისად, პალატამ საჭიროდ მიიჩნია იმ ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის შედეგების განხილვა პროცესის სამართლიანობასთან მიმართებით, რომელიც მოპოვებულია მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელ მოპყრობად კვალიფიცირებული ქმედების შედეგად, რომელსაც არ მიუღწევია წამებამდე, რადგან მანამდე არსებული პრეცედენტული სამართლით აღნიშნული საკითხი ცალსახად გადაწყვეტილი არ ყოფილა, განსხვავებით წამებით მოპოვებული მტკიცებულების ეფექტისგან.⁴²

პალატამ ხაზი გაუსვა რა, კიდევ ერთხელ მე-3 მუხლის აბსოლუტურ ხასიათს, მიუთითა იმაზე, რომ მისგან განსხვავებით მე-ნ მუხლი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიგს. ამდენად, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, რა ზომები შეიძლება მიიღეს როგორც აუცილებელ, ისე საკმარისად მე-3 მუხლის დარღვევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენების შემთხვევაში, მე-ნ მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.⁴³

ერთი მხრივ, პალატამ აღნიშნა, რომ გამოძიების შეზღუდვა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებისაგან და პირის ეფექტიანი დაცვა შესაძლოა, აგრეთვე მოითხოვდეს, როგორც წესი, მე-3 მუხლის ნებისმიერი დარღვევის შედეგად მოპოვებული უტყუარი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას სასამართლო განხილვისას თუმცა, მეორე მხრივ, მიიჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა და ამ კონტექსტში მე-3 მუხლის შესაბამისად, აბსოლუტური აკრძალვის ეფექტიანი დაცვა საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ გავლენა მოახდინა ბრალდებულის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის შედეგზე, რამაც თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მის მსჯავრდებასა თუ სასჯელის შეფარდებაზე.⁴⁴

სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო განხილვის მეორე დღეს, ბრალის აღიარებამდე, განმცხადებელს განუმარტეს დუმის უფლების შესახებ და, რომ არც ერთი განცხადება, რომელიც მან ადრე გააკეთა ბრალეულობასთან დაკავშირებით, არ გამოიყენებოდა მტკიცებულების სახით მის წინააღმდეგ. ამდენად, განმცხადებელთან მიმართებით აღდგენილ იქნა status quo ante, რაც გულისხმობს, რომ განმცხადებელი ჩადგა ისეთ ვითარებაში, რომელშიც იგი მე-3 მუხლის დარღვევამდე იმყოფებოდა. გარდა ამისა, განმცხადებელმა, რომელიც წარმოადგინა ადვოკატმა, სასამართლო განხილვის მეორე და ბოლო დღეების განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად 2002 წლის 1 ოქტომბრის მოვლენებისა, განმცხადებელმა ბრალი თავისუფლად, სინანულის გამო, მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის აღების მიზნით აღიარა. იგი ასე მოიქცა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მისი წინა მცდელობა – დაუშვებლად ეცნოთ სადავო უტყუარი მტკიცებულება – წარუმატებელი აღმოჩნდა. ამდენად, სასამართლოს არ დარჩენია არანაირი საფუძველი მიეჩნია, რომ განმცხადებელმა არ თქვა სიმართლე და რომ იგი არ აღიარებდა დანაშაულს, თუ რაიონული სასამართლო საქმის განხილვის დაწყებისას სადავო ნივთიერ მტკიცებულებას გამორიცხავდა და, რომ მისი აღიარება მიჩნეულ უნდა იქნას როგორც იმ ღონისძიებების შედეგი, რომლებიც ხელყოფდა მისი დაცვის უფლების არსს.⁴⁵

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მეორე აღიარებითი ჩვენება იყო არსებითი მისი გასამართლებისთვის მკვლელობის გამო – იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ვერ დაედგინათ მისი ბრალეულობა. განმცხადებლის აღიარება მიუთითებდა ბევრ დამატებით ელემენტზე, რომლებიც არ უკავშირდებოდა იმას, თუ რისი დამტკიცება შეიძლებოდა სადავო უტყუარი მტკიცებულებით. ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელს მსჯავრი დასდეს ბრალის მეორედ აღიარების საფუძველზე, სადავო უტყუარი მტკიცებულების – როგორც მისი ბრალეულობის აუცილებელი მტკიცების – გამოყენების გარეშე. შეიძლება ასეც ითქვას, რომ სადავო უტყუარ მტკიცებულებასთან მიმართებით დარღვეული იყო მიზეზობრივი ჯაჭვი გამოძიების აკრძალული მეთოდებიდან განმცხადებლის მსჯავრდებასა და გასამართლებამდე. შესაბამისად, ამ საქმეში საკუთარი თავის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების აკრძალვის პრივილეგიაც დაცულია.⁴⁶

Gäfgen-ის საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მე-3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

2.3. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით ჩატარებული ჩხრეკა

ასევე საინტერესოა ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც ეხება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით ჩატარებულ ჩხრეკებს. Wieser-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებელს ტანსაცმელი გახადეს პოლიციის თანამშრომლებმა, რა დროსაც იგი იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში. მხედველობაში რომც არ იქნას მიღებული განმცხადებლის შემდგომში გაკეთებული განცხადება, რომ იგი თვალახვეული იმყოფებოდა (რაც არ იქნა დადგენილი შიდასასამართლოს მიერ), სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული პროცედურა ამგვარი ინვაზიური და პოტენციურად დამამცირებელი მეთოდით არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო უდავო არგუმენტის გარეშე. მიუხედავად ამისა, ამგვარი არგუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი, რათა ეჩვენებინა, რომ გაშიშვლებითი ჩხრეკა იყო აუცილებელი და გამართლებული უსაფრთხოების მიზეზით. სასამართლო ამ მიმართებით აღნიშნავს, რომ განმცხადებელს, რომელსაც უკვე დადებული ჰქონდა ხელბორკილი, ჩხრეკდნენ იარაღის და არა ნარკოტიკის ან სხვა მცირე ზომის ნივთის ქონის გამო, რომელიც შეიძლებოდა ადვილად გასარჩევი არ ყოფილიყო ჩვეულებრივი პირადი ჩხრეკით და განმცხადებლის ტანისამოსის სრულად გაუხდელად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთარ სახლში განმცხადებლის გაშიშვლებით ჩხრეკამ მიაღწია ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ზღვარს კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის.⁴⁷

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა Valasinas-ის საქმეშიც. სასამართლომ მიიჩნია: მიუხედავად იმისა, რომ გაშიშვლებით ჩხრეკის (სრული ჩხრეკა) ჩატარება შეიძლება საჭირო იყოს ციხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან უწყესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, იგი უნდა განხორციელდეს სათანადოდ. პირის იძულება, რომ გაშიშვლდეს ქალის თანდასწრებით, შემდეგ შიშველი ხელებით შეეხოს თავის სასქესო ორგანოებს და საკვებს, მიუთითებდა მომჩივნის მიმართ აშკარა უპატივცემულობაზე და ხელყოფდა მის ღირსებას. ეს მას დაუტოვებდა დიდი ტკი-

ვილისა და არასრულფასოვნების განცდას, რაც გამოიწვევდა მის დამცირებასა და შეურაცხყოფას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამგვარი ჩხრეკა წარმოადგენდა დამაცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.⁴⁸

Iwańczuk-ის საქმეში ციხის ოთხი მცველი სიტყვიერ შურაცხყოფას აყენებდა და დასცინოდა განმცხადებელს, რომელსაც უბრძანეს გაშიშვლებულიყო. მათი ქცევა მიმართული იყო განმცხადებელში დამცირებისა და არასრულფასოვნების გრძნობის გამოწვევისკენ. აღნიშნული მიუთითებდა განმცხადებლის ღირსების პატივისცემის ნაკლებობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი მოპყრობა ჩხრეკისას განხორციელდა პირის მიმართ, რომელსაც ხმა უნდა მიეცა და სათანადო გამართლების გარეშე წარმოადგენს დამაცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.⁴⁹

მართალია, აღნიშნულ საქმეებში არ დადგინდა მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მხოლოდ ჩხრეკის პროცესი იქნა შეფასებული, რომელიც რაიმე სამართალწარმოებაში არ გადაზრდილა თუმცა, თავის მხრივ, სასამართლოს მიდგომები ძალზედ საინტერესოა ჩხრეკის პროცედურების შეფასების თვალსაზრისით.

III. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში მე-6 მუხლს – „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“ – წამყვანი ადგილი უჭირავს პირთა მიმართ სისხლის თუ სხვაგვარი სამართალწარმოების პროცედურების სამართლიანობის შეფასების თვალსაზრისით. მართალია, იგი არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიგს, თუმცა მასში ჩამოყალიბებული უმნიშვნელოვანესი უფლებები და სტანდარტები, რომლებიც პირდაპირაა მითითებული შესაბამის მუხლში და, ისინიც, რომლებიც ნაგუფლებია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და გამოყენების საკითხებზე, საბოლოოდ კი, პროცესის სამართლიანობაზე. სწორედ ამიტომ, საინტერესოა, თუ რა მიდგომები და სტანდარტები ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო მე-6 მუხლის ფარგლებში მტკიცებულებების „დასაშვებობას“ აფასებს 1-ელ (მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამოორკვევისას ყოველი ადამიანი აღჭურვილია მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით), მე-3 (c) (სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ პირს უფლება აქვს, თავი დაიცვას პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით, ან თუ არ აქვს საკმარისი სახსრები, ადვოკატი დაენიშნოს სახელმწიფოს ხარჯზე, როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესი მოითხოვს) და მე-3 (d) (სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ პირს უფლება აქვს, დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში) პუნქტებთან მიმართებით. ასევე მჭიდრო კავშირს ხედავს სასამართლო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან (ყოველი ადამიანი უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად) დაკავშირებითაც.

3.1. თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია და დუმილის უფლება

გარანტიის წარმოშობის ეტაპზე, სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ პირს აქვს დუმილისა და თვითინკრინაციამე უარის თქმის უფლებები.⁵⁰ მართალია, კონვენციის მე-6 მუხლში სპეციალურად არ არის მითითებული თუმცა, არ არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ პირის დაკითხვისას დუმილის უფლებითა და თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობა, რაც აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტად, მოიაზრება მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის არსში. ხელისუფლების მხრიდან ბრალდებულის არასათანადო იძულებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად, ორივე სახის იმუნიტეტი ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხარვეზების თავიდან აცილებას და უზრუნველყოფს მე-6 მუხლის მიზნების შესრულებას.⁵¹

დუმილის უფლება უფრო ვიწროა იმ გაგებით, რომ ის ეხება მხოლოდ ხმოვან კომუნიკაციას, უფლებას, რომ არ ილაპარაკო. პრივილეგია კი, უფრო ფართოა, რადგან არ შემოიფარგლება მხოლოდ ვერბალური ასპექტით.⁵²

სასამართლომ განმარტა, რომ არ იქნებოდა გონივრული მე-6 მუხლით გათვალისწინებული თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია განმარტებულიყო ისე, რომ მოეცვა მხოლოდ განცხადებები დანაშაულის ჩადენის შესახებ ან ჩანაწერები, რომლებიც პირდაპირ მამხილებელია. ასევე განიმარტა, რომ სისხლისსამართალწარმოებაში თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია გამოიყენება ყველა ტიპის დანაშაულის საქმეზე დაწყებული ყველაზე მარტივით და ყველაზე მძიმით დასრულებული. ამასთან, სასამართლომ აღნიშნული პრივილეგია მჭიდროდ დაუკავშირა უდანაშაულობის პრეზუმფციასაც, რასაც მოიცავს კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, იმ მიმართებით, რომ ბრალდების მხარეა ვალდებული ამტკიცოს პირის ბრალეულობა იმ მტკიცებულებების გარეშე, რომლებიც მიღებულია ბრალდებულის ნებაზე იძულების ან ზეწოლის გარეშე.⁵³

სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა კითხვას, აბსოლუტურია თუ არა დუმილის უფლება თუმცა, ისიც ვერ გამოიციხა, რომ ბრალდებულის ამგვარ პოზიციას არავითარი შედეგი არ ექნებოდა მის წინააღმდეგ მტკიცებულების შეფასებაზე. ერთი მხრივ, პრივილეგიასთან შეუთავსებელია მსჯავრდების დამყარება მხოლოდ ან ძირითადად, დუმილის ფაქტზე ან მტკიცებულების ბრალდებულის მიერ გაცემაზე, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ პროვილეგიებს არ შეუძლიათ და არც უნდა შეეძლოთ ხელი შეუშალონ ბრალდებულის დუმილს იმ შემთხვევებში, რომლებიც აშკარად მოითხოვს მისგან ახსნა-განმარტებას, მხედველობაში იქნას მიღებული გამოძიების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შეფასებისას. ვიდრე ბრალდებულის დუმილიდან გამომდინარე, უარყოფითი დასკვნები არღვევს მე-6 მუხლს, საკითხი უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სიტუაციას, რომელშიც შესაბამისი დასკვნები ჩამოყალიბდა, მნიშვნელობას (წონას), რომელიც მათ მიენიჭათ მტკიცებულებათა შეფასებისას და იძულების ხარისხს.⁵⁴

სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ დუმილისა და ნებისმიერ დაკითხვაზე ადვოკატის ყოლის უფლებებით სარგებლობა ყოველი დაკავებულის გარანტირებული უფლებაა. ერთ უფლებამე უარის თქმა

არ გულისხმობს უარს დანარჩენებზეც. ისინი ავსებენ ერთმანეთს და არ წარმოადგენენ ერთმანეთის დანამატს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაკავებულ პირს არ განემართა დუმილის უფლება, მით უმეტეს უნდა ისარგებლოს მან ადვოკატის მომსახურებით (იხ.: Brusco c. France, (no 1466/07), 14 oct. 2010, პარ. 54). დუმილის უფლების განმარტება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც პირმა ნებაყოფლობით მისცეს ჩვენება პოლიციის ოფიცერებს, რომლის შემდეგაც აცნობეს მას აღნიშნულის მის წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობაზე, მისი არჩევანი არ შეიძლება მივიჩნიოთ სრულად გაცნობიერებულად, ვიდრე დუმილის უფლების შესახებ ინფორმირება გარკვევით არ მოხდება და პირი გადაწყვეტილებას აღნიშნულის არარსებობის პირობებში მიიღებს (იხ.: Stojkovic v. France and Belgium, no. 25303/08, 27 Oct. 2011, პარ. 54).⁵⁵

Zaichenko-ს საქმეში (ALEKSANDR ZAICHENKO v. RUSSIA, (no. 39660/02), 18 February 2010) განმცხადებელი გააჩერეს პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც იძიებდნენ მისი თანამშრომლის მიერ საწვავის ქურდობას. იგი გაფრთხილების გარეშე დაკითხეს და ხელი მოაწერინეს ინსპექტირების ოქმს, სადაც მან დაადასტურა საწვავის აღება. აღნიშნულს მოჰყვა მისი მსჯავრდება ქურდობაში, რაც დაეფუძნა მის აღიარებით ჩვენებას, რომელიც მიცემულ იქნა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების განმარტების გარეშე, რის გამოც მოცემულ საქმეში დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁵⁶

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, ადვოკატის მოწვევის უფლებისა და შესაბამისი პირის მიერ მისი მომსახურებით პირველივე დაკითხვისთანავე სარგებლობის ეფექტიანი საშუალების მიცემას. Salduz-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა: საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საკმარისად „პრაქტიკული და ეფექტიანი“ რომ იყოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, როგორც წესი, მოითხოვს, ადვოკატზე წვდომის უზრუნველყოფას პოლიციაში ეჭვმიტანილის პირველივე დაკითხვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება, რომ მოცემული უფლების შეზღუდვა დაუძლეველმა მიზეზებმა განაპირობეს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაუძლეველი მიზეზები, გამონაკლის შემთხვევებში, ამართლებს ადვოკატზე წვდომის შეზღუდვას, ამგვარი შეზღუდვა (მიუხედავად მისი მართებულობისა) არ უნდა წარმოადგენდეს მე-6 მუხლით დაცული ბრალდებულის უფლებების არაჯეროვან დაზარალებას (იხ.: mutatis mutandis, Magee v. the United Kingdom, no. 28135/95, პარ. 44). დაცვის უფლებები გამოუსწორებლად დაზიანდება, როდესაც ადვოკატზე ხელმისაწვდომობის გარეშე, პოლიციაში დაკითხვისას საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ მიცემული ჩვენება გამოყენებულია მსჯავრდებისთვის.⁵⁷

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებაზე უარის თქმასთან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულის განხორციელება არ უნდა ხელყოფდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, იგი უნდა განხორციელდეს არაორაზროვანი ფორმით და აღნიშნული პირის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფდეს მას მინიმალური გარანტიებით. უფრო მეტიც, ვიდრე სავარაუდოა, რომ ბრალდებულმა შეიძლება უარი თქვას მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა გამოჩნდეს, რომ იგი გონივრულად ითვალისწინებდა ამ ქმედების შედეგებს.⁵⁸

3.2. დაკითხვა ადვოკატის გარეშე და უფლების განუმარტაობა

Pishchalnikov-ის საქმეში განმცხადებელი დააკავეს ყაჩაღობის ბრალდებით, განუმარტეს მისი უფლებები თუმცა, ადვოკატის მოწვევის სურვილის დაფიქსირების მიუხედავად, მას არ უსარგებლია

აღნიშნულით. მიუხედავად იმისა, რომ საგამომძიებო ორგანო უშედეგოდ უკავშირდებოდა განმცხადებლის ადვოკატს (რაც ბრალდებულისთვის არ უცნობებიათ), მათ შეეძლოთ ბრალდებულისთვის როგორც მინიმუმ, სხვა ადვოკატის შეთავაზება ან სახაზინო ადვოკატის მოწვევა. შესაბამისად, პირველი ორი დღის განმავლობაში იგი ადვოკატის გარეშე დაკითხეს, რა დროსაც აღიარა დანაშაული და აღნიშნული მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახდა გადამწყვეტი მისი მსჯავრდებისთვის, რის გამოც მოცემულ საქმეში დადგინდა მე-6 მუხლის დარღვევა.⁵⁹

Brenan-ის საქმეში სასამართლომ მე-6 მუხლის მე-3 (c) პუნქტის დარღვევა დაადგინა 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში იმის გამო, რომ პოლიციის ოფიცერი ესწრებოდა ბრალდებულისა და მისი ადვოკატის პირველ კონსულტაციას მისი დაკავების შემდეგ, რა დროსაც მას არ ჰქონდა საშუალება ღიად ესაუბრა და სათანადო კონსულტაცია მიეღო.⁶⁰

სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დაადგინა ისეთ ვითარებაშიც, როდესაც დაკავებულს მისცეს საშუალება კონსულტაცია გაეწეოთ ადვოკატთან თუმცა, ამის შემდეგ იგი არ დაასწრეს დაკითხვის პროცესს. აღნიშნულის შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენება კი, საფუძვლად დაედო განმცხადებლის მსჯავრდებას.⁶¹

გემოხსენებულ Murray-ის საქმეში, სასამართლომ უზენაესი მნიშვნელობა მიანიჭა ბრალდებულისთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანი შესაძლებლობის მიცემას პოლიციის მიერ დაკითხვის ჩატარების პირველივე ეტაპზე. მოცემულ საქმეში განმცხადებელი დაკავების პირველი 48 საათის განმავლობაში მოკლებული იყო აღნიშნული უფლებით სარგებლობას, რა დროსაც აღიარა დანაშაული. შემდეგში, სასამართლო განხილვაზე, ადვოკატის კონსულტაციის შედეგად დუმის უფლებით სარგებლობამ ვერ გამოასწორა ის ზიანი, რაც მის პროცესს მიადგა დაკავების პირველი 48 საათის განმავლობაში, გემოაღნიშნული უფლების ჩამორთმევით.⁶² მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმის მიუხედავად, რომ ბრალდებულს მიეცა აღნიშნულ ჩვენებაზე შედავების შესაძლებლობა სასამართლო განხილვისას.⁶³ ერთ-ერთ საქმეში მსგავსი ტიპის დარღვევა განსაკუთრებულად აღნიშნა სასამართლომ ბრალდებულის ასაკთან მიმართებით (არასრულწლოვანი).⁶⁴

Shabelnik-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (c) პუნქტების დარღვევა იმის გამო, რომ განმცხადებელმა ჩვენება მისი ნების საწინააღმდეგოდ ადვოკატის დაუსწრებლობის პირობებში მისცა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში მე-3 მუხლის დარღვევა არ დადგენილა, სასამართლომ ის ფაქტი, რომ მეორე ბრალდებული იმავე გამოძიებლის მიმართ გამოთქვამდა პრეტენზიებს იძულებასთან დაკავშირებით, მიიჩნია გავრცელებულ პრაქტიკად. ამასთან, ერთი მხრივ, განმცხადებელს განუმარტეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, გააფრთხილეს ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რასაც იგი შეიძლებოდა დაეხნია, განსაკუთრებით ადვოკატის არარსებობის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა სასამართლო პროცესზე უარყო გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენება, მის მიმართ გადაწყვეტილება გადამწყვეტი მნიშვნელობით სწორედ აღნიშნულს, თუ არა მხოლოდ მას, დაეყრდნო. Saunders-ისა და Heaney and Mcguinness-ის საქმეებში განმცხადებლები კანონის საფუძველზე აიძულეს მიეცათ ჩვენებები. უკანასკნელთაგან, პირველ საქმეში მსჯავრდება არ ეყრდნობოდა მხოლოდ აღიარებას, ხოლო მეორე შემთხვევაში,

ბრალდებულს ჰქონდა მტკიცებულების დასაშვებობაზე შედაგების უფლება. მიუხედავად ამისა, არც ერთი გარემოება არ აბალანსებდა მე-ნ მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.⁶⁵

სასამართლომ მე-ნ მუხლის საწინააღმდეგოდ მიიჩნია დაკავებული ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა ადვოკატის მოწვევის უფლებაზე, ასევე დაკავების შემდგომ მისი უადვოკატოდ დატოვება 20 საათის განმავლობაში, რა დროსაც განმცხადებელმა მისცა აღიარებითი ჩვენება და რაც ყველაზე საინტერესოა ამ საქმეში, მას დაადებინეს ფიცი – ეთქვა მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.⁶⁶

3.3. გამონაკლისები თვითნაკრძინაციისაგან დაცვის პრივილეგიის, დუმილის უფლებისა და ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვის გარანტიებიდან

აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ დუმილის უფლება და თვითნაკრძინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მასალის გამოყენებაზე, რომლებიც თუმცა, მოპოვებულია იძულების წესით, მაგრამ არსებობენ ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგალითად: ორდერის საფუძველზე მიღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმისა და ხმის ნიმუშები, სხეულის ქსოვილი დნმ-ის ტესტისთვის.⁶⁷

იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა განმცხადებლის უფლება, არ დაიდანაშაულოს თავი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი; საზოგადოებრივი ინტერესის წონა ჩადენილი დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში; შესაბამისი გარანტიების არსებობა პროცედურებში; ამ სახით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების ხარისხი.⁶⁸

X-ის საქმეზე კომისიამ აღნიშნა, რომ სისხლის ანალიზი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც შეიძლება ბრალდებულის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მეტყველებდეს. ამიტომ გონივრულია, თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი ამოცანების შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებების გატარების უფლება ექნებათ დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. კომისიამ აღნიშნა, რომ კონვენცია ასეთ შემთხვევაში, პატიმრობასაც კი უშვებს, შესაბამისად, მით უფრო დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო ჩარევა, როგორცაა სისხლის ანალიზის აღება.⁶⁹

სასამართლომ არ მიიჩნია მე-ნ მუხლის დარღვევად ბრალდებულისგან ხმის ნიმუშის აღება შედარებისთვის, რომელზეც განმცხადებელი აპელირებდა, როგორც თვითნაკრძინაციისაგან დაცვის პრივილეგიის დამრღვევ მოქმედებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ხმის ნიმუში, რომელიც არ შეიცავს მანიკრძინირებელ განცხადებებს შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ისევე როგორც, სისხლის, თმის ან სხვა სხეულის კომპონენტის, რომელიც განკუთვნილია სასამართლო ექსპერტიზისთვის და რომლებთან მიმართებითაც თვითნაკრძინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ გამოიყენება.⁷⁰

სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი ისეთ ვითარებაში, როდესაც ბრალდებულის სახლიდან ამოღებული იყო 60000 ფუნტი, რომელიც მან სახლში დატოვა და ბრალდებული აცხადებდა, რომ აღნიშნული არღვევდა მე-ნ მუხლის 1-ელ ნაწილით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ვინაიდან ნარკოტიკების საქმეზე თავისთავად ასეთი რაოდენობის თანხის ფლობის ფაქტიც კი, საკმაოდ ზიანის მიმყენებელი იყო მისთვის.⁷¹

საინტერესოა აღვნიშნოთ რამდენიმე საქმე, სადაც დაკითხვაზე ადვოკატის დაუსწრებლობის მიუხედავად, დარღვევა არ დადგინდა. Brennan-ის საქმეში სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა არ დაადგინა, ბრალდებულის დაკავების შემდეგ, მისი 48 საათის განმავლობაში ადვოკატის გარეშე დატოვების მიუხედავად, ვინაიდან აღიარებითი ჩვენება ბრალდებულმა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შემდეგ მისცა.⁷² დარღვევა არ დადგინდა არც იმ ვითარებაში, როდესაც დაკავებისთანავე ბრალდებულს გადაეცა მისი უფლებების ჩამონათვალი (მათ შორის, დამცველის მოწვევის შესაძლებლობა), რომლის გაცნობაზეც მოაწერა ხელი, ასევე, შეახსენეს ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობაზე. მას საპატიმროში შეახსენეს უფლება ადვოკატზე, რაზეც მან უარი განაცხადა. საპატიმროში მიცემული მისი ჩვენებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მან თავისუფლად და ნებაყოფლობით თქვა უარი ადვოკატზე, იგი იყო არაორაზროვანი და დაბალანსებული მინიმალური გარანტიებით.⁷³

3.4. დეპონირებული ჩვენება

სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანი და შეჯიბრებითი პროცესი გულისხმობს, რომ სასამართლომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს მოწმის სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, ვიდრე სასამართლომდე გამოძიების წინაშე ჩატარებული დაკითხვის ჩანაწერს, თუ ამისთვის სათანადო მიზეზები არ არსებობს. ამის არგუმენტი ის, რომ სასამართლომდელი დაკითხვა ორიენტირებულია საქმის სასამართლოში წარმართვაზე მაშინ, როდესაც სასამართლო განხილვა ემსახურება იმ მტკიცებულებათა სამართლიან შეფასებას, რომლებიც ძირითადად, სასამართლოშია „წარმოებული“ და ეფუძნება მტკიცებულებათა პირდაპირ გამოკვლევას.⁷⁴

სასამართლომ დაადგინა სამი კრიტერიუმი, რომელიც მნიშვნელოვანია შეფასდეს არგამოცხადებული მოწმის ჩვენების გამოყენებასთან მიმართებით, კერძოდ: 1. არსებობდა თუ არა მოწმეთა დაუსწრებლობისა და შესაბამისად, დაუსწრებელი მოწმის გამოუკვლეველი ჩვენებების მტკიცებულებად დაშვების საპატიო მიზეზი; 2. დაუსწრებელი მოწმის ჩვენება იყო თუ არა ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი; 3. სახეზე იყო თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის, ძლიერი პროცედურული გარანტიები, რაც მოახდენდა დაცვის მხარისთვის გამოუკვლეველი მტკიცებულების დაშვების შედეგად შექმნილი დაბრკოლებების კომპენსირებას და იმის უზრუნველყოფას, რომ სასამართლო განხილვა, ერთიანობაში აღებული, სამართლიანი იყო.⁷⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, დაცვის უფლება შეიძლება დაირღვეს იმ ხარისხით, რომელიც შეუთავსებელია მე-6 მუხლთან (ე. წ. ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულების წესი⁷⁶).

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ დეპონირებული ჩვენება არ არის ერთადერთი და გადამწყვეტი, იგი ამოწმებს სათანადო მიზეზებს, როგორც შეიძლება იყოს მაგალითად: მოწმის გარდაცვალება; შიში (სადაც ორი ტიპი შეიძლება იქნას განხილული, ერთი, როდესაც სახეზეა მუქარა ან სხვა მსგავსი ქმედება და მეორე, ზოგადი შიში იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მოწმის მიერ სასამართლოზე ჩვენების მიცემას); ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ.: *Bobes v. Romania*, no. 29752/05, 9 July 2013, პარ. 39-40; *Vronchenko v. Estonia*, no. 59632/09, 18 July 2013, პარ. 58). თუ შიში საფუძვლიანია,

სასამართლო არ მიიჩნევს პრობლემას დეპონირებული ჩვენება წარდგენილ იქნას დაცვის მხარის მიერ მისი უშუალოდ დაკითხვის გარეშე მაშინაც კი, თუ იგი ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა, რადგან ბრალდებული (ან სხვა პირი მის სასარგებლოდ), რომელიც ამგვარად იქცევა თავად ამბობს უარს მოწმის დაკითხვაზე.⁷⁷

ჩვენების მტკიცებულებად დაშვებისთვის აუცილებელი არ არის, იგი ყოველთვის სასამართლოში ან ღია სხდომაზე არ იქნას მიცემული.⁷⁸ თუმცა, კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან პოზიტიური ნაბიჯები, რათა ბრალდებულს მიეცეს მოწმეებისთვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.⁷⁹

საბოლოოდ, დეპონირებულ ჩვენებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც მსჯავრდება ემყარება არგამოცხადებული მოწმის ჩვენებას, როგორც ერთადერთ და გადამწყვეტი მტკიცებულებას, სასამართლომ განსაკუთრებული კრიტიკულობით უნდა შეამოწმოს განხორციელებული პროცედურები. ამგვარი მტკიცებულების დაშვების საფრთხის გამო, აღნიშნული შექმნიდა შესაბამისი ინტერესების მნიშვნელოვან დამაბალანსებელ ფაქტორს და იქნებოდა შესაბამისი ფაქტორების საკმარისი საპირწონე, ძლიერი პროცედურული გარანტიების ჩათვლით.

მთავარი კითხვა უკავშირდება ამგვარი მტკიცებულების სანდოობას. აღნიშნული შესაძლებელს გახდის მსჯავრდება დაეფუძნოს ამგვარ მტკიცებულებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად სანდოა, საქმისთვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით.⁸⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მოწმის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზის არარსებობა თავისთავად ვერ იქნება სასამართლო განხილვის უსამართლობის განმაპირობებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდების მოწმის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, ბალანსის თვალსაზრისით, სასამართლო განხილვის სამართლიანობის მთლიანობაში შეფასებისას და რომელმაც შესაძლოა, ბალანსი გადაწონოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტების დარღვევის სასარგებლოდ.

რაც შეეხება კითხვას, აუცილებელია თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობის შემოწმება იმ საქმეებზეც კი, რომლებზეც გამოუცხადებელი მოწმის მტკიცებულების მნიშვნელოვნება არ უახლოვდება განმცხადებლის მსჯავრდების საფუძვლად მიჩნეული ერთადერთი თუ გადამწყვეტი მტკიცებულების მიჯნას, სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ზოგადად, მას აუცილებლობად მიიჩნია საქმისწარმოების სამართლიანობის შემოწმება ერთიანობაში. რაც უფრო მნიშვნელოვანია ეს მტკიცებულება, მით მეტი წონა აქვს დამაბალანსებელ ფაქტორებს მთლიანობაში, საქმისწარმოების სამართლიანად მიჩნევისთვის.⁸¹

ასეთ ფაქტორებად სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვა ორი მოწმე (ბრალდებულის მეგობრები) თითქმის ერთნაირად და სრულყოფილად აღწერდნენ დანაშაულის ჩადენის გარემოებებს, რომელიც მათ ბრალდებულმა უამბო;⁸² ერთ შემთხვევაში, ბრალდებულს საშუალება მიეცა მოწმისთვის დაესვა კითხვები გამოძიებისას, დაკითხვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს ადვოკატი არ ესწრებოდა. მას ჰქონდა საშუალება სასამართლო პროცესზე ეჭვქვეშ დაეყენებინა აღნიშნული ჩვენება, გარდა ამისა, არავითარი ეჭვი არ არსებობდა აღნიშნული მოწმის მხრიდან სიმუღაცის ან შურსიძიების თაობაზე და იგი დასტურდებოდა სხვა ირიბი ჩვენებით.⁸³

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პრივილეგია მაშინაც დაიდრევეა, თუ თანაბრადღებულის დეპონირებულ ჩვენებას გამოიყენებენ პროცესზე და მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს მტკიცებულება მომდინარეობს მოწმისგან თუ თანაბრადღებულისგან, თუ იგი ემსახურება მსჯავრდებისთვის მტკიცებულებათა ერთობლიობის შექმნას, რადგან მოწმის ცნებას ავტონომიური მნიშვნელობა (იხ.: Vidal v. Belgium, judgment of 22 April 1992, Series A no. 235-B, გვ. 32-33, პარ. 33) აქვს კონვენციის სისტემაში. აღნიშნული მიდგომა ასევე გამოიყენება დაზარალებულზე (იხ.: CASE OF VLADIMIR ROMANOV v. RUSSIA, (no. 41461/02), 24 July 2008, პარ. 97.), ექსპერტ მოწმეზე (იხ.: CASE OF DOORSON v. THE NETHERLANDS, (no. 20524/92), 26 March 1996, პარ. 81-82) და ნებისმიერ პირზე, რომელიც ჩვენებას აძლევს სასამართლოს წინაშე, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებებზე გარდა „მოწმეებისა,“ მაგალითად, დოკუმენტურ მტკიცებულებებზე (იხ.: CASE OF MIRILASHVILI v. RUSSIA, (no. 6293/04), პარ. 158-159).

გარდა ამისა, სასამართლო განხილვისას ბრალდებულის დეპონირებული ჩვენების წაკითხვა მისი ნების გაუთვალისწინებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი დუმილის უფლებას იყენებს, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს.⁸⁴

სასამართლო პრობლემას ხედავს მსჯავრდების დაფუძნებას სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების ვიდეოჩანაწერზე, როგორც ძირითად მტკიცებულებაზე, ვინაიდან ბრალდებულს უფლება ერთმევა ჰქონდეს დროული და ადეკვატური შესაძლებლობა კითხვები დაუსვას მოწმეს, ამგვარი შეზღუდვა კი, არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს.⁸⁵ აღნიშნულ დარღვევას ვერც ის დააბალანსებს, რომ ვიდეოჩანაწერი გამოიკვლიონ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის მონაწილეობით.⁸⁶

სასამართლომ დარღვევა დაადგინა გარდაცვლილი მოწმის დეპონირებულ ჩვენებაზე მსჯავრდების დაფუძნების შემთხვევაში, რა დროსაც დაცვის მხარეს სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე მიეცა მისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა.⁸⁷

სასამართლომ დარღვევა დაადგინა ექსპერტთა დაკითხვაზე უარის თქმის პირობებში, როდესაც სასამართლოები აქტიურად ციტირებდნენ მათ დასკვნებს, ხოლო ბრალდებულს, რომელსაც სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჰქონია მათი დასკვნების სანდოობისა და ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა, მისი ჩამორთმევით წაერთვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.⁸⁸

სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სათანადო გულისხმიერება არ გამოიჩინეს მოწმეთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისთვის. მართალია, სასამართლომ მათი მოძიება დაავალა პოლიციის თანამშრომლებს თუმცა, მათ არასაკმარისი გულისხმიერება გამოიჩინეს მოწმეების მოსაძებნად, არ გაირკვა მათ მიერ მისამართის შეცვლის საკითხი, ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც მოწმეთა იმჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს ცნობილს გახდიდა. შესაბამისად, მხოლოდ განცხადება იმისა, რომ მოწმეები ქვეყანაში არ იმყოფებიან, არ წარმოადგენს საკმარის სათანადო მიზეზს მათი ჩვენებების გამოქვეყნებისთვის, ხოლო თუ ისინი გადამწყვეტი იყო მსჯავრდებისთვის, ეს ფაქტი აუცილებლად დაარღვევს პროცესის სამართლიანობას.⁸⁹

დარღვევა დადგინდა იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ იცოდა ერთადერთი პირდაპირი მოწმის ადგილსამყოფელი, მაგრამ არ უზრუნველყო სხდომაზე მისი გამოცხადება, ხოლო სააპელა-

ციო სასამართლომ უარის თქმის მიზეზად მოწმის მიერ სხვა ქალაქში საპატიმრო სასჯელის მოხდა დაასახელა.⁹⁰

თუმცა, *impossibilium nulla est obligatio*. თუ არ არის მიზეზი, რომ სახელმწიფომ არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და ძალისხმევა ბრალდებულისთვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მიცემაში, მოწმეზე ხელმიუწვდომლობა, როგორც ასეთი, აუცილებლად არ იწვევს დევნის შეწყვეტას.⁹¹

3.5. ჩვენება, რომელიც გაგონილს ემყარება/„ირიბი ჩვენება“

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (d) პუნქტი შეიცავს სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების აკრძალვის პრეზუმფციას. ასეთი მტკიცებულების ამორიცხვა მაშინაც გამართლებულია, თუ იგი დაცვის სასარგებლოდ მიიჩნევა.⁹²

ზოგადად, კლასიკური გაგებით ირიბ ჩვენებასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუსტად იმავე წესებს იყენებს, რაც გამოუცხადებელი მოწმის (დეპონირებული) ჩვენების გამოყენებას ეხება. ცალკე რაიმე გამონაკლისი ამ წესიდან არ არსებობს.

კლასიკური გაგებით, „ირიბი ჩვენებას“ სასამართლო იმ კონტექსტში ახსენებს, რაც საჭიროა გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების შესამოწმებლად. ჭაჭაშვილის საქმეზე დიდმა პალატამ განაცხადა, რომ გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების საპირწონედ დაცვის უფლების ერთ-ერთ დამაბალანსებელ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ მოწმის ხელმისაწვდომობა, რომელიც ადასტურებს შეუმოწმებელი მოწმის ჩვენებას. ამგვარი მტკიცებულება შესაძლოა, მოიცავდეს სასამართლო სხდომაზე იმ პირთა მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომელთაც დაუსწრებელმა მოწმემ მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ მათი გამოჩენისთანავე აცნობა. ამავე საქმეში გამოუცხადებელი მოწმეების ჩვენებებზე მსჯავრდების დამყარება, რაც წარმოადგენდა გადაწყვეტ მტკიცებულებათა ერთობლიობას და, რომელიც დამაბალანსებელ ფაქტორებში იმ 2 მოწმის ჩვენებასაც მოიაზრებდა, რომლებსაც გამოუცხადებელმა მოწმეებმა უამბეს მომხდარის შესახებ და, რომელთა დაკითხვის შესაძლებლობა დაცვას ჰქონდა, პალატისგან განსხვავებით, დიდმა პალატამ არ მიიჩნია საკმარის საპირწონე მიზეზად სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციისთვის და დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტების დარღვევა.⁹³

დარღვევა დაადგინა სასამართლომ ისეთ ვითარებაში, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ჩვენება, რომელიც ვიდეოჩანაწერის სახით წარედგინა სასამართლოს და, რომელიც ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება იყო, არ იქნებოდა საკმარისი ბრალდებულის მსჯავრდებისთვის, იმის მიუხედავად, რომ იგი „გამყარებული“ იყო ფსიქოლოგის წერილობითი მოსაზრებით, რომელსაც მსხვერპლი გაენდო.⁹⁴

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასამართლო არ გამოირიცხავს „არაპირდაპირი მტკიცებულების“ გამოყენების შესაძლებლობას, მაგალითად, რომლებიც პირდაპირ არ უთითებენ ბრალდებულზე, როგორ დანაშაულის ჩამდენზე.⁹⁵ გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებაზე მსჯავრდების დამყარება, რომელიც გამყარებული იყო არაპირდაპირი მოწმეებისა და ექსპერტის ჩვენებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს საშუალება ჰქონდა გამოძიებისას კითხვები დაესვა გამოუცხადებელი მოწმისთვის სასამართლომ არ მიიჩნია დარღვევად.⁹⁶

3.6. ანონიმური მოწმის ჩვენება

სასამართლომ დაადგინა, რომ „საპირწონე“ ფაქტორების მიუხედავად, დაუშვებელია, პირის მსჯავრდება დაეყრდნოს ანონიმური მოწმის ჩვენებას, თუ ის იქნება ერთადერთი და გადაუწყვეტი მტკიცებულება. სხვა შემთხვევაში, ევროპული სასამართლო გადაჭრით არ გამოორიცხავს ანონიმური მოწმის ჩვენების სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენებას.⁹⁷

სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტის დარღვევა დაადგინა, როდესაც გამოძიებელმა არ ჩათვალა საჭიროდ მოწმის ვინაობის გამხელა შესაბამისად, იგი არც სასამართლო სხდომაზე დაკითხულა.⁹⁸ იგივე დასკვნამდე მივიდა სასამართლო ანონიმური მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, პოლიციელი მოწმე იკითხებოდა სხვა ოთახში და დაცვას მხოლოდ ხმოვანი კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდა მისი იდენტიფიცირების გარეშე, რისი დამაჯერებელი მიზეზიც არ არსებობდა.⁹⁹ სასამართლომ მიუთითა: მნიშვნელოვანია, შიდასასამართლოებმა გამოიკვლიონ იმ მიზეზების სერიოზულობა, რის გამოც ანონიმურობა მიზანშეწონილია.¹⁰⁰

სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც დაცვის მხარემ არ იცის იმ პირის ვინაობა ვინც უნდა დაიკითხოს, მას ერთმევა საშუალება აჩვენოს, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება ცუდად ან მტრულად იყოს განწყობილი ბრალდებულისადმი ან იყოს არასანდო. ინფორმაციის ნაკლებობა კი, გამოიწვევს მოწმის ჩვენების უტყუარობისა და სანდოობის შემოწმების შეუძლებლობას, რაც ბუნებრივია, სერიოზული საფრთხის მატარებელია.

ერთ-ერთ საქმეში მართალია, ანონიმური მოწმე დაიკითხა მაგისტრატის წინაშე, მაგრამ არც ბრალდებული და არც დამცველი არ დაასწრეს დაკითხვას. აგრეთვე, ერთ-ერთი მოწმის მიმართ წერილობითი კითხვების დასმის შესაძლებლობის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტების დარღვევა.¹⁰¹

მხოლოდ ანონიმური მოწმეების ჩვენებების გამოყენება მსჯავრდებისთვის ნებისმიერ შემთხვევაში შეუთავსებელია კონვენციასთან.¹⁰²

3.7. უპირატესობის მინიჭება ჩვენების მიცემის სასარგებლოდ/„დამნაშავე მოწმის“ ჩვენება

სასამართლომ განმარტა, რომ იმ მოწმეთა ჩვენებების გამოყენებამ, რომლებიც მიცემულია იმუნიტეტის ან სხვა რაიმე სარგებლის მიღების მიზნით, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდებულის უფლება პროცესის სამართლიანობაზე და წარმოშვას დელიკატური კითხვები, თავისი ბუნების გამო, მას შემდეგ, რაც ამგვარი ჩვენებები შესაძლოა, მანიპულაციის საშუალებას იძლეოდეს და მხოლოდ უპირატესობის მიღების ან შურისძიების მიზნით იქნას გამოყენებული.

თუმცა, მოწმის მიერ იმუნიტეტის სანაცვლოდ მიცემული ჩვენების მტკიცებულებად დაშვება და გამოყენება ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოებას ავტომატურად უსამართლოდ არ აქცევს (იხ.: მაგალითად, Erdem v. Germany, (no. 38321/99), 9 December 1999).¹⁰³ ამ საქმეში პროკურორმა საპროცესო შეთანხმება გააფორმა K. და A.-სთან, რა დროსაც მიღებული ჩვენებები გამოიყენეს განმცხადებლის საწინააღმდეგოდ. განმცხადებელს თავიდანვე ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული

შეთანხმების თაობაზე და მას (მის ადვოკატს) მიეცა საშუალება, როგორც საპროცესო შეთანხმების გაპროტესტების, ისე აღნიშნული მოწმეების დაკითხვის. K.-ს მიმართ შემდგომში შეთანხმების გაუქმება სასამართლომ არ მიიჩნია საკმარის მიზეზად, რომ დაედგინა მე-ნ მუხლის დარღვევა.¹⁰⁴

3.8. პროვოკაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება

სასამართლომ ჩამოაყალიბა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ასპექტები იმის თაობაზე, არღვევს თუ არა პოლიციელის წაქეზების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება კონვენციის მე-ნ მუხლს – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საკითხში პოლიციას რთული მისია აკისრია, რის შესასრულებლადაც სულ უფრო საჭირო ხდება ფარული აგენტების, ინფორმატორებისა და სხვა მსგავსი ხერხების გამოყენება, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საქმეებზე. ამგვარი ხერხების გამოყენება თავისთავად არ არღვევს სამართლიანი განხილვის უფლებას, თუმცა ამ პროცესში პოლიციის მხრიდან წაქეზების რისკის არსებობის პირობებში, ასეთი მოქმედებების განხორციელებას უნდა ჰქონდეს მკაფიო ჩარჩოები. ამასთან, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ უნდა იქნას უგულვებელყოფილი, მიზანშეწონილობის გამო (იხ.: *Delcourt v. Belgium*, 17 January 1970, პარ. 25, Series A no. 11).

გარდა ამისა, თუ ფარული აგენტების არსებობა იქნება დაშვებული, თუნდაც მკაცრი შეზღუდვებისა და რეგულაციის პირობებში, საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს პოლიციელების მხრიდან წაქეზების ფაქტებს, რაც აუცილებლად წაართმევდა ბრალდებულებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას (აგრეთვე, იხ.: *CASE OF TEIXEIRA DE CASTRO v. PORTUGAL*, (44/1997/828/1034), 9 June 1998, პარ. 35–36 და 39; *CASE OF KHUODOBIN v. RUSSIA*, (no. 59696/00), 26 October 2006, პარ. 128; და *CASE OF VANYAN v. RUSSIA*, no. 53203/99, 15 December 2005, პარ. 46–47).

პოლიციის წაქეზება სახეზეა მაშინ, როდესაც შესაბამის მოქმედებებში ჩართული პოლიციელები, უშიშროების ძალები ან ადამიანები, რომლებიც ინსტრუქციებით მოქმედებენ – არ სჯერდებიან არსებითად პასიური ფორმით მხოლოდ გამოძიებას და იმგვარად ახდენენ გავლენას საკითხზე, რაც უბიძგებს დანაშაულის ჩადენას, რომელიც სხვაგვარად არც მოხდებოდა, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გაეხადა დანაშაულის ჩადენა, წარმოეშვა მტკიცებულება და დაეწყო გამოძიება (იხ.: *Teixeira de Castro*, პარ. 38, და შედარებისთვის იხ.: *Eurofinacom v. France (dec.)*, no. 58753/00, ECHR 2004, VII). შესაბამისად, წაქეზებით მოპოვებული ყველა მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი. აღნიშნული განსაკუთრებით რელევანტურია, თუ პოლიცია მოქმედებდა არასაკმარისი კანონიერი ჩარჩოების ფარგლებში და სათანადო გარანტიების არარსებობისას.¹⁰⁵

Ramanauskas-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა 3000 აშშ დოლარის ქრთამის აღების წაქეზების ფაქტზე, იმ გარემოებებში, როდესაც თავდაპირველად VS (კერძო პირი) და AZ (პოლიციის ოფიცერი) მოქმედებდნენ საგამოძიებო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო შემდგომ ეტაპზე გეგმაში ჩაერთვნენ სახელმწიფო ორგანოები, რითაც მათ რეალურად *ex post facto* ლეგიტიმაცია შესძინეს ზემოაღნიშნული პირების მიერ მანამდე განხორციელებულ მოქ-

მედებებს, განმცხადებლის ქრთამის აღებისთვის წაქეზების შესახებ და დაეყრდნენ მის შედეგებს. ამასთან, არ არსებობდა განმცხადებლის მიერ მსგავსი დანაშაულის მანამდე ჩადენის რაიმე ეჭვი; ყველა შეხვედრა შედგა AZ-ის ინიციატივით, რაც გამორიცხავს, რომ თითქოს სახელმწიფოს არანაირი ძალისხმევა არ გამოუჩინია; არ არსებობდა რაიმე ეჭვი, რომ განმცხადებელი აპირებდა მსგავსი სახის მოქმედების განხორციელებას; სასამართლო სხდომაზე არ დაუკითხავთ AZ, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ პოლიციის მოქმედება გასცდა პასიური მოთამაშის როლს. დიდმა პალატამ ისიც აღნიშნა, რომ წაქეზების შედეგად ჩადენილი დანაშაულის აღიარება ვერ აღმოფხვრის ვერც წაქეზებას და ვერც მის შედეგებს.¹⁰⁶

Teixeira de Castro-ს საქმეზე პოლიციელები არ დასჯერდნენ პასიურ როლს და წააქეზეს დანაშაულის ჩადენა, რის გარეშეც აღნიშნული არ მოხდებოდა. კერძოდ: აღნიშნული ანტინარკოტიკული ოპერაცია არ ხორციელდებოდა სასამართლოს ნებართვისა და ზედამხედველობის ფარგლებში; სახელმწიფოს არ ჰქონდა საკმარისი მიზეზები, რათა განმცხადებელი მიეჩნიათ ნარკომოვაჭრედ – მას არ ჰქონდა კრიმინალური წარსული და არაფერი მიუთითებდა მის მიდრეკილებაზე ნარკოტიკების გასაღებისკენ, ვიდრე პოლიციას არ დაუახლოვდა; მეტიც, მას იმ მომენტშიც არ ჰქონია ნარკოტიკული საშუალება, როდესაც პოლიციელები ამას ვარაუდობდნენ; მას შეეძლო ნარკოტიკები მიეწოდებინა, მხოლოდ ნაცნობის მეშვეობით, რომელიც დილერისგან მოუტანდა მას ნარკოტიკს, რომლის ვინაობაც უცნობი დარჩა.¹⁰⁷

ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვის საქმეზე, რომელიც პოლიციელთა მხრიდან მართული კერძო პირის წაქეზებით განხორციელდა ასევე, დადგინდა დარღვევა.¹⁰⁸ სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონტროლო შესყიდვის სანქცირება მარტივი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, იმავე ორგანოს მხრიდან, რომელიც ოპერაციას ახორციელებს და მოკლებულია რომელიმე დამოუკიდებელი ორგანოს ზედამხედველობას, ოპერაციის მიზანშეწონილობის შემოწმებისა და რაიმე წესების დაცვის გარეშე, პრინციპულად მიუღებელი და არაადეკვატურია.¹⁰⁹

სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი, იმ გარემოებებში, როდესაც A. და C. დაუკავშირდნენ პოლიციას იმ დროს, როდესაც განმცხადებელმა მათ შესთავაზა ნარკოტიკების შეტანა პორტუგალიაში, რის შემდეგაც ოპერაციას უკვე სახელმწიფო აკონტროლებდა.¹¹⁰

სასამართლომ ასევე, დაუშვებლად ცნო განაცხადი იმ პირობებში, როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა თავად ისარგებლეს პროსტიტუციაში ჩაბმული პირების მომსახურებით, ვინაიდან მათ მანამდე უკვე ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული პირების საქმიანობის შესახებ და პროსტიტუტები იყენებდნენ თავიანთი კომპანიის საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსებს პოტენციურ კლიენტებთან შესახვედრად.¹¹¹

სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა ისეთ ვითარებაში, როდესაც განმცხადებელმა SÑ-ს სარჩელის შედგენაში, სასამართლო განხილვასა და სასამართლოს მაღალჩინოსნებისთვის ქრთამის მიცემაში შესთავაზა დახმარება, რა დროსაც ეს უკანასკნელი დაუკავშირდა სამართალდამცავ ორგანოებს, რის გამოც დანაშაულის გამოსაძიებლად შემდგომი ოპერაცია არ ჩაითვალა მე-6 მუხლის დარღვევად.¹¹²

3.9. შეცვლილი ჩვენებები

სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევად მიიჩნია მსჯავრდების დამყარება ჩვენებებზე, რომელთა ავტორებიც სასამართლოზე არ დაუკითხავთ და რომლებმაც არსებითად შეცვალეს თავიანთი ჩვენებები.¹¹³

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ იმ პირობებში, როდესაც განმცხადებლის მსჯავრდება დაეყრდნო თანაბრადებულებისა და მოწმის პოლიციის განყოფილებაში მიცემულ ჩვენებებს, რომლებმაც საქმის სასამართლო განხილვის პროცესში არსებითად სხვა ფაქტები მიუთითეს და შეცვალეს გამოძიებაში მათ მიერ მიცემული ჩვენებები, რაც ბუნებრივია სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებდა მათი სანდოობის თვალსაზრისით.¹¹⁴

3.10. მტკიცებულებების გაცვლის ვალდებულება და მასალებზე ხელმისაწვდომობა

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ისეთ უფლებებს, რომლებიც საჭიროა დაცვის მოსამზადებლად, ბრალდებულის მიერ ბრალდების მხარესთან თანაბარ პირობებში დაცვის უფლების განსახორციელებლად და სხვა მსგავსი მიზნებისთვის. ამ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებები „მინიმალური გარანტიებია,“ რომლებიც იმავე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს ფართო უფლების ელემენტებია.¹¹⁵

სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ საგამოძიებო ორგანომ ბრალდებულს გაუზიაროს როგორც მისი სასარგებლო, ისე საწინააღმდეგო მტკიცებულების შესახებ. აღნიშნულის საწინააღმდეგო მოქმედებამ შესაძლოა, დაარღვიოს დაცვის უფლება.¹¹⁶

მტკიცებულების გამჟღავნების ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება არსებობდეს კონკურენტუნარიანი ინტერესები, როგორიცაა მაგალითად: ეროვნული უსაფრთხოება; ისეთი მოწმის დაცვის საჭიროება, რომელიც შეიძლება შურისძიების მსხვერპლი გახდეს (მოწყვლადი მოწმე); დანაშაულის გამოძიების მეთოდების საიდუმლოდ შენახვა; სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა, თუ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვა. შესაბამისად, ბრალდებულის უფლებების რეალიზაცია, სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, იმ დათქმით, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული შეზღუდვის საპირწონე დამაბალანსებელი პროცედურებით.¹¹⁷

ბრალდებულისთვის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა და მათი ასლების გადაუცემლობა, განსაკუთრებით, თუ მას ადვოკატი არ ჰყავს, იწვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების არსებით გაუარესებას, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებლობების მიცემა ბრალდებულისთვის მნიშვნელოვანია დაცვის პოზიციის მოსამზადებლად და წარდგენილი ბრალდების უარსაყოფად.¹¹⁸ მსგავს შედეგს გამოიწვევს ბრალდებულისთვის იმ მტკიცებულებების გადაუცემლობა, რომელიც ამართლებს მას ან უმსუბუქებს პასუხისმგებლობას.¹¹⁹

ერთ-ერთ საქმეში დაცვის მხარისთვის დოკუმენტური მტკიცებულების სასამართლოს მიერ გამოთხოვის შესახებ არ უცნობებიათ და აღნიშნული დოკუმენტი არც სხდომაზე იქნა გამოკვლეული, რის გამოც დაცვას წაერთვა საშუალება კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნულ მტკიცებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის შესახებ არც მეორე მხარეს ჰქონდა ინფორმაცია, სასამართლომ დაადგინა მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.¹²⁰

ის ფაქტი, რომ საჯარო ინტერესზე აბელირებით ბრალდების მხარემ დაცვას არ გაუმხილა მნიშვნელოვანი მტკიცებულების შესახებ და არც სასამართლოს აცნობა აღნიშნულის თაობაზე, იგი გამოვიდა ამ შეზღუდვისთვის „საკმარისი მიზეზების“ ერთადერთ შემთხვევადად, რაც არ შეესაბამება მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხის მნიშვნელობაზე, რომ მტკიცებულების გადაუცემლობის შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს მოსამართლის მიერ არსებით განხილვამდე, ვიდრე შესაძლებელია დაცვის უფლების ყველაზე ეფექტიანად განხორციელება.¹²¹

სასამართლო თანხმდება, რომ ეროვნული უშიშროება ის მიზეზია, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს დაცვის უფლება, თუმცა, თუნდაც სახელმწიფო საიდუმლობის დაცვის მიზანს არ შეიძლება ემსხვერპლოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერებისა და კანონის უზენაესობის კონცეფცია, და ისეთი ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაა. თუ ასეთს აქვს ადგილი, იგი კანონის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ საქმეში დაცვის მხარეს შეეზღუდა ამგვარ მასალებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც გამიჯნული იყო სხვა მასალებისგან და დაცვას საკუთარ შენიშვნებზეც კი არ ჰქონდა ხელმისაწვდომობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საბრალდებო დასკვნა შეიცავდა დანართს, რომელიც არ წარედგინა ბრალდებულს. ყოველივე აღნიშნულმა კი, დააზარალა დაცვის უფლება სათანადოდ შეწინააღმდეგებოდა ბრალდების მხარეს.¹²²

სასამართლომ ფარული მიყურადების მასალების დაცვის მხარისთვის გადაუცემლობა მიიჩნია დარღვევად, რადგან შესაბამისი საკანონმდებლო აქტით აღნიშნული პირდაპირ აკრძალული იყო, ხოლო მოსამართლე, რომელმაც ეს საკითხი განიხილა, მოკლებული იყო შეფასების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროცესი თვითნებურად შეფასდა, რის გამოც მნიშვნელოვნად დაზარალდა დაცვის ინტერესები.¹²³

დიდმა პალატამ დარღვევა დაადგინა ისეთ გარემოებებში, როდესაც ბრალდებულსა და მის ადვოკატს ცალ-ცალკე შესთავაზეს გაცნობოდნენ საქმის მასალებს, რომლებიც 17000 გვერდს შეადგენდა, მხოლოდ 3 კვირა მისცეს ბრალდებულს, ხოლო სასამართლო სხდომაზე ადვოკატს დარჩა 2 კვირა. საქმის მასალების ასლები მათთვის არ გადაუციათ, გარდა საბრალდებო დასკვნისა, რამაც ბუნებრივია, არათანაბომიერად შეზღუდა დაცვის უფლება, რადგან წარმოუდგენელი იყო ამ პირობებში დაცვის პოზიციის მომზადება.¹²⁴

სასამართლომ ასევე, დაადგინა, რომ ადვოკატისთვის საქმის მასალების გამოკვლევის უფლების შეზღუდვა არ არღვევს კონვენციის მე-ნ მუხლს, თუ ბრალდებულს ჰქონდა შესაბამისი შესაძლებლობა¹²⁵ და პირიქით, თუ ბრალდებულს არ აქვს წვდომა მტკიცებულებებზე, საკმარისია, აღნიშნული მას ადვოკატისგან ეცნობოს. მაგრამ თუ ბრალდებული თავად იცავს თავს, მისთვის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის აღკვეთა გამოიწვევს დაცვის უფლების დარღვევას.¹²⁶

აქვე შევეხებით მტკიცებულებების გაცვლასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, რაც იმავე მიზნიდან გამომდინარე, თუმცა, სამართალწარმოების კონკრეტული ეტაპის გათვალისწინებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს მიემართება (ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი).

სასამართლომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა დაადგინა იმ საფუძველით, რომ დაცვის მხარეს დაკავების კანონიერების შემოწმების ეტაპზე არ გადაეცა ორი მნიშვნელოვანი მოწმის ჩვენება, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა მისთვის განგრძობადი პატიმრობის შეფარდებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოწმე ნასამართლევი იყო, ხოლო ერთი საქმე მის მიმართ ნარკოტიკებით ვაჭრობის ფაქტზე მიმდინარეობდა.¹²⁷ იმავე გარემოებებში, დაცვისთვის საქმის მასალების გადაუცემლობის საპირწონედ, სასამართლომ არათანაზომიერ მიზეზად მიიჩნია საქმის სირთულე, კომპლექსურობა და ის ფაქტი, რომ აღნიშნული გამოიწვევდა სხვა ბრალდებულებისთვის გამოძიების ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.¹²⁸

ბრალდებულის ადვოკატს არ ჰქონდა ხელმისაწვდომობა საქმის იმ მასალებზე, რომელსაც ძირითადად ემყარებოდა ბრალდება. შეთავაზება იმის შესახებ, რომ მხოლოდ ზეპირი ანგარიში წარუდგინონ საქმის მასალებისა და მტკიცებულებების შესახებ, ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს. აღნიშნულს ვერ გამოასწორებდა ის ფაქტი, რომ შემდგომში, პირობით გათავისუფლების ეტაპზე, მის ადვოკატს მიეცა საქმის გაცნობის უფლება.¹²⁹

3.11. მტკიცებულებათა დაკარგვა/განადგურება

ზოგადი წესის თანახმად, მტკიცებულებები საჯაროდ უნდა იქნას წარდგენილი, პროცესის შეჯიბრებითობის მოთხოვნის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების განადგურება ან დაკარგვა გავლენას არ ახდენს სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე, თუ შედეგად დაცვის ინტერესები არ ზარალდება (*Sofri and Others v. Italy*).¹³⁰

ზემოაღნიშნულ საქმეში (ეხებოდა მკვლელობას) დარღვევა არ დადგინდა, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიები მალევე განადგურდა პოლიციის მიერ, მათზე ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, რის გამოც როგორც დაცვას, ისე ბრალდებას არ ჰქონია შესაძლებლობა შემდგომში ჩატარებინათ სხვა სახის ექსპერტიზა. აღნიშნულს მისი საქმესთან მნიშვნელობის გათვალისწინებით არ დაუზარალებია დაცვის ინტერესები.¹³¹

სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დაადგინა იმ პირობებში, როდესაც იარაღები, სხვა საგნები და დოკუმენტები, რომლებიც ამოღებულ იქნა ბრალდებულების სახლებიდან, კერძოდ კი, მათ მიერ მითითებულ ადგილებიდან, არ იქნა წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვისას, ხოლო ბრალდების მხარე მათზე, როგორც მტკიცებულებებზე, დაეყრდნო. ამიტომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა სრული შესაძლებლობა ედავა ძალზედ მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე.¹³²

3.12. ამოცნობის სტანდარტი

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეაფასა ამოცნობის პროცესი და მისი გამოყენება მსჯავრდებლისთვის სასამართლიან სასამართლოს უფლებასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, თვითმხილველების ჩვენებები, რომლებიც ამოცნობას ეყრდნობოდა, იყო გადამწყვეტი მტკიცებულება. განმცხადებლები და ბატონი B. L. დააყენეს ხაზზე, რომელთაც ეკეთათ თეთრი და ლურჯი ნიღბები, ისევე როგორც დამნაშავეებს, სხვა ორ პირს ეკეთა შავი ნიღბები. ამგვარი აშკარა განსხვავების პირობებში, განმცხადებლები და B. L. დაადანაშაულეს დანაშაულის ჩადენაში. ამოცნობის პროცესში არავითარი მნიშვნელობა არ შეუძენია ამოსაცნობი პირების მიერ ადგილების შეცვლას, რადგან მათ ნიღბები არ შეუცვალეს, რაც ტოლფასი იყო იმისა, რომ ამომცნობი ხელს სწორედ აღნიშნულ პირებისკენ გაიშვერდა ამასთან, ამოცნობა განმცხადებელთა ადვოკატების დაუსწრებლად ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნიღბები ბრალდებულთა მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე არ წარდგენილა. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.¹³³

3.13. მტკიცებულების რელევანტურობა

ზოგადი მიდგომის თანახმად, სასამართლოს ფუნქცია არ არის მტკიცებულების რელევანტურობის შეფასება, საბოლოოდ, იგი ამოწმებს იყო თუ არა პროცესი სამართლიანი.¹³⁴ ეროვნული სასამართლო უკეთეს პოზიციაშია შეაფასოს მტკიცებულების რელევანტურობა და ამორიცხოს საქმესთან კავშირში არმყოფი მტკიცებულება (*Vidal v. Belgium*, par. 32; *Edwards v. the United Kingdom*, პარ. 34; *Karpenko v. Russia*, პარ. 80, *Patsuria v. Georgia*, პარ. 86).¹³⁵

ევროპულმა სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებზეც ეროვნულმა სასამართლომ მსჯავრდება დააფუძნა, რაც ემყარებოდა გვამის, შემთხვევის ადგილისა და ბრალდებულის პირადი ნივთების დათვალიერების ოქმებს, ასევე, სხვა მსგავს მტკიცებულებებს. ეროვნულ სასამართლოს არ აუხსნია, თუ როგორ ამტკიცებდა ეს მრავალრიცხოვანი მტკიცებულებები ბრალდებულის ბრალეულობას, ან საერთოდ, რა შემხებლობა ჰქონდა მათ საქმესთან. დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.¹³⁶

3.14. მტკიცებულების ავთენტურობა

სასამართლო აღიარებს დაცვის მხარის საჭიროებას ჰქონდეს მტკიცებულების ხარისხის, უტყუარობისა და მისი წყაროს შემოწმების შესაძლებლობა. უპირველესად, სასამართლო ამოწმებს რამდენად ჰქონდა ბრალდებულს მტკიცებულების ავთენტურობის გამოკვლევის საშუალება.¹³⁷ ერთ-ერთ საქმეში, დაცვის მხარეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მიეცა საშუალება შეემოწმებინა გადამწყვეტი მტკიცებულებების – ბანკის კომპიუტერიდან „ლოგ“ ფაილებისა და ჩეკების ორიგინალები და მას არ მისცემია იმის გადამოწმების საშუალება, შეესაბამებოდა თუ არა ასლები ორიგინალებს. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრძანა ყალბი ჩეკების განადგურება, რაც გადამწყვეტი

იყო პირის მსჯავრდებისთვის. თაღლითობის მსჯავრდება მეტწილად ემყარებოდა სადავო ჩეკების ფოტოასლებს. შესაბამისად, ჩეკების ორიგინალების წარუდგენლობამ დაცვის მხარეს არ მისცა საშუალება ემტკიცებინა, რომ გადახდის ინსტრუქციები გაცემული იყო უფრო მისი თანამშრომლების, ვიდრე მის მიერ. საქმის უმთავრესი მტკიცებულებების სათანადო წესით წარუდგენლობის გამო, რომელთა გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა, დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) ქვეპუნქტების დარღვევა.¹³⁸

3.15. მტკიცებულების სანდობა

ეროვნული სასამართლო უკეთეს პოზიციაშია შეაფასოს მტკიცებულების სანდობა (*Vidal v. Belgium*, პარ. 32; *Edwards v. the United Kingdom*, პარ. 34; *Karpenko v. Russia*, პარ. 80, *Patsuria v. Georgia*, პარ. 86).¹³⁹ თუ მტკიცებულება მყარია და მისი არასანდობის რისკი არ არსებობს, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება არ არსებობს.¹⁴⁰

მტკიცებულების სანდობასთან, განსაკუთრებით მოწმის ჩვენებასთან მიმართებით, სასამართლო მტკიცებულების უშუალოდ გამოკვლევის პრინციპს აწესებს (*CASE OF BOCOS-CUESTA v. THE NETHERLANDS*, (no. 54789/00), 10 November 2005).¹⁴¹ ამასთან, სასამართლოს არ შეუძლია აბსტრაქტულად დაადგინოს, რომ მოწმის მიერ სასამართლოზე ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება ყოველთვის სანდო იქნება იმათგან განსხვავებით, რომლებიც იმავე მოწმემ სამართალწარმოების სხვა ეტაპზე მისცა.¹⁴² ამასთან, გასათვალისწინებელია მტკიცებულების სანდობასთან დაკავშირებით ის საკითხები, რაც ზევით თავებში იქნა განმარტებული და რომლებიც შეეხება გარკვეული პირობის სანაცვლოდ მიცემულ ჩვენებას და ანონიმური მოწმის ჩვენებას.

ისიც საინტერესოა, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების საპირწონედ დაცვის უფლების ერთ-ერთ დამაბალანსებელ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნას მოწმის ჩვენების სანდობაზე ექსპერტიზის ჩატარება, როგორც ეს ზემოხსენებულ ჭაჭაშვილის საქმეშია ნახსენები (პარ. 128). სასამართლოს აღნიშნულის პრაქტიკული მაგალითებიც მოჰყავს, როდესაც ეს ფაქტორი რელევანტურად, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. მაგალითად, როდესაც ექსპერტმა დეტალური დასკვნა დადო არასრულწლოვანი მსხვერპლის ჩვენების სანდობაზე.¹⁴³

სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ავტომანქანის ჩხრეკა ყოველგვარი ნებართვის გარეშე იქნა ჩატარებული და აღნიშნულის შედეგად დადგინდა მნიშვნელოვანი გარემოებები, განმცხადებლის მსჯავრდების თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არასანდოდ მიიჩნია ამგვარი ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები.¹⁴⁴

სანდობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მიკერძოების გამო. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ იმ საექსპერტო ბიუროს ექსპერტის მოწმედ დაკითხვა, რომლის სხვა ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნასაც საბრალდებო დასკვნა ემყარებოდა, არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს აღნიშნული ექსპერტის მიუკერძოებლობა.¹⁴⁵ საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება იმ ექსპერტის დასკვნას, რომელიც მოპასუხე მხარესთან იმყოფებოდა სამსახურებრივ ურთიერთობაში და აშკარა დაინტერესებას გამოხატავდა ჩვენების მიცემისას, მიჩნეულ იქნა დარღვევად.¹⁴⁶

IV. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მძიციბულების დასაშვებობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, (1) ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. (2) დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.¹⁴⁷

კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის სფეროში ექცევა ოთხი ელემენტი: პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმოწერა. სახელმწიფოს პირველადი ვალდებულება ნეგატიურია და იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ამ უფლებებში. მიუხედავად ამისა, გარკვეულ გარემოებებში მუხლი ადგენს პოზიტიურ ვალდებულებას, სახელმწიფომ გადადგას სათანადო ნაბიჯები ამ უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და მე-3 მუხლისაგან განსხვავებით, თავად ითვალისწინებს მისი შეზღუდვის პირობებს, რომლებიც მე-2 პუნქტშია მოცემული.¹⁴⁸

შესაბამისად, საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომები მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით, ვინაიდან იგი ადამიანის ცხოვრების ყველაზე უფრო მეტად სენსიტიურ და ინტიმურ სფეროს ეხება.

4.1. ზოგადი პრინციპები

კონვენციის შესაბამისად დადგენილი დარღვევის ბუნების განხილვისას, კითხვა იმის შესახებ, მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულების სახით გამოყენებამ გახადა თუ არა საქმის სასამართლო განხილვა მთლიანობაში, არასამართლიანი მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ, უნდა განისაზღვროს საქმის ყველა გარემოების, მათ შორის, განმცხადებლის დაცვის უფლებისა და სადავო მტკიცებულების ხარისხისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.¹⁴⁹

იმის დასადგენად თუ რა გავლენა იქონია სამართლიანი სასამართლო უფლებაზე ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევამ სასამართლო აფასებს შემდეგ გარემოებებს: 1. დანაშაულის სიმძიმე; 2. საჯარო ინტერესი (გარკვეული ტიპის დანაშაულების გასამართლების კუთხით ან სიმართლის დადგენის მიზნით); 3. ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე აღნიშნული მტკიცებულების გავლენის ხარისხი; 4. ბრალდებულის მხრიდან აღნიშნული მტკიცებულების გამოყენების გასაჩივრების უფლების არსებობა.¹⁵⁰

4.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

სასამართლო აღნიშნავს: უდავოა, რომ ფარული ოპერაციები წარმოადგენს ჩარევას პირადი ცხოვრების სფეროში, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით.¹⁵¹

ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს მისი სახლის ან სხვა კერძო საკუთრების გარეთაც. სათვალთვალო კამერები, რომლებიც განთავსებულია ქუჩებში, სავაჭრო ცენტრებში, პოლიციის განყოფილებებსა თუ სხვა მსგავს ადგილებში, რომლებიც კანონიერ მიზანს ემსახურება და წინასწარგანჭვრეტადია, არ წარმოშობს რაიმე კითხვებს მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით.¹⁵²

როდესაც საქმე ეხება კომუნიკაციაში ჩარევას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი უნდა იყოს საკმარისად ნათელი მასში მითითებული ტერმინების ჩათვლით, რათა მოქალაქეებს მიეცეთ ადეკვატური მითითებები იმ გარემოებებზე, რომლებშიც და რა პირობებშიც საჯარო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან განხორციელონ საიდუმლო და პოტენციურად საფრთხის შემცველი ჩარევა ადამიანის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის თავისუფლების უფლებებში. აღნიშნული კი, ემსახურება ინდივიდების დაცვას თვითნებობისაგან.¹⁵³

სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლების დისკრეცია განხორციელებინა ფარული ოპერაცია, არ ექვემდებარებოდა რაიმე პირობას და არც მისი განხორციელების ფარგლები და ხერხი იყო განსაზღვრული. შესაბამისად, ბრალდებულის მიერ ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების კანონიერების გაპროტესტება და მისი შედეგების გამორიცხვა არაეფექტიანი იქნებოდა, რის გამოც ჩატარებული ოპერატიული ექსპერიმენტი ჩაითვალა კანონიერების პრინციპთან შეუსაბამოდ.¹⁵⁴ მიუხედავად მე-8 მუხლის დაღვევისა, სასამართლომ არ დაადგინა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა მსგავსად Heglas საქმისა, სადაც ასევე, კანონის დარღვევით მოპოვებული ფარული ჩანაწერი არ წარმოადგენდა ერთადერთ მტკიცებულებას განმცხადებლის მსჯავრდებისთვის.¹⁵⁵

უკანასკნელი საქმისგან განსხვავებით, მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა Allan-ის საქმეში, სადაც წინასწარ პატიმრობაში მყოფმა განმცხადებელმა გამოიყენა დუმილის უფლება. მიუხედავად ამისა, პოლიციამ მას წინასწარ მომზადებული, კარგად გამოცდილი პოლიციის ინფორმატორი შეუგზავნა თანამესაკნედ, რომელსაც უნდა ესარგებლა ბრალდებულის დაუცველი და მგრძობიარე მდგომარეობით, რაც დაკითხვის ხანგრძლივმა პროცედურამ გამოიწვია. ინფორმატორი ფარულად იწერდა საუბარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მოქმედებები შეიცავდა ზეწოლას და ინფორმაცია მოპოვებულ იქნა ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, რადგან ზემოაღნიშნულის გარდა, აღნიშნული ინფორმატორი თავად უსვამდა კითხვებს შეუწყვეტლივ და განმცხადებლის პასუხები არ წარმოადგენდა სპონტანურად/თვითნებურად გაკეთებულ განცხადებებს. საუბარი ეხებოდა მკვლელობას და ამ გაგებით იგი გაუთანაბრდა დაკითხვას იმ გარანტიების გარეშე, რომლებითაც ბრალდებული ამ პროცესში სარგებლობს, მათ შორის, უფლებას ადვოკატზე. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ყურადღებას აქცევს პირის ნების თავისუფლებას ისაუბროს ან არ ისაუბროს, ასევე იმას თუ რა ვითარებაში იმყოფება, მაგალითად, დაკავებული ხომ არაა და ა. შ.¹⁵⁶

აღნიშნული საქმისაგან განსხვავებით, მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის მიუხედავად (რაც უკავშირდებოდა ფარული ჩანაწერის შესახებ პროცედურების კანონიერების ნაკლებობას), მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა Khan-ის საქმეში. ამ საქმეში პოლიციის მიერ წინასწარ დამონტაჟდა მოსასმენი მოწყობილობა, რა დროსაც განმცხადებელმა მის მეგობართან ისაუბრა დანაშაულის გარემოებებზე,

რაც შემდეგომში მნიშვნელოვანწილად, გადამწყვეტი მტკიცებულება გახდა. მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა ნებაყოფლობით ისაუბრა და მასზე ზეწოლა არავის მოუხდენია, ასევე ის ფაქტი, რომ მას ჰქონდა აღნიშნული ჩანაწერის გაპროტესტების საშუალება და არც სასამართლო იყო ვალდებული კანონის შესაბამისად დასაშვებობის შემოწმების გარეშე მიეღო აღნიშნული მტკიცებულება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ბრალდებულს არ დარღვევია.¹⁵⁷ ამ საქმის მსგავსად, სახლში დამონტაჟებული მოწყობილობით განმცხადებელთა საუბრების ფარული ჩანაწერის გამოყენება ერთი მხრივ, ჩაითვალა მე-8 მუხლის დარღვევად თუმცა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ბრალდებულს არ შეეღაბა და Khan-ის საქმისაგან განსხვავებით, არ ყოფილა ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულება. სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება სამი კრიტერიუმის შეფასების შედეგად მიიღო: 1. მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება იყო თუ არა ერთადერთი და გადამწყვეტი პირის მსჯავრდებისთვის; 2. ჰქონდა თუ არა ბრალდებულს შესაძლებლობა გაეპროტესტებინა მტკიცებულების ავთენტურობა; 3. შიდა სასამართლოებს ჰქონდათ თუ არა უფლებამოსილება მიეღოთ გადაწყვეტილება მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით და ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია (შეადარე Allan-ის საქმეს), სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის საკითხს.¹⁵⁸

Schenk-ის საქმეში (CASE OF SCHENK v. SWITZERLAND, (no. 10862/84), 12 July 1988) განმცხადებელმა წააქეზა ბატონი პაუტი თავისი ყოფილი მეუღლის მკვლელობაში. პაუტიმ გადაწყვიტა შენკის მხილება აღნიშნულ დანაშაულში და სამართალდამცავ ორგანოებს წარუდგინა მისი და შენკის საუბრის ჩანაწერი. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ჩანაწერი არღვევდა შენკის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებას თუმცა, არ დაადგინა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, იმ მოტივით, რომ ბრალი გამყარებული იყო პაუტის და თავად შენკის ჩვენებებით.¹⁵⁹

4.3. ჩხრეკა და ამოღება

„საცხოვრებელი“ უშუალოდ იმ ადგილს გულისხმობს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ თუმცა, პირადი ცხოვრების პატივისცემის გარანტია უფრო შორს მიდის. მისი ფართო ინტერპრეტაცია გამართლებულია ზოგადი პრინციპის საფუძველზე, რომ ფუნდამენტური უფლებების განმარტება არ უნდა მოხდეს ვიწროდ და ტერმინის ფრანგულ ვერსიაზე – „domicile“ (ადგილსამყოფელი) დაყრდნობით. შესაბამისად, სასამართლომ მართებულად გამოიყენა მე-8 მუხლი, როდესაც ადვოკატების ოფისები დაექვემდებარა ჩხრეკას. ამავე საქმეში, რომელიც წამყვანი საქმეა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამუშაო ადგილი ადამიანებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ცენტრია, ზოგჯერ პირადი და პროფესიული საქმიანობის გამიჯვნა რთულია, განსაკუთრებით თავისუფალი პროფესიების შემთხვევაში და ხშირად, პროფესიული სამუშაო ხორციელდება „საცხოვრებელში“ – ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. იმის გათვალისწინებით, რომ ჩხრეკის ბრძანება ფართო პირობით იყო გაცემული და ულიმიტო შესაძლებლობებს აძლევდა მის ჩამტარებელ პირს შეზღუდვის გარეშე გაეჩხრიკა და ამოეღო ნებისმიერი დოკუმენტი, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს.¹⁶⁰

დაახლოებით, მსგავსად იყო ფორმულირებული ჩხრეკის ბრძანება Smirnov-ის საქმეში, სადაც იგი დაწერილი იყო ზოგადი ტერმინებით, რომლებიც კონკრეტულის გარეშე უთითებდნენ „ნებისმიერ საგანზე ან დოკუმენტზე, რომლებიც საინტერესო იყო no. 7806 სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის“ და, რომელთა ამოღებაც შესაძლებელი იყო რაიმე შეზღუდვის გარეშე. ჩხრეკის ბრძანება არ შეიცავდა მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციას და არც იმ მტკიცებულებებს ან ვარაუდებს, რომლებიც ამართლებდნენ ჩხრეკის ჩატარების მიზანს. მხოლოდ ჩხრეკის წინ განუმარტეს მას, რომ ეძებდნენ კონკრეტული კომპანიების დოკუმენტაციებს, რომელშიც განმცხადებელს არანაირი თანამდებობა არ ეკავა. არც სასამართლოს დაუსაბუთებია ჩხრეკის ჩატარების საფუძვლიანობა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო წარმოედგინა ჩხრეკის ჩატარების „რელევანტური და საკმარისი მიზეზები“ და დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.¹⁶¹

სასამართლო ზოგადად, მიზანშეწონილად მიიჩნევს უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად ან სხვათა უფლებების დასაცავად, კერძო ან ზოგადი პრევენციის მიზნებისთვის, ჩხრეკისა და ამოღების განხორციელებას იმ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის, რომელთა ამოღების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება.¹⁶²

სასამართლომ განმარტა, რომ ჩხრეკის ნებართვის არარსებობა საერთოდ, ან მისი არარსებობა გამამართლებელი მიზეზების გარეშე, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს, აღნიშნული შიდა კანონმდებლობის მოთხოვნაც იყო, რაც იმ მიზანს ემსახურება, რათა გაკონტროლდეს პროკურატურის მიერ პოლიციის ქმედებების კანონიერება.¹⁶³

სასამართლოს მოუწია მსჯელობა იმ საკითხზეც, დასახული მიზნის რამდენად პროპორციულია ჩხრეკის განხორციელება ამა თუ იმ ვითარებაში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ Buck-ის საქმეში ჩხრეკისა და ამოღების ბრძანება გაიცა მესამე პირის მიერ საგზაო მოძრაობის წესების უმნიშვნელო დარღვევისთვის, რომელიც ასევე, მოიცავდა განმცხადებლის სახლის ჩხრეკასაც, ჩარევა არ იქნა მიჩნეული დასახული მიზნის პროპორციულად, რის გამოც დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.¹⁶⁴

სასამართლოს მოუწია განეხილა ჩხრეკის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები. ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელს არ წარუდგინეს ჩხრეკის ბრძანება და არც ჩხრეკის საფუძველი უცნობებიათ და არც ის, თუ რას ეძებდნენ. როგორც გაირკვა ასეთი ბრძანება საერთოდ არ ყოფილა გაცემული არც ჩხრეკის დაწყებამდე და არც მისი დასრულების შემდეგ, ვინაიდან უშიშროების ძალები გადაუდებელ სიტუაციაში მოქმედებდნენ. სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ჩხრეკის ჩატარების რაიმე მიზეზი. ასევე, არ იქნა წარმოდგენილი ნივთები, რომლებიც ამოიღეს ჩხრეკისას, რადგან ისინი შემთხვევით განადგურდა და რომელთა შესახებ არც ჩანაწერები არსებობდა. მხოლოდ მიღების ხელწერილი იქნა წარდგენილი, სადაც არც სახელმწიფოს წარმომადგენლის ნამდვილი სახელი ეწერა და არც შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც იგი წარმოადგენდა, მხოლოდ ჩანაწერი იყო – „ტომარა დოკუმენტებით და ყუთი დისკებით.“ აღნიშნულ საქმეში დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.¹⁶⁵

ის ფაქტი, რომ ჩხრეკის შედეგად არაფერი ამოიღეს, არ ნიშნავს, რომ არღვევს პროპორციულობის ტესტს, აღნიშნული მხოლოდ გონივრული და ხელმისაწვდომი უსაფრთხოების ზომების მიუღებლობას შეიძლება მოჰყვეს.¹⁶⁶

4.4. სისხლის ანალიზი

ერთ-ერთ საქმეში სადავო გარემოება იყო, ხომ არ არღვევდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას სისხლის ანალიზის გაკეთება, რაზეც კომისიამ მიუთითა, რომ ზოგადად, არ შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევა თუმცა, თუ არსებობს საკმარისი მიზეზები, მაგალითად, სხვა პირთა უფლებების დაცვა, აღნიშნული გამართლებულ ზომად მიიჩნევა. მოცემულ საქმეზე სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო.¹⁶⁷

დასკვნა

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის შემოწმება და იმის გაანალიზება, თუ რა გავლენა მოახდინა კონვენციით მინიჭებული უფლებების დარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა საქმის შედეგზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმის განსასაზღვრად, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანობაში სამართალწარმოება და ხომ არ გამოიწვია კონკრეტული მტკიცებულების გამოყენებამ ბრალდებულის წინააღმდეგ კონვენციის დარღვევა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: 1. მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი; 2. რამდენად იქნა უზრუნველყოფილი დაცვის უფლებები – შეიძლოა თუ არა ბრალდებულს, ედავა მტკიცებულების ავთენტურობაზე, დასაშვებობაზე, მონაწილეობა მიეღო მათ გამოკვლევაში, დაეკითხა მოწმეები, სხვადასხვა ეტაპზე ესარგებლა წარმომადგენლით/ადვოკატით; 3. მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა – რამდენად ხარისხიანია მტკიცებულება, რამდენად სანდო და ზუსტია მისი მოპოვების გარემოებები, რაც ეჭვს გააჩენდა მის ავთენტურობასა და სანდოობაზე, რამდენად ძირითადი და გადაწყვეტის მტკიცებულება, არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულებები; 4. კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისა და დასჯის საჯარო ინტერესი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ ნებისმიერი სახით – წამებით, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულება ავტომატურად უსამართლოდ აქცევს მთლიანად პროცესს, არღვევს რა, მე-6 მუხლს. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება ნივთიერ მტკიცებულებასთან მიმართებით, თუ იგი წამების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. ნივთიერი მტკიცებულების დაშვება, რომელიც მოპოვებულია მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობით, მაგრამ არ მიუღწევია წამებამდე, მხოლოდ მაშინ დაარღვევს მე-6 მუხლს, თუ აღმოჩნდება, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ გავლენა იქონია ბრალდებულის წინააღმდეგ წარმართულ პროცესზე, განაპირობა რა, მისი მსჯავრდება და სასჯელის შეფარდება. აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა მხოლოდ ბრალდებულთან, არამედ მესამე პირებთან მიმართებითაც.

კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში, სასამართლო გამოკვეთს გარემოებებს, რომლებსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი აქვთ მტკიცებულებათა დასაშვებობასა და მისაღებობასთან, კერძოდ:

- სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია და დუმილის უფლება აბსოლუტური არ არის თუმცა, ისინი ვრცელდება ყველა ტიპის დანაშაულის საქმეზე. მათ კავშირი აქვთ უდანაშაულობის პრეზუმფციასთანაც. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის მოწვევის უფლებისა და პირის მიერ მისი მომსახურებით პირველივე დაკითხვისთანავე სარგებლობას. ამასთან, დაუშვებელია ბრალდებულის გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და ფიცის დადება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მასალის გამოყენებაზე, რომლებიც თუმცა, მოპოვებულია იძულების წესით, მაგრამ არსებობენ ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგალითად: ორდერის საფუძველზე მიღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმისა და ხმის ნიმუშები, სხეულის ქსოვილი დნმ-ის ტესტისთვის. იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა განმცხადებლის უფლება – არ დაინაშაულოს თავი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი; საზოგადოებრივი ინტერესის წონა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში; შესაბამისი გარანტიების არსებობა პროცედურებში; და ამგვარი სახით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების ხარისხი;
- სასამართლომ დაადგინა სამი კრიტერიუმი, რომელიც მნიშვნელოვანია შეფასდეს არგამოცხადებული მოწმის (დეპონირებული) ჩვენების გამოყენებასთან მიმართებით, კერძოდ: 1. არსებობდა თუ არა მოწმეთა დაუსწრებლობისა და შესაბამისად, დაუსწრებელი მოწმის გამოუკვლეველი ჩვენებების მტკიცებულებად დაშვების საპატიო მიზეზი; 2. დაუსწრებელი მოწმის ჩვენება იყო თუ არა ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი; 3. სახეზე იყო თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები მათ შორის, ძლიერი პროცედურული გარანტიები, რაც მოახდენდა დაცვის მხარისთვის გამოუკვლეველი მტკიცებულების დაშვების შედეგად შექმნილი დაბრკოლებების კომპენსირებას და იმის უზრუნველყოფას, რომ სასამართლო განხილვა, ერთიანობაში აღებული, სამართლიანი ყოფილიყო. სასამართლომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს მოწმის სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, ვიდრე სასამართლომდე გამოძიების წინაშე ჩატარებული დაკითხვის ჩანაწერს, თუ ამისთვის სათანადო მიზეზები არ არსებობს. საბოლოოდ, დეპონირებულ ჩვენებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც მსჯავრდება ემყარება არგამოცხადებული მოწმის ჩვენებას, როგორც ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებას, სასამართლომ განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა შეამოწმოს განხორციელებული პროცედურები. დეპონირებული ჩვენების სტანდარტი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც შეიძლება დაკითხოს სასამართლოში. გარდა ამისა, სასამართლო განხილვისას, ბრალდებულის დეპონირებული ჩვენების წაკითხვა მისი ნების გაუთვალისწინებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი დუმილის უფლებას იყენებს, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს. იმავე სტანდარტს ავრცელებს სასამართლო ჩვენებაზე, რომელიც გაგონილს ემყარება;
- „საპირწონე“ ფაქტორების მიუხედავად, დაუშვებელია, პირის მსჯავრდება დაეყრდნოს ანონიმური მოწმის ჩვენებას, თუ ის იქნება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულება. სხვა შემთხვევაში, ევროპული სასამართლო გადაჭრით არ გამორიცხავს ანონიმური მოწმის ჩვენების სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენებას;

- სასამართლომ განმარტა, რომ იმუნიტეტის ან სხვა რაიმე სარგებლის მიღების მიზნით მიცემული მოწმეთა ჩვენებების გამოყენებამ, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდებულის უფლება პროცესის სამართლიანობაზე. თუმცა, მოწმის მიერ იმუნიტეტის სანაცვლოდ მიცემული ჩვენების მტკიცებულებად დაშვება და გამოყენება ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოებას ავტომატურად უსამართლოდ არ აქცევს;
- თუ ფარული აგენტების არსებობა იქნება დაშვებული, თუნდაც მკაცრი შეზღუდვებისა და რეგულაციის პირობებში, საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს პოლიციელების მხრიდან წაქეზების ფაქტებს, რაც აუცილებლად წაართმევდა ბრალდებულებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოძიება იმგვარად ახდენს გავლენას საკითხზე, რაც უბიძგებს დანაშაულის ჩადენას, რომელიც სხვაგვარად არც მოხდებოდა, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გაეხადა დანაშაულის ჩადენა, წარმოეშვა მტკიცებულება და დაეწყო გამოძიება, შეუთავსებელია კონვენციის მე-6 მუხლთან;
- სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევად მიიჩნია მსჯავრდების დამყარება ჩვენებებზე, რომელთა ავტორებიც სასამართლოზე არ დაუკითხავთ და რომლებმაც არსებითად შეცვალეს თავიანთი ჩვენებები;
- მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ საგამოძიებო ორგანომ ბრალდებულს გაუმხილოს როგორც მისი სასარგებლო, ისე საწინააღმდეგო მტკიცებულების შესახებ. მტკიცებულების გამჟღავნების ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება არსებობდეს კონკურენტუნარიანი ინტერესები, როგორცაა მაგალითად: ეროვნული უსაფრთხოება; ისეთი მოწმის დაცვის საჭიროება, რომელიც შეიძლება შურისძიების მსხვერპლი გახდეს (მოწყვლადი მოწმე); დანაშაულის გამოძიების მეთოდების საიდუმლოდ შენახვა; სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა, თუ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვა. შესაბამისად, ბრალდებულის უფლებების რეალიზაცია, სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, იმ დათქმით, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული შეზღუდვის საპირწონე დამაბალანსებელი პროცედურებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატისთვის საქმის მასალების გამოკვლევის უფლების შეზღუდვა არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლს, თუ ბრალდებულს ჰქონდა შესაბამისი შესაძლებლობა და პირიქით, თუ ბრალდებულს არ აქვს წვდომა მტკიცებულებებზე, საკმარისია, აღნიშნული მას ადვოკატისგან ეცნობოს. თუ ბრალდებული თავად იცავს თავს, მისთვის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის აღკვეთა გამოიწვევს დაცვის უფლების დარღვევას. სასამართლომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა დაადგინა იმ საფუძველით, რომ დაცვის მხარეს დაკავების კანონიერების შემოწმების ეტაპზე არ გადაეცა მტკიცებულებები, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა განგრძობადი პატიმრობის შეფარდებისთვის;
- ზოგადი წესის თანახმად, მტკიცებულებები საჯაროდ უნდა იქნას წარდგენილი, პროცესის შეჯიბრებითობის მოთხოვნის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების განადგურება ან დაკარგვა გავლენას არ ახდენს სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე, თუ შედეგად დაცვის ინტერესები არ ზარალდება;

- სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ამოცნობის პროცედურების სათანადოდ განხორციელებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამოცნობის შედეგები ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა;
- მტკიცებულებებს, რომლებსაც განაჩენი ემყარება შემხებლობა უნდა ჰქონდეს საქმესთან და უნდა აიხსნას კავშირი თუ როგორ ამტკიცებს ისინი პირის ბრალეულობას;
- მნიშვნელოვანია დაცვას მიეცეს იმ მტკიცებულებების ავთენტურობის შემოწმების საშუალება, რომლებსაც ბრალდება ემყარება;
- თუ მტკიცებულება მყარია და მისი არასანდოობის რისკი არ არსებობს, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება არ არსებობს. სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მიკერძოების ან სხვა მიზეზით.

რაც შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტს, შეიძლება ითქვას, რომ იმის დასადგენად თუ რა გავლენა იქონია სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევამ, სასამართლო აფასებს შემდეგ გარემოებებს: 1. დანაშაულის სიმძიმე; 2. საჯარო ინტერესი (გარკვეული ტიპის დანაშაულების გასამართლების კუთხით ან სიმართლის დადგენის მიზნით); 3. ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე აღნიშნული მტკიცებულების გავლენის ხარისხი; 4. ბრალდებულის მხრიდან აღნიშნული მტკიცებულების გამოყენების გასაჩივრების უფლების არსებობა.

უდავოა, რომ ფარული ოპერაციები წარმოადგენს ჩარევას პირადი ცხოვრების სფეროში, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით თუმცა, მისი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ყოველთვის არ არღვევს პროცესის სამართლიანობას.

სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩხრეკის პროცედურებისა და მისი დასაბუთების შემოწმების აუცილებლობას, ასევე იმას, რომ ამგვარი ნებართვები ზოგადად არ უნდა იყოს ფორმულირებული, რაც დაარღვევს კონვენციის მე-8 მუხლს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია ის პრინციპები და მიდგომები, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია კონვენციით დაცულ უფლებათა დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობასთან და მისაღებობასთან მიმართებით, რომლის გათვალისწინებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება შიდასასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გვ. 12, პარ. 5.
- ² შესრულებულია რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1992 წლის 12 მაისს (გამოქვეყნების წყარო, თარიღი: სსმ, 24(31), 23/05/1999). ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე იხ.: <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/0900001680063765>.
- ³ მოქმედებს 1998 წლიდან, მანამდე არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია.
- ⁴ იხ.: Glossary of the European Convention on Human Rights, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სიტყვარი, Council of Europe, 2015, გვ. 18.
- ⁵ იხ.: CASE OF JALLOH v. GERMANY, [GC], (no. 54810/00), 11 July 2006, პარ. 94.
- ⁶ იქვე, პარ. 95.
- ⁷ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial (criminal limb), European Court of Human Rights, 2014, გვ. 26, პარ. 135, იხ.: http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis&c=#n14278064742986744502025_pointer.
- ⁸ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, იხ.: <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/0900001680063765>.
- ⁹ იხ.: CASE OF HARUTYUNYAN v. ARMENIA, (no. 36549/03), 28 June 2007, პარ. 63 (იხ.: AFFAIRE IÇÖZ c. TURQUIE, (no. 54919/00), 15 janvier 2004 და Ahmet KOÇ against Turkey, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 32580/96), 23 September 2003).
- ¹⁰ იხ.: ზემოხსენებული JALLOH-ის საქმე, პარ. 99 (იხ.: CASE OF CHAHAL v. THE UNITED KINGDOM, (no. 22414/93), 15 November 1996, პარ. 79 და CASE OF SELMOUNI v. FRANCE, [GC], (no. 25803/94), 28 JULY 1999, პარ. 95).
- ¹¹ იხ.: HARUTYUNYAN-ის საქმე, პარ. 64-65.
- ¹² იხ.: იქვე, პარ. 67.
- ¹³ იხ.: CASE OF LEVINTA v. MOLDOVA, (no. 17332/03), 16 December 2008, პარ. 104-105.
- ¹⁴ იხ.: იქვე, პარ. 101-103.
- ¹⁵ იხ.: AFFAIRE ÖRS ET AUTRES c. TURQUIE, (no. 46213/99), 20 juin 2006, პარ. 61.
- ¹⁶ იხ.: AFFAIRE GÖÇMEN c. TURQUIE, (no. 72000/01), 17 octobre 2006, პარ. 74-75, (აგრეთვე იხ.: AFFAIRE YUSUF GEZER c. TURQUIE, (no 21790/04), 1er décembre 2009, პარ. 43-44).
- ¹⁷ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016, გვ. 108.
- ¹⁸ იხ.: AFFAIRE SÖYLEMEZ c. TURQUIE, (no 46661/99), 21 septembre 2006, პარ. 122.
- ¹⁹ იხ.: CASE OF OTHMAN (ABU QATADA) v. THE UNITED KINGDOM, (no. 8139/09), 17 January 2012, პარ. 264.
- ²⁰ იქვე, პარ. 267.
- ²¹ იხ.: CASE OF EL HASKI v. BELGIUM, (no. 649/08), 25 September 2012, პარ. 85.
- ²² იხ.: TURBYLEV-ის საქმე, პარ. 96.
- ²³ იხ.: CASE OF SOERING v. THE UNITED KINGDOM, (no. 14038/88), 7 July 1989, პარ. 113, აგრეთვე, იხ.: CASE OF MAMATKULOV AND ASKAROV v. TURKEY, (nos. 46827/99 and 46951/99), 4 February 2005, პარ. 90-91; CASE OF AL-SAADON AND MUFDH I v. THE UNITED KINGDOM, (no. 61498/08), 2 March 2010, პარ. 149.
- ²⁴ იხ.: OTHMAN (ABU QATADA)-ის საქმე პარ. 263-267, 282.
- ²⁵ იხ.: იქვე, პარ. 264.

- 26 იბ.: CASE OF SHANNON v. THE UNITED KINGDOM, (no. 6563/03), 4 October 2005, პარ. 32; აგრეთვე, იბ.: CASE OF WEH v. AUSTRIA, (no. 38544/97), 8 April 2004.
- 27 იბ.: CASE OF SAUNDERS v. UNITED KINGDOM, (no. 19187/91), 17 December 1996, პარ. 68-69; აგრეთვე: JALLOH-ის საქმე, პარ. 102; Nasir CHOUDHARY against the United Kingdom, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 40084/98), 4 May 1999; CASE OF J.B. v. SWITZERLAND, (no. 31827/96), 3 May 2001, პარ. 68 და CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM, (no. 44787/98), 25 September 2001, პარ. 80.
- 28 იბ.: JALLOH- ის საქმე, პარ. 101.
- 29 იქვე, პარ. 99.
- 30 იქვე, პარ. 104.
- 31 იქვე, პარ. 106.
- 32 გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი იძლეოდა იძულებითი ზომის გამოყენების უფლებას.
- 33 იბ.: JALLOH-ის საქმე, პარ. 107.
- 34 იქვე, პარ. 108-109.
- 35 ოფიციალურ ტექსტში მითითებულია „Real Evidence.“
- 36 იბ.: JALLOH- ის საქმე, პარ. 110-112.
- 37 იბ.: JALLOH- ის საქმე, პარ. 113-115.
- 38 იბ.: GÄFGEN- ის საქმე.
- 39 იქვე, პარ. 131-132.
- 40 იბ.:GÄFGEN- ის საქმე, პარ. 15-18.
- 41 იქვე, პარ. 167.
- 42 იქვე, პარ. 173.
- 43 იქვე, პარ. 176-178.
- 44 იბ.: GÄFGEN- ის საქმე, პარ. 178.
- 45 იქვე, პარ. 182-183.
- 46 იქვე, პარ. 180, 184, 186.
- 47 იბ.: CASE OF WIESER v. AUSTRIA, (no. 2293/03), 22 February 2007, პარ. 40.
- 48 იბ.: CASE OF VALAŠINAS v. LITHUANIA, (no. 44558/98), 24 July 2001, პარ. 117.
- 49 იბ.: CASE OF IWÁNCZUK v. POLAND, (no. 25196/94), 15 November 2001, პარ. 58-59.
- 50 იბ.: CASE OF FUNKE v. FRANCE, (no. 10828/84), 25 February 1993, პარ. 44; აგრეთვე: CASE OF O'HALLORAN AND FRANCIS v. THE UNITED KINGDOM, [GC], (nos. 15809/02 and 25624/02), 29 June 2007, პარ. 45; სხენებული “Saunders-ის” საქმე, პარ. 60.
- 51 იბ.: CASE OF JOHN MURRAY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (no. 18731/91), 8 February 1996, პარ. 45.
- 52 ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 385.
- 53 იბ.: CASE OF SAUNDERS v. UNITED KINGDOM, (no. 19187/91), 17 December 1996, პარ. 68, 71, 74; აგრეთვე: CASE OF HEANEY AND McGUINNESS v. IRELAND, (no. 34720/97), 21 December 2000, პარ. 40; სხენებული JALLOH-ის საქმე, პარ. 100; სხენებული GÄFGEN-ის საქმე, პარ. 168; CASE OF BYKOV v. RUSSIA, [GC], (no. 4378/02), 10 March 2009, პარ. 92.
- 54 იბ.: CASE OF JOHN MURRAY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (no. 18731/91), 8 February 1996, პარ. 47.
- 55 იბ.: AFFAIRE NAVONE ET AUTRES c. MONACO, (nos. 62880/11, 62892/11, 62899/11), 24 octobre 2013, პარ. 74.
- 56 ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტისას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურაძის თარგმანი, თბილისი, 2013, გვ. 338.

- ⁵⁷ იბ.: CASE OF SALDUZ v. TURKEY, [GC], (no. 36391/02), 27 November 2008, პარ. 55; აგრეთვე: CASE OF ÇIMEN v. TURKEY, (no. 19582/02), 3 February 2009, პარ. 26-27.
- ⁵⁸ იბ.: AFFAIRE TALAT TUNÇ c. TURQUIE, (no. 32432/96), 27 mars 2007, პარ. 59.
- ⁵⁹ იბ.: CASE OF PISHCHALNIKOV v. RUSSIA, (no. 7025/04), 24 September 2009, პარ. 65-92; აგრეთვე იბ.: CASE OF DVORSKI v. CROATIA, [GC], (no. 25703/11), 20 October 2015, პარ. 103-113, ამ საქმეში ბრალდებულს არ შეატყობინეს ადვოკატის პოლიციის განყოფილებაში ყოფნის ფაქტი.
- ⁶⁰ იბ.: CASE OF BRENNAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 39846/98), 16 October 2001, პარ. 62-63.
- ⁶¹ იბ.: CASE OF YAREMENKO v. UKRAINE, (no. 32092/02), 12 June 2008, პარ. 78-81.
- ⁶² იბ.: MURRAY-ის საქმე, პარ. 59-70.
- ⁶³ იბ.: CASE OF PAKSHAYEV v. RUSSIA, (no. 1377/04), 13 March 2014, პარ. 31-33.
- ⁶⁴ იბ.: სალდუზის საქმე, პარ. 60-63; აგრეთვე: AFFAIRE ADAMKIEWICZ c. POLOGNE, (no. 54729/00), 2 mars 2010, პარ. 87-92.
- ⁶⁵ იბ.: CASE OF SHABELNIK v. UKRAINE, (no. 16404/03), 19 February 2009, პარ. 59-60; აგრეთვე, იბ.: CASE OF HEANEY AND McGUINNESS v. IRELAND, (no. 34720/97), 21 December 2000, პარ. 47-59; CASE OF SERVES v. FRANCE, (82/1996/671/893), 20 October 1997, პარ. 43-47.
- ⁶⁶ იბ.: AFFAIRE BRUSCO c. FRANCE, (no. 1466/07), 14 octobre 2010, პარ. 46-55.
- ⁶⁷ იბ.: წინამდებარე ნაშრომის 29-ე სქოლიო.
- ⁶⁸ იბ.: JALLOH-ის საქმე, პარ. 117.
- ⁶⁹ იბ.: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, მეორე გამოცემა, ზაზა მეთიშვილისა და ბადრი ნიპარიშვილის რედაქტორობით, თბ., 2015, გვ. 329.
- ⁷⁰ იბ.: CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM, (no. 44787/98), 25 September 2001, პარ. 80-81.
- ⁷¹ იბ.: Nasir CHOUDHARY-ის საქმე.
- ⁷² იბ.: BRENNAN-ის საქმე, პარ. 48.
- ⁷³ იბ.: AFFAIRE YOLDAS c. TURQUIE, (no. 27503/04), 23 février 2010, პარ. 52-55.
- ⁷⁴ იბ.: CASE OF HUSEYN AND OTHERS v. AZERBAIJAN, (nos. 35485/05, 45553/05, 35680/05 და 36085/05), 26 July 2011, პარ. 211; აგრეთვე: CASE OF LUCA v. ITALY, (no. 33354/96), 27 February 2001, პარ. 39.
- ⁷⁵ იბ.: CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY, [GC], (no. 9154/10), 15 December 2015, პარ. 107.
- ⁷⁶ ოფიციალურ ტექსტში: „Sole and Decisive Rule.“
- ⁷⁷ იბ.: CASE OF AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (nos. 26766/05 და 22228/06), 15 December 2011, პარ. 118-125; აგრეთვე: Arunas MIKA against Sweden, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 31243/06), 27 January 2009, პარ. 37.
- ⁷⁸ იბ.: CASE OF HÜMMER v. GERMANY, (no. 26171/07), 19 July 2012, პარ. 39.
- ⁷⁹ იბ.: CASE OF TROFIMOV v. RUSSIA, (no. 1111/02), 4 December 2008, პარ. 33.
- ⁸⁰ იბ.: CASE OF AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (nos. 26766/05 და 22228/06), 15 December 2011, პარ. 146-147; აგრეთვე: CASE OF TROFIMOV v. RUSSIA, (no. 1111/02), 4 December 2008, პარ. 147.
- ⁸¹ იბ.: SCHATSCHASCHWILI-ის საქმე, პარ. 113, 115-116.
- ⁸² იბ.: CASE OF TROFIMOV v. RUSSIA, (no. 1111/02), 4 December 2008, პარ. 156.
- ⁸³ იბ.: CASE OF GANI v. SPAIN, (Application no. 61800/08), 19 February 2013, პარ. 48-50.
- ⁸⁴ იბ.: CASE OF KASTE AND MATHISEN v. NORWAY, (nos. 18885/04 და 21166/04), 9 November 2006, პარ. 47-56; LUCA-ს საქმე, პარ. 32-45;
- ⁸⁵ იბ.: CASE OF D. v. FINLAND, (no. 30542/04), 7 July 2009, პარ. 50-52.
- ⁸⁶ იბ.: CASE OF A.L. v. FINLAND, (no. 23220/04), 27 January 2009, პარ. 41-45.

- ⁸⁷ იბ.: AFFAIRE CRAXI c. ITALIE, (no. 34896/97), 5 décembre 2002, პარ. 83-95.
- ⁸⁸ იბ.: CASE OF BALSYTE-LIDEIKIENE v. LITHUANIA, (no. 72596/01), 4 November 2008, პარ. 62-66.
- ⁸⁹ იბ.: CASE OF GABRIELIAN v. ARMENIA, (no. 8088/05), 10 April 2012, პარ. 81-87.
- ⁹⁰ იბ.: CASE OF TROFIMOV v. RUSSIA, (no. 1111/02), 4 December 2008, პარ. 31-39.
- ⁹¹ იბ.: CASE OF GOSSA v. POLAND, (no. 47986/99), 9 January 2007, პარ. 55.
- ⁹² იბ.: CASE OF THOMAS v. THE UNITED KINGDOM (dec.) no. 19345/02, 10 May 2005.
- ⁹³ იბ.: SCHATSCHASCHWILI-ის საქმე, პარ. 128-165.
- ⁹⁴ იბ.: CASE OF A.H. v. FINLAND, (no. 46602/99), 10 May 2007, პარ. 6, 10, 43-45; (შეადარე: CASE OF B. v. FINLAND, (no. 17122/02), 24 April 2007 - არდარღვევა).
- ⁹⁵ იბ.: CASE OF HAXHIA v. ALBANIA, (no. 29861/03), 8 October 2013, პარ. 142.
- ⁹⁶ იბ.: CASE OF VOZHIGOV v. RUSSIA, (no. 5953/02), 26 April 2007, პარ. 25, 56.
- ⁹⁷ იბ.: CASE OF DOORSON v. THE NETHERLANDS, (no. 20524/92), 26 March 1996, პარ. 76; მსგავსი შემთხვევა იბ.: CASE OF BIRUTIS AND OTHERS v. LITHUANIA, (nos. 47698/99 და 48115/99), 28 March 2002, პარ. 34-35; როდესაც ასეთი ჩვენება გადაწყვეტი არ იყო და სერიოზული შიშის საფრთხეები მომდინარეობდა ბრალდებულისგან, მისგან ამოიღეს პისტოლეტი და დიდი ოდენობით იარაღი, ნარკოტიკული საშუალებები და ნაღდი ფული: Robert Mink KOK against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 43149/98), 4 July 2000.
- ⁹⁸ იბ.: CASE OF KRASNIKI v. THE CZECH REPUBLIC, (no. 51277/99), 28 February 2006, პარ. 80-86.
- ⁹⁹ იბ.: CASE OF VAN MECHELEN AND OTHERS v. THE NETHERLANDS, (nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 22056/93), 23 April 1997, პარ. 63-66.
- ¹⁰⁰ იბ.: CASE OF VISSER v. THE NETHERLANDS, (no. 26668/95), 14 February 2002, პარ. 47-52.
- ¹⁰¹ იბ.: CASE OF KOSTOVSKI v. THE NETHERLANDS, (no. 11454/85), 20 November 1989, პარ. 42-45.
- ¹⁰² იბ.: DOORSON-ის საქმე, პარ. 69; CASE OF KRASNIKI v. THE CZECH REPUBLIC, (no. 51277/99), 28 February 2006, პარ. 76.
- ¹⁰³ იბ.: Johan VERHOEK against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 54445/00), 27 January 2004; აგრეთვე, იბ.: Arnold G. CORNELIS against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 994/03), 25 May 2004.
- ¹⁰⁴ იქვე.
- ¹⁰⁵ იბ.: CASE OF RAMANAUSKAS v. LITHUANIA, [GC], (no. 74420/01), 5 February 2008, პარ. 48-61.
- ¹⁰⁶ იბ.: RAMANAUSKAS-ის საქმე, პარ. 62-74.
- ¹⁰⁷ იბ.: CASE OF TEIXEIRA DE CASTRO v. PORTUGAL, (44/1997/828/1034), 9 June 1998, პარ. 37-39.
- ¹⁰⁸ იბ.: CASE OF VANYAN v. RUSSIA, (no. 53203/99), 15 December 2005, პარ. 49-50; აგრეთვე იბ.: CASE OF KHUJOBIN v. RUSSIA, (no. 59696/00), 26 October 2006, პარ. 133-137.
- ¹⁰⁹ იბ.: CASE OF VESELOV AND OTHERS v. RUSSIA, (nos. 23200/10, 24009/07 და 556/10), 2 October 2012, პარ. 126-128.
- ¹¹⁰ იბ.: Modesto SEQUEIRA contre le Portugal, DÉCISION SUR LA RECEVABILITÉ, no 73557/01, 6 mai 2003.
- ¹¹¹ EUROFINACOM contre la France, DÉCISION TIELLE SUR LA RECEVABILITÉ, (no. 58753/00), 07 septembre 2004; იბ. აგრეთვე პრინციპულად მსგავსი გარემოებები: CASE OF BANNIKOVA v. RUSSIA, (no. 18757/06), 4 November 2010, პარ. 66-79.
- ¹¹² იბ.: CASE OF MILINIENE v. LITHUANIA, (no. 74355/01), 24 June 2008, პარ. 33-41
- ¹¹³ იბ.: AFFAIRE ORHAN ÇAÇAN c. TURQUIE, (no. 26437/04), 23 mars 2010, პარ. 39-43.

- ¹¹⁴ იხ.: CASE OF ERKAPIC v. CROATIA, (no. 51198/08), 25 April 2013, პარ. 74-89.
- ¹¹⁵ Harris, O'Boyle & Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, Third Edition, 2014, გვ. 467.
- ¹¹⁶ იხ.: CASE OF EDWARDS v. THE UNITED KINGDOM, (no. 13071/87), 16 December 1992, პარ. 36.
- ¹¹⁷ იხ.: CASE OF ROWE AND DAVIS v. THE UNITED KINGDOM, [GC], (no. 28901/95), 16 February 2000, პარ. 61.
- ¹¹⁸ იხ.: CASE OF FOUCHER v. FRANCE, (no. 22209/93), 18 March 1997, პარ. 27, 36.
- ¹¹⁹ იხ. დასახ. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, გვ. 45, პარ. 272.
- ¹²⁰ იხ.: CASE OF KRČMÁŘ AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, (no. 35376/97), 3 March 2000, პარ. 38-46.
- ¹²¹ იხ.: CASE OF DOWSETT v. THE UNITED KINGDOM, (no. 39482/98), 24 June 2003, პარ. 44, 50.
- ¹²² იხ.: CASE OF MOISEYEV v. RUSSIA, (no. 62936/00), 9 October 2008, პარ. 216-218.
- ¹²³ იხ.: CASE OF MIRILASHVILI v. RUSSIA, (no. 6293/04), 11 December 2008, პარ. 200-209.
- ¹²⁴ იხ.: CASE OF ÖCALAN v. TURKEY, [GC], (no. 46221/99), 12 May 2005, პარ. 142-147.
- ¹²⁵ იხ.: CASE OF KREMZOW v. AUSTRIA, (no. 12350/86), 21 September 1993, პარ. 52; აგრეთვე, იხ.: CASE OF KAMASINSKI v. AUSTRIA, (no. 9783/82), 19 December 1989, პარ. 87-88.
- ¹²⁶ იხ.: დასახ. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, გვ. 44, პარ. 268-269.
- ¹²⁷ იხ.: CASE OF GARCIA ALVA v. GERMANY, (no. 23541/94), 13 February 2001, პარ. 41-43.
- ¹²⁸ იხ.: CASE OF LIETZOW v. GERMANY, (no. 24479/94), 13 February 2001, პარ. 44-48.
- ¹²⁹ იხ.: CASE OF MOOREN v. GERMANY, [GC], (no. 11364/03), 9 July 2009, პარ. 121.
- ¹³⁰ იხ.: დასახელებული სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, გვ. 321-322.
- ¹³¹ იხ.: SOFRI AND OTHERS v. ITALY, ADMISSIBILITY DECISION, (no. 37235/97), dec. 2003.
- ¹³² იხ.: CASE OF BARBERÀ, MESSEGUÉ AND JABARDO v. SPAIN, [CP], (no. 10590/83), 6 December 1988, პარ. 88-89.
- ¹³³ იხ.: CASE OF LASKA AND LIKA v. ALBANIA, (nos. 12315/04 and 17605/04), 20 April 2010, პარ. 63-72.
- ¹³⁴ იხ.: CASE OF POPOV v. RUSSIA, (no. 26853/04), 13 July 2006, პარ. 188.
- ¹³⁵ იხ.: დასახელებული სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, გვ. 346.
- ¹³⁶ იხ.: POPOV-ის საქმე.
- ¹³⁷ იხ.: CASE OF LISICA v. CROATIA, (no. 20100/06), 25 February 2010, პარ. 51.
- ¹³⁸ იხ.: CASE OF GEORGIOS PAPAGEORGIOU v. GREECE, (no. 59506/00), 9 May 2003, პარ. 30-40.
- ¹³⁹ იხ.: დასახელებული სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, გვ. 346; აგრეთვე, იხ.: CASE OF BOCOS-CUESTA v. THE NETHERLANDS, (no. 54789/00), 10 November 2005, პარ. 67.
- ¹⁴⁰ იხ.: BYKOV-ის საქმე, პარ. 90.

- ¹⁴¹ იბ.: დასახელებული სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, გვ. 366.
- ¹⁴² იბ.: DOORSON-ის საქმე, პარ. 78.
- ¹⁴³ იბ.: Eduardo GONZÁLEZ NÁJERA against Spain, DECISION of Admissibility, (no. 61047/13), 11 February 2014, პარ. 56.
- ¹⁴⁴ იბ.: LISICA-ს საქმე, პარ. 47-62.
- ¹⁴⁵ იბ.: CASE OF BRANDSTETTER v. AUSTRIA, (no. 11170/84; 12876/87; 13468/87), 28 August 1991, პარ. 44.
- ¹⁴⁶ იბ.: CASE OF SARA LIND EGGERTSDÓTTIR v. ICELAND, (no. 31930/04), 5 July 2007.
- ¹⁴⁷ იბ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 596.
- ¹⁴⁸ იბ.: ლიჩი ფ., დასახ. ნაშრომი, გვ. 378.
- ¹⁴⁹ იბ.: GÄFGEN-ის საქმე, პარ. 165.
- ¹⁵⁰ იბ.: დასახ. ნაშრომი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 111.
- ¹⁵¹ იბ.: BYKOV-ის საქმე, პარ. 72; აგრეთვე, იბ.: CASE OF LÜDI v. SWITZERLAND, (no. 12433/86), 15 June 1992, პარ. 39.
- ¹⁵² იბ.: CASE OF PERRY v. THE UNITED KINGDOM, (no. 63737/00), 17 July 2003, პარ. 37, 40.
- ¹⁵³ იბ.: BYKOV-ის საქმე, პარ. 78.
- ¹⁵⁴ იქვე, პარ. 80-83.
- ¹⁵⁵ იქვე, პარ. 94-100; აგრეთვე, იბ.: AFFAIRE HEGLAS c. RÉPUBLIQUE TCHÈQUE, (no. 5935/02), 1er mars 2007.
- ¹⁵⁶ იბ.: BYKOV-ის საქმე, პარ. 101-102; აგრეთვე, იბ.: CASE OF ALLAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 48539/99), 5 November 2002, პარ. 45-53.
- ¹⁵⁷ იბ.: CASE OF KHAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 35394/97), 12 May 2000, პარ. 29-40.
- ¹⁵⁸ იბ.: CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM, (no. 44787/98), 25 September 2001, პარ. 76-81.
- ¹⁵⁹ იბ.: დასახ. ნაშრომი – მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 113.
- ¹⁶⁰ იბ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 620; დეტალურად იბ.: CASE OF NIEMIETZ v. GERMANY, (no. 13710/88), 16 December 1992, პარ. 28-30; 37-38; ულიმიტო შესაძლებლობებთან დაკავშირებით აგრეთვე, იბ.: AFFAIRE ERNST ET AUTRES c. BELGIQUE, (no. 33400/96), 15 juillet 2003.
- ¹⁶¹ იბ.: CASE OF SMIRNOV v. RUSSIA, (no. 71362/01), 7 June 2007, პარ. 47-49; ჩხრეკის ბრძანების არასათანადო დასაბუთებისა და ბუნდოვანი ხასიათის შემთხვევაზე იბ.: CASE OF ALEKSANYAN v. RUSSIA, (no. 46468/06), 22 December 2008, პარ. 217-218.
- ¹⁶² იბ.: CASE OF BUCK v. GERMANY, (no. 41604/98), 28 April 2005, პარ. 52.
- ¹⁶³ იბ.: AFFAIRE L.M. c. ITALIE, (no. 60033/00), 8 février 2005, პარ. 32.
- ¹⁶⁴ იბ.: BUCK-ის საქმე, პარ. 52.
- ¹⁶⁵ იბ.: CASE OF IMAKAYEVA v. RUSSIA, (no. 7615/02), 9 November 2006, პარ. 187-189.
- ¹⁶⁶ იბ.: CASE OF KEEGAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 28867/03), 18 July 2006, პარ. 35.
- ¹⁶⁷ იბ.: X. v. the NETHERLANDS, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 8239/78), 4 december 1978.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა:

კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურაძის თარგმანი, თბილისი, 2013;
2. მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სტრასბურგი, 2011;
3. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2016;
4. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, მეორე გამოცემა, ზაზა მეიშვილისა და ბადრი ნიპარიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015;
5. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. Glossary of the European Convention on Human Rights ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სიტყვარი, Council of Europe, 2015;
2. Harris, O`Boyle & Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, Third Edition, 2014.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინგლისურენოვანი გადაწყვეტილებები და განჩინებები:

პლენუმის გადაწყვეტილებები:

1. CASE OF BARBERA, MESSEGUÉ AND JABARDO v. SPAIN, [CP], (no. 10590/83), 6 December 1988.

დიდი პალატის გადაწყვეტილებები:

1. CASE OF AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (nos. 26766/05 da 22228/06), 15 December 2011;
2. CASE OF BYKOV v. RUSSIA, [GC], (no. 4378/02), 10 March 2009;
3. CASE OF DVORSKI v. CROATIA, [GC], (no. 25703/11), 20 October 2015;
4. CASE OF GÄFGEN v. GERMANY, [GC], (no. 22978/05), 1 June 2010;
5. CASE OF JALLOH v. GERMANY, [GC], (no. 54810/00), 11 July 2006;
6. CASE OF JOHN MURRAY v. THE UNITED KINGDOM, [GC], (no. 18731/91), 8 February 1996;

7. CASE OF MOOREN v. GERMANY, [GC], (no. 11364/03), 9 July 2009;
8. CASE OF ÖCALAN v. TURKEY, [GC], (no. 46221/99), 12 May 2005;
9. CASE OF O'HALLORAN AND FRANCIS v. THE UNITED KINGDOM, [GC], (nos. 15809/02 and 25624/02), 29 June 2007;
10. CASE OF RAMANAUSKAS v. LITHUANIA, [GC], (no. 74420/01), 5 February 2008;
11. CASE OF ROWE AND DAVIS v. THE UNITED KINGDOM, [GC], (no. 28901/95), 16 February 2000;
12. CASE OF SALDUZ v. TURKEY, [GC], (no. 36391/02), 27 November 2008;
13. CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY, [GC], (no. 9154/10), 15 December 2015;
14. CASE OF SEJDOVIC v. ITALY, [GC], (no. 56581/00), 1 March 2006.

პალატის გადაწყვეტილებები:

1. CASE OF A.L. v. FINLAND, (no. 23220/04), 27 January 2009;
2. CASE OF A.H. v. FINLAND, (no. 46602/99), 10 May 2007;
3. CASE OF AL-SAADON AND MUFDHI v. THE UNITED KINGDOM, (no. 61498/08), 2 March 2010;
4. CASE OF ALEKSANDR ZAICHENKO v. RUSSIA, no. 39660/02, 18 February 2010;
5. CASE OF ALEKSANYAN v. RUSSIA, (no. 46468/06), 22 December 2008;
6. CASE OF ALLAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 48539/99), 5 November 2002;
7. CASE OF B. v. FINLAND, (no. 17122/02), 24 April 2007;
8. CASE OF BALSYTE-LIDEIKIENE v. LITHUANIA, (no. 72596/01), 4 November 2008;
9. CASE OF BANNIKOVA v. RUSSIA, (no. 18757/06), 4 November 2010;
10. CASE OF BIRUTIS AND OTHERS v. LITHUANIA, (nos. 47698/99 da 48115/99), 28 March 2002;
11. CASE OF BOCOS-CUESTA v. THE NETHERLANDS, (no. 54789/00), 10 November 2005;
12. CASE OF BRANDSTETTER v. AUSTRIA, (no. 11170/84; 12876/87; 13468/87), 28 August 1991;
13. CASE OF BRENNAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 39846/98), 16 October 2001;
14. CASE OF BUCK v. GERMANY, (no. 41604/98), 28 April 2005;
15. CASE OF CHAHAL v. THE UNITED KINGDOM, (no. 22414/93), 15 November 1996;
16. CASE OF ÇIMEN v. TURKEY, (no. 19582/02), 3 February 2009;
17. CASE OF D. v. FINLAND, (no. 30542/04), 7 July 2009;
18. CASE OF DELCOURT v. BELGIUM, (no. 2689/65), 17 January 1970;
19. CASE OF DOORSON v. THE NETHERLANDS, (no. 20524/92), 26 March 1996;
20. CASE OF DOWSETT v. THE UNITED KINGDOM, (no. 39482/98), 24 June 2003;
21. CASE OF EL HASKI v. BELGIUM, (no. 649/08), 25 September 2012;
22. CASE OF EDWARDS v. THE UNITED KINGDOM, (no. 13071/87), 16 December 1992;
23. CASE OF ERDEM v. GERMANY, (no. 38321/99), 9 December 1999;
24. CASE OF ERKAPIC v. CROATIA, (no. 51198/08), 25 April 2013;
25. CASE OF FOUCHER v. FRANCE, (no. 22209/93), 18 March 1997;
26. CASE OF FUNKE v. FRANCE, (no. 10828/84), 25 February 1993;
27. CASE OF GABRIELIAN v. ARMENIA, (no. 8088/05), 10 April 2012;
28. CASE OF GANI v. SPAIN, (no. 61800/08), 19 February 2013;
29. CASE OF GARCIA ALVA v. GERMANY, (no. 23541/94), 13 February 2001;
30. CASE OF GEORGIOS PAPAGEORGIOU v. GREECE, (no. 59506/00), 9 May 2003;
31. CASE OF GOSSA v. POLAND, (no. 47986/99), 9 January 2007;
32. CASE OF HARUTYUNYAN v. ARMENIA, (no. 36549/03), 28 June 2007;
33. CASE OF HAXHIA v. ALBANIA, (no. 29861/03), 8 October 2013;
34. CASE OF HEANEY AND McGUINNESS v. IRELAND, (no. 34720/97), 21 December 2000;

35. CASE OF HUSEYN AND OTHERS v. AZERBAIJAN, (nos. 35485/05, 45553/05, 35680/05 da 36085/05), 26 July 2011;
36. CASE OF HÜMMER v. GERMANY, (no. 26171/07), 19 July 2012;
37. CASE OF IMAKAYEVA v. RUSSIA, (no. 7615/02), 9 November 2006;
38. CASE OF J.B. v. SWITZERLAND, (no. 31827/96), 3 May 2001;
39. CASE OF KAMASINSKI v. AUSTRIA, (no. 9783/82), 19 December 1989;
40. CASE OF KARPENKO v. RUSSIA, (no. 5605/04), 13 March 2012;
41. CASE OF KASTE AND MATHISEN v. NORWAY, (nos. 18885/04 and 21166/04), 9 November 2006;
42. CASE OF KEEGAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 28867/03), 18 July 2006;
43. CASE OF KHAN v. THE UNITED KINGDOM, (no. 35394/97), 12 May 2000;
44. CASE OF KHUDOBIN v. RUSSIA, (no. 59696/00), 26 October 2006;
45. CASE OF KOSTOVSKI v. THE NETHERLANDS, (no. 11454/85), 20 November 1989;
46. CASE OF KRASNIKI v. THE CZECH REPUBLIC, (no. 51277/99), 28 February 2006;
47. CASE OF KREMZOW v. AUSTRIA, (no. 12350/86), 21 September 1993;
48. CASE OF KRČMÁR AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, (no. 35376/97), 3 March 2000;
50. CASE OF LASKA AND LIKA v. ALBANIA, (nos. 12315/04 and 17605/04), 20 April 2010;
51. CASE OF LEVINTA v. MOLDOVA, (no. 17332/03), 16 December 2008;
52. CASE OF LIETZOW v. GERMANY, (no. 24479/94), 13 February 2001;
53. CASE OF LISICA v. CROATIA, (no. 20100/06), 25 February 2010;
54. CASE OF LUCA v. ITALY, (no. 33354/96), 27 February 2001;
55. CASE OF LÜDI v. SWITZERLAND, (no. 12433/86), 15 June 1992;
56. CASE OF MAGEE v. THE UNITED KINGDOM, (no. 28135/95), 6 June 2000;
57. CASE OF MAMATKULOV AND ASKAROV v. TURKEY, (nos. 46827/99 and 46951/99), 4 February 2005;
58. CASE OF MILINIENE v. LITHUANIA, (no. 74355/01), 24 June 2008;
59. CASE OF MIRILASHVILI v. RUSSIA, (no. 6293/04), 11 December 2008;
60. CASE OF MOISEYEV v. RUSSIA, (no. 62936/00), 9 October 2008;
61. CASE OF NIEMIETZ v. GERMANY, (no. 13710/88), 16 December 1992;
62. CASE OF OTHMAN (ABU QATADA) v. THE UNITED KINGDOM, (no. 8139/09), 17 January 2012;
63. CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM, (no. 44787/98), 25 September 2001;
64. CASE OF PAKSHAYEV v. RUSSIA, (no. 1377/04), 13 March 2014;
65. CASE OF PATSURIA v. GEORGIA, (no. 30779/04), 6 November 2007;
66. CASE OF PERRY v. THE UNITED KINGDOM, (no. 63737/00), 17 July 2003;
67. CASE OF PISHCHALNIKOV v. RUSSIA, (no. 7025/04), 24 September 2009;
68. CASE OF POPOV v. RUSSIA, (no. 26853/04), 13 July 2006;
69. CASE OF PLONKA v. POLAND, (no. 20310/02), 31 March 2009;
70. CASE OF SARA LIND EGGERTSDÓTTIR v. ICELAND, (no. 31930/04), 5 July 2007;
71. CASE OF SAUNDERS v. UNITED KINGDOM, (no. 19187/91), 17 December 1996;
72. CASE OF SCHENK v. SWITZERLAND, (no. 10862/84), 12 July 1988;
73. CASE OF SELMOUNI v. FRANCE, [GC], (no. 25803/94), 28 JULY 1999;
74. CASE OF SERVES v. FRANCE, (82/1996/671/893), 20 October 1997;
75. CASE OF SHABELNIK v. UKRAINE, (no. 16404/03), 19 February 2009;
76. CASE OF SHANNON v. THE UNITED KINGDOM, (no. 6563/03), 4 October 2005;
77. CASE OF SMIRNOV v. RUSSIA, (no. 71362/01), 7 June 2007;
78. CASE OF SOERING v. THE UNITED KINGDOM, (no. 14038/88), 7 July 1989;
79. CASE OF TEIXEIRA DE CASTRO v. PORTUGAL, (44/1997/828/1034), 9 June 1998;
80. CASE OF THOMAS v. THE UNITED KINGDOM, (no. 19345/02), 10 May 2005;
81. CASE OF TROFIMOV v. RUSSIA, (no. 1111/02), 4 December 2008;

82. CASE OF TURBYLEV v. RUSSIA, (no. 4722/09), 6 October 2015;
83. CASE OF VALASINAS v. LITHUANIA, (no. 44558/98), 24 July 2001;
84. CASE OF VAN MECHELEN AND OTHERS v. THE NETHERLANDS, (nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 da 22056/93), 23 April 1997;
85. CASE OF VANYAN v. RUSSIA, no. 53203/99, 15 December 2005;
86. CASE OF YAREMENKO v. UKRAINE, (no. 32092/02), 12 June 2008;
87. CASE OF VESELOV AND OTHERS v. RUSSIA, (nos. 23200/10, 24009/07 da 556/10), 2 October 2012;
88. CASE OF VIDAL v. BELGIUM, (no. 12351/86) 22 April 1992;
89. CASE OF VISSER v. THE NETHERLANDS, (no. 26668/95), 14 February 2002;
90. CASE OF VLADIMIR ROMANOV v. RUSSIA, (no. 41461/02), 24 July 2008;
91. CASE OF VOZHIGOV v. RUSSIA, (no. 5953/02), 26 April 2007;
92. CASE OF VRONCHENKO v. ESTONIA, (no. 59632/09), 18 July 2013;
93. CASE OF WEH v. AUSTRIA, (no. 38544/97), 8 April 2004;
94. CASE OF WIESER v. AUSTRIA, (no. 2293/03), 22 February 2007.

დასაშვებობის განჩინებები:

1. Ahmet KOÇ against Turkey, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 32580/96), 23 September 2003;
2. Arnold G. CORNELIS against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 994/03), 25 May 2004;
3. Arunas MIKA against Sweden, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 31243/06), 27 January 2009;
4. Eduardo GONZÁLEZ NÁJERA against Spain, DECISION of Admissibility, (no. 61047/13), 11 February 2014;
5. Nasir CHOUDHARY against the United Kingdom, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 40084/98), 4 May 1999;
6. Johan VERHOEK against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 54445/00), 27 January 2004;
7. Robert Mink KOK against the Netherlands, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 43149/98), 4 July 2000;
8. SOFRI AND OTHERS v. ITALY, ADMISSIBILITY DECISION, (no. 37235/97), dec. 2003;
9. Tirado Ortiz and Lozano Martin v. Spain, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 43486/98), dec;
10. X. v. the NETHERLANDS, DECISION AS TO THE ADMISSIBILITY, (no. 8239/78), 4 december 1978.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფრანგულენოვანი გადაწყვეტილებები და განჩინებები:

პალატის გადაწყვეტილებები:

1. AFFAIRE ADAMKIEWICZ c. POLOGNE, (no. 54729/00), 2 mars 2010;
2. AFFAIRE BOBES c. ROUMANIE, (no. 29752/05), 9 juillet 2013;
3. AFFAIRE BRUSCO c. FRANCE, (no. 1466/07), 14 octobre 2010;
4. AFFAIRE CRAXI c. ITALIE, (no. 34896/97), 5 décembre 2002;
5. AFFAIRE ERNST ET AUTRES c. BELGIQUE, (no. 33400/96), 15 juillet 2003;
6. AFFAIRE GÖÇMEN c. TURQUIE, (no. 72000/01), 17 octobre 2006;
7. AFFAIRE HEGLAS c. RÉPUBLIQUE TCHÈQUE, (no. 5935/02), 1er mars 2007;
8. AFFAIRE IÇÖZ c. TURQUIE, (no. 54919/00), 15 janvier 2004;
9. AFFAIRE L.M. c. ITALIE, (no. 60033/00), 8 février 2005; AFFAIRE ÖRS ET AUTRES c. TURQUIE, (no. 46213/99), 20 juin 2006;

10. AFFAIRE NAVONE ET AUTRES c. MONACO, (nos. 62880/11, 62892/11 et 62899/11), 24 octobre 2013;
11. AFFAIRE ORHAN ÇAÇAN c. TURQUIE, (no. 26437/04), 23 mars 2010;
12. AFFAIRE SÖYLEMEZ c. TURQUIE, (no. 46661/99), 21 septembre 2006;
13. AFFAIRE STOJKOVIC c. FRANCE ET BELGIQUE, (no. 25303/08), 27 octobre 2011;
14. AFFAIRE TALAT TUNÇ c. TURQUIE, (no. 32432/96), 27 mars 2007;
15. AFFAIRE YOLDAS c. TURQUIE, (no. 27503/04), 23 février 2010;
16. AFFAIRE YUSUF GEZER c. TURQUIE, (no. 21790/04), 1er décembre 2009.

დასაშვებობის განჩინებები:

1. EUROFINACOM contre la France, DÉCISION PARTIELLE SUR LA RECEVABILITÉ, (no. 58753/00), 07 septembre 2004;
2. Modesto SEQUEIRA contre le Portugal, DÉCISION SUR LA RECEVABILITÉ, (no. 73557/01), 6 mai 2003.

ვებგვერდები:

1. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/0900001680063765>.
2. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial (criminal limb), European Court of Human Rights, 2014, 2. http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis&c=#n14278064742986744502025_pointer.

ADMISSIBILITY OF EVIDENCE IN CRIMINAL PROCEDURE ACCORDING TO THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

BADRI NIPARISHVILI

Judge at the Tetritskaro District Court

Doctoral Student at the Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Case law of the European Court of Human Rights clearly proves how important it is to examine the issue of admissibility of evidence. In order to determine how lawful the entire procedure was and whether the usage of particular evidence against a defendant resulted in the violation of the Convention, the court looks at the following circumstances: 1. Nature and extent of coercion employed for obtaining the evidence; 2. How well the defence rights were secured; 3. Evidential strength of evidence, and 4. Public interest regarding the investigation of a particular crime and punishment.

Any evidence obtained by disregarding the Article 3 of the Convention – through torture, inhuman or degrading treatment – automatically makes the entire procedure unlawful, as it violates the Article 6. This approach applies to any physical evidence, if it is a direct result of torture. Admissibility of physical evidence that has been obtained in violation of the Article 3 through inhumane or degrading treatment but

was not scaled up to torture will violate the Article 6 only if it is found out that the violation of the Article 3 affected the procedure against the defendant, resulting in reaching the conviction and sentencing.

Within the frameworks of the Article 6 of the Convention, the court highlights the benefit of the right to invite a lawyer and enabling a person to enjoy his/her services during the very first interrogation. It is inadmissible to warn the defendant about criminal responsibility for refusing to be questioned or to take an oath. The privilege of being protected from self-incrimination does not apply to the usage of the material in criminal procedure, which, although was obtained by coercion, but exists irrespective of the defendant's will. The court has established the criteria to determine whether the applicant's right was violated – the right not to self-incriminate, also regarding the usage of testimony of a witness who did not show up (deposition) and that of an anonymous witness, same way as in regards to the hearsay. There was a significant practice developed by the ECHR regarding the crimes committed through entrapment. The court said that issues of discovery of evidence, also the participation of defence in their examination were substantial. According to the court, it is important to discuss the issues of relevance, authenticity and reliability of evidence. If the evidence is solid and there is no risk regarding its truthfulness, there is no need to corroborate it by another piece of evidence.

As for the effect of respecting privacy and family life, it is possible to say that the court examines the following circumstances to determine how the violation of the right secured under the Article 8 of the European Convention affected the right to fair trial: 1. Gravity of crime; 2. Public interest; 3. Degree of impact of this evidence on finding the defendant guilty; and 4. The existence of the right for the defendant to challenge this evidence. Undisputedly, the covert measures represent interference in privacy, which is safeguarded in the Article 8(1) of the Convention, but the evidence obtained by violating this article does not always breach the legitimacy of procedure.

Considering all the above-mentioned, it is worthwhile to note the principles and approaches established by the ECHR regarding the admissibility and acceptance of evidence obtained by violating the rights secured by the Convention, as it will be very important to have them considered by domestic courts while passing their judgments.

გამოძიების საფუძვლები

მალხაზ ლომსაძე

*სამართლის დოქტორი, პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი*

საქართველოში დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია გამოძიების ინსტიტუტი ე. ი. უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

გამოძიების დაწყება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის პირველ სტადიას. ამ სტადიაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები იღებენ ინფორმაციას დანაშაულებრივი ქმედების (მომზადება, მცდელობა, დამთავრებული დანაშაული) შესახებ და იწყებენ გამოძიებას.

გამოძიების დაწყება არის პირველი და სავალდებულო სტადია სისხლის სამართლის პროცესის, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სისხლის სამართლის საქმე. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება სახელმწიფოს რეაგირების ფორმას წარმოადგენს.

გამოძიების დროული დაწყება გამოძიების წარმატებულად ჩატარების საშუალებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი წარმოებს „ცხელ კვალზე.“ და პირიქით, შემოსულ ინფორმაციაზე დაგვიანებულ რეაგირებას შეიძლება მოყვეს მტკიცებულებათა განადგურება და ხშირად, გამოძიების წარუმატებლად ჩატარების საფუძველია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების

შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. თუ გამოძიება დაიწყო გამომძიებელმა, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. როგორც ზემოთ ვთქვით, გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

საპროცესო კოდექსში აღნიშნულია, თუ ვის აქვს გამოძიების დაწყებისა და ჩატარების ექსკლუზიური კომპეტენცია – პროკურორს ან გამომძიებელს. გამომძიებლის და პროკურორის გარდა, არც ერთ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს არა აქვს ვალდებულება ჩაატაროს გამოძიება.

გამოძიების დაწყება, როგორც ინსტიტუტი, არ წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას და მას არა აქვს გადაწყვეტილების ან დოკუმენტის სახე. ეს არის ეტაპი, რის შემდეგაც, სათანადო საფუძვლის არსებობის პირობებში, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული ხდებიან ჩაატარონ ნებისმიერი საპროცესო მოქმედება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რაც ამ მომენტამდე შეუძლებელი იქნებოდა.

საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

გამოძიების დაწყების მომენტად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების დრო.

როგორც აღინიშნა, საპროცესო კანონის მიხედვით, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც:

- ა) გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს;
- ბ) გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს;
- გ) გამოქვეყნდა მასმედიაში.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია გამომძიებელს ან პროკურორს შეიძლება მიაწოდოს ფიზიკურმა (მათ შორის, საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში სტატუსის მქონემ, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა) ან იურიდიულმა (საჯარო ან კერძო სამართლის) პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველმა ორგანოებმა, თანამდებობის პირმა და ა. შ.

სისხლის სამართლის პროცესის დროს გამოვლენილი ცნობები ახალი დანაშაულის შესახებ თავისთავად წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს. მაგალითად, გამომძიებელმა, რომელიც ცდილობდა დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვებას, ჩხრეკისას აღმოაჩინა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც პირს უკანონოდ ჰქონდა შეძენილი და რომელსაც უკანონოდ ინახავდა. თუ „ახალი დანაშაული“ უკავშირდება უკვე გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, მაშინ საქმეები ერთიანდება, ხოლო თუ ასეთი კავშირი დადგენილი არ არის, გამოძიება ტარდება დამოუკიდებლად, ცალკე სისხლის სამართლის საქმის სახით.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წარმომდგენს არ ევალდება, სამართლებრივად ზუსტად შეაფასოს ქმედება, რომელიც მას დანაშაულად მიაჩნია. საკმარისია ფაქტების ისე წარმოდგენა, რომ პროკურორის ან გამომძიებლისათვის ნათლად წარმოჩნდეს ცალკეული დანაშაული. ინფორმაცია არ

უნდა იყოს ძალიან ზოგადი და უნდა ემყარებოდეს ფაქტებს. მაგალითად, თუ ინფორმაციის ავტორი მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი ყაჩაღია, ეს არ არის საკმარისი ამ თანამდებობის პირის მიმართ ყაჩაღობის კვალიფიკაციით დაიწყონ გამოძიება. ინფორმაციაში დასახელებული დანაშაულებრივი ფაქტები იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ პროკურორმა ან გამომძიებელმა მაქსიმალურად ზუსტად შეძლოს დანაშაულის ფაქტის წარმოსახვა და დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრა.

ამრიგად, გამოძიების დაწყების საფუძველია საპროცესო კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ.¹

პირს, რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.

დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული. იმ შემთხვევაში, როცა მიღებულია ზეპირი ცნობა, განცხადების მიმღები ვალდებულია შეადგინოს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. ზეპირი ან წერილობითი ცნობა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის პირველად დოკუმენტს. ზეპირი ცნობა წერილობითთან შედარებით გაცილებით სრულყოფილი და მეტად ინფორმაციულია, რადგან პროკურორს ან გამომძიებელს უშუალო კონტაქტი აქვს ავტორთან, გასაუბრებისა და ოქმის შედგენის პროცესში მას შეუძლია, დააზუსტოს ცალკეული გარემოებები და შემთხვევის დეტალები. დანაშაულის შესახებ ზეპირი ცნობის ოქმის შედგენისას აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა. კერძოდ, მასში უნდა აისახოს ოქმის შედგენის დრო და ადგილი, განმცხადებლისა და განცხადების მიმღების ვინაობა, უნდა მიეთითოს საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, როგორც ოქმის შედგენის საფუძველზე, მაქსიმალურად ზუსტად უნდა იქნას აღწერილი განმცხადებლის მოსაზრებები დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით. ზეპირ თუ წერილობით ცნობას ესმება შტამპი, რომელზედაც აღინიშნება, რომ ის წარმოადგენს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ და მითითებულია სისხლის სამართლის საქმის ნომერი. გამომძიებელი უფლებამოსილია ანონიმური ცნობის საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პროკურორი ან გამომძიებელი ამ შემთხვევაში, არ არიან ვალდებული დაიწყონ გამოძიება. გამოძიების დაწყება მათ უფლებამოსილებას შეადგენს და კონკრეტული ფაქტის სუბიექტურ ხედვაზე დამოკიდებული.

ასეთ პირობებში გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი ფაქტორი უნდა გახდეს ის, თუ რამდენად სარწმუნოა ანონიმურ ცნობაში დასახელებული გარემოებები და რამდენად შესაძლებელია მათი გადამოწმება საგამომძიებო მოქმედების ჩატარების გზით. მაგალითად, თუ ანონიმურ ცნობაში მითითებულია, რომ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელე თავის უკანონო შემოსავლებს ათეთრებს კონკრეტულ ბანკში (რეკვიზიტების მითითებით), ბუნებრივია, ამ ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია და გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს. მაგრამ, თუ ცნობაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებისათვის ცნობილია პირმა საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაზიდა ნარკოტიკული საშუალებები, ბუნებრივია, ასეთი ცნობა ნაკლებად სარწმუნოა და მისი გადამოწმებაც შეუძლებელია, რის გამოც გამოძიების დაწყება არ არის მიზანშეწონილი.

კანონი კატეგორიულად კრძალავს პირის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე ე. ი. არ შეიძლება პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა, თანამდებობიდან გადაყენება, ქონებაზე ყადაღის დადება და ა. შ. მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე.

თუ 14 წლის ასაკიდან იძლევა პირი ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ, მას ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

თუ გამოძიების შემდეგ გამოიკვეთება, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ, პროკურორი დაუყოვნებლივ გადააგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით. საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში მიიღება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანებით გათვალისწინებული დებულებები სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.

გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებში არ იგულისხმება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. აქ იგულისხმება ის მოქმედებები, რომელთა ჩატარება გართულდება, დაგვიანდება, შეუძლებელი ან არაეფექტიანი გახდება, ვიდრე საქმე ქვემდებარეობისამებრ გაიგზავნება. მაგალითად, თუ პირი დაკავებულია და გამოძიება განეკუთვნება სხვა უწყების საგამოძიებო ქვემდებარებას, ცხადია, საქმის ამ მომენტში გადაგზავნა უარყოფითად იმოქმედებს ბრალდების წარდგენის დროსა და ხარისხზე. საქმის საგამოძიებო ქვემდებარეობის გადაგზავნის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.

გამოძიების ორგანოების ქვემდებარეობა მკაცრადაა შემოსაზღვრული და გამიჯნული ერთმანეთისაგან.

საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. აქ გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. ამ დებულების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

გამოძიება უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

- ა) 2 წლამდე იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას;
- ბ) 6 წლამდე სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- გ) 10 წლამდე მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- დ) 15 წლამდე სამოხელეო დანაშაულის ჩადენიდან, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;
- ე) 25 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის

უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსკ-ის 374-ე მუხლით.

სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ, თუ ეს გამომდინარეობს მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს მოთხოვნა არ უნდა გავრცელდეს ბრალდებულის მიმართ, რაც უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

თუ დაიწყო გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საქმეზე აუცილებლად გამოტანილი იქნება განაჩენი. საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია გარემოებები, რომლებიც საფუძველი გახდება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველები ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველები ძირითადად იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო კანონმდებლობით მტკიცედაა განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობისას გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს. განვიხილოთ ეს საფუძველები ცალ-ცალკე.

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება – ეს ნიშნავს, რომ პირს ბრალად ედება რაიმე დანაშაულის ჩადენა, მაგრამ გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეს ბრალად ედება, რომ ქრთამი აიღო, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე მისთვის ვალი დაუბრუნებიათ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო – ეს ნიშნავს, რომ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში. მაგალითად, აბუღაძემ მოკლა მეზობლის, ბერიძის ძვირადღირებული ძაღლი, რომელიც ცდილობდა ბავშვის დაკბენას (უკიდურესი აუცილებლობა); მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. მეტყვე შევიდა ა-ს ეზოში, რომ შეემოწმებინა, ჰქონდა მას თუ არა ნებართვა ხე-ტყის დასამზადებლად. აღმოჩნდა, რომ ა-ს ამის უფლება არ ჰქონია, მაშინ მეტყვემ გადაწყვიტა სათანადო აქტი შეედგინა, ხოლო უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე სათანადო დაწესებულებაში გადაეტანა. ა-მ წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო დედამისმა მეტყვეს თავში ჯოხი დაჰკრა. თავის დასაცავად მეტყვე შეეცადა დარტყმა თოფის კონდახით აეცდინა, მაგრამ ჯოხს აცდენილი კონდახი ა-ს დედას მოხვდა და იდაყვის ძვალი გაუტეხა². ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო (აუცილებელი მოგერიება).

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას – ეს ნიშნავს, რომ პირის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულს წარმოადგენდა, მაგრამ გამოვიდა ახალი კანონი,

რომელმაც ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა გააუქმა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. „ასეთი ქმედების დასჯა – წერდა თ. წერეთელი – მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მართო ეწინააღმდეგება სამართლიანობის იდეას, არამედ მიზანშეწონილიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით.“³⁴

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი – ეს ნიშნავს, რომ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო არაკონსტიტუციურად.

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; ხანდაზმულობა ნიშნავს კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლას, რომლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენი არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში. ხანდაზმულობის ვადები, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით დადგენილია. საქართველოს სსკ-ის 366-ე მუხლით, დადგენილია სასჯელის სახით ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 1 წლამდე. ამ დანაშაულის ჩადენისათვის პირი რომ გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ამ დანაშაულის ჩადენიდან სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა გავიდეს 2 წელი.

ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენიდან პირის ბრალდების წაყენებამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

ვ) თუ გაცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; ამნისტიას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლი, რომელსაც აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად, განუსაზღვრელ პირთა მიმართ. თუ ამნისტიის აქტი ათავისუფლებს დამნაშავეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე; ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნას დასჯილი.

თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

ლ) ქმედითი მონაწილის გამო (საქართველოს სსკ-ის 68-ე, 322-ე, 1641-ე, 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებულ შემთხვევებში);

საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს იმ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას, თუ მან ჩაიდინა პროფესიული სპორტული შეჯიბრების ან/და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს.

საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს, რომელმაც ჩაიდინა კომერციული მოსყიდვა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.

საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლი ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ჩაიდინა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ან უკანონო მონაწილეობა და ამის შემდეგ ნებაყოფლობით შეწყვიტა შეიარაღებულ ფორმირებაში საქმიანობა და ჩააბარა იარაღი, თუ რა თქმა უნდა, მის მიერ განხორციელებულ ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი ნივთიერების მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ამის შემდეგ ის ნებაყოფლობით ჩააბარებს ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მან ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა და ამის შემდეგ ნებაყოფლობით ჩააბარებს ჩამოთვლილ ნივთიერებებს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირს, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებაში და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს ქრთამის მიმცემს, თუ მას ქრთამი გამოსცაღეს ან თუ მან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ იგი გამოძიების პროცესში ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის ან/და განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების პასუხისმგებელი პირი.

საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

საქართველოს სსკ-ის 389-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს, რომ სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მომსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს დებერტირობას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დებერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

მ) თუ ვითარება შეიცვალა; ამ გარემოების გამოვლენისას დანაშაულის ჩამდენი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდა, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო. ვითარების შეცვლა ნიშნავს გარეგანი პირობების ისეთ შეცვლას, რის გამოც ისპობა ქმედების სოციალური საშიშროება.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ეხება როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობა იწვევს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ქმედების სუბიექტთან.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაწესებულია საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლით, რომლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი.

მაგალითად, ბინაში შეღწევით ქურდობა ჩაიდინა 13 წლის აბესაძემ. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, ვინაიდან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, საიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულმა პირმა სიცოცხლე მოუსპო სხვა პირს.

გ) ბრალდებული გარდაიცვალა; ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. არ არის გამორიცხული, ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაული ჯგუფურადაა ჩადენილი და ერთი ბრალდებული გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სხვა დანარჩენი ბრალდებულების მიმართ

გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად და ერთი პირია ბრალდებული, ხოლო დანარჩენი პირები დადგენილი არ არის და ბრალდებული გარდაიცვლება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ, ხოლო საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ამრიგად, გამოძიების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ყოველთვის არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე, 344-ე და 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სსკ-ის 143¹-ე ან/და 143²-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო – ეს ნიშნავს, რომ პირზე, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა, ასევე ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ჩაიდინა, არ ვრცელდება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ყოფნის გამო.

მოცემულ შემთხვევაში პირს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების საშუალება, რაც გამორიცხავს ბრალს.

როგორც ვხედავთ, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს და შესაბამისად, იწვევენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და ბრალის გამომრიცხველი სხვა კანონიკური გარემოებანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ:

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე–38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა.“

სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტა უნდა მოხდეს გამოძიების სტადიაზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

თუ გამოძიების სტადიაზე გამოვლინდა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. თუ სისხლის სამართლის კანონით

გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შეურაცხადმა პირმა, ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს, გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე, პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და კანონით დადგენილი წესით შეადგინოს ოქმი. ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება გამომძიებელს მინიჭებული არა აქვს. მისი გასაჩივრების ერთჯერადი უფლებით სარგებლობს დაზარალებული. მოცემული დადგენილება უნდა გასაჩივრდეს მისი გამომტანი პროკურორის ბემდგომ პროკურორთან. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქმეზე გამოძიებას ატარებს პროკურორი, იგი სარგებლობს გამომძიებლის უფლებამოსილებით და არა აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი. ბემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ბემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ბეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება იმის გამო, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება შეურაცხადმა ჩაიდინა, პროკურორი ვალდებულია განსჯადობის მიხედვით, მიმართოს შესაბამის სასამართლოს შუამდგომლობით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სასამართლოში, მას გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა. საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს – სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ბეპირი მოსმენის გარეშე. თუ საჩივარი განხილული იყო ბეპირი მოსმენით, ასეთ შემთხვევაში მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება.

სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

პროკურორის გამოტანილი დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

დღის წესრიგში შესაძლოა დაისვას შეწყვეტილი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების საკითხი.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გააუქმა ბემდგომმა პროკურორმა ან დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ

გააუქმა სასამართლომ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს. კანონმდებელმა არ გაითვალისწინა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების სავალდებულო წინაპირობები, რითაც გარკვეული დისკრეცია დაუტოვა სასამართლოსა და პროკურორს, ანუ ამ შემთხვევაში, გამოძიების (სისხლისსამართლებრივი დევნის) განახლების წინაპირობაა გემდგომი პროკურორის (სასამართლოს) გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გაუქმება. ასეთ შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

ზოგჯერ შეიძლება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვისას გამოვლინდეს ისეთი გარემოება, რომელიც გახდება ორი ან მეტი სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების საფუძველი. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება შეიძლება მოხდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე. გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება ხდება პროკურორის დადგენილებით, ხოლო სასამართლო სტადიაზე – მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.⁴

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვისას შეიძლება დადგეს საკითხი, ერთი სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის სხვა, ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის თაობაზე. სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფა შეიძლება მოხდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

გამოძიების სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს დადგენილებით სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოს საქმე ცალკე წარმოებისათვის, ხოლო სასამართლო განხილვის სტადიაზე, სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით.

შენიშვნები:

- ¹ Учебник уголовного процесса, под ред. А. С. Ковликова, М., 1995, стр. 132.
- ² შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ. 104.
- ³ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 32.
- ⁴ Шарафутдинов М. Ф., Соединение и выделение уголовных дел и материалов в советском уголовном процессе, Уфа, 1990, стр. 32.


GROUNDINGS OF INVESTIGATION

MALKHAZ LOMSADZE

Doctor of Law, Professor,

Dean of the Law Faculty of the Samtskhe-Javakheti State University

It is impossible to have criminal proceedings without investigation. All the criminal cases go through the investigation stage. Case investigation cannot start without the grounds for investigation. The article speaks about the grounds for initiating an investigation. At this stage, authorized state bodies or officials get information about a criminal activity (preparation, attempt, completion of a crime) and start an investigation. Initiating an investigation is a first and mandatory stage in the criminal procedure, which makes the criminal case move on. Initiation of an investigation regarding an occurred fact represents a form of state response. Initiation of investigation, as an institute, is not a procedural act and it does not have a form of a decision or a document. This is a stage after which, if respective grounds exist, a prosecutor and an investigator have an obligation to take any procedural measure regarding the occurrence, which would have been impossible until this moment. Grounds for investigation can be a piece of information about a crime received from sources stipulated in the procedural law. If an investigation or criminal prosecution starts, this does not automatically mean that a judgment will be passed on the case. The Procedure Code establishes circumstances that will become the grounds for discontinuing an investigation and/or criminal prosecution. The grounds for discontinuing the investigation and/or criminal prosecution are established in the Article 105 of the Procedure



Code. The grounds for terminating the investigation and/or criminal prosecution are basically divided into two groups: material-legal and procedural. The issue of renewing the discontinued investigation and/or criminal prosecution can be raised on the agenda. If the senior prosecutor annulled the decision on discontinuing the criminal prosecution, or if the court annuls the decision/ruling on terminating the criminal prosecution, and if the statute of limitation for criminal responsibility has not expired, then the criminal prosecution should be resumed. In this case, the Chief Prosecutor of Georgia or his designated person assigns another prosecutor to resume criminal prosecution and conduct other prosecutorial act. Sometimes it is possible to reveal a circumstance while investigating/considering a criminal case, which may create the ground for combining two or more criminal case. Merging the criminal cases can take place at the investigation stage, also during case consideration at the court. Cases are merged at the investigation stage under the prosecutor's decision, and at the court stage – by the court ruling based on the party's motion.

It is possible to initiate the separation of a new criminal case from the ongoing one at the stage of investigation/consideration of a criminal case. It is possible to separate a new criminal case and start separate proceedings from an ongoing criminal case at the investigation stage, also during the case consideration at court.

At the investigation stage the prosecutor is authorized to issue a resolution on criminal case separation for separate proceedings, and at the court stage, a criminal case can be separated from the ongoing criminal case based on the party's motion, based on the court ruling.

საერთაშორისო- სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

დავით გეფარიძე

*სამართლის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

„საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საწყისია, რომელიც ყველა ნორმის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო სამართლის არსებობა. სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპი არ იყო ყოველთვის ერთი და იმავე შინაარსისა და მოცულობის. იგი ვითარდებოდა საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად და დღეისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების გამოყენების სტაბილურობა.“⁴¹

„საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სხვა სოციალური ურთიერთობების სფეროში, სამართლის ერთი სუბიექტის კანონიერი ინტერესების ხელყოფა მეორე სუბიექტის მიერ სხვადასხვა ფორმით წარმოშობს პასუხისმგებლობას, რომელსაც კონკრეტული სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს. საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც წესი, განიხილება სახელმწიფოებთან,

როგორც სამართლის ჩვეულებრივ სუბიექტებთან მიმართებაში, მაგრამ არსებითად ის უფრო ფართო, სამართალსუბიექტობის ყველა ფორმისაგან განუყოფელი საკითხია.⁴²

საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქციები მიეკუთვნება საერთაშორისოსამართლებრივი მეცნიერების ფუნდამენტურ კატეგორიებს. სუბიექტის პასუხისმგებლობის პრინციპი საერთაშორისო სამართალდარღვევების მიმართ, წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომელიც ატარებს იმპერატიულ ხასიათს. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის პასუხისმგებლობა დგება, მის მიერ საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის შედეგად, განურჩევლად იმისა, თუ რა მიზეზით წარმოიშვა შესაბამისი ვალდებულება. დარღვევა შესაძლოა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქმედებას ან უმოქმედობას ან მათ ერთობლიობას. საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ვალდებულებაა, აღმოფხვრას ის ზიანი, რომელიც მან მიაყენა საერთაშორისო სამართლის მეორე სუბიექტს, საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის შედეგად, ან ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, რაც გამოწვეულია ისეთი ქმედებებით, რომლებიც არ არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

„სანქციები (ლათ. Sanction – დაურღვეველი, უმკაცრესი დადგენილება) პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, სახელმწიფოზე ზემოქმედების ზომებია; სახელმწიფოს მიმართ გამოიყენება ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო სანქციები მის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევისას.“⁴³

სანქციები რუსეთის ფედერაციის (შემდგომში რუსეთი) წინააღმდეგ – შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია ევროკავშირის, აშშ-ისა და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მიერ, რუსეთისა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ. სანქციების ძირითადი სახეობები – შესვლის აკრძალვა ცალკეული პირებისათვის და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება კომპანიებისათვის (აღნიშნული შეზღუდვები ვრცელდება იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლებიც აწესებენ სანქციებს). ამჟამად, უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, რუსეთის წინააღმდეგ ძალაშია გარკვეული სანქციები. სანქციები დაწესდა რუსეთის ფედერაციაზე ზეწოლისთვის, მისი პოზიციების შეცვლის მიზნით მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებთან მიმართებაში აგრეთვე, რუსეთის ეკონომიკის დასასუსტებლად, ანუ კონკურენტული ბრძოლის მიზნით. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ნებისმიერი ქვეყნის მიმართ სანქციების დაწესება შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში. „სანქციების დანიშნულებაა მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო სამართლის საწყისების დაცვა და განმტკიცება.“⁴⁴ სანქციებს აქვთ გარკვეული უარყოფითი გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე, მათი წვლილი რუსეთის მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) დაქვეითებაზე ფასდება, როგორც უმნიშვნელო, ნავთობზე არსებული ფასების ვარდნასთან შედარებით.

სანქციები საკმაოდ გავრცელებული ზომაა საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგრამ ისინი ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება არასასურველი ქვეყნის სრული ან თითქმის სრული იზოლაცია მსოფლიო ერთობისაგან. მაგალითად, ფაშისტური გერმანიის ეკონომიკურმა ბლოკადამ საკმაოდ საგრძნობი შედეგები გამოიღო და დააჩქარა მეორე მსოფლიო ომის დასრულება. მთელი XX საუკუნის განმავლობაში, დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გამოყენებული აქვს არა-

ნაკლებ, 10-ჯერ. ქვემოთ ჩამოთვლილია რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ყველაზე მნიშვნელოვანი პაკეტები.

1917-1920 წწ. – საბჭოთა რუსეთის ბლოკადა. ბოლშევიკების მიერ მეფის რუსეთის ვალებზე უარის თქმა, საწარმოების ნაციონალიზაცია, რომელთა დიდი ნაწილი უცხოელებს ეკუთვნოდათ. დაბოლოვდა, 1917 წლის დეკემბერში, გერმანიასთან დადებულმა ზავმა გამოიწვია სამხედრო ინტერვენცია და ეკონომიკური ბლოკადა ანტანტის მხრიდან. თავდაპირველად, აშშ-მა გამოაცხადა ბოლშევიკურ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ, შემდეგ ინგლისმა, საფრანგეთმა და ანტანტის ბეწოლის შედეგად (ჟორჟ კლემანსოს 1919 წლის 10 ოქტომბრის ნოტა), რიგმა ნეიტრალურმა ქვეყნებმაც, დამარცხებულ გერმანიასთან ერთად (1919 წლის 21 აგვისტოს ნოტა).⁵ ასეთი ფართო ბლოკადა ხანგრძლივად ვერ გასტანდა მასში მონაწილე ქვეყნებს შორის არსებული მრავალი წინააღმდეგობის გამო და უკვე 1920 წლის 16 იანვარს ბლოკადა მოიხსნა.

1925 წელი – ოქროს ბლოკადა. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, ახლადშექმნილ საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა დიდი რაოდენობით ალტურვილობა და ტექნოლოგიები (სამხედრო და ინდუსტრიული), რომელთა შესყიდვა ხდებოდა საზღვარგარეთ. თუმცა, 1925 წელს, დასავლეთის ქვეყნებმა, აშშ-ის მეთაურობით, უარი განაცხადეს გასაყიდი ალტურვილობის სანაცვლოდ ოქროს მიღებაზე და რუსეთისაგან ანგარიშსწორება მოითხოვეს ნავთობით, მარცვლეულით, ტყის რესურსებით. აღნიშნული შეზღუდვები სრულად იქნა მოხსნილი 1934 წელს.

1931-1933 წწ. – სსრკ-დან საქონლის სრული ბლოკადა.

სსრკ-დან იმპორტირებული საქონლის სრული ბლოკადა აშშ-ის მხრიდან: **1929 წელი** – აშშ უარს ამბობს სსრკ-დან ოქროს იმპორტზე. **1930 წელი** – ემბარგო გავრცელდა ყველა სახის საქონელზე, მარცვლეულის გარდა. აშშ-ს შეუერთდა საფრანგეთი და ინგლისი – სსრკ-ის ძირითადი კონკურენტები ევროპაში. ამგვარად, 1930 წლიდან შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც სსრკ-ს ტექნოლოგიებისა და ალტურვილობის შექმნა შეეძლო მხოლოდ მარცვლეულის სანაცვლოდ. ამ ყველაფერმა სსრკ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა – ან უნდა შეჩერებულიყო ინდუსტრიალიზაცია (უცხოურ დანადგარებთან და მთელ რიგ მნიშვნელოვან საქონელთან წვდომა შეიზღუდა) ან ჩამოერთმია მარცვლეული გლეხებისთვის და გამოეყენებინა ბარტერული გაცვლისთვის. მაგრამ რაში სჭირდებოდა იმ მომენტში დასავლეთს საბჭოთა მარცვლეული? ამერიკაში საკუთარი სურსათის უზარმაზარი პარტიები ნადგურდებოდა, ხოლო მარცვლეულს სსრკ-დან შეუფერხებლად ყიდულობდნენ. ევროპისთვის უფრო იაფი იყო აშშ-დან ტარბი მარცვლეულის შესყიდვა, მაგრამ ის უფრო ძვირადღირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასაც ყიდულობდა სსრკ-დან.

1949 წელი – ტექნოლოგიური ბლოკადა – „ცივი ომის“ დასაწყისში, სსრკ-ზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, აშშ-ში შეიმუშავეს კონტროლირებადი ტექნოლოგიური ჩამორჩენის სტრატეგია, რომლის თანახმად, შედგენილი იქნა საქონლისა და ტექნოლოგიების ჩამონათვალი, რომელთა ექსპორტი სსრკ-ში იკრძალებოდა.

1974 წელი – ჯექსონ-ვენის შესწორება. 1972 წელს, სსრკ-ში მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, უმაღლესი განათლების მქონე ემიგრანტები, ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოსთვის გადაეხადათ უმაღლეს სასწავლებლებში მათ განათლებაზე დახარჯული თანხები. ასეთი კომპენ-

საციის ოდენობა საკმაოდ დიდი იყო, რაც საგრძნობლად ამცირებდა პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ გადინებას. საერთაშორისო თანამეგობრობა, უპირველესად, ისრაელი და აშშ, აღმფლეთებული იყვნენ „უფლებების ასეთი შეზღუდვით,“ ვინაიდან ეს ბრძანებულება მნიშვნელოვნად ზღუდავდა „ტვინის მომატებას“ ამ ქვეყნებში.

1974 წელს, აღნიშნულთან დაკავშირებით, აშშ-ის კონგრესის წევრების, **ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ ვენიკის** მიერ შემოთავაზებული იქნა შესწორება, რომელსაც მათი სახელი – ჯექსონ-ვენიკის შესწორება დაერქვა.⁶ ამ შესწორების თანახმად, იკრძალებოდა იმ ქვეყნების უზრუნველყოფა ვაჭრობის ხელშეწყობის უპირატესი რეჟიმით, სახელმწიფო კრედიტებითა და საკრედიტო გარანტიებით, სადაც ირღვევა ან მნიშვნელოვნად იზღუდება საკუთარი მოქალაქეების ემიგრაციასთან დაკავშირებული ან სხვა სახის უფლებები. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს უპირველესად, იყო „ანტისაბჭოთა ზომა.“ ასევე, აღნიშნული შესწორებით გათვალისწინებული იყო დისკრიმინაციული ტარიფებისა და მოსაკრებლების დაწესება იმ საქონელთან მიმართებაში, რომელთა ექსპორტი აშშ-ში ხორციელდებოდა არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან. შესწორების მოქმედება არ იქნა გაუქმებული, სსრკ-ში 1987 წელს შემოღებული თავისუფალი ემიგრაციის შემდეგაც, ის მხოლოდ მორატორიუმის რეჟიმში გადავიდა. იგივე ვითარება დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მხოლოდ 2012 წელს, ეს შესწორება ოფიციალურად იქნა გაუქმებული თუმცა, მაშინვე იქნა მიღებული მთელი რიგი შეზღუდვები რუსეთის წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია ე. წ. მაგნიტსკის სიასთან.

1980 წელი – ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი. 1980 წლის თებერვალში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით დაგმო საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში. დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პარლამენტებმა მხარი დაუჭირეს ბოიკოტის ინიციატივას, რამაც ოლიმპიური თამაშები ფაქტობრივად ჩაშლის საშიშროების წინაშე დააყენა.⁷ თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ხელმეორე კენჭისყრის შედეგად, სსრკ-თვის პოზიტიური გადაწყვეტილება მიიღო.

1980 წლის 12 აპრილის, აშშ-ის ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, თამაშების ბოიკოტთან დაკავშირებით. აშშ-ის გარდა, 64 ქვეყნის სპორტსმენმა, ამა თუ იმ ფორმით ბოიკოტი გამოუცხადა 1980 წლის ოლიმპიადას (თუმცა, მათი უმრავლესობის ბოიკოტში მონაწილეობა განპირობებული იყო უფრო ეკონომიკური, ვიდრე პოლიტიკური მიზეზებით, ხოლო ირანის, ყატარის და მოზამბიკის ნაკრებები უბრალოდ არ იყვნენ მოწვეულნი). ასევე, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის მთავრობები დათანხმდნენ თავიანთი ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებს, რომ მათ დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილება თამაშებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, დასახელებული ქვეყნების სპორტსმენტა დიდი ნაწილი, მაინც ჩამოვიდა ოლიმპიადაზე.

სსრკ არ დარჩა ვალში და სოციალისტური ბანაკის უმეტეს ქვეყნებთან ერთად, 1984 წელს, ბოიკოტი გამოუცხადა ლოს-ანჯელესში გამართულ ოლიმპიურ თამაშებს. თანაც, ეს ბოიკოტი ჯერ კიდევ, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიაზე დაიწყო. მოსკოვში, 3 აგვისტოს გამართულ საზეიმო დახურვაზე, საბჭოთა მხარემ ორჯერ დაარღვია ტრადიციული ცერემონიალი: დროშა არ გადაეცა შემდეგი ოლიმპიადის ორგანიზატორებს და არ შესრულდა აშშ-ის – მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ჰიმნი.

1983 წელი – სანქციები 1983 წლის 1 სექტემბერს ჩამოგდებულ Boeing-747-თან დაკავშირებით⁸ – საბჭოთა საჰაერო ძალებმა, ავიაკომპანია «Korean Air» (კორეის რესპუბლიკა) Boeing-747 ჩამოაგდეს, რომელმაც დაარღვია სასრკ საჰაერო სივრცე, რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შემოჭრით. სამხრეთ კორეის ლაინერის დალუპვის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა ინციდენტს უწოდა „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, რომელიც არასდროს არ უნდა იქნას დავიწყებული.“⁹ ამავდროულად, აშშ-ს საკუთარი ანგარიშები ჰქონდა საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მოქმედებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ კატასტროფას შეეწირა ამერიკელი კონგრესმენის ლარი მაკდონალდის სიცოცხლე, რომელიც მგზნებარე ანტიკომუნისტი და პერსპექტიული პოლიტიკოსი იყო.

1983 წლის 2 სექტემბერი-ნოემბერი – სასრკ-თან საჰაერო მიმოსვლის დაბლოკვა. სანქციები მხოლოდ ნოემბერში მოიხსნა, მსხვილი ამერიკული ავიაკომპანიების მიერ განცდილი ზარალის გამო.

XXI საუკუნე, 2012 წელი – კანონი მაგნიტსკის შესახებ.¹⁰

აშშ-ში მიღებული იქნა ე. წ. „მაგნიტსკის კანონი“, ჯექსონ-ვენის შესწორების გაუქმებისთანავე. ამ კანონით სანქციები დაწესდა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირების მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვოდათ ან უბრალოდ შემხებლობა ჰქონდათ (აშშ-ის აზრით) იურისტ სერგეი მაგნიტსკის დალუპვასთან.

სიაში მოხვდა შსს, უშიშროების ფედერალური სამსახურის, ფედერალური საგადასახადო სამსახურის, საარბიტრაჟო სასამართლოს, გენერალური პროკურატურის და სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის რამდენიმე ათეული თანამშრომლის გვარი. მათ აეკრძალათ აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა, ხოლო მათი ფულადი და ქონებრივი აქტივები, ასეთის შემთხვევაში, გაიყინა. ყველა დასკვნა, ამა თუ იმ პირის ბრალეულობის შესახებ მიღებული იქნა გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე.

სერგეი მაგნიტსკი, როგორც მოწმე და ბრალდებული, ჩართული იყო Hermitage Capital Management ფონდის ეკონომიკურ დანაშაულებათა საქმეში. გამოძიების მსვლელობის დროს, იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა „მატროსკაია ტიშინას“ იზოლატორში. რუსი სამართალდამცავების არაერთხელ შემოწმების შედეგად, არ იქნა გამოვლენილი არავითარი დარღვევა და მაგნიტსკის სიკვდილი აღიარებული იქნა, როგორც უბედური შემთხვევა.

2016 წელი – სანქციები ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით – 2016 წლის ივლისში, აშშ-მა სანქციები დააწესა რამდენიმე ათეული უცხოური საწარმოს მიმართ, რომელთა შორის აღმოჩნდა ხუთი რუსული თავდაცვითი წარმოება. ამერიკის მთავრობის აზრით, ეს კომპანიები არღვევენ ამერიკის კანონს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით, ირანთან, ჩრდილოეთ კორეასთან და სირიასთან მიმართებაში.

სანქციები უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით

წინა მოვლენები: ყირიმის მიერთება რუსეთთან და ომი სამხრეთ-დასავლეთ უკრაინაში.

უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით დაწესებული სანქციები, რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მასშტაბურია, მონაწილე ქვეყნების რაოდენობის მიხედვით. სანქციების დაწესების ინიციატორად აშშ გამოვიდა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის იზოლაცია საერთა-

შორისო არენაზე და დარტყმა აღორძინების პერიოდში მყოფ რუსეთის ეკონომიკაზე. მოგვიანებით, შეზღუდვებს ევროკავშირიც შეუერთდა თუმცა, ზოგიერთი ევროპული ქვეყანა სანქციების წინააღმდეგ გამოვიდა. ასევე, სანქციებს დაუჭირეს მხარი აშშ-ის სატელიტმა ქვეყნებმა – ავსტრალიამ, იაპონიამ, კანადამ და ევროკავშირის წევრობის კანდიდატმა ქვეყნებმა.

მიღებული ღონისძიებებით იზღუდება რუსეთის ბანკებისა და კომპანიების წვდომა ევროკავშირის კაპიტალის ბაზარზე და ასევე, გავლენას ახდენს რუსეთის ნედლეულის სფეროზე, ავიაშემნებლობასა და თავდაცვის კომპლექსზე. გარდა ამისა, შედგა რუსეთის მოქალაქეთა სიები, რომლებიც დასავლეთის ამრით, დაკავშირებულნი არიან უკრაინის მოვლენებთან. ამ „შავ სიებში“ მოხვედრილ პირებს ეკრძალებათ იმ ქვეყნებში შესვლა, რომლებმაც დააწესეს სანქციები და მათი კაპიტალი და აქტივები, აღმოჩენის შემთხვევაში, ექვემდებარება გაყინვას.

2014 წლის სანქციები. 17 მარტი – აშშ-მა პირველმა შემოიღო შეზღუდვების სია რუსი და უკრაინელი მაღალი რანგის პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც ეკრძალებათ აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა, ხოლო მათი ფინანსები და ქონება დაიბლოკება, თუ ისინი აღმოჩნდება აშშ-ის იურისდიქციის ფარგლებში. ვაშინგტონში განაცხადეს, რომ სანქციები გაფართოვდება, თუ რუსეთი არ შეწყვეტს ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობებს.¹¹

18 მარტი – აშშ-ის შემდეგ, კანადამ შემოიღო სავიზო შეზღუდვები რუსეთისა და ყირიმის მაღალი რანგის წარმომადგენლებისთვის. უფრო ადრე, კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა უკვე განაცხადა, რომ კანადა წყვეტს სამხედრო სფეროში თანამშრომლობას რუსეთის ფედერაციასთან.

20 მარტი – ყირიმის რუსეთთან ე. წ. „მიერთების“ შემდეგ, აშშ-ის ხელისუფლებას, რომელიც არ მოელოდა მოვლენათა ამგვარ განვითარებას, დაუყოვნებლივ შეჰყავს რუსეთის კიდევ 19 მოქალაქე სანქცირებულ სიაში. **21 მარტი** – აშშ-ის შემდეგ, ევროკავშირიც გადავიდა სანქციების მეორე დონეზე. ახალ სიაში რუსეთისა და უკრაინის 12 მოქალაქე – პოლიტიკოსი იქნა შეყვანილი. **29 მარტი** – კანადამ სანქცირებულ სიაში დაამატა რუსეთის რამდენიმე მოქალაქე. 11 აპრილი – აშშ-მა სანქციების პაკეტი შემოიღო ყირიმის ნავთობისა და გაზის კომპანია „ჩერნომორნეფტგაზის“ წინააღმდეგ და სიაში შეიყვანა ყირიმის კიდევ რამდენიმე ჩინოვნიკი. **28 აპრილი** – აშშ-ის მთავრობამ კიდევ ერთხელ გააფართოვა სანქცირებული სია და მასში რუსეთის ფედერაციის 7 მოქალაქე და 17 სახელმწიფო კომპანია შეიყვანა. **4 მაისი** – კანადამ დააწესა რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების პაკეტი, რომელშიც რუსეთის 16 ბანკი და იურიდიული პირი იქნა შეყვანილი. კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა განაცხადა, რომ ახალი შეზღუდვები რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის გამო დაწესდა. იმავე დღეს, ევროკავშირმა შეზღუდვების სიაში რუსეთის კიდევ 15 მოქალაქე შეიყვანა.¹²

2015 წლის სანქციები. 25 აპრილი – ევროკავშირის შემდეგ, ნორვეგიამ გააფართოვა სანქციების სია რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისთვის და მასში დამატებით 19 ფიზიკური და 9 იურიდიული პირი შეიყვანა. **29 ივლისი** – 2015 წლის 22 ივნისის ანტირუსული სანქციების გახანგრძლივებას კიდევ ევროპული ქვეყანა შეუერთდა, ესენია: ალბანეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, ჩერნოგორია და უკრაინა. ყირიმის წინააღმდეგ 19 ივნისის სანქციებს საქართველოც შეუერთდა. **2016 წლის 15 ივლისი** – რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების კანონპროექტს მხარი დაუჭირა აშშ კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის კომიტეტმა. **31 აგვისტო** – უკრაინამ სანქციების სიაში,

დამატებით 250 ფიზიკური და 46 იურიდიული პირი შეიყვანა რუსეთიდან. **1 სექტემბერი** – აშშ მთავრობამ გააფართოვა რუსი ფიზიკური და იურიდიული პირების სია, რომელთა მიმართ მოქმედებს ცალმხრივი ამერიკული ეკონომიკური სანქციები, უკრაინის კონფლიქტის გამო. ფიზ. პირებისა და კომპანიების ჩამონათვალი, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის შეზღუდვები, 17 გვართ და 19 კომპანიით გაიზარდა.

2017 წლის 13 იანვარი – აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ერთი წლით გახანგრძლივებას, ყირიმში და უკრაინაში არსებული მდგომარეობის გამო.

2017 წლის 3 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ კორეისა და ირანისთვის სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს. აშშ-ის კონგრესი რუსეთის ფედერაციას პასუხისმგებლობას აკისრებს, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ძალადობაზე, ასევე, მოუწოდებს პრეზიდენტს, მოსთხოვოს რუსეთის ხელისუფლებას, გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან, უკრაინიდან და მოლდოვიდან.

დასავლეთის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ განხორციელებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა შედეგი უკვე გამოიღო – არაპოზიტიური ტენდენციები საფონდო ბაზრებზე, უცხოური კაპიტალის გადინება, საერთაშორისო რეზერვების შემცირება, უმუშევრობის გაზრდა. დიდი პრობლემა იქნება ევროპაში რუსული გაზის და ნავთობის ექსპორტის სხვა ქვეყნების რესურსებით ჩანაცვლება, რაზეც საუბარი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს. ნავთობზე ფასის დაბალანსების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციამ შარშან შედარებით მეტი ექსპორტი განახორციელა, მაგრამ შემცირდა მომსახურების ექსპორტი ტრანსპორტსა და ტურიზმში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკა ნელა, მაგრამ მუშაობს. ამას ემატება უკრაინის სეპარატისტებისადმი ფინანსური და სამხედრო შეიარაღების მიწოდება, რაც ზრდის ომის წარმოების ხარჯებს იმ ფონზე, როდესაც დამატებითი ფინანსების მოძიება მას გაუჭირდება.

ასეთია თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი შედეგები. ამ შედეგების სიმძიმე და მასშტაბები დაკავშირებულია ქმედობის სახესთან. ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველია პასუხისმგებლობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს არსით არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოების მიერ გამოიყენება პასუხისმგებლობის არსებული თითქმის ყველა ძირითადი ფორმა, რომელთა მიზანია არა მარტო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მომავალი დარღვევების თავიდან აცილება.

შენიშვნები:

- ¹ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2015, გვ. 195.
- ² ბროუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, თბ., 2010, გვ. 475.
- ³ თეზელაშვილი ს., იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008, გვ. 520.
- ⁴ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2015, გვ. 201.
- ⁵ Котенев В. А., Вопрос о германских репарациях на Парижской мирной конференции 1919–1920 гг, М., 2010, стр. 284.
- ⁶ Поправка Джексона-Веника, <<https://ria.ru/spravka/20141206/1036427607.html>>
- ⁷ იბ.: Политика Олимпиад, Коллекция фактов, <<http://www.washprofile.org/?q=ru/node/7587>>
- ⁸ იბ.: Сбитый „Боинг“, 30 лет спустя, <<https://www.svoboda.org/a/25090064.html>>
- ⁹ იბ.: Address to the Nation on the Soviet Attack on a Korean Civilian Airliner, September 5, 1983, <<https://reaganlibrary.archives.gov/archives/speeches/1983/90583a.htm>>
- ¹⁰ იბ.: Q&A: The Magnitsky affair, <<http://www.bbc.com/news/world-europe-20626960>>
- ¹¹ იბ.: Treasury Sanctions Russian Officials, Members Of The Russian Leadership’s Inner Circle, And An Entity For Involvement In The Situation In Ukraine, <<https://www.treasury.gov/press-center/press-releases/Pages/jl23331.aspx>>
- ¹² იბ.: COUNCIL IMPLEMENTING DECISION 2014/238/CFSP of 28 April 2014 implementing Decision 2014/145/CFSP concerning restrictive measures in respect of actions undermining or threatening the territorial integrity, sovereignty and independence of Ukraine, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=OJ:JOL_2014_126_R_0005&rid=1>

INTERNATIONAL LEGAL RESPONSIBILITY AND SANCTIONS AGAINST THE RUSSIAN FEDERATION

DAVIT GEPERIDZE

Doctor of Law,

Associated Professor of the International Black Sea University

International legal responsibility and sanctions belong to the fundamental categories of international legal studies. The principle of subject's responsibility regarding the violations of international law is a universally recognized principle bearing an imperative nature. The responsibility of a subject of international law is present when the subject violates international legal obligations irrespective of the cause of emergence of such obligations.

Economic sanctions that the west imposed on the Russian Federation has brought effects – unfavorable trends at stock markets, drain of foreign capital, decrease of international reserves, increased unemployment. It will be a big problem to replace the export of Russian gas and oil in Europe with the resources of other countries, which is actively discussed now. Despite the oil prices have balanced, the Russian Federation had relatively more export last year, but the service export decreased in the area of transport and tourism.

The broadest and most comprehensive responsibility is the one caused by the nature of state breaking the international law. In this case, the states apply almost all the basic forms of responsibility, which aim at restoring the status quo ante, but also preventing the future violations of the contemporary international system.

სისხლის სამართლის ნორმის იდენტიობის (მატერიალური თუ საპროცესო) სწორად განსაზღვრის მნიშვნელობა LEX PRAEVIA პრინციპის გამოყენებისთვის

თამარ გვგელია

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

შესავალი

სტატიაში განხილული იქნება კანონის უკუძალის აკრძალვასთან (Lex praevia) დაკავშირებული ერთ-ერთი სამართლებრივი პრობლემა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს ნორმები, რომელთა შერეული ბუნების გამო, ძალზე ძნელია გადაწყვეტა, ექცევიან თუ არა ეს ნორმები Lex praevia-ს ქვეშ. რამდენადაც ცნობილია, კანონის რეტროაქტიულად გავრცელება იკრძალება მატერიალურ და არა საპროცესო ნორმასთან მიმართებით თუმცა, სასამართლო პრაქტიკამ წარმოაჩინა ისეთი ნორმებიც, რომელთა კუთვნილების ცალსახად დადგენა შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა მათი იდენტიფიცირება მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც ნორმის შემფარდებელს გაუადვილებდა საკითხის

გადაწყვეტას. საკითხის მართებული გადაჭრა კი მნიშვნელოვანია, რადგან ნორმის მატერიალური კუთვნილების დადგენის შემთხვევაში, პირს იცავს lex praevia, პასუხისმგებლობის დამძიმებისგან, ხოლო საპროცესო იდენტობის დადგენის შემთხვევაში – არა. კანონის უკუძალის აკრძალვა აბსოლუტური ხასიათის კონსტიტუციური დებულებაა, ამიტომ მისი მართებული გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებების დაცვასთან და სამართლებრივ უსაფრთხოებასთან.

საკვლევი თემის აქტუალობას თემის ირგვლივ არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და მწირი სამეცნიერო ლიტერატურის არსებობა განაპირობებს. გარდა ამისა, საკითხის სწორად გადაწყვეტა დაკავშირებულია ისეთ ფუნდამენტურ უფლებასთან, როგორცაა დანაშაულის დამწესებელი და სასჯელის გამკაცრებელი ახალი კანონის უკუძალით გავრცელების დაუშვებლობა ან პირიქით, უკუძალის გავრცელების აუცილებლობა, როდესაც ეს უკანასკნელი პირის სასიკეთოდ მოქმედებს, შესაბამისი შეზღუდვებით.

წინამდებარე სტატიაში განვითარებული აზრი მხარს უჭერს იმ მიდგომას, რომ საპროცესო ხასიათის ნორმებიც შეიძლება მოექცეს კანონის უკუძალის განმსაზღვრელი დებულების ქვეშ, იმ საერთო კრიტერიუმების დაკმაყოფილების გამო, რაც უკუძალის მინიჭებას გამორიცხავს ან პირიქით, რიც შემთხვევაში (lex mitior) მის აუცილებლობას განაპირობებს.

ნაშრომში გამოყენებული იქნება კერძო მეცნიერული და ზოგადმეცნიერული სამართალშემეცნებითი მეთოდები, სისტემური, შედარებითსამართლებრივი და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მეთოდები, რაც საკვლევ თემასთან დაკავშირებული მეტი პრობლემის ჩვენებისა და გადაწყვეტის გზების ნათელყოფისთვის არის მნიშვნელოვანი.

სისხლის სამართლის ნორმის ბუნების ამოცნობა LEX PRAEVIA-ს სწორად გამოყენებისთვის

კანონის უკუძალის აკრძალვის იდეა უკავშირდება სასჯელის პრევენციულ ფუნქციას, რომელიც გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს, ა. ფოიერბახს ეკუთვნის,¹ ასევე, ნორმის ადრესატის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას, რომ თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფო ძალაუფლების თვითნებურად გამოყენება და ინდივიდის უფლებას, წინასწარ იცოდეს აკრძალული ქმედების შესახებ, რაც მისი თავისუფლების გარანტორია.² ჰ. პაკერის აზრით, მთავარი, თუ რატომ არ უნდა იქნას კანონი უკუძალით გამოყენებული არის არა ის, რომ რეტროაქტიულობა ადრესატთა „კეთილსინდისიერ გაკვირვებას“³ იწვევს, არამედ უსაფრთხოების გარანტიის მოშლა, რომ ხვალ ახალი კანონი შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული,⁴ რაც სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი იქნება.⁵ კანონის უკუძალის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმად, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურმა დებულებამ ასახვა ჰპოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში, სსკ) მე-2 და მე-3 მუხლებში. სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, „ქმედების დანაშაულებრიობა

და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს,“ ხოლო მე-3 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.“

საქართველოს კონსტიტუციისა და სსკ ურთიერთშედარებით გასაგებია, რომ პირველი უფრო მასშტაბურია და მიემართება არა მხოლოდ დანაშაულს და სასჯელს, როგორც ეს სსკ-ით არის გათვალისწინებული, არამედ ზოგადად, სამართალდარღვევას და სანქციას.⁶ თუმცა, კანონის უკუძალის ნებადამრთველი თუ ამკრძალავი მიმართების კონსტიტუციური დებულების ამოქმედებისთვის აუცილებელია, რომ ახალი ნორმა ეხებოდეს სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობას (და არა ნებისმიერ იმ ნორმას, რომელიც ადრესატის მდგომარეობას აუარესებს), რის შესახებაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და ნათელიყო კონსტიტუციური დებულება ამ მიმართებით.⁷

სსკ-ით გათვალისწინებული კანონის უკუძალის ამკრძალავი ასპექტი აბსოლუტური ხასიათისაა⁸ და გულისხმობს, რომ ერთი, იმ ქმედებისთვის პირის დასჯა, რომელიც მისი ჩადენის დროს დანაშაულს არ წარმოადგენდა – დაუშვებელია და მეორე, დაუშვებელია იმაზე მკაცრი სასჯელის გამოყენება, ვიდრე უშუალოდ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული. მკაცრი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვის მიზანი არის მოქალაქის დაცვა ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან. ადამიანს უფლება აქვს წინასწარ იცოდეს სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და აკრძალულ ქმედებას შორის, რათა შეძლოს ქმედების ორგანიზება.⁹ ყოველივე აღნიშნული კი, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სტაბილურობას, რაც თავისუფალი საზოგადოების მოთხოვნაა.¹⁰ Nullum crimen sine lege/ nulla poena sine lege (არ არსებობს დანაშაული/ სასჯელი კანონის გარეშე) სამართლებრივი სისტემის გამოვლინებაა და მიჩნეულია იმისათვის, რომ ნორმის ადრესატმა უზრუნველყოს „სოციალური ქმედების ორგანიზება“, ამკრძალავი თუ მავალელები სისხლისსამართლებრივი ნორმა საკმარისად წინასწარ განჭვრეტადი უნდა იყოს.¹¹ აკრძალული უკუძალის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითები: 1. ბ.-მ რასობრივი ნიშნით ძალადობრივი ქმედებისკენ საჯარო მოწოდება ჩაიდინა 2015 წლის 1 მაისს. იმავე წლის 12 ივნისს ძალაში შევიდა ახალი კანონი, რითაც კრიმინალიზება მოხდა ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება.¹² მათ შორის, რასობრივი ნიშნით. ბ. არ დაისჯება ჩადენილი ქმედებისთვის, რადგან საჯარო მოწოდება, მისი ჩადენის დროს, დანაშაულს არ წარმოადგენდა, ხოლო ახალ კანონს, რომლითაც დანაშაულად ცხადდება იგივე ქმედება, რომელიც მისი ჩადენის დროს დანაშაული არ იყო, უკუძალა არა აქვს. 2. ბ.-მ უკანონო აბორტი განახორციელა 2014 წლის 11 ოქტომბერს, რა დროსაც სასჯელის სახით არ იყო გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე წლის 21 ოქტომბერს ძალაში შევიდა ახალი კანონი,¹³ რომლითაც ალტერნატიული სასჯელის სახით მუხლს დაემატა ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც. ბ.-ს მიმართ ახალი კანონი არ გავრცელდება, რადგან ის ამკაცრებს სასჯელს.

ის, თუ რა მოიაზრება „დანაშაულის დამწესებელ“ და „სასჯელის გამმკაცრებელ“ ან „გამაუქმებელ“ და „შემამსუბუქებელ“ კანონში, არც ისეთი ცალსახა და მარტივია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს ზემოთ მოტანილი მაგალითების საფუძველზე. შედარებით ახლო წარსულში, საქართველოს საერთო სასამართლო პრაქტიკაში¹⁴ და სისხლის სამართლის დოგმატიკაში კამათი

გამოიწვია საკითხმა, კანონის უკუძალის აკრძალვა ფარავდა თუ არა სსკ-ის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დებულებებს, რომლებიც ლინგვისტური გაგებით არ წარმოადგენს „სასჯელს“, მაგრამ თავისი არსით დაკავშირებულია მასთან და შეიძლება მის დაწესებას იწვევდეს. მათ შორის, ამ თვალსაზრისით, საკამათო გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გამგრძელებელი ახალი კანონიც. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ, 2005 წელს გამოცემულ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იყო ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებული, სადაც საკითხი დიფერენცირებულადაა გადაწყვეტილი. ავტორის აზრით, თუ ვადის გაგრძელება ძველი ვადის გასვლამდე ხდება, კანონს უკუძალა ექნება, ხოლო ძველი ვადის ამოწურვის შემდეგ, არა.¹⁵ შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად იმგვარად არის საკითხი გადაწყვეტილი, როგორც ეს, შედარებით მოგვიანებით, 2009 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა.¹⁶ სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის განმსაზღვრელი ნორმის შერეული ე. ი. მატერიალურ-საპროცესო ბუნება ამოიკითხა¹⁷ და ვადის გასვლამდე ახალი კანონის გამოყენება სამართლებრივი უსაფრთხოებისა და უკეთესი კანონის იდეით გამართლა, ხოლო ვადის ამოწურვის შემდგომ, უკუძალა აკრძალა, რადგან გაათანაბრა დანაშაულის დაწესებასთან, რაც გაუმართლებლად გამოიწვევდა პირის დასჯას.¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (შემდგომში სს) განმარტება გასამართლებელია, ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლე ს. ბრეიერის არგუმენტი სტოგენერის საქმიდან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონს უკუძალა მიეცემოდა, პირი გაუმართლებლად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ვადის გასვლის შემდეგ, რაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ტოლია, მტკიცებულებებს არავინ მოუფრთხილდება, შესაბამისად, პირის გამართლების შესაძლებლობის სრულიად წართმევის საფრთხეც შეიქმნებოდა.¹⁹

პრაქტიკაში საკამათო გამხდარა ამა თუ იმ იძულებითი ხასიათის ღონისძიების სასჯელის გამმკაცრებელი კანონის რეტროაქტიულობის აკრძალვის ქვეშ მოაზრება, მათ შორის, ქონების კონფისკაცია, პირობითი მსჯავრი, ნასამართლობის ინსტიტუტი და სხვა. „სასჯელის“ ცნების ბუნდოვანებაზე და იმაზე, რომ მისი მოცულობა მართლოდენ კონვენციური კატეგორიზაციით არ ამოიწურება, საუბრობს დ. ჰუსაკიც. ავტორის სწორი შენიშვნით, ადამიანური ენით სასჯელის დეფინიციის სრული ნათელიყოფა შეუძლებელია, ამიტომ გამოსავალს ის სასჯელის ზოგადი კონცეფციისა და მიზნების იდენტიფიცირებით ცდილობს.²⁰ დასმული პრობლემა უცხო არც სასამართლო პრაქტიკისთვისაა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო (შემდგომში სტრასბურგის სასამართლო), ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „სასჯელის“ ქვეშ მოიაზრებს არა მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემით განსაზღვრული სასჯელის სახეებს, არამედ სხვა ღონისძიებებსაც, რომლებიც შეიძლება არა ფორმით, მაგრამ არსით, ბუნებით და მოსალოდნელი შედეგებით მისი მსგავსი იყოს და მასთან კავშირში.²¹

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ასე ფორმალურად და მარტივად არ არის საქმე კანონის უკუძალის აკრძალვასთან მიმართებით. ერთ-ერთი გამოკვეთილი პრობლემა, რომელიც კანონის უკუძალით გავრცელების საკითხს მიემართება არის, თუ როგორ ნორმას მიემართება კანონის უკუძალის საკითხი, მხოლოდ მატერიალურ ნორმას თუ მასთან ერთად საპროცესო ნორმასაც. ამ უკანასკნელის მიმართ არ მოქმედებს უკუძალის აკრძალვა თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, საპროცესო ნორ-

მის კატეგორიული გამორიცხვა უკუძალის აკრძალვის სფეროდან, საკითხისადმი ძალზე ზერელე მიდგომა იქნებოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ საპროცესო ხასიათის ნორმებიც შეიძლება მოექცეს კანონის უკუძალის განმსაზღვრელი დებულების ქვეშ, იმ საერთო კრიტერიუმების დაკმაყოფილების გამო, რაც უკუძალის მინიჭებას გამორიცხავს ან პირიქით. დასახელებული პრობლემები ნაცნობია, როგორც საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკისთვის, ისე მრავალი ქვეყნის სასამართლოსთვის და წლების განმავლობაში, დისკუსიის საგანს წამოადგენდა,²² რასაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.²³

საკითხი, თუ რატომ იცავს სახელმწიფო მოქალაქეს მხოლოდ მატერიალური ნორმის უკუძალით გავრცელებისგან, ამ საკითხის გააზრებაში დაგვეხმარება ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის მნიშვნელობის გარკვევა, რაც მოცემულია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სასამართლო პრაქტიკაშიც. „ნამდვილი უკუძალა“ არის უკუძალა, რომელიც მიემართება უკვე დასრულებულ ურთიერთობებს, ხოლო „არანამდვილი უკუძალა“ მიემართება ჯერ კიდევ, მიმდინარე და დაუსრულებელ ურთიერთობებს.²⁴ სს განმარტებით ნამდვილი უკუძალა „[...] ინსტიტუციური ხასიათის უკუძალაა, რაც როგორც წესი, აკრძალულია და დაშვებულია გამონაკლისი სახით, როცა ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფლების სუბიექტს,²⁵ ხოლო არანამდვილი უკუძალა არაკონსტიტუციურად არ მიიჩნევა.²⁶ არანამდვილ უკუძალას საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლობის დროში მოქმედების „ბუნებრივი“ და „აუცილებელი“ ფორმა უწოდა,²⁷ რომლის გარეშეც შეუძლებელია სამართლის განვითარება და თანამედროვე გამოწვევებისადმი ფეხის აწყობა. სწორედ არანამდვილი უკუძალა მიემართება საპროცესო ნორმებს, რომლებიც ფორმალური ხასიათისაა და იმისგან დამოუკიდებლად, თუ როდის მოხდა ქმედების ჩადენა (დანაშაულის შემადგენლობა), მიმდინარეობს უწყვეტად და ემსახურება გამოძიების, დევნისა და სხვა ეტაპების ეფექტიანად განხორციელებას, მათ პროცედურულ მოწესრიგებას.²⁸ იგივე აზრს ავითარებს შ. ტრეფსელიც, როდესაც ამბობს, რომ მატერიალური სისხლის სამართალი გამოიყენება მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე და არა წინა ურთიერთობებზე (გამონაკლისად Lex mitior ასახელებს), ხოლო საპროცესო ნორმასთან დაკავშირებით იმეორებს აზრს, რომ მოქმედებს ვარაუდი, რომ ყოველი ახალი ნორმა წინას ჯობია და ქმედითაა ძალაში შესვლისთანავე. ავტორის თქმით, თუ მატერიალურ ნორმასთან მიმართებით, ადამიანს შეუძლია ქმედების ორგანიზება და უფლებაც აქვს წინასწარ განჭვრიტოს ასეთი კანონი, იგივეს ვერ ვიტყვით საპროცესო ნორმასთან დაკავშირებით, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნია „თანაბომადი ფუნქცია.“²⁹ მაშასადამე, საპროცესო ნორმის შეცვლით და მისთვის უკუძალის მინიჭებით არ ირღვევა „კეთილსინდისიერი გაფრთხილების“ კონსტიტუციური მოთხოვნა³⁰ და ნორმის წინასწარ ცოდნასთან დაკავშირებით ინდივიდის მოთხოვნა ვერ იქნება ლეგიტიმური და მისი გაკვირვებაც არ იქნება წონადი.³¹ მიუხედავად საპროცესო ნორმასთან მიმართებით კანონის უკუძალის გავრცელების საგულისხმო აზრების არსებობისა, უნდა აღინიშნოს, რომ არც დასახელებული საკითხის გადაწყვეტაა სწორი ხისტი მიდგომით. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმული მოსაზრებით, მატერიალურ ნორმას მიემართება კითხვა – „რა,“ ხოლო საპროცესო ნორმას – „როგორ.“³² გ. ჰალევის აზრით, მატერიალური და საპროცესო ნორმათა იდენტიფიცირებისთვის ყველაზე საიმედო კრიტერიუმი მიზნის გამოკვეთაა, თუ პირველი პასუხისმგებლობის დამდგენია,

მეორე, განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება.³³ გ. ჰალევის მართებული შენიშვნით, ნორმის მატერიალური თუ საპროცესო ბუნების გამოცნობის მხოლოდ ნორმის ფორმალური კუთვნილების საფუძველზე არაა დამაჯერებელი.³⁴ ამის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც აღნიშნა და გადაწყვეტილებაში, სადაც საპროცესო ნორმების მიმართ უკუძალის გავრცელების მნიშვნელობაზე საუბრობს, რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებელია ისეთი საპროცესო ხასიათის ნორმებიც, რომელთა მოქმედებაც დაკავშირებული იქნება პასუხისმგებლობის დაწესებასთან, შეცვლასთან ან გაუქმებასთან და შესაბამისად, მხოლოდ ფორმალური დეფინიციებით ვერ შემოიფარგლება სასამართლო და აუცილებელი იქნება უკუძალის საკითხის გარკვევა.³⁵ სწორედ შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, სს-მ არ მიიჩნია სისხლისსამართლებრივი დევნის ვადის შემცვლელი ნორმა მატერიალურ ნორმად.³⁶ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება იმ საპროცესო ნორმასთან დაკავშირებით, რომელიც ქმედების დანაშაულებრიობის გამაუქმებელი ახალი კანონის გამოყენების უფლებას არ აძლევდა სასამართლოს მხარის შუამდგომლობის არარსებობის გამო (წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპი), საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ის, რითაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ნორმის შერეული ბუნება და მის მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, *Lex mitior* კონსტიტუციური პრინციპისთვის.³⁷ იგივე დაემართა იმ საპროცესო ნორმას, რომელიც მიუხედავად ქმედების დეკრიმინალიზებისა, იძლეოდა პირის მსჯავრდების შესაძლებლობას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით.³⁸ მსგავსი მოსაზრებაა განვითარებული ამერიკულ სისხლის სამართალში, კერძოდ, ის საპროცესო ნორმა, რომელიც თავისი არსით დაკავშირებული არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტის დამატებასთან ან სასჯელის გამკაცრებასთან, ექცევა *ex post facto* აკრძალვის ქვეშ.³⁹ თუმცა, საკითხი, იწვევს თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში საპროცესო ნორმა მსგავს ცვლილებას, კამათის საგანია.⁴⁰ თუ წარმოვიდგენთ ისეთ შემთხვევას (რაც ახლო წარსულში ბევრი იქნებოდა ქართულ რეალობაში, რადგან მსგავსი ცვლილება განხორციელდა⁴¹), სადაც ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სსკ დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, პირობითი მსჯავრის გამოყენების დისკრეციას აძლევდა სასამართლოს, ხოლო ცვლილების შემდეგ, ის შეიზღუდა დანაშაულის კატეგორიით. ქმედების ჩადენის დროს პირმა იცის, რომ ჩადის მძიმე დანაშაულს და ისიც იცის, რომ მისთვის შესაძლებელია არ იქნას გამოყენებული რეალური სასჯელი, ამდენად თუ კანონში ზემოთ აღნიშნული ცვლილება განხორციელდება, რამდენად იქნება პირის გაკვირვება კეთილსინდისიერი, რამდენად იქნება პირის მოთხოვნა ლეგიტიმური, რომ მის მიმართ არ გაავრცელონ ის ცვლილება, რომელიც მას უმკაცრებს სასჯელს (მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს აღარ აქვს პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება) და რის შესახებაც მან წინასწარ არ იცოდა? შეიძლება მოვიტანოთ მეორე ჰიპოთეტური მაგალითიც, სადაც ანალოგიური ცვლილება ხდება პირის სასიკეთოდ, ამ შემთხვევაში, გავრცელებულია თუ არა *Lex mitior* დასრულებულ საქმეში, სადაც პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული პირობითი მსჯავრი იმ მიზეზით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა კანონით მასზე მსჯელობის უფლებაც კი, ხოლო პროკურორმა არ გააფორმა მასთან შეთანხმება. თუ გადაწყვეტილებას იმ ზოგად მსჯელობაზე დავამყარებთ, რომ საპროცესო ნორმა, რომელიც არსით დაკავშირებულია სასჯელის გამკაცრებასთან, პირველი შემთხვევა უნდა მოექცეს უკუძალის აკრძალვის ქვეშ, ხოლო მეორე საგალღებულო წესით

უნდა გავრცელდეს, რადგან ამსუბუქებს სასჯელს. შეიძლება გაჩნდეს საპირისპირო აზრი და ითქვას, რომ დასახელებული ცვლილებები წმინდა პროცედურული ხასიათისაა და მის მიმართ არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ნდობა და უფლება მოითხოვოს მისი გავრცელება (როდესაც მსუბუქია) ან გავრცელებისგან თავის შეკავება (როდესაც მკაცრია). მოტანილი აზრის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ საპროცესო ნორმა, რომელიც მოსამართლეს ართმევს უფლებას გამოიყენოს უფრო მსუბუქი კანონი, ისეთივე ძალისა და მნიშვნელობისაა, როგორც ის მატერიალური ნორმა, რომელიც სასჯელის სახეს ადგენს, ამიტომ პირის უფლება, რომ ერთ შემთხვევაში, არ გააუარესონ მისი მდგომარეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, შეამსუბუქონ – არის ლეგიტიმური. ამერიკის სისხლის სამართალი კიდევ უფრო შორს მიდის და ამერიკის კონსტიტუციის პირველი მუხლით განსაზღვრული ex post facto უზღუდვის ქვეშ,⁴² უზენაესი სასამართლოს ისტორიული და დღემდე გავლენიანი გადაწყვეტილებით,⁴³ მოიაზრებს იმ კანონის გავრცელების აკრძალვასაც, რომლითაც იცვლება დადგენილი მტკიცებულებათა სტანდარტი.⁴⁴ ასევე არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკის სასამართლო პრაქტიკა, ხშირად უკუძალის აკრძალვის ქვეშ მოიაზრებს ისეთ საპროცესო ნორმებსაც, რომლებიც „არსებით გავლენას ახდენენ ადამიანის ძირითად უფლებებზე.“⁴⁵ კვლევამ ასევე აჩვენა მათი ბუნდოვანება და ურთიერთგამომრიცხავი პრაქტიკული განმარტებებიც.⁴⁶ მართლაც, უნდა მიეცეს თუ არა იმ კანონს უკუძალა, რომელიც წინა ნორმასთან შედარებით ნაკლები მტკიცებულების არსებობის საკმარისობას ადგენს ბრალის დასადგენად? ასეთ დროს ნორმას უნდა მიეცეს უკუძალა, რადგან მართალია შემცირებული მტკიცებულებათა სტანდარტი საბოლოოდ გააიოლებს ბრალდების დამტკიცებას, მაგრამ მსგავსი ნორმა არ ქმნის იმგვარ გარანტიას, რაც ურთიერთობის დასრულებამდე მისი გამოყენებისგან თავის შეკავების მოთხოვნას ლეგიტიმურს გახდიდა. რატომ უნდა ჰქონდეს პირს იმის „ლეგიტიმური მოლოდინი“,⁴⁷ ჩადენილი მკვლელობისთვის თუ რამდენი მტკიცებულების ერთობლიობა იქნება საჭირო? ის მინიმუმი ხომ იცის, რომ მკვლელობა აკრძალულია და სასჯელი მისთვის გარდაუვალი, ამდენად მტკიცებულებებთან დაკავშირებული ცვლილებები არ უნდა იყოს ex post facto აკრძალვაში მოაზრებული. საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როდესაც ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით მსაჯულთა შერჩეული სასჯელის ზომის გათვალისწინება სასამართლოსთვის სავალდებულო იყო, ხოლო ცვლილების შემდეგ – სარეკომენდაციო. ერთ-ერთ საქმეში – *Dobbert v. Florida*⁴⁸ ამერიკის სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა სიკვდილით დასჯა, მიუხედავად ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციისა, რომ გამოეყენებინა თავისუფლების აღკვეთა. აღსანიშნავია, რომ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი საპროცესო ნორმით, მსაჯულთა შერჩეული სასჯელი, მათ შორის, სიკვდილით დასჯა, სავალდებულო იყო გასათვალისწინებლად სასამართლოსთვის, ხოლო ახალი ცვლილებით, სასამართლოს დისკრეტია მიეცა მსაჯულთა რჩევის გაზიარებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ საქმეში დობერის მიმართ მსაჯულებმა უვადო თავისუფლების აღკვეთა იშუამდგომლეს, სასამართლომ იხელმძღვანელა რა, ახალი კანონით, არ გაიზიარა მათი რეკომენდაცია და პირს დაუნიშნა სიკვდილით დასჯა. საქმე გასაჩივრდა ex post facto აკრძალვის მითითებით. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რამდენიმე არგუმენტით. ერთი, რომ ცვლილება ზოგადად ამსუბუქებდა კანონს,⁴⁹ რადგან მიუხედავად მსაჯულთა რჩევისა, მოსამართლეს ჰქონდა იდეაში უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების შე-

საძლებლობა, ხოლო კონკრეტული საქმე მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მისაღები და მეორე, ცვლილება წმინდა პროცედურული ხასიათის იყო. მსგავსი მაგალითი ქართულ რეალობაშიც მართივი წარმოსადგენია. სსსკ-ის 264-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ მსაჯულები ხმების უმრავლესობით გაუწევენ რეკომენდაციას უფრო მსუბუქი ან უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენებას. ვთქვათ, სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის გაწევის შემდეგ შეიცვალა დასახელებული ნორმა იმგვარად, რომ მოსამართლე აღარ იზღუდება მაქსიმალური სასჯელის ზედა ზღვარის ორი მესამედით და მაქსიმალური ვადა დაუნიშნა პირს. მსგავსი ცვლილება ცალსახად, გავლენას ახდენს სასჯელის ზომამზეც და პირის უფლებრივ მდგომარეობამზეც თუმცა, კითხვაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გასაცემად მხოლოდ ეს არ უნდა ვიკმაროთ. საკითხავია, რამდენად ლეგიტიმურია პირის მოლოდინი მსაჯულთა შემამსუბუქებელ რეკომენდაციასთან მიმართებით, რამდენად არის რეკომენდაცია იმ მინიმალური აკრძალვის ქვეშ მოაზრებული რისი წინასწარ ცოდნის უფლებაც პირს აქვს და რისი აკრძალვაც დაუშვებელია? ამ კითხვებს უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. საქართველოს კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე, სსკ-ით გარანტირებული უკუძალის აკრძალვის ქვეშ უნდა მოვიაზროთ დანაშაულის დამწესებელი და სასჯელის გამკაცრებელი კანონი, ხოლო ისეთი საპროცესო ნორმა, რომელიც მტკიცებულებებზე დაყრდნობით პროცესის მონაწილეს, მსაჯულს, აძლევს სასჯელის ინდივიდუალიზების შესაძლებლობას, რომ შეხედულებისამებრ უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი სასჯელი დანიშნოს (კანონით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში), რისი წინასწარ ცოდნის აუცილებლობაც არ არსებობს, არ უნდა არღვევდეს დასახელებულ აკრძალვას, მითუმეტეს, რომ დასახელებული ნორმის ადრესატი არის ნაფიცი მსაჯული/მოსამართლე და არა ქმედების შემადგენლობის სუბიექტი.⁵⁰ გარდა ამისა, მოსამართლეს რჩება შესაძლებლობა დანიშნოს ნაკლები სასჯელი. ამდენად პირის უფლება ასე შორს და ამხელა მოლოდინებით ვერ რეალიზდება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, მაშინ რა განსხვავებაა დასახელებულ საქმესა და იმ შემთხვევას შორის, როდესაც შეიცვალა ნორმა, რომელიც მოსამართლეს აღარ აძლევდა განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულების მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლებას. ეს უკანასკნელი არ არის პროცედურული ხასიათის და მას კანონი ითვალისწინებს განურჩევლად ვინმეს გამამტყუნებელი ვერდიქტისა და ვინმეს რეკომენდაციისა, ის კონკრეტული ღონისძიების (პირობითი მსჯავრის) ინსტიტუციური ფუნქციონირების მექანიზმია. სწორედ პირობითი მსჯავრი და სხვა მსგავსი ლიბერალური ინსტიტუტები განაპირობებს სასჯელის პრევენციულ, პროსპექტიულ ბუნებას, რომელიც განსხვავდება ძველი, შურისმაძიებელი ხასიათისგან.⁵¹ ქმედების ჩამდენ პირს ქმედების ორგანიზებაში, კერძოდ, თუ რა სასჯელი დაენიშნება დანაშაულისთვის, შეიძლება მნიშვნელოვნად ეხმარებოდეს დასახელებული ნორმა. მსგავსი კანონის წინასწარ განჭვრეტის მოთხოვნა კი, ლეგიტიმურია. კანონის უკუძალის გამოყენების საკითხის გონივრული გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, რომ უსაფუძვლოდ არ მოხდეს ვინმესთვის პასუხისმგებლობის დაკისრება/დამძიმება ან კიდევ შემსუბუქება. ის, თუ რომელია საპროცესო და რომელი მატერიალური ნორმა და რამდენად ვრცელდება მასზე უკუძალის აკრძალვა, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაში შეეხო სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ინსტიტუტსაც. ამ მხრივ, საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორია Miller v. Alabama⁵² საქმესთან

მიმართებით, სადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო 18 წლამდე ბავშვისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე და იმსჯელა სასჯელის შეფარდებისას ასაკის, ფსიქიკური განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის აუცილებლობაზე, ამასთან, მისი გათვალისწინების აუცილებლობაზე. ცვლილების შესაბამისად, კანონმდებლობას დაემატა სასჯელის შეფარდებისას რიგი მტკიცებულებების გათვალისწინების ვალდებულება, რაც ასაკის და სხვა მასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების გათვალისწინებას. მეცნიერების⁵³ და სასამართლოების ნაწილმა (მათ შორის, ფლორიდას, ილინოისის, აიოვას და სხვა შტატების) დასახელებულ ცვლილებას მატერიალური უწოდეს,⁵⁴ რამდენადაც მათი შეფასებით ცვლილება არსებით გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე და უკუძალა მიანიჭეს. შესაბამისად, მოხდა მრავალი არასრულწლოვანის საქმის გადახედვა და მათგან ვისაც გათავისუფლება უწევდა, გათავისუფლდა სასჯელისგან, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მუხლზე მითითებით. ხოლო მეცნიერების,⁵⁵ ისევე როგორც სასამართლოების ნაწილმა (ალაბამას, მიჩიგანის და სხვა შტატების) მასში საპროცესო ბუნება ამოიკითხეს და უკუძალით არ გაავრცელეს იმ საქმეებზე, სადაც განაჩენი უკვე დამდგარი იყო.⁵⁶ გასაზიარებელია ბ. ქალდველის აზრი, რომელიც ცვლილებას⁵⁷ მატერიალურ-საპროცესოს უწოდებს და თავისი არსით, რამდენადაც დაკავშირებულია სასჯელის გაჭუმანურებასთან, რის გარეშეც სასჯელი არაკონსტიტუციურია მისი უკიდურესი სისასტიკით და არაპროპორციულობით, მას აუცილებლად უნდა მიეცეს უკუძალა.⁵⁸ სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებული ცვლილების უკუძალით გავრცელების საკითხზე არსებობს სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაც, სადაც სასამართლომ დასახელებული ინსტიტუტი მიიჩნია არა უშუალოდ სასჯელთან დაკავშირებულ, არამედ მისი მოხდის რეჟიმთან დაკავშირებულ ინსტიტუტად. მაგალითად, კაფკარისის საქმეში,⁵⁹ პირს უვადო პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, რისი 20 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგაც შესაძლებელი იყო სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება. ვადის გასვლამდე აღნიშნული შესაძლებლობა ამოღებულ იქნა კანონმდებლობიდან და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება მხოლოდ პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებად იქცა. პირი ჩიოდა, რომ ცვლილება მას არ უნდა შეეხებოდა და ამით ირღვეოდა სასჯელის გამმკაცრებელი კანონის უკუძალის აკრძალვა. სასამართლოს შეფასება, რომ თითქოს ეს ცვლილება ეხება სასჯელის აღსრულებას და არ არის მატერიალური ბუნების და რომ პირმა წინასწარ იცოდა უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ, რომელიც არ უდრიდა 20 წელს, რამდენიმე მიმართულებით გასაზიარებელი არ არის. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დადგენილი წესების შესაბამისად მოქცევის შემთხვევაში პირმა იცის, რომ ეს მეტად არაჭუმანური სასჯელი დიდი ალბათობით, შეიძლება შემცირდეს და თანახმაა მანც ჩაიდინოს კონკრეტული ქმედება და მიიღოს ეს სასჯელი თავის თავზე, გარდა ამისა, უვადო პატიმრობის გამართლების და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის ერთადერთი საფუძველი სწორედ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობაა.⁶⁰ შესაბამისად, თუ ეს ნორმა უქმდება, ის a priori იწვევს სასჯელის გამოყენების გამართლების გაუქმებას და დისპროპორციას. პრეზიდენტისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება ვერ ჩაითვლება საკმარის გარანტიად, რადგან პრეზიდენტის მიერ სასჯელის შემცირე-

ბა და მისგან გათავისუფლება პოლიტიკური უფლებამოსილების განხორციელებაა და ვერასოდეს ვერ იქნება ისეთი საგარანტიო მნიშვნელობის, როგორც სამართლით დარეგულირებული ინსტიტუტები და მათი აღსრულების მექანიზმებია.⁶¹

ზემოთ განხილული მოსაზრებების შეჯამებით, შესაძლოა გამოიყოს ნორმის იდენტიფიცირების რამდენიმე კრიტერიუმი, კერძოდ: ფორმალურად სად არის ნორმა განთავსებული – სისხლის სამართლის მატერიალურ თუ საპროცესო კანონმდებლობაში, თუმცა აღინიშნა, რომ ეს ძალზე ფორმალური კრიტერიუმია და შესაძლოა უგულებელყოფილ იქნას სხვა უფრო დამაჯერებელი კრიტერიუმებით; ვინ არის ნორმის ადრესატი – ქმედების სუბიექტი თუ ნორმის შემფარდებელი; რამდენად შორს მიდის ნორმა, შეიძლება თუ არა ნორმის ადრესატს ჰქონდეს ლეგიტიმური მოლოდინი მის სტაბილურობაზე და რამდენად შეიძლება ადრესატის ex post გაკვირვება „კეთილსინდისიერად“ ჩაითვალოს; დაბოლოს, ნორმის მიზანი, თუ რას ემსახურება კონკრეტული ნორმა, ის პასუხისმგებლობის დამდგენია თუ იმის განმსაზღვრელი, როგორ უნდა აღსრულდეს ეს უკანასკნელი. ამდენად, ნორმის ბუნების დადგენა, მაშინ როდესაც ის გამოსაცნობია, განსჯას და ზემოთ დასახელებული კრიტერიუმების (რომლებიც ერთმანეთისგან გამომდინარეობენ) გათვალისწინებით, ანალიზს მოითხოვს სწორ გადაწყვეტილებამდე მისასვლელად, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისათვის.

შენიშვნები:

- ¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამოცემა „მერიდიანი“, თბ., 2004, 146; Popple J. 1989. The right to protection from retroactive criminal law, *Criminal law journal*. Vol. 13. 255; Dubber M. D. 2010. 16.
- ² Ashworth A., 2009, *Principles of Criminal Law*, New York, Oxford University Press, 59; Samaha J., 2011, *Criminal Law*, Belmont, Wadsworth Cengage Learning, 41-42; Adler D. J. T., 1987, Ex post facto limitations of changes in evidentiary law: repeal of accomplice corroboration requirements, *Florida law review*, 55, N 6. 1196-1197, კანონის წინასწარ განჭვრეტის აუცილებლობაზე და კანონის უკუხალის დაუშვებლობაზე ვერ კიდევ, თომას ჰობსის საუბრობდა. იხ.: Hobbes T., 1651, *Leviathan*, XXVII: Of Crimes, Excuses, and Extenuation, London, 181.
- ³ ტერმინი – კეთილსინდისიერი გაკვირვება – გამოყენებული აქვს ჯეფრისის, იხ.: Jeffries J. C. Jr., 1985, *Legality, Vagueness, and the Construction of Penal Statutes*, *Virginia Law Review* vol. 71, 231; ასევე, პაკერს ჰ., იხ.: Packer H. L., 1968, *The limits of the criminal sanction*. California, Stanford University Press Stanford, 53.
- ⁴ Packer H., 1968, 53.
- ⁵ კანონის დროში მოქმედების განსაზღვრას სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობით განმარტავს საკონსტიტუციო სასამართლო, იხ.: სს 2015 წლის 4 მარტის N 1/2/552 გადაწყვეტილება, II, 2 პ.
- ⁶ იხ.: სს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II, პ. 2; ასევე, იხ.: ტულუში თ., ბურჯანაძე გ. და სხვები, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების პრაქტიკა), თბ., 2013, 664-665; სს 2015 წლის 4 მარტის N 1/2/552 გადაწყვეტილება, II, პ. 5.
- ⁷ იხ.: სს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება; სს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, პ. 67. ანალიზისთვის იხ.: ტულუში თ., ბურჯანაძე გ. და სხვები, 2013, 658-659.
- ⁸ Ibid, 662, კანონის უკუხალის აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათზე იხ.: Dana S., 2009, *Beyond retroactivity to realizing justice: A theory on the principle of legality in international criminal law*, *Journal of Criminal Law and Criminology*, Vol. 99, N 4. 866.
- ⁹ Corporate Author, 1972, *Today's lad and yesterday's crime – retroactive application of ameliorative criminal legislation*, *University of Pennsylvania Law School United States of America Journal*, university of Pennsylvania law review, vol. 121, 120.
- ¹⁰ State v. Picotte No. 01-3063-CR (May 16, 2003), 45.
- ¹¹ Rawls J., *A Theory of Justice*, 1999, Cambridge, Massachusetts, Harvard University press, 209.
- ¹² იხ.: სსკ-ის 239¹-ე მუხლი.
- ¹³ იხ.: სსკ-ის 133-ე მუხლი.
- ¹⁴ სსკ-ის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული დებულებების მიმართ კანონის უკუხალის გავრცელების ძველი პრაქტიკისთვის იხ.: სუბი 2007 წლის 14 იანვრის განჩინება N1013აპ.
- ¹⁵ გვენეტაძე ნ., ტურავა მ., 2005, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2005. 17; ამ საკითხზე ასევე, იხ.: ბიჭია შ., 2010, ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, 197.
- ¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტი – Coëme and Others v. Belgium (18.10.2000) და ასევე, გაიზიარა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – Stogner v. California 539 U.S. 607 (2003). სტოგნერის საქმის კრიტიკისთვის იხ.: Jen A., 2004, *Stogner v. California: A Collision between the Ex Post Facto Clause and California's Interest in Protecting Child Sex Abuse Victims*, *Journal of Criminal Law and Criminology* Vol. 94, N 3. ცოემეს საქმის ანალიზისთვის იხ.: ტურავა მ., 2013, თავი მეორე – საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., პეტიტი, 559.

- ¹⁷ არის ქვეყნები, რომლებიც მას წმინდა საპროცესო ნორმებად რაცხავს იხ.: სს გადაწყვეტილება (2009), II, პ. 24, ხანდაზმულობის ვადის „მატერიალურ-პროცესუალური“ ბუნების შესახებ იხ.: ბიჭია შ., 2010, 199.
- ¹⁸ სს გადაწყვეტილება (2009), II, პ. 24-25; გადაწყვეტილების ანალიზისთვის იხ.: ტულუმი თ., ბურჯანაძე გ., და სხვები, 2013, 671-672; ასევე, ტურავა მ., 2011, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, მერიდიანი, 117-118.
- ¹⁹ მოსამართლე ს. ბრეიერის მოსაზრება იხ.: <https://www.law.cornell.edu/supct/html/01-1757.ZO.html> (07.06.2016).
- ²⁰ Husak D., 2005, 111.
- ²¹ Welch v. UK განაცხადი N 17440/90 (1995); M. v. Germany განაცხადი N 19359/04 (2010); ანალიზისთვის იხ.: ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის განმარტება (2013), 556; Engel and others v. The Netherlands N 5370/72 (1976). საკითხის ანალიზისთვის იხ.: ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, 254; სს განმარტებისთვის იხ.: სს 2011 წლის 11 ივლისის N 3/2/416 გადაწყვეტილება, II, პ. 41; ანალიზისთვის იხ.: ტულუმი თ., ბურჯანაძე გ. და სხვები. 2013, 678-679.
- ²² McClure T. E., 1977, Developing a more objective means of ex post facto law analysis Dobbert v. Florida, Depaul University law Review, Vol. 27, N1, 193-194; Popple J., 1989, 253.
- ²³ Caldwell B., 2015, Miller v. Alabama as a watershed procedural rule: the case for retroactivity, Harvard Law & Policy Review, Vol. 9. 69-70; Cologan B. A., 2013, Alleyne v. United States, age as an element and the retroactivity of Miller v. Alabama, UCLA L. Rev, vol. 61, 264-268.
- ²⁴ ხუბუა გ., 2004, 146.
- ²⁵ სს გადაწყვეტილება (2009), II, პ. 6.
- ²⁶ ხუბუა გ., 2004, 146; სს გადაწყვეტილება (2009), II, პ. 7.
- ²⁷ Ibid.
- ²⁸ სს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, პ. 73
- ²⁹ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 135.
- ³⁰ Jain N., 2014, General Principles of Law as Gap-Fillers. International Legal Theory Colloquium, 36-37; Westen P. K., 2007, Two Rules of Legality in Criminal Law. Law and Philosophy, Vol. 26, N. 3, 229, 234-235.
- ³¹ საპროცესო და მატერიალური ნორმების გამიჯვნის შესახებ მოსაზრებისთვის იხ.: Bentham J., 1948, A fragment on government with an introduction to the principles of morals and legislation, Oxford, Basil Blackwell, 430; Dan-Cohen M., 1983. Decision rules and conduct rules, an acoustic separation in criminal law, Harvard Law Review, 97, 630-634; Pollock J., 2009, Criminal law, New York, Anderson, 4; Cross N, 2010. Criminal law and Criminal justice, London, Sage. 4; Hall D., 2012, Criminal law and procedure, New York, Delmar Cengage learning, 33.
- ³² Halleve G., 2010. A Modern Treatise on the Principle of Legality in Criminal Law, Heidelberg, Springer-Heidelberg, 50.
- ³³ Ibid. 51.
- ³⁴ Ibid.
- ³⁵ სს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, პ. 75 და 76.
- ³⁶ Ibid. პ. 77, მსგავსი მიდგომა დააფიქსირა სტრასბურგის სასამართლომ, როდესაც აღნიშნა, რომ ალკვეთის ღონისძიების განმსაზღვრელი ნორმა არ მოიაზრება კანონის უკუძალის აკრძალვის ქვეშ, იხ.: Lawless v. Ireland განცხადების ნომ. 332/57 (14 November 1960), ანალიზისთვის იხ.: ბოხაშვილი ბ. 2004. 254.
- ³⁷ იხ. სს №31/608,609 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.
- ³⁸ სს 2016 წლის 13 აპრილის N 3/1/633, 634 გადაწყვეტილება.
- ³⁹ Adler D., 1987, 1191-1192, 1209-1210; მნიშვნელოვანია Collins v. Youngblood, 497 U.S. 37 (1990) საქმე, სადაც სასამართლომ პროცედურული ცვლილება გაავრცელა მის მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რადგან არ მოიაზრა ex post facto აკრძალვაში თავისი არსით. ანალიზისთვის იხ.: Jen A., (2004), 727.
- ⁴⁰ დასახელებულ პრობლემებზე დისკუსიისთვის იხ.: Adler D., 1987, 1208; Jen A., 2004, 728.

- ⁴¹ იხ.: სსკ-ის 2006 წლამდე მოქმედი რედაქცია, შეად. მოქმედ რედაქციას.
- ⁴² Ex post facto აკრძალვის მნიშვნელოვანი განმარტებისთვის საინტერესოა Beazell v. Ohio 269 U.S. 167 (1925) საქმე. ანალიზისთვის იხ.: Jen A., 2004, 727-728; Morrison T. W., 2001, 461.
- ⁴³ Calder v. Bull, 3 U.S. 386 (1798). დასახელებული გადაწყვეტილების ანალიზისთვის იხ.: 1978, Constitutional Law-Fair Warning of Retroactive Law Is Sufficient Compliance with the Ex Post Facto Clause-Do b bert v. Florida, BYU L. Rev. Vol. 1978, N 2, 486-487; Slawson W. D., 1960, Constitutional and Legislative Considerations in Retroactive Lawmaking, Cal. L. Rev. 48, N2, 221-222; McClure T. E., 1977, Developing a more objective means of ex post facto law analysis Dobbert v. Florida, Depaul University law Review, Vol. 27, N1, 196, 39-ე სტოლიო.
- ⁴⁴ იხ.: Carmell v. Texas, 529 U.S. 513, 120 S.Ct. 1620, 146 L.Ed.2d 577 (2000). გადაწყვეტილების ანალიზისთვის იხ.: Scheb J. M., 2009, 48.
- ⁴⁵ იხ.: Gideon v. Wainwright, 372 U.S. 335, 344 (1963). ანალიზისთვის იხ.: McClure T. E., 1977, 194 და იმავე გვერდზე 26-ე სტოლიო; Cadwell B., 2015, 71.
- ⁴⁶ McClure T. E., 1977, 195-197.
- ⁴⁷ ტერმინი გამოყენებული აქვს როულზს. იხ.: Rawls J., 1999, 209; ასევე, გამოყენებულია საქმეში Stogner v. California 539 U.S. 607 (2003), 650.
- ⁴⁸ Dobbert v. Florida, 432 U. S. 282 (1977).
- ⁴⁹ ამერიკის უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით ევროპული ქვეყნების უმეტესობა მსგავს სიტუაციებში მხედველობაში იღებენ კანონის არა ზოგად შემამსუბუქებელ ხასიათს, არამედ მის ხასიათს კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. მაგალითად ასე არის გერმანიაში და სლოვაკეთში, იხ.: Bohlander M., 2009. Principle of German criminal law. Studies in International and Comparative Criminal Law: Volume 2. Oxford and Portland, Oregon, 26; ასევე, იხ.: სლოვაკეთის უზენაესი სასამართლოს N VSK Kp 276/2008 გადაწყვეტილება. იხ.: http://www.sodisce.si/znanje/sodna_praksa/vrhovno_sodisce_rs/2010040815252498/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-25.04.2016)
- ⁵⁰ საპროცესო და მატერიალური ნორმის გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმად ნორმის ადრესატზე ხაზგასმა ბენტამს ეკუთვნის. იხ.: Bentham J., 1948, 430. საპროცესო და მატერიალური ნორმის გამიჯვნის შესახებ მოსაზრებისთვის იხ.: Dan-Cohen M., 1983, 625-677.
- ⁵¹ სასჯელის მიზანზე და გავრცელებულ თეორიებზე იხ.: დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2013, 14-30; ტურავა მ., 2011, 41-46; ვაჩიიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები, 1960.
- ⁵² Miller v. Alabama, 132 S. Ct. 2455 (2012).
- ⁵³ Caldwell B. 2015. 70, note 9.
- ⁵⁴ Ibid. 69, note 5.
- ⁵⁵ Colgan B., 2013, 268.
- ⁵⁶ Caldwell B., 2015, 70, note 6.
- ⁵⁷ ქოლგანი ბ. ა., „მიღერის ცვლილებას,“ კვაზი მატერიალურს და კვაზი საპროცესოს უწოდებს. საპროცესო ბუნებას იქ ხედავს, რომ ცვლილება სასჯელის შეფარდებისას კონკრეტული გარემოებების სავალდებულო გათვალისწინებას შეეხო, რაც წმინდა პროცედურული ხასიათისაა, მაგრამ რამდენადაც ეს ცვლილება მატერიალურ კანონმდებლობაშიც იწვევს ფუნდამენტურ ცვლილებას, რომლის თანახმად, დაუშვებელი ხდება არასრულწლოვნის მიმართ, უპირობოდ უვადო პატიმრობის გამოყენება, ამიტომ მისი მატერიალური ნორმისადმი კუთვნილებაც უდავო ზღონია, იხ.: Colgan B. A., 2013. 264.
- ⁵⁸ Colgan B. A., 2013, 77.
- ⁵⁹ Kafkaris v. Cyprus N 21906/04 (2008).
- ⁶⁰ Resolution (76)2 on the Treatment of Long-term Prisoners adopted by the Committee of Ministers on 17 February 1976 at the 254th meeting of the Ministers' Deputies. ასევე იხ. Kafkaris v. Cyprus, 89. უვადო თავისუფლების აღკვეთის არასათანადო მოპყრობასთან მიმართებაზე სტრასბურგის სასამართლოს მიდგომის ანალიზისთვის იხ.: Padfield N. Dirk van Zyl Smit and others 2010. Release from prison: European policy and practice, Cullompton, Devon; Portland, 20-21.
- ⁶¹ მსგავსი საქმეებისთვის იხ. და შეად.: Hogben v. the United Kingdom N 11653 (1985); Uttley v. the United Kingdom N 36946/03 (2005).

ON THE SIGNIFICANCE OF CORRECT DETERMINATION OF THE IDENTITY OF A CRIMINAL NORM (MATERIAL OR PROCEDURAL) FOR THE APPLICATION OF LEX PRAEVIA PRINCIPLE

TAMAR GEGELIA

Doctoral Student at Law School of the Caucasus University

Research topic of this article is to identify material and procedural norms of the criminal law and to promote their significance for the issue of retroactive force of law. To this effect, the paper discusses the nature and significance of a material and procedural norm. It also studies the issue of differentiating between the ‘real’ and ‘unreal’ retroactive force and in this respect analyses the approach of the constitutional law of Georgia, together with its scholarly justification. According to the author, in order to address the problem, it is important to clarify the function of the norm, how substantially it is linked to the effect of a certain material norm, which it considers to be a significant measurement to understand where it belongs, together with other, already established criteria. To resolve the problem raised in the article – to determine the identity of a norm in the criminal law – the author provides several criteria, including the placement of the norm in the material or procedural legislation; what its reference is to the norm which imposes/annuls/lightens the responsibility; who the recipient of this norm is and what the goals of the norm are. The author resolves the problem through the analysis of all the mentioned criteria. This article provides many practical and hypothetical examples in order to identify and then to correctly resolve the research problem.

დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

გიორგი სვინაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტი*

არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად საერთო სასამართლოების სისტემაში. ამჯერად, წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია სსსკ-ის 136-ე მუხლი (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა) და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

სსსკ-ის 136-ე მუხლი არეგულირებს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის წესს. კერძოდ, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს ნორმით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს, სადაც განმარტებულია, რომ სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143²-143¹⁰

მუხლების დებულებები, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა უნდა მოხდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის გათვალისწინებული წესით.

სწორედ 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები გახდა დაცვის საგანი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, როდესაც 2015 წელს, კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს სასამართლოს მოქალაქეებმა – ნადია ხურციძემ (№650 კონსტიტუციური სარჩელი) და დიმიტრი ლომიძემ (№699 კონსტიტუციური სარჩელი).

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმების საფუძველზე, დაცვის მხარეს არ მიუწვედება ხელი კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცვის მხარე ამორიგებულია სასამართლოსადმი აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა წრიდან, ხოლო იმავე ნორმის მეოთხე ნაწილი მიუთითებს კომპიუტერულ მონაცემებთან მიმართებით იმ ნორმების გამოყენების აუცილებლობაზე, რომლებიც საგამოძიებო მოქმედების სუბიექტად მხოლოდ პროკურორს ასახელებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, განსხვავებული განმარტებებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების მიზეზი გახდა საერთო სასამართლოების მხრიდან.

2017 წლის 3 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლოს კოლეგიამ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2017 წლის 2 მაისს მოქალაქე მ.შ-ს მიმართ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება – ამოღება, რომლის დროსაც ამოღებულ იქნა ლაზერული დისკი.

სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა, გაეცნო წარმოდგენილი საქმის მასალებს და მიიღო განჩინება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

განჩინებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასამართლოს შეფასებით, საგამოძიებო მოქმედება – ამოღება ჩატარდა საპროცესო მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. სასამართლოს შეფასებით, ლაზერული დისკის მოპოვება უნდა მომხდარიყო გამოთხოვის გზით, სსსკ-ის 136-ე მუხლის შესაბამისად და არა ამოღებით, ვინაიდან გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი იყო არა დისკი, როგორც ნივთი, არამედ მასში არსებული ინფორმაცია.

პროკურორი არ დაეთანხმა სასამართლოს დასაბუთებას და ზემოაღნიშნული განჩინება გაასა-
ჩივრა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

პროკურორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ
გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. პროკურორის მტკიცებით, პირმა, რომელსაც
დევნიდნენ შეიარაღებული პირები, გამოძიების წინაშე წარმოადგინა დისკი; ამ დისკზე დასაბუთებული
ვარაუდით ინახებოდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. რაკი მოსამართლის განჩინების
დაუყოვნებლივ მიღება შეუძლებელი იყო და ამასთან, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ და-
ყოვნება გამოიწვევდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის განადგურებას, აუცილებელი
გახდა აღნიშნული დისკის ამოღება სრულყოფილი გამოძიების ჩასატარებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა პროკურორის საჩივარი
და 2017 წლის 10 მაისის 1გ/644 განჩინებით, სადავო საკითხთან მიმართებაში განმარტა:

„სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ინფორმაციის გამოთ-
ხოვისას, მხარემ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 136-ე მუხლის მოთხოვნებით, მაგრამ აღარ უნდა
გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-4 ნაწილის დათქმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების დებულე-
ბების სავალდებულო გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-
ლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650.699 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და
ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების
ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში
ან კომპიუტერულ მონაცემთა შესახებ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთ-
ხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვას. სასამართლოს
შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით სამოტივაციო
ნაწილში დეტალურად იმსჯელა, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარე ინფორმაციის გამოთხოვისას
უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოსთვის შუამდგომლობით
მიმართვისას მათ ერთნაირი სტანდარტის დაცვა მოეთხოვებათ. ამიტომ, საგამოძიებო კოლეგია
განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების
შემდეგ, ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულებრივი საგამოძიებო
მოქმედების ჩატარების წესს, რაც რეგლამენტირებულია სსსკ-ის 112-ე მუხლით და არა ფარული სა-
გამოძიებო მოქმედებისთვის დაწესებულ სტანდარტს. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება ბრალდებისა
და დაცვის მხარეს მათი საპროცესო უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით.“⁴¹

ანალოგიურ საკითხთან მიმართებაში, განსხვავებული მსჯელობაა წარმოდგენილი თბილისის
სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 მარტის N1გ/337-17 განჩინებაში, სადაც მოსამართლე იზიარებს
კოლეგიის განმარტებას და უთითებს, რომ ყველა შემთხვევაში, კომპიუტერულ სისტემაში დაცული
ინფორმაცია გამოძიების მიერ მოპოვებულ უნდა იქნას სსსკ-ის 136-ე და 143²-143¹⁰ მუხლების მიხედ-
ვით² (ასევე, შეგიძლიათ იხილოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის
2017 წლის 1გ/419-17, 1გ/595-17 განჩინებები).

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეთა ნაწილის შეფასებით, სა-
კონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა

ცნობილი სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოირიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დაცვის მხარეს მიეცა ნებართვა მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. თუმცა, დაცვის მხარე (ზოგადად მხარეები) არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან, დაიცვან შუამდგომლობით მიმართვის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები და ის სტანდარტები, რაც დათქმულია სსსკ-ის 143²-143¹⁰ მუხლებით.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული მსჯელობაა წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის სხვა განჩინებებში. ასე მაგალითად: 2017 წლის 02 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიის მოსამართლემ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა თბილისში, ი. გოგებაშვილის ქუჩაზე განთავსებული ვიდეო კამერებიდან ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე,

თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მოცემულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება სსსკ-ის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებები შესაბამისად, დაცვის მხარეს აქვს რა, უფლება გამოითხოვოს ხსენებული ინფორმაცია (საკონსტიტუციო სასამართლოს 27.01,2017 N1/1/650,699 გადაწყვეტილების საფუძველზე), ასევე უნდა დაიცვას 143²-143¹⁰ მუხლებით (ფარული საგამოძიებო მოქმედებები) დადგენილი, შუამდგომლობის წარმოდგენის სამართლებრივი პროცედურები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ გაანალიზა საქმის მასალები და ნაწილობრივ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ.

საგამოძიებო კოლეგიამ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.01,2017 N1/1/650,699 გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზე განმარტა, რომ ბრალდების მხარე და დაცვის მხარე კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებებში აბსოლუტურად თანასწორ პირობებში უნდა იქნას ჩაყენებული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა მკაცრად გამიჯნონ თითოეული საგამოძიებო მოქმედება. კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა არის სხვა სახის საგამოძიებო მოქმედება და ცხადია, რომ დაცვის მხარეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არანაირი უფლებამოსილებები არ გააჩნია.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, დაცვის მხარეს 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შეზღუდვა დარჩა მხოლოდ 143³ მუხლის მე-2 ნაწილის სახით (ესაა დებულებები, რაც ეხება დანაშაულთა კლასიფიკაციას, დანაშაულებზე, რომლებზეც შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვა). გარდა ამ გარემოებებისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ მითითებას ან ვადას საქართველოს პარლამენტისადმი, რომ მან დაადგინოს შესაბამისი პროცედურები დაცვის მხარის ამ უფლების რეალიზაციისათვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს

მიანია, რომ დაცვის მხარე დაუყოვნებლივ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებით (იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინება N1გ/656).

სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ საერთო სასამართლოები არაერთგვაროვნად განმარტავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი კითხვაზე თუ როგორი წესით უნდა ჩატარდეს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება. ნაწილი მოსამართლეებისა მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გამოთხოვისას მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ სსსკ-ის 136-ე მუხლის მოთხოვნებით, მაგრამ აღარ უნდა გაითვალისწინონ ამ ნორმის მე-4 ნაწილის დათქმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ხოლო მოსამართლეების ნაწილი კი, მიიჩნევს, რომ კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა აუცილებლად უნდა მოხდეს 143²-143¹⁰ მუხლების დაცვით.

აღნიშნულთან მიმართებაში, ვფიქრობთ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით, სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, არაკონსტიტუციურად ცნო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

მაშასადამე, საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა არა მარტო საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი სუბიექტის მიმართ, არამედ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა იმ დებულებაზე, რომელიც განსაზღვრული იყო სსსკ-ის 143²-143¹⁰ ნორმებით და დაკავშირებული იყო ინფორმაციის გამოთხოვასთან.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა იმ ნორმათა შინაარსი, რომლებიც გამორიცხავენ დაცვის მხარის მონაწილეობას ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებაში. ასე მაგალითად:

სსსკ-ის 143³ (ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი) მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, გარდა ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. მუხლის შემდგომი ნაწილებიც აგებულია პროკურორის შუამდგომლობაზე.

ცხადია, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მივყებით, აღნიშნული წესი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, რადგან იგი თავისი შინაარსით არაკონსტიტუციურია (უზღუდავს დაცვის მხარეს შუამდგომლობის დაყენების უფლებას) და აღნიშნული ნორმა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ითვლება ძალადაკარგულად.³

შესაბამისად, ძალადაკარგული ნორმით დადგენილი წესისთვის სავალდებულო ხასიათის მინიჭება (არსებული პრაქტიკის მიხედვით) სასამართლოს მხრიდან გაუგებარია და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან.

ვფიქრობთ, მსგავსი სასამართლო პრაქტიკა ასევე, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭება ზღუდავს როგორც მხარეთა საპროცესო თანასწორობის, ასევე, სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებას, აბრკოლებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიის უპრეცედენტო სისწრაფით განვითარება ნებისმიერი ტიპის (წერილობითი დოკუმენტაცია, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი თუ ფოტომასალა, საჯარო თუ დაცული/კონფიდენციალური ან/და საიდუმლო ინფორმაცია) ინფორმაციის ელექტრონული დაარქივების საშუალებას იძლევა პორტატული სახით. საჯარო დაწესებულებები, კერძო ორგანიზაციები და ფიზიკური პირები მონაცემის შენახვა-დაარქივების პროცესში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვისას სულ უფრო ხშირად ხდება ციფრული მტკიცებულებების სახით კომპიუტერული მონაცემების გამოყენება.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმატიული შინაარსით, იბღუდება დაცვის მხარის წვდომა სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური ინფორმაციის ფართო სპექტრზე. დაცვის მხარეს ერთმევა დაცვისათვის მნიშვნელოვანი ციფრული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა და დაცვის ეფექტიანად განხორციელება მნიშვნელოვანწილად ხდება დამოკიდებული ბრალდების მხარეზე, რომელსაც მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობით უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს დაცვის მხარის შუამდგომლობა და არ გამოითხოვოს დაცვისათვის მნიშვნელოვანი კომპიუტერული მონაცემების შემცველი ინფორმაცია. სადავო ნორმა ზღუდავს მხარეთა თანასწორობის პრინციპს და შესაბამისად, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას.

ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის კიდევ უფრო არალოგიკური განვითარების დასტურია ის ფაქტი, რომ სასამართლო მხარეთა შუამდგომლობებს, რომლებიც ეხება ინფორმაციის გამოთხოვას, განიხილავს განსხვავებული წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინების თანახმად, სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების – ინფორმაციის გამოთხოვის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ.

სასამართლოს შეფასებით, საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის თანახმად, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა ტარდება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი ან თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით; თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მომსახურების მომწოდებლისგან ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ; საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4

ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება სსსკ-ის 143²–143¹⁰ მუხლების დებულებები.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით, მე-20, 93-94-ე, 136-ე, 143²–143¹⁰ მუხლებით და დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა.

ანალოგიური საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობას, სასამართლო განიხილავს განსხვავებული წესით, თუ ინფორმაციის გამოთხოვას ითხოვს დაცვის მხარე. ასე მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 მაისის №4091 განჩინების თანახმად, სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და დააკმაყოფილა დაცვის მხარის – ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ.

სასამართლოს შეფასებით, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევად მიიჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული რიგი მუხლები (136.1 და 136.4) და მის, 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაში N1/1650.699 „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა შემდეგი: „უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“ აღნიშნული კონსტიტუციური ნორმით დეკლარირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ მოიცავს სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ არაერთ საპროცესო გარანტიას. „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად – ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს.“

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანია სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II, 27). იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოს ე. წ. ლეგალურ სუბსიდიარულ აქტივობას, მხარეს უნდა ჰქონდეს საქმის წარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულების იმ პირობებში მოპოვება-წარდგენის და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრული შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში.

სასამართლოს შეფასებით, საკონსტიტუციო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ბრალდების მხარე და დაცვის მხარე კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებებში თანასწორ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებული.

გამომდინარე იქიდან, რომ დაცვის მხარე აღჭურვილია უფლებით თვითონ ჩაატაროს გამოკითხვა, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი თუ კონკრეტული ნივთი, დანიშნოს ექსპერტიზა და ა. შ. მას ასევე, უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოითხოვოს კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-7 და მე-11 ნაწილებით, 23-ე, 39-ე, 44-ე, 93-94-ე, 111-ე, 112-ე, 136-ე მუხლებით და დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა.⁴

სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ სასამართლო დაცვის მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, განიხილავს საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი ზოგადი წესით, ხოლო ბრალდების მხარის მიერ ანალოგიური შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, სასამართლო მოქმედებს ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი წესით, რაც არალოგიკურია. ამას ემატება ისიც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი წესით მოპოვებული მტკიცებულებები გარკვეულ ეტაპამდე, მიუწვდომელი ხდება დაცვის მხარისთვის, რითაც ირღვევა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.

სისხლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობა გულისხმობს უპირველესად, მხარის უფლებას იყოს მოსმენილი და ასევე, სამართალწარმოების წარმართვას დაცვის, ბრალდების და მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნის პირობებში, სადაც სასამართლო ასრულებს მედიატორის როლს, შეზღუდულია მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებით და მისი შინაარსობრივი ჩართულობა საქმის გარემოებების გამორკვევაში მინიმალისზე უფროა. შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე იმისდა მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს ჰქონდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც უპირველესად, გულისხმობს როგორც უფლებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე ამავე მიზნით, უფლებას მტკიცებულების მოპოვებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სსსკ-ის 136-ე მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა შესაცვლელია. ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებას უნდა მოესხნას სპეციალური ნორმებით რეგულირების შეზღუდვა და ინფორმაციის გამოთხოვა (ორივე მხარისთვის) ხდებოდეს სსსკ-ით დადგენილი საერთო წესებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სასამართლო მხარეებს დაავალდებულებს, რომ ინფორმაციის გამოთხოვისას იმოქმედონ სსსკ-ის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ვერ იქნება დაცული და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აზრს დაკარგავს.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 10 მაისის 1გ/644 განჩინება.
- ² იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის N1გ/337-17 განჩინება.
- ³ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
- ⁴ იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 მაისის N4091 განჩინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 26 აპრილის 1გ/595-17 განჩინება;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 24 მარტის 1გ/419-17 განჩინება;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 10 მაისის 1გ/644-17 განჩინება;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 25 იანვრის 1გ/109-17 განჩინება;
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 6 აპრილის 1გ/476-17 განჩინება;
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 24 მარტის 1გ/419-17 განჩინება;
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის 1გ/656-17 განჩინება;
11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის 1გ/601-17 განჩინება;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 09 მარტის 1გ/337-17 განჩინება;
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 მაისის N4091 განჩინება;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინება.

ANALYSIS OF JUDICIAL PRACTICE ON REQUESTING A DOCUMENT OR INFORMATION

GIORGI SVIANADZE

*PhD Student of the Georgia Technical University,
Consultant at the Tbilisi City Court*

This paper analyses the Article 136 of the Criminal Procedure Code and the related judicial practice.

With its decision N1/1/650,699 dated January 27, 2017, the Constitutional of Georgia ruled that the normative contents of the part 1 and 4 of the Article 136 of the Criminal Procedure Code of Georgia were unconstitutional. In accordance with these provisions, the defence did not have the right to file a motion with a court for a ruling to request a document or information stored in a computer system or computer data storage devices. The court evaluates that this provision is in conflict with the paragraph 3 of the Article 40 and the paragraphs 1 and 3 of the Article 42 of the Constitution of Georgia.

The analysis of judicial practice reveals that the common courts were not consistent in interpreting the above-mentioned decision of the Constitutional Court. Namely, there is no uniform answer to the question about how to conduct an investigative action related to computer data. Some judges consider that for requesting information the parties should be guided by the requirements stipulated in the Article 136 of the CPCG, but should not consider the reservation of the part 4 of this provision about covert investigative actions. Other judges, however, think that the request of information stored in a computer system should necessarily take place in adherence to the articles 143²-143¹⁰.

The article provides specific examples from the judicial practice and presents reasoning about at what extent the practice that has developed in regards to the 136 of the CPCG meets the content of the decision of the Constitutional Court of Georgia.

ანდერძი და სამკვიდრო ქონება

ეკატერინე ნანდოშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

ანდერძი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება-სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე, საქართველოში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „აღთქუმა.“¹უმეტესად, მართალია, პირთა შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.¹ სამემკვიდრეო ურთიერთობათა ფართოდ განვითარებაში „ანდერძის“ საყოველთაოდ დამკვიდრება განაპირობა. მისი ზოგადი ცნება განსაზღვრულია ივანე ჯავახიშვილის მიერ, რომლის მიხედვითაც, „ჩვეულებრივ, განსაცდელის მოლოდინში მყოფის ან მომაკვდავის, სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელის ნების გამოცხადებას ანდერძი ეწოდება.“² იგივე მნიშვნელობითაა ანდერძი განმარტებული იოანე ბაგრატიონისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონებში.

ანდერძის აღნიშნულ ცნებას ეყრდნობა თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის მიხედვით, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.“ ამ ნორმაში ანდერძის რამდენიმე სპეციფიკურ თავისე-

ბურებაზეა ყურადღება გამახვილებული. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძი არის მამკვიდრებლის ნების გამოხატვის აქტი სიკვდილის შემთხვევაში, მისი ქონებრივი აქტივისა და პასივის სხვა პირებისათვის გადაცემის შესახებ. მასში ნათლადაა გამოხატული მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს – იქნება იგი კანონით მემკვიდრეთა წრიდან თუ სრულიად უცხო. არავის არა აქვს უფლება გავლენა მოახდინოს მამკვიდრებლის შინაგან ნებაზე, რომლის გარეგანი გამოხატულება ანდერძში კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. ანდერძის თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მამკვიდრებელს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს ანდერძი, შეცვალოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ და სხვ. ნების თავისუფალი გამოხატვის ფართო შესაძლებლობების გამო, ლიტერატურაში ანდერძს მამკვიდრებლის იმპერატიულ განკარგულებადაც მიიჩნევენ.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი გარიგებაა. ანდერძში რადგან ერთი პირის ნებაა გამოხატული, იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებულ და კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. იგი ისეთი ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც უპირატესობას მესამე პირებს ანიჭებს.³ ერთი პირის – მონადერძის მიერ გამოვლენილი ნება აუცილებელი და საკმარისია საანდერძო განკარგულებისათვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად.⁴ ანდერძის ცალმხრივობას ისიც განაპირობებს, რომ მისი ნამდვილობისათვის არ არის საჭირო სხვა პირის წინასწარი ნების თანდამთხვევა. საკმარისია მხოლოდ მონადერძის ნება. ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მონადერძემ. მართალია, ზოგჯერ წერა-კითხვის არცოდნის ან ფიზიკური ნაკლის გამო, მას ანდერძის შედგენის პროცესში ეხმარება მესამე პირი, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ პირის ნების ანდერძში ჩართვას. ყველა შემთხვევისათვის, არ შეიძლება ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით. მონადერძის ნების ნამდვილობის გარანტირებულობის აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონმდებელი მას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა. კანონით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებლის მიმართ მსგავსი მოთხოვნები არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის მიხედვით, მონადერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. სრულწლოვანება თავისთავად არ ნიშნავს ქმედუნარიანობას. შეიძლება პირი სრულწლოვანი იყოს, მაგრამ ქმედუნარო. ამიტომ მას ანდერძის შედგენა არ შეუძლია. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით პირს 18 წლის ასაკში წარმოეშობა. მხოლოდ სრულწლოვანების პერიოდში აქვს პირს თავისი მოქმედების გონივრული განსჯისა და ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ამიტომ ანდერძის შედგენის მომენტში პირი ერთდროულად უნდა იყოს სრულწლოვანიც და ქმედუნარიანიც.⁵

პირმა შეიძლება ანდერძის შედგენის შემდეგ დაკარგოს ქმედუნარიანობა. ეს ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ მოახდენს. მაგრამ ქმედუნარიანი პირი, თუ ანდერძის შედგენის მომენტში ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან სულიერი განცდის პირობებში გონივრულად ვერ განსჯის და ნათლად ვერ გამოხატავს თავის ნებას, შეიძლება ანდერძის გაბათილების საკითხი დადგეს. ამ დროს არაა აუცილებელი მონადერძის ქმედუნაროდ სასამართლო წესით აღიარება. სასამართლომ იმაზე უნდა იმსჯელოს, შეიძლებოდა თუ არა ასეთ პირობებში მონადერძეს თავისი ნება უხარვეზოდ გამოევიდინა.

სამოქალაქო კანონმდებლობის სრული ქმედუნარიანობა პირმა შეიძლება 18 წლის ასაკამდეც შეიძინოს. მაგალითად, დაქორწინების შემთხვევაში, პირი 16 წლიდან შეიძლება იყოს სრული ქმედუნარიანი. დაქორწინებულ არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში. მას შეუძლია ანდერძის შედგენაც. მაგრამ, რაც შეეხება არასრულწლოვანის ემანსიპაციის საკითხს, საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის სფეროში, იგი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, თუ კანონიერი წარმომადგენელი 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან შეწყვეტის მიმართაც. რა ფართოდაც არ უნდა იქნას წარმომადგენელი ასეთი არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა, იგი მაინც არ ცდება სამეწარმეო ურთიერთობების ფარგლებს. სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში იგი, ჩვეულებრივ, შეზღუდულ ქმედუნარიან პირად რჩება. ამიტომ მას არა აქვს უფლება შეადგინოს ანდერძი.

ანდერძში, როგორც ცალმხრივ გარიგებაში, მხოლოდ ერთი პირის ნება უნდა იყოს გამოვლენილი. მოანდერძე, თავის ქონებაზე ან თავის წილზე საერთო საკუთრებაში, აკეთებს შესაბამის განკარგულებას. აქედან გამომდინარე, არ დაიშვება ორი ან მეტი პირის ერთობლივად ანდერძის შედგენა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ერთი გამონაკლისი. მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ არა იმაზე, რომ ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მათი თანაბიარი საკუთრება გადაეცეს სხვა რომელიმე პირს, არამედ ურთიერთმემკვიდრეობაზე. ერთი მეუღლის გარდაცვალებისას, მეორე მეუღლე უნდა ჩაითვალოს მის მემკვიდრედ. დანარჩენ მემკვიდრეებს ფაქტობრივად ერთმევათ მემკვიდრეობის უფლება. ეს არის ანდერძში გამოხატული შეთანხმება ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის შესახებ. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმებულ იქნას ორივე მეუღლის ნებით. ეს ლოგიკურიცაა. შესაძლებელია ერთობლივი ანდერძის გაუქმება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნითაც. მაგრამ ეს აუცილებლად ორივე მეუღლის სიცოცხლეში უნდა მოხდეს. ანდერძი, როგორც ქონების განკარგვის აქტი, განსხვავდება მსგავსი შინაარსის შემცველი ჩუქებისაგან.⁶ ბევრი ქვეყნისა და მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ქონების ჩუქება სხვა პირებისათვის გამჩუქებლის სიკვდილის შემთხვევისათვის. ასეთი გარიგება ბათილია და არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და იგი ანდერძის ნაირსახეობადაც არ მიიჩნევა.

სამკვიდრო ქონება

ანდერძის, როგორც გარიგების ცალმხრივობა, განაპირობებს მოანდერძის ფართო უფლებამოსილებებს სამკვიდრო ქონების განკარგვის სფეროში. ამ დროს საჭირო არ არის იმ პირის თანხმობა, ვის სასარგებლოდაც ხდება ანდერძის შედგენა. მოანდერძე არა მარტო ირჩევს მემკვიდრეს, არამედ მასზე გადასაცემი ქონების ოდენობასაც განსაზღვრავს. არა აქვს მნიშვნელობა მემკვიდრედ ერთი

პირია დანიშნული თუ რამდენიმე. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ანდერძი შეიძლება შეეხოს როგორც მთელ სამკვიდრო ქონებას, ისე მის ნაწილს. სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არეგულირებს ამ სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. 1348-ე მუხლის მიხედვით, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდრო ქონებიდან ან მიუთითოს თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. მაგალითად, თუ მოანდერძეს აქვს საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი და ჰყავს ანდერძით დანიშნული ორი მემკვიდრე – მას შეუძლია ერთს უანდერძოს მთელი ქონების 40%, მეორეს კი – 60%. ასევე შესაძლებელია ერთს დაუტოვოს საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორეს – ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი. მაგრამ, თუ ანდერძში არც წილია განსაზღვრული და არც კონკრეტულ ქონებაზეა მითითება, მაშინ მთელი სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. მოცემულ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ღირებულებას დაემატება ფულადი დანაზოგის ოდენობა და შუაზე გაიყოფა.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი პირის წილია განსაზღვრული, დანარჩენისა კი არა. ამ დროს დანარჩენი მემკვიდრეები თანაბრად მიიღებენ წილით განსაზღვრულ ქონებას. მაგალითად, თუ მოანდერძემ სამკვიდროს ნახევარი უანდერძა შვილიშვილს, მაშინ მეორე ნახევარი თანაბრად განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებად დანიშნულ მეუღლესა და შვილს შორის.

თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული და ერთ-ერთი მემკვიდრისათვის განსაზღვრული ქონება მთელ სამკვიდროს მოიცავს, მაშინ ყველა ანდერძით მემკვიდრემ თანაბარი წილი უნდა მიიღოს ე. ი. ანდერძით ერთი მემკვიდრის მიმართ განსაზღვრული წილი მხედველობაში არ მიიღება და მთელი სამკვიდრო თანაბრად გაიყოფა ყველა მემკვიდრეს შორის.

ბოგჯერ ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს. ანდერძით მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონების გარდა, მამკვიდრებელს რჩება სხვა ქონებაც. ასეთ ქონებას, ჩვეულებრივ, ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებას უწოდებენ.⁷ იგი უნდა განაწილდეს კანონით მემკვიდრეებს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 1350-ე მუხლის საფუძველზე, ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მემკვიდრეობაზე შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს იმ მემკვიდრეს, რომელმაც სამკვიდროს ნაწილი უკვე მიიღო ანდერძის საფუძველზე, მაგრამ ამავე დროს, კანონისმიერი მემკვიდრეც არის.

ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება შესაძლებელია ანდერძით მემკვიდრეებს შორისაც განაწილდეს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მოანდერძეს არა ჰყავს კანონისმიერი მემკვიდრეები, ხოლო ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება მთლიანად არ ამოწურავს სამკვიდროს.

ანდერძი მამკვიდრებლის შინაგანი ნების გამოხატვის უშუალო და საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ სავესებით ლოგიკურია კანონის მითითება იმაზე, რომ მოანდერძეს უფლება არა აქვს სხვას მიანდოს მემკვიდრის დასახელება, ანუ მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძში დაასახელოს პირი, რომელსაც დაევალება იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს სამკვიდრო და რა რაოდენობით. ეს თვითონ მოანდერძემ უნდა გააკეთოს. ამასთან, შეუძლებელია ანდერძით მემკვიდრის დანიშვნა ისე, რომ არ იყოს მითითებული მისი სახელი და გვარი. მაგალითად, ანდერძში ჩაიწერა იმის შესახებ, რომ სამკვიდრო

ქონება ან მისი ნაწილი უნდა გადაეცეს ორიდან ერთ ძმისშვილს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია ანდერძში მიეთითოს, კონკრეტულად თუ რომელი ძმისშვილი არის მემკვიდრე. ამ უკანასკნელის მშობელი არ შეიძლება განხილულ იქნას იმ პირად, რომელსაც მოანდერძემ მემკვიდრის დანიშვნის უფლება მისცა. იგი საერთოდ არ მონაწილეობს სამემკვიდრეოსამართლებლივ ურთიერთობაში.

სხვა ვითარებაა მაშინ, როდესაც მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ზოგადი ნიშნებით, რომლებიც დამახასიათებელია რამდენიმე პირისათვის და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი პირი ჰყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 1353-ე მუხლის საფუძველზე, ყველა მათგანი ჩაითვლება მემკვიდრედ თანაბარი წილის უფლებით. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა ანდერძში მიუთითა, რომ თავის ქონებას გადასცემს შვილიშვილს, მაგრამ არ დააკონკრეტა კერძოდ რომელს – თავისთან მცხოვრებ თუ სხვა ქალაქში მცხოვრებ შვილიშვილს, მაშინ მემკვიდრედ ჩაითვლება ორივე შვილიშვილი და ანდერძში მითითებული სამკვიდრო ქონება მათ შორის თანაბრად გაიყოფა.

რადგან მამკვიდრებლის ნება-სურვილზე დამოკიდებული, თუ ვის დანიშნავს ანდერძით მემკვიდრედ, ბუნებრივია, რომ მას შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებული არ არის ანდერძში მიუთითოს ამის მოტივზე. მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრეებისათვის ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი გზით: ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ ამა თუ იმ კანონით მემკვიდრისათვის, ან ყველა მათგანისათვის გვერდის ავლით. პირველ შემთხვევაში ანდერძში მიეთითება მაგალითად, იმის შესახებ, რომ შვილებს ერთმევა ანდერძით მემკვიდრეობის უფლება და მთელი სამკვიდრო რჩება მეუღლეს. პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე იქნება იმ ქონებაზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე ვერ იქნება იგი კანონით მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მეორე შემთხვევაში სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მითითებული არ არიან ანდერძში, ვერ მიიღებენ მემკვიდრეობას ანდერძში აღნიშნული სამკვიდროდან, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეეხება. ისინი აგრეთვე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლები არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან ყველა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ამ დროს, ბუნებრივია, აზრს კარგავს საანდერძოსამართლებრივი ურთიერთობა და მამკვიდრებლის მთელი ქონება გადადის კანონით მემკვიდრეებზე.

მოანდერძის შინაგანი ნების შეუვალობის დამადასტურებელია სამოქალაქო კოდექსის 1356-ე მუხლის შინაარსი. მასში აღნიშნულია, რომ თუ ანდერძით მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებული იყო ანდერძით მემკვიდრეებს შორის, მაგრამ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ერთ-ერთი მემკვიდრე ცოცხალი არ არის, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა კი არ წარმოიშობა, არამედ იგი ანდერძში მითითებულ სხვა მემკვიდრეებს შორის განაწილება თანაბრად. იგივე შედეგი დადგება მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებიდან ერთ-ერთმა მათგანმა უარი თქვა მისი წილის მიღებაზე, მაგრამ არ მიუთითა, თუ ვის სასარგებლოდ თქვა უარი სამკვიდროს მიღებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში, გარდაცვლილი ანდერძისმიერი მემკვიდრის ან ცოცხალი, მაგრამ თავისი წილის უარმყოფელი

პირის სანაცვლოდ კანონით მემკვიდრეთა მოწვევა მემკვიდრეობის მისაღებად, მოანდერძის ნების საწინააღმდეგო იქნებოდა. მამაკვიდრებელს სურვილი, რომ ჰქონოდა თავისი ქონების ნაწილი კანონით მემკვიდრეებისთვისაც დაეტოვებინა, მაშინ ანდერძში იგი მთელ სამკვიდრო ქონებას არ შეიტანდა და ანდერძით მემკვიდრეებს შორის არ გაანაწილებდა. სულ სხვა შემთხვევაა, როცა მოანდერძემ მთელი სამკვიდრო ქონება გაანაწილა ანდერძით მემკვიდრეებს შორის, მაგრამ ერთ-ერთი ან რამდენიმე ანდერძით მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ამ დროს იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც გაბათილდა ანდერძი, სხვა ანდერძისმიერ მემკვიდრეებს შორის კი არ განაწილდება, არამედ გადავა კანონისმიერ მემკვიდრეებზე.

ამ უკანასკნელთ შეიძლება ანდერძით განკარგულ ქონებაზე სხვა სამართლებრივი საფუძვლითაც წარმოეშვათ განსაზღვრული უფლება (სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის მეექვსე თავი).

მოანდერძის სურვილის მაქსიმალურად გათვალისწინების დასტურია, სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნის შესაძლებლობა. ეს განპირობებულია იმით, რომ მოანდერძემ არ შეიძლება წინასწარ იცოდეს მემკვიდრედ დანიშნული პირის სიცოცხლის ხანგრძლივობა ან სამკვიდრო ქონებასთან მისი ურთიერთობის ფსიქიკურსამართლებრივი საფუძვლები. შეიძლება ანდერძით დანიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალოს, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე ან ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება. ასეთი შემთხვევისათვის მოანდერძე გარანტირებული უნდა იყოს მისი ნების შემდგომი რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმით. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლის საფუძველზე, მოანდერძეს უფლება აქვს ძირითად მემკვიდრესთან ერთად, დაასახელოს მემკვიდრის მემკვიდრე, ანუ სათადარიგო მემკვიდრე იმ შემთხვევისთვის, თუ მის მიერ დანიშნული ძირითადი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, არ მიიღებს სამკვიდროს, ან სასამართლო წესით ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. მოანდერძის ამ უფლების განხორციელებას არ სჭირდება რაიმე დამოუკიდებელი ფორმით გამოხატვა. ანდერძში შეიძლება მიეთითოს როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო მემკვიდრის შესახებ. სამოქალაქო სამართლის თეორიაში სამკვიდრო ქონების გადასვლას ძირითადი მემკვიდრიდან სხვა პირზე, სუბსტიტუცია ეწოდება.³ არსებობს ორდინალური და ფიდეიკომისარული სუბსტიტუცია. საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს მხოლოდ ორდინალური სუბსტიტუციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია, ანდერძით ძირითად მემკვიდრესთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებისათვის, დაინიშნოს სათადარიგო მემკვიდრე. ეს უკანასკნელი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ჩაენაცვლება ძირითად მემკვიდრეს. ფიდეიკომისარული სუბსტიტუციის მოანდერძე, რომელმაც დაინიშნა მემკვიდრე, განსაზღვრავს არა მარტო მისგან მემკვიდრეზე ქონების გადასვლის საკითხს, არამედ ასეთი ქონების შემდგომ ბედსაც. იგი ანდერძში მიუთითებს იმ პირს, რომელზეც უნდა გადავიდეს ქონება სამკვიდროს მიღები მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ. გამოდის, რომ მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო სამკვიდრო ქონება, თავისი სურვილით ვერ განკარგავს მას გარდაცვალების შემთხვევისათვის. ამიტომ ეს პრინციპი ქართულმა კანონმდებლობამ უარყო.

სათადარიგო მემკვიდრედ შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად აქვს სამემკვიდრეო უფლებაუნარიანობა. არა აქვს მნიშვნელობა

კანონით მემკვიდრეთა წრიდან იქნება იგი თუ სხვა, ფიზიკური პირი იქნება თუ იურიდიული. მას არჩევს და ნიშნავს მხოლოდ მოანდერძე.

ანდერძის ფორმა

მამკვიდრებლის საანდერძო ნება გამოვლენილ უნდა იქნას კანონით დადგენილი ფორმით. აუცილებელი ფორმის დაუცველობა ანდერძის გაბათილების საფუძველს წარმოადგენს. ისტორიულად, ანდერძის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმებია ცნობილი. პირველად ზეპირი ფორმა აღმოცენდა.⁹

თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს. ამასთან, ეს ფორმა იმდენად მრავალი კუთხითაა წარმოდგენილი, რომ ტრადიციული ზეპირი ანდერძის საჭიროებას აშკარად გამოირიცხავს. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის – თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონთან. კერძოდ, 2014 წლის 19 თებერვალს, „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლი (სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული) ამოღებული იქნა. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული აღარ ასრულებს სანოტარო მოქმედებებს.

ხარვეზულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, ანდერძი შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. კერძო აქტის ფორმით ანდერძის შედგენისას, ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ანდერძზე მოანდერძის ხელმოწერის ნამდვილობას და მის შინაარსზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ანდერძის ასეთი ფორმით დამოწმება არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. შესაბამისად, სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია ანდერძი, ნოტარიუსის მიერ კერძო აქტის ფორმით არ დამოწმდეს. ამასთან, არ არის დადგენილი სანოტარო რეესტრის (რომელიც იწარმოება ელექტრონული ფორმით) რომელ ტიპში უნდა გატარდეს კერძო აქტის ფორმით შედგენილი ანდერძი.

სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიულად და როდის არაა საჭირო ამის გაკეთება. ამ საკითხს წყვეტს თვითონ მოანდერძე. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილ და ხელმოწერილ იქნას მოანდერძის მიერ და დადასტურებულ იქნას ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ.

როცა ანდერძი დგება სანოტარო დადასტურების გარეშე, წერილობით ანდერძზე მამკვიდრებლის ხელმოწერას სანოტარო წესით დამოწმება არ სჭირდება.

სანოტარო წესით დასამოწმებელი ანდერძი შეიძლება ორნაირი წესით შედგეს. ერთი, როცა ანდერძს დამოუკიდებლად ადგენს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი და მეორე, როცა ანდერძს

მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწეროს ხელი. ანდერძის ჩაწერისას შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. ამ გზით ჩაწერილი ანდერძი ქალაქში უნდა იქნას გადატანილი. მოანდერძესთან ერთად ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა და მოწმეებმა. ანდერძში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, რომ მისი ჩაწერა ხდებოდა კონკრეტული მოწმეების თანდასწრებით.

მართალია, ანდერძის დადასტურება ნოტარიუსის პრეროგატივას წარმოადგენს, მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ ადგილზე ან ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფ მოანდერძეს არა აქვს შესაძლებლობა მიმართოს ნოტარიუსს. მას კი დამოწმებული ანდერძი მეტი სიმშვიდის საფუძველს აძლევს. სწორედ ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებს კანონი და განსაზღვრულ პირებს აძლევს ანდერძის დამოწმების შესაძლებლობას. ანდერძის დამოწმებისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან:

- ა. საავადმყოფოს, ჰოსპიტალისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო დარგში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;
- ბ. საძიებო, გეოგრაფიული ან სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;
- გ. გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;
- დ. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური, თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;
- ე. თავისუფლების აღკვეთის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

ჩამოთვლილი თანამდებობის პირები ნოტარიუსს მხოლოდ ანდერძის დამოწმებაში უთანაბრდებიან და არა სხვა სახის სანოტარო მოქმედების შესრულებაში. თანაც მათ ნებისმიერი მოანდერძის ანდერძის დამოწმების უფლება კი არა აქვთ, არამედ მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირებისა, რომლებსაც ობიექტურად არსებული მიზეზების გამო არ შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს.

სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლი ხარვეზულია, ვინაიდან ანდერძის დამოწმებისას, ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირთა შორის არ მოიხსენიებს კონსულებსა და საკონსულო დაწესებულებებს. ამ მუხლისაგან განსხვავებით საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის „ნოტარიატის შესახებ“¹⁰ (მუხლი 42-ე) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს უფლებას ანიჭებს სანოტარო მოქმედებების (მათ შორის, ანდერძების) შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში, ეს წინააღმდეგობა

სამოქალაქო კოდექსსა და ნოტარიატის შესახებ კანონს შორის უნდა გადაწყდეს ნოტარიატის შესახებ კანონის სასარგებლოდ, ვინაიდან იგი არის სპეციალური კანონი, თანაც უფრო ახალია, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად, ანდერძების დამოწმებისას ნოტარიუსს ასევე, უთანაბრდებიან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საკუთარი მოქალაქეების მემკვიდრეობითი უფლებების დაცვაში და ასევე, მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების შეუზღუდავად განკარგულების შედგენა-დამოწმებაში.

ამასთან, ზემოაღნიშნულ პირებს სანოტარო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში („ნოტარიატის შესახებ“ კანონის 42-ე, 43-ე მუხლები). დღეის მდგომარეობით, ელექტრონულ სანოტარო რეესტრი ჩართული აქვს მხოლოდ პენიტენციალური დაწესებულების დირექტორს და კონსულს.

მოანდერძეს, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, თუ არ შეუძლია ანდერძზე ხელის მოწერა, მისი თხოვნით შესაძლებელია ეს გააკეთოს სხვა პირმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. მოანდერძის ნაცვლად ანდერძზე ხელის მოწერა შეუძლია ნებისმიერ პირს, გარდა იმისა ვის სასარგებლოდაც არის შედგენილი იგი. იგულისხმება, რომ თვით ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრებული პირები აგრეთვე, მოწმეები ამ ფუნქციას ვერ შეასრულებენ. მოანდერძის ნაცვლად ხელმომწერ პირს უფლება აქვს გაეცნოს ანდერძის შინაარსს.

გარკვეული თავისებურებები ახასიათებს ყრუ-მუნჯისა და ბრმა პირის ანდერძების გაფორმებას. ამიტომ კანონმა დამატებითი პირობები გაითვალისწინა. სამოქალაქო კოდექსის 1361-ე მუხლის მიხედვით, თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია და ამავე დროს, წერა-კითხვის უცოდინარიც, მან საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შესაბამეა მოანდერძის ნებას. მოანდერძემ, რომელიც ბრმა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით. ამის შესახებ უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი და უნდა წაეკითხოს მოანდერძეს. ჩამწერი და წამკითხველი, სხვა პირების მსგავსად, შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი ამავე დროს, არ უნდა იყოს წამკითხველიც. ჩანაწერში მითითებული უნდა იქნას თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა. ასეთი დოკუმენტი სრულფასოვანი ანდერძია.

გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ისეთი შემთხვევები, როცა აღმოჩნდება, რომ ნოტარიუსმა ან მათთან გათანაბრებულმა თანამდებობის პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია ანდერძი. ასეთ დროს საჭიროა მთარგმნელის მოწვევა. მან უნდა თარგმნოს ანდერძის ტექსტი და თარჯიმნობაც გასწიოს ანდერძის დადასტურების პროცესში. მთარგმნელის ვინაობისა და მისი მოწვევის საფუძვლის შესახებ ანდერძში უნდა გაკეთდეს სპეციალური აღნიშვნა.

ანდერძის სიმტკიცის მნიშვნელოვან საფუძველს მასში მოწმეთა მონაწილეობა წარმოადგენს. ანდერძის მოწმედ შეიძლება ნებისმიერი პირი გამოვიდეს. ამასთან, კანონი განსაზღვრავს პირთა იმ წრეს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ანდერძის მოწმეები. უპირველეს ყოვლისა, მათ რიგს მიეკუთვნება არასრულწლოვანი და ქმედუუნაროდ აღიარებული პირი. ეს გასაგებიცაა, მათი ფიზიკური

და ფსიქიკური მდგომარეობა ანდერძის სანდოობას ვერაფერს შემატებს. ასევე, გამორიცხულია იმ პირთა მოწმობა, რომელთაც შესაძლებელია ანდერძში მატერიალური ინტერესები ჰქონდეთ. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები, როგორც დაღმავალი, ისე აღმავალი ხაზით აგრეთვე, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები. ჩამოთვლილ პირთა წრე განსაზღვრულია და არ შეიძლება მისი გაფართოება. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მართალია, კანონი გვერდითი ხაზის ნათესავებიდან აკრძალვას მხოლოდ დებისა და ძმების მიმართ ავრცელებს, მაგრამ აქ იგულისხმებიან ამ უკანასკნელის ნათესავებიც.¹¹

სანოტარო წესით ანდერძის დადასტურება ყოველთვის არაა სავალდებულო. შესაძლებელია წერილობითი ანდერძის შედგენა სანოტარო დადასტურების გარეშეც. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მას შინაურული და დახურული ანდერძის სახეებით წარმოადგენს.

შინაურული ეწოდება ისეთ ანდერძს, რომელიც მოანდერძემ თავისი ხელით დაწერა და ხელიც თვითონვე მოაწერა. ასეთი ანდერძი ინახება მოანდერძესთან და მას სრული იურიდიული ძალა აქვს. აგრეთვე, შესაძლებელია ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადაეცეს ნოტარიუსს ან მასთან გათანაბრებულ შესაბამის თანამდებობის პირს. კანონი ასეთი შემთხვევისათვის აწესებს ფორმალურ მოთხოვნას. გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მოწმე და ისინი კონვერტზე ხელმოწერით უნდა ადასტურებდნენ ამ ფაქტს. ნოტარიუსისათვის ანდერძის ოფიციალური მიბარება მისი შენახვის გარანტირებულ უზრუნველყოფას წარმოადგენს. მოანდერძესთან ან მის ახლობელთან ანდერძის შენახვას მისი დაკარგვის, გაფუჭების ან მოსპობის გარკვეული რისკი ახლავს. ამიტომ, უმჯობესია, შინაურული ანდერძი ინახებოდეს იმ პირთან, რომლისთვისაც ეს ფუნქცია მისი საქმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში¹² საქმეზე N ას-1563-1563-2011 სკ-ის 1364-ე მუხლის განმარტებისას აღნიშნულია: „ანდერძი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა მას, სრული იურიდიული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა, რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.“

დახურულია ანდერძი, როცა იგი შედგენილია პირადად მოანდერძის მიერ და დადასტურებულია მოწმეების მიერ მისი შინაარსის გაუცნობლად. იგულისხმება, რომ მოწმეები ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. კანონის ფორმალური მოთხოვნა, რომ მოწმეები ესწრებოდნენ მოანდერძის მიერ ანდერძის პირადად შედგენას, მაგრამ ანდერძის შინაარსს არ გასცნობიან, ასახულ უნდა იქნას ანდერძის დადასტურებისას. მოწმეების მოწვევა მოანდერძის სურვილზეა დამოკიდებული. შინაურული ანდერძისაგან განსხვავებით, მოწმეები დახურული ანდერძის შედგენის ფაქტს ადასტურებენ. მოანდერძის სურვილზეა აგრეთვე დამოკიდებული, ანდერძის შინაარსს გააცნობს თუ არა მოწმეებს. თუ მოწმეები ანდერძის შინაარსს გაეცნობიან, მაშინ ანდერძი დახურული არ იქნება და შინაურული ანდერძის სახეს მიიღებს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სკ-ის 1367-ე მუხლის განმარტებისას, მართებულიად არის აღნიშნული: „სამოქალაქო კოდექსის 1367-ე მუხლში ნახმარი გამოთქმა „ანდერძის დადასტურება“ მოწმეთა მიერ შესასრულებელ მოქმედებას უფრო ეხება, ვიდრე ნოტარიუსის, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ დახურული ანდერძი სანოტარო წესითაც იყოს

დამოწმებული. სამოქალაქო კოდექსის 1367-ე მუხლი ანდერძის ალტერნატიულ ფორმას გვათავაზობს, რაც გულისხმობს, რომ მოანდერძეს შეუძლია შეადგინოს შინაურული ანდერძი მოწმეთა თანდასწრებით, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ანდერძი შეადგინა პირადად მოანდერძემ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გაცნობიან მის შინაარსს. ეს არ ეწინააღმდეგება მარტივი წერილობითი ფორმის ანდერძს და ნოტარიუსმაც მემკვიდრეების მიერ წარდგენილ ასეთ ანდერძს შინაურული ანდერძის მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. ხოლო თუ მოანდერძემ ამავე წესით შესრულებული ანდერძის სანოტარო წესით დამოწმება მოითხოვა, ნოტარიუსმა უნდა დაამოწმოს იგი.¹³

ნებისმიერი ფორმით შედგენილი ანდერძის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს თარიღი. ანდერძში მითითებული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ანდერძის ნამდვილობისათვის. თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას. გარდა ამისა მოანდერძეს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ან ნაწილობრივ შეცვალოს ანდერძი. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია მოანდერძის უკანასკნელი ნების გამოვლენის თარიღის დადგენა. შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს ანდერძის სიახლე, როცა მისი შედგენის თარიღი არ არის მითითებული, მით უმეტეს, თუ რამდენიმე ანდერძია შედგენილი.

ანდერძის საიდუმლოების დაცვასა და მისი შინაარსით დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის წესს ეხება სამოქალაქო კოდექსის 1363-ე და 1369-ე მუხლები. ანდერძის საიდუმლოების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი ცნობა ანდერძის შესახებ უნდა გაიცეს მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ. მანამდე კი, ნოტარიუსს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს აგრეთვე, სხვა პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები ანდერძის შინაარსის, მისი შედგენის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობას.

დასკვნა

1. ხარვეზულია სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლი, ვინაიდან ნორმაში ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან, გათანაბრებულ პირთა შორის არ არიან მოხსენიებულნი საკონსულო დაწესებულებები. არადა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველო იცავს თავის მოქალაქე ქვეყნის გარეთ. ამრიგად, საზღვარგარეთ მოანდერძეთა უფლებების დაცვა მოითხოვს შესაბამისი მექანიზმის არსებობას. საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი „ნოტარიატის შესახებ“ (მუხლი 42-ე) და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ კანონი საკონსულო დაწესებულებებს ანიჭებს ანდერძის დადასტურების (გაუქმების) უფლებას. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი მათთან წინააღმდეგობაში მოდის, რაც პრაქტიკაში შესაძლოა გარკვეული გაუგებრობის საფუძველი გახდეს. ცხადია, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის გადაჭრის მექანიზმს, მაგრამ აუცილებელია ამგვარი წინააღმდეგობების აღმოფხვრა. მოცემულ შემთხვევაში, ეს წინააღმდეგობა სამოქალაქო კოდექსსა და ნოტარიატის შესახებ კანონს შორის უნდა გადაწყდეს ნოტარიატის კანონის სასარგებლოდ, ვინაიდან იგი არის სპეციალური კანონი, თანაც

უფრო ახალია, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი შესაბამისად, ანდერძის დამოწმებისას ნოტარიუსს ასევე, უთანაბრდებიან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები.

2. ხარვეზულია სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლი, რომლის თანახმად, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის – თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონთან. კერძოდ, 2014 წლის 19 თებერვალს „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლი (სანოტარო მოქმედებები, რომლებსაც ასრულებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული) ამოღებული იქნა. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული აღარ ასრულებს სანოტარო მოქმედებებს.

3. ხარვეზულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, ანდერძი შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. კერძო აქტის ფორმით ანდერძის შედგენისას, ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ანდერძზე მოანდერძის ხელმოწერის ნამდვილობას და მის შინაარსზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ანდერძის ასეთი ფორმით დამოწმება არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. შესაბამისად, სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, ანდერძი ნოტარიუსის მიერ კერძო აქტის ფორმით არ დამოწმდეს. ამასთან, არ არის დადგენილი სანოტარო რეესტრის რომელ ტიპში უნდა გატარდეს კერძო აქტის ფორმით შედგენილი ანდერძი.

ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების (წინადადებების) შემუშავება და შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანა. ასევე აუცილებელია, პრაქტიკის განზოგადება და პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი – საანდერძო ურთიერთობათა სწორი კვალიფიკაციის მიზნით.

შენიშვნები:

- ¹ ქართული მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიის ფრაგმენტები აქ და ქვემოთაც მოტანილია ბესარიონ ზოიძის წიგნიდან „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი,“ თბ., 2000.
- ² ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ.VII, თბ., 1984, გვ. 276.
- ³ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 298.
- ⁴ Аверченко Н.Н., Наследствие по завещанию, Гражданское право, Учебник, под ред. А.П. Сергеева, Т. 3, М., 2012, 650.
- ⁵ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, 55.
- ⁶ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010.
- ⁷ შენგელია რ., შენგელია ე., დასახ. ნაშრომი, 65.
- ⁸ შენგელია რ., შენგელია ე., დასახ. ნაშრომი, 69.
- ⁹ Харитонов Е.О., История частного (гражданского) права Европы, Одесса, 1998, 268.
- ¹⁰ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=90928&lang=ge
- ¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე. თბ. 2000. გვ. 418.
- ¹² საქართველოს უზენაესი სასამართლო, www.supremecourt.ge
- ¹³ იხ.: სუხიტაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 250-251.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებული 1997 წელს;
3. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მიღებული 2009 წელს;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
5. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011;
6. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011;
7. ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010;
8. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000;
9. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ.VII, თბ., 1984;
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000;
11. სუხიტაშვილი დ., სანოტარო სამართალი, თბ., 2012;
12. Гражданское право, Учебник, под ред. А.П. Сергеева, Т. 3, М., 2012;
13. Харитонов Е.О., История частного (гражданского) права Европы, Одесса, 1998.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1577-1480-2012;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-632-919-04;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1412-1629-05;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-15-15-2012.

THE WILL AND INHERITANCE PROPERTY

EKATERINE NANDOSHVILI

PhD Student of the Law Faculty of the Georgia Davit Aghmashenebeli University

The article provides an overview of an institute such as the will and its essence, also discusses the forms and contents of the will, defines the legal nature of the will and its significance.

Current significance of the selected topic derives from numerous theoretical and practical problems related to the legacy through the will. The problems are mostly caused by imperfect provisions (legal norms) in the Civil Code of Georgia, their conflict with other legislative acts, improper regulation of some issues at the legislative level.

The author considers that we need to elaborate scientifically proved recommendations (proposals) for eliminating these loopholes, and to amend the respective norms. It is necessary to generalize the practice, analyze mistakes made in practice, and refine the notary and judicial practice.

The author suggests proposals in the article with the purpose of improving the specific norms in the Civil Code, which are pertinent to the notarized form of the will, the rights of persons equalized with notaries while certifying the will, and the gap in the Article 1359 of the Civil Code. The author has analyzed various legislative novelties, which have affected the civil and notary legislation.

მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში და მათი შეფასება

ელენე გერმანოვაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თითოეული მხარე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მტკიცებულებებს იყენებს და პირიქით, მტკიცებულებათა წარმოდგენითაა შესაძლებელი თავად პოზიციის ჩამოყალიბებაც. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეების შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზეა აგებული. საბჭოთა მიდგომისაგან განსხვავებით, დღეს უპირატესობა ენიჭება მხარეების მომხადებას, კვალიფიციურობას, ერთმანეთთან შეჯიბრებას; სწორედ მათ მიერ მტკიცებულებების მოპოვებისას გაწეულ სამუშაოზეა დამოკიდებული საქმის ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტა. წარსულისაგან განსხვავებით, დღესდღეობით, ლიბერალური და სამართლიანი მეთოდებით ხდება მტკიცებულებების შეფასება და მათი გამოყენება. შესაბამისად, შეიცვალა თავად მტკიცებულების ცნება და შინაარსი. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა განსაზღვრას უპირველესად, ჭეშმარიტების დადგენისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მტკიცებულების მიზნობრიობიდან გამომდინარე კი, დასაშვებია მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენის წყაროებიც ფიქსირებულია სათანადო წესით და კანონის ნორმათა დაცვით. მტკიცებულებათა ცნება და დანიშნულება სისხლის სამართალწარმოების პროცესში მთავარი ქვაკუთხედი და შესაბამისად, მისი არსისა და მნიშვნელო-

ბის მექონე საკითხების შესწავლაც მოცულობის თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი და შრომატევადია. თანამედროვე ეპოქაში, მნიშვნელოვანი გახდა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელზე დამყარებული პროცესი გულისხმობს, რომ წარმატების შანსი აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც მყარი პოზიციები და შესაბამისად, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გააჩნია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება მტკიცებულებების ცნებისა და არსის საკითხის სამართლებრივი შესწავლა.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა „მტკიცებულებას“ და „მტკიცებას“, შესაბამისად თავი, სადაც განხილულული იყო მტკიცებულებები, დასათაურებული იყო როგორც „მტკიცებულებანი და მტკიცება.“ ეს სწორიც იყო, რადგან მტკიცებულების ცნება განსხვავდება მტკიცების ცნებისაგან. მტკიცებულებად ითვლება სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტულად დადგენილი გარემოება მაგალითად, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა და სხვა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დადგინდეს პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, ხოლო მტკიცება ნიშნავს მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესს. სტატიიში ჩვენ განვიხილავთ სწორედ მტკიცებულებას და მის მახასიათებელ ნიშნებს.

მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისიძევეში და მათი ისტორიული დახასიათება

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლში მტკიცებულება დამოუკიდებელი სახის მნიშვნელოვან პრინციპადაა აღიარებული და მითითებულია, რომ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, რომ ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი კი, უნდა ემყარებოდეს ისეთ ერთმანეთთან შეთანხმებულ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრული ეჭვის მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. სსსკ-ის ამ მუხლის მოთხოვნების სრული დაცვა შეუძლებელი იქნება თუ სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული მტკიცებულებები და ობიექტურად შეფასებული.

მტკიცებულებას სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, სწორედ სასამართლოში საქმის განხილვა და შესაბამისად, მტკიცების პროცესი ემსახურება ისეთ მიზანს, როგორცაა საქმეზე არსებული მტკიცებულების შეფასება, მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი სწორედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს, ნაფიც მსაჯულებსაც უმარტავენ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, „მტკიცებულებაა კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის

სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი კი, მაშინ მიიჩნევა მტკიცებულებად, თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად კი, ითვლება ნებისმიერი წყარო, სადაც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით, ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.“

აღნიშნული მუხლი მტკიცებულების ცნებას და მის წყაროებს დეტალურად აღწერს და უთითებს, რომ ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია, საწყის ეტაპზე არ ითვლება როგორც მტკიცებულება და უტყუარად დადგენილი ფაქტი, არამედ ის აუცილებლად მოითხოვს მხარეების მიერ გადამოწმებას და გამოკვლევას. სასამართლომ კი, შეიძლება სრულიად სხვაგვარად შეაფასოს ის და არ მიიჩნიოს მტკიცებულებად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ გამოძიების დაწყების საბაბს და აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის შესახებ საბოლოო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სასამართლო განხილვის დასრულებისას, საქმესთან დაკავშირებით შეკრებილ დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რაღა თქმა უნდა, მათი შეფასების დროს. ამიტომ თითოეული მტკიცებულება განიხილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

საბჭოთა სისხლის საპროცესო სამართლის კურსის სახელმძღვანელოში, პროფესორი მ.ს. სტროგოვიჩი მტკიცებულებად მიიჩნევდა ყველა იმ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც კანონით იყო გათვალისწინებული და რომელიც პროცესუალური ფორმით ადგენდა ან უარყოფდა ყველა იმ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც ადგენს ან უარყოფს დანაშაულებრივ შემთხვევას, ამხელს ან ამართლებს პასუხისმგებაში მიცემულ პირს და ადგენს მათი პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხს.¹ მტკიცებულებების განმარტების თანახმად, მტკიცებულებათა გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებას, დგინდება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით. მტკიცებულებებს მოიპოვებენ და სასამართლოში წარადგენენ მხარეები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა,“ აღნიშნული ნორმა კი, მიუთითებს, რომ სწორედ სასამართლოში გაირკვევა იქნება თუ არა ის დასაშვები და ექნება თუ არა მას მნიშვნელობა საქმისათვის და მოახდენს თუ არა გავლენას სასამართლო გადაწყვეტილებაზე. მტკიცებულებებს წარადგენენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე, თუმცა საბოლოოდ, სასამართლო შეაფასებს და მიიღებს გადაწყვეტილებას.

პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობისათვის, სისხლის სამართლის საქმეში აუცილებელია მტკიცებულებების არსებობა. მტკიცებულებად მიიჩნევა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება თუმცა, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისად არ იქნება მიჩნეული მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. აღნიშნულს ასევე, უთითებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-40 მუხლის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, ბრალდების შესახებ დადგენილება და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და სასამართლოს წარედგინება

მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ მხარეებს.“

ასევე, მნიშვნელოვან მტკიცებულებად მიიჩნევა მოწმის ჩვენება თუმცა, ასეთ შემთხვევაში უტყუარად უნდა იყოს დადგენილი, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება არ ემყარება მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას, იძულებას, წამებას, მუქარას, დაშინებას ან მოსყიდვას. ზოგ შემთხვევაში, მოწმის ჩვენებებს აქვს არათანაბარი მნიშვნელობა, იმის მიხედვით თუ როგორი გზითაა მისგან მიღებული აღნიშნული ჩვენება. ასეთ დროს არ შეიძლება მხოლოდ ეს მტკიცებულება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

მტკიცებულებათა ცნებიდან გამომდინარე, ის მიღებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ „კანონით დადგენილი წესით.“ ე. ი. მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. საპროცესო სამართლის ამ ნორმას თეორიაში „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ უწოდებენ, რადგან სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ „კანონით დადგენილი წესით მიღებული ინფორმაცია“ მიიჩნევა მტკიცებულებად. რაც შეეხება საპროცესო კანონის ნორმის გვერდის ავლით მიღებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას, ის მტკიცებულებად არ მიიღება და საპროცესო ფორმის დაუცველად მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, (საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია) კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, თუ საქმის მწარმოებელი ორგანო ან თანამდებობის პირი გაცდება საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებს, დაარღვევს მის მოთხოვნებს და ისე მოპოვებს ამა თუ იმ სახის მტკიცებულებებს, ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება მიჩნეული და მას არავითარი იურიდიული ძალა არ მიენიჭება.

მტკიცებულებებს რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების პროცესში, ამას ადასტურებს ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე კარს უთმობს მტკიცებულებებს (მე-3 კარი) და ცალკე თავი აქვს დათმობილი „მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს,“ ამ თავის 368-ე მუხლის მიხედვით დანაშაულად ითვლება მტკიცებულების განადგურება, 369-ე მუხლი – მტკიცებულების ფალსიფიკაცია და 369¹ მუხლი – სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ უძველესი დროიდან არსებობდა დანაშაულები, რომელთა განხილვაც სწორედ მტკიცებულებების საფუძველზე ხდებოდა. მხარეები საკუთარ ვერსიებს ძირითადად, ჩვეულებითი სამართლის წესებით გამყარებული მტკიცებულებებით ამტკიცებდნენ.

ძველი ინდოეთისათვის დამახასიათებელი იყო ე. წ. ფორმალურ მტკიცებულებათა სისტემა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასების მკაცრად რეგლამენტაციაში გამოიხატებოდა. მტკიცებულებითი წესები წინასწარ ადგენდნენ, რომ ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარება „მტკიცებულებათა დედოფალია,“ რომ ქალის ჩვენება ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო და უფრო ნაკლებად უნდა დაეკრებინათ, ვიდრე მამაკაცის, მდიდრისთვის – უფრო, ვიდრე – ღარიბისთვის და სხვა. რაიმე კონკრეტული ფაქტები ან გარემოებები უნდა დადგენილიყო გარკვეული რაოდენობის მოწმეების ჩვენებით, რომელთა რაოდენობა არანაკლებ, 2 ან 3 უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდისათვის, წამება არ

ითვლებოდა მტკიცებულების მოპოვების დაუშვებელ მეთოდად, არამედ მათი გამოყენება დაშვებულ იყო და წახალისებულიც. მათი კანონებით, წამება განიხილებოდა, როგორც „მტკიცებულებათა დედოფლის“ მოპოვების მნიშვნელოვანი ხერხი.

ძველი კანონების თანახმად, დიდ ყურადღებას უთმობდნენ მოწმის ჩვენებათა სანდოობას. მოქმედებდა პრინციპი, რომ მოწმე სოციალური სტატუსის მიხედვით, იმ მხარის თანასწორი უნდა ყოფილიყო რომლის სასარგებლო ჩვენებასაც იძლეოდა. ცრუმოწმეობა დანაშაული იყო და ზოგჯერ სადავო თანხის ათმაგი ჯარიმით ისჯებოდა, ზოგჯერ კი, ქვეყნიდან გაძევებითაც.²

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) განმარტავს მტკიცებულებას, რომლის თანახმადაც, „მტკიცებულება არის მხარის მიერ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომლითაც დგინდება დანაშაულებრივი ფაქტის არსებობა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშაულობა ან ბრალეულობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად.“³

მტკიცებულების შეფასება და მათი საპროცესო დამაგრება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ „არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ შესაბამისად, სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს ე. წ. სამწვეროვან დანაწილებას: პირველ ეტაპზე მოწმდება მტკიცებულების რელევანტურობა; მეორე ეტაპზე – მისი დასაშვებობა; ხოლო მესამე ეტაპზე – მისი უტყუარობა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია მტკიცებულების შეფასება – ეს მსჯელობის საგანია.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულებას აფასებდა გამოძიებელი, პროკურორი და მოსამართლე თავისუფლად, შინაგანი რწმენის საფუძველზე. ხოლო ახალ კოდექსში საერთოდ არაა მითითებული კონკრეტულ პირთა ჩამონათვალი ე. ი. თითქმის შეუძლებელია „ახალი კანონი აუქმებს ძველს“ – პრინციპის გამოყენება.

მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრებას ითვალისწინებდა 1998 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის თანახმადაც, „მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობა შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის პროცესში, თუ ის საპროცესო წესით არის დამაგრებული ე. ი. შეტანილია საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში. დამცველისა და პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი საგანი ან მასალა მტკიცებულების მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვის შესახებ. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს უარი უთხრას პროცესის მონაწილეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესის მწარმოებელი ორგანო ცნობს, რომ ეს მტკიცებულება არ განეკუთვნება საქმეს ან როცა არ მიიჩნევს მას დასაშვებად“ (სსსკ, მუხლი 130).

დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, მტკიცებულების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი ელემენტების დადგენა, ესენია: რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა, ერთობლიობა.

მტკიცებულებათა დასაშვებობა/რელევანტურობა/უტყუარობა

მტკიცებულებები დასაშვებობის ეტაპამდე გადის გზას. მტკიცებულების შეკრებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპი, რადგან იგი მიმართულია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევასთან და შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიებასთან, იქნება მოწმეების დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებები. შესაბამისად, თავდაპირველად მხარეებმა უნდა შეკრიბონ საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც აპირებენ ისინი თავიანთი პოზიციის მტკიცების პროცესის წარმატებას. მტკიცებულებები აუცილებლად უნდა წარედგინოს სასამართლოს იმისათვის, რომ პროცესუალურად იქნას დამაგრებული და მიენიჭოს „მტკიცებულების“ სახელი, რადგან ამ ეტაპამდე ისინი მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის მატარებელი საგნები, დოკუმენტები და ნივთებია.

მას შემდეგ, რაც მხარეები, სასამართლოში წარადგინენ ინფორმაციის შემცველ ობიექტს, სასამართლო ამოწმებს მათთვის მტკიცებულების სტატუსის მინიჭების საკითხს და მათ დასაშვებობას. მტკიცებულება კი, მხოლოდ მას მერე გახდება დასაშვები, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ ის აკმაყოფილებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და რომ არ არსებობს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი.

მტკიცებულების დასაშვებობა მტკიცებულების თვისებაა, რომელიც ინფორმაციას იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ შეიძლება იყოს მექანიკური შეცდომა სახელში, თარიღის არასწორი მითითება და სხვა. დაუშვებელი მტკიცებულება არსებითი დარღვევაა. არსებითი კი, ისეთი დარღვევაა, რომელიც მტკიცებულების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.⁴

წინასასამართლო სხდომაზე კი, წყდება საკითხი მხარეების მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია არის თუ არა დასაშვები მტკიცებულება. წინასასამართლო სხდომის მიზანი არის ის რომ, გაირკვეს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იძლევა თუ არა ალბათობის მაღალი ხარისხით საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამა თუ იმ პირმა ჩაიდინა დანაშაული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, ალბათობის მაღალი ხარისხი გულისხმობს: „წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

მტკიცებულებების ბედი წინასასამართლო სხდომაზე წყდება. შესაბამისად, ის მტკიცებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონიერი გზით მოპოვებას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ დაუშვებლად იქნება ცნობილი.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, საკმარისია საქმის მწარმოებელი ორგანო გასცდეს საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებს და დაარღვიოს მისი მოთხოვნები, რომ მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად გადაიქცევა და მას არავითარი იურიდიული ძალა არ მიეცემა.

მაგალითად, 2014 წლის 23 აპრილს განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაკავებული იყო ზ.გ., რომელმაც თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ ბიძის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ცეცხლასასროლი იარაღის ტყვიებს. გამომძიებელი, რომელსაც არც საქმე ჰქონდა წარმოებაში მიღებული და არც პროკურორის წერილობითი თუ სიტყვიერი მითითება მიუღია, გამოცხადდა ბინის გასაჩხრეკად, მაგრამ მას ბინა დაკეტილი დახვდა. სახლში კი, არავინ იყო. გამომძიებელმა არ მიიწვია ბინის მფლობელი ან ოჯახის სრულწლოვანი წევრები, არც ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მუშაკი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მე-2 ნაწილი), საცხოვრებელი ბინა შეამტვრია სახლის მფლობელის ძმასთან ერთად, რომელიც არც ბინის მფლობელის და არც ოჯახის წევრის სტატუსით არ სარგებლობდა და ისე ჩაატარა საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა.⁵ ამ შემთხვევაში, გამომძიებელმა უხეშად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და „პროკურატურის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა სასამართლომ ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.“ კანონი მხოლოდ ჩამოთვლის მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმებს თუმცა, მათ განმარტებებს არ აკეთებს. მის არსში უკეთესად გასარკვევად მოვიშველიოთ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი,⁶ რომლის თანახმადაც, ტერმინი „რელევანტური“ ნიშნავს მნიშვნელოვანს, არსებითს. ამავე ლექსიკონის თანახმად კი, ტერმინი „უტყუარი“ ნიშნავს ნამდვილს, უეჭველს, სინამდვილესთან შესაბამისს. მტკიცებულებათა რელევანტურობა გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეზე არსებული გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომელთაც რაიმე სახით შემხებლობა აქვს საქმესთან და სასამართლოსთვის საჭიროა, რომ ცნობილი გახდეს, რადგან თავისი დანიშნულებით მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს კონკრეტული საქმისათვის. ესა თუ ის ფაქტი ან ინფორმაცია მტკიცებულებად რომ გამოდგეს, უნდა იყოს შესატყვისი ე. ი. რაიმე სახით დაკავშირებული სადავო ფაქტთან.

მტკიცებულებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს გამოსაკვლევ საკითხებთან და მათი მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ან უარყოფილ იქნას საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, პროცესუალურ თეორიაში მტკიცებულებათა შესახეობას (რელევანტურობას) უწოდებენ. შესახეობა ნებისმიერი მტკიცებულების აუცილებელი ატრიბუტია. თუ რომელიმე ინფორმაციას არავითარი კავ-

შირი არა აქვს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან, ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მტკიცებულება. ამასთან, ასეთი სახის მტკიცებულებები, შეიძლება ატარებდეს სავარაუდო – ალბათობის ხასიათს.

მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი განსაზღვრავს და აკეთებს ჩამონათვალს, რომლებიც დაუშვებელ მტკიცებულებებად ითვლებიან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობა პირველად ითვალისწინებს ანგლოამერიკული სამართალწარმოების პროცესის სისტემის დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის თეორიას“, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის განხილვა უნდა დავიწყოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის განხილვით, რომლის თანახმადაც, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“ ამ მუხლის მე-2 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მტკიცებულება, რომელიც მართალია „მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.“ კანონი კი, მკაცრად მოითხოვს მხარეებისაგან, რომ მიუთითონ საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა კი, ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველი გახდება.

„მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ შემუშავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1939 წელს, პირველად აღნიშნული შედარება გამოიყენა აშშ-ის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ფელიქს ფრანკფურტერმა, გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, რომელმაც შემდგომ შეიძინა სხვა სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა, რაც გულისხმობს, რომ თუ სამართალდამცავი ორგანოები მოიპოვებენ კანონის უხეში დარღვევით რაიმე მტკიცებულებას (ე.ი. „ხეს წამლავენ“), ამ მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება (ხე წამლავს ნაყოფს) არ შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც მტკიცებულება. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საპროცესო კანონმდებლობით, იმისათვის, რომ დაცული იქნას თითოეული მოქალაქის უფლებები, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს დასაშვებად არ აღიარებენ.⁷ მაგალითად, „მოწამლული ხის ნაყოფის თეორიის“ თანახმად, თუ პირის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ჩატარება სასამართლომ დაუშვებლად ცნო, მაშინ ამ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღიც დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება და თუ ამ დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულია სხვა სახის მტკიცებულება (მაგ: მოწმის ჩვენება) და

ამით აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები დაუშვებლად ითვლება და მათ არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.⁹

მნიშვნელოვანია ამავე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული გარემოება ისეთი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომელიც მოპოვებულია კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

ამავე მუხლის თანახმად, ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, მაგრამ მაინც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება კი, აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მხარემ სასამართლოს აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ, რადგან დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

ირიბი ჩვენების ცნება

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების თანახმად, ირიბი მტკიცებულების გამოყენება ეტიმოლოგიურად არასწორია და უმჯობესი იქნებოდა არაპირდაპირი მტკიცებულებების გამოყენება. ლიტერატურაში პირდაპირ არის მითითებული ირიბი მტკიცებულების ცნება, კერძოდ, „შემთხვევა, როდესაც მტკიცებულების წყაროდან მიღებული ინფორმაცია პირდაპირ არ მიუთითებს მომხდარ გამოსაძიებელ, მთავარ დანაშაულებრივ ფაქტზე ან მისი შემადგენლის რომელიმე ელემენტის არსებობაზე, მაგრამ ეს მიღებული ინფორმაცია ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სხვა ისეთ გარემოებებზე, რომელიც საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან რაიმე კავშირშია და მათთან ერთად ქმნის გარკვეულ ჯაჭვს გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის შესახებ, ასეთ მტკიცებულებას უნდა ვუწოდოთ ირიბი, ანუ არაპირდაპირი მტკიცებულება.“¹⁰ საქართველოს 2013 წლის 14 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსსკ-ში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ირიბი ჩვენების ცნება, რომელიც განმარტებული იყო 76-ე მუხლის პირველ ნაწილში, „ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, „ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის წყაროს მითითებით.“ ანუ უნდა ვიგულისხმოდ, რომ თუ მოწმე ვერ მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, მაშინ ასეთი ირიბი ჩვენება დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული. შესაბამისად, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში თუ მოწმემ გვერდით ოთახიდან გაიგონა ხმა, მაგრამ კონკრეტულად ვერ ასახელებს ამ ხმის „პატრონს.“ უნდა ჩავთვალოთ, რომ ინფორმაციის წყაროს მიუთითებლობის გამო, ეს დაუშვებელი მტკიცებულებაა?¹⁰ ამასთან, სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება უნდა დადასტურებულიყო მტკიცებულებათა ერთობლიობით. საინტერესოა თუ რა სახის მტკიცებულებით უნდა დადასტურებულიყო ირიბი ჩვენება, შესაძლოა ყოფილიყო ეს სხვა სახის ირიბი ჩვენება თუ არა. ამ კითხვაზე პასუხი 2013 წლის 14 ივნისის

ცვლილებების შემდგომ ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია, რომელიც სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“ კანონის ამ ცვლილებით ლოგიკური პასუხი გაეცა ზემოაღნიშნულ კითხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით მტკიცებულებათა დაუსრულებელ ჯაჭვს, რომლის მიხედვითაც, ერთ ირიბ ჩვენებას დასტურებოდა სხვა ირიბი ჩვენება, მას კიდევ სხვა და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წლის 14 ივნისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.“ აგრეთვე „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“ მოცემული ნორმით, პასუხი გაეცა ზემოაღნიშნულ მსჯელობას და კანონმდებელმა პირდაპირ განმარტა, რომ ირიბი ჩვენების დასადასტურებლად შეუძლებელია გამოყენებულ იქნას ირიბი ჩვენება.

დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა და დასაშვებობა

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რომელიც ეხება სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი დოკუმენტის მტკიცებულებით ძალას და დასაშვებობას: „მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარმოდგენამდე.“ თუ მტკიცებულების წარმომავლობის თაობაზე მოთხოვნა ძველ კოდექსშიც იყო (იხ.: სსსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ავთენტურობის მოთხოვნა სრულიად ახალია. ავთენტურია დოკუმენტი, თუ იგი არის ნამდვილი, სახეშეცვლელი, ეკუთვნის კონკრეტულ პირს და ა. შ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი არ შეიძლება იყოს დასაშვები მტკიცებულება, თუ არ არსებობს მოწმე, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დოკუმენტის ავთენტურობის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი მოწმის დაკითხვის საფუძველზე. ავთენტურობის მოთხოვნა ნივთიერ მტკიცებულებებსაც ეხება (იხ.: ახალი სსს კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილი), მაგრამ აქ აშკარად ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოდის მხარეთა შევიბრებითობის პრინციპთან. ამ შემთხვევაში, უმჯობესი იქნება თუ უტრირებას მოვახდენთ კონკრეტულად მოწმეზე, რომელთანაც ინახებოდა დოკუმენტი ან/და ნივთიერი მტკიცებულება და მოვითანთ პრაქტიკულ მაგალითს. საგამოძიებო პრაქტიკაში უმეტესად ხდება ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება ხშირად ხვდება გამომძიებლის ე. წ. „საკანში.“ შესაბამისად, გამომძიებელი იქნებოდა სწორედ ის პირი, ვისთანაც ინახებოდა ეს მტკიცებულება სასამართლოში წარდგენამდე. ხოლო რაც შეეხება დაცვის მხარეს, მას

როგორც ცნობილია არ შეუძლია ჩხრეკისა და ამოღების დამოუკიდებლად ჩატარება და შესაბამისად, მოწმის სტატუსსაც ვერ მოიპოვებს, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, „დაცვის მხარეს თანაბარი უფლება აქვს დამოუკიდებლად აწარმოოს მონაცემთა გამოვლენა და შეგროვება, რომლებიც გამოყენებული იქნება სასამართლოში.“ აქედან გამომდინარე, საინტერესოა ამ კუთხით მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის წინა პლანზე წამოწევა და საფუძვლიანი განხილვა, რაც ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს და მოცემულ სტატიაში არ იქნება განხილული.

დასკვნა

სტატიაში განხილული იქნა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, დაუშვებელი მტკიცებულებები, მათი ცნება, ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში, მათი ისტორიული დახასიათება და თავისებურებები. გაკეთდა ძველი და ახალი კანონმდებლობის შედარება. განხილული იქნა მტკიცებულებების შეფასება მათი დასაშვებობის, რელევანტურობის, უტყუარობის თვალსაზრისით. ასევე, განვიხილეთ „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, ირიბი ჩვენების ცნება და მათი პრაქტიკაში გამოყენების წესები, დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა და მათი დასაშვებობა.

გარკვეული ნორმების ინტერპრეტაციის დროს ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი კანონის განმარტება ან დეტალურად არ გვაძლევს კანონმდებელი ნორმის ინტერპრეტაციას ან კიდევ მოცემულ შემთხვევას საერთოდ არ ითვალისწინებს თავად კანონი. შესაბამისად, ცალკეულ მუხლებზე მსჯელობით არის შესაძლებელი განისაზღვროს მხარის უფლება სასამართლოს წინაშე მოახდინოს მოცემული ნორმის საკუთარი ინტერპრეტირება და მისეული ვერსიის დასადასტურებლად მოიტანოს ცალკეული ტიპის მაგალითები.

შესაძლებელია მხარემ წარმოადგინოს მართლაც უტყუარი და მოცემული სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური მტკიცებულება, მაგრამ ეჭვქვეშ დადგეს ამ მტკიცებულების დასაშვებობა. ამ შემთხვევაში, სასამართლო განხილვა უძლურია. მოსამართლეს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ შეუძლია შეცვალოს „მტკიცებულების ბედი“ და იგი ცნოს დასაშვებად. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულება თავიდანვე „განწირულია,“ რაც ჩვენი აზრით, არასწორია და იზღუდება მოქალაქის უდანაშაულობის უფლება.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა მყარი და ხისტი ნორმატიული ხასიათი მტკიცებულებებთან და მათ დასაშვებობასთან დაკავშირებით, გარკვეული კუთხით შესაცვლელია და მოსარგებია კონტინენტური ქვეყნების სამართლებრივი სისტემისათვის.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, სტუ, თბილისი, 2013, გვ. 230-231.
- ² გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 11-16.
- ³ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, სტუ, თბილისი, 2013, გვ. 234.
- ⁴ ტაბატაძე გ., მტკიცების ტვირთი და სტანდარტი სისხლის სამართლის პროცესში, სტატიათა კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ⁵ იხ.: მამნიაშვილი მ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 6.
- ⁶ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი/გაეროს განვითარების პროგრამა (შემდგ: სამსონ ურიდია და სხვა, რედ. ვაჟა გურგენიძე), თბ., 2004, გვ. 9.
- ⁷ იხ.: ოშხარელი მ., მტკიცება და მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
- ⁸ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, გამომ. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 299-302.
- ⁹ ფაფიაშვილი შ., მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ. და სხვა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 228-229.
- ¹⁰ აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2010, გვ. 169-170.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016;
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბილისი 2010;
2. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007;
3. ფაფიაშვილი შ., მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2013;
4. ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, გამომც. სტუ. თბილისი, 2013;
5. „მტკიცების ტვირთი და სტანდარტი სისხლის სამართლის პროცესში“, სტატია, თსუ;
6. მამნიაშვილი მ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2015;
7. ოშხარელი მ., მტკიცება და მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010;
8. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის განხილვა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014;
9. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, შემდგ. სამსონ ურიდია და სხვ. რედ. ვაჟა გურგენიძე, თბილისი, 2004.

ელექტრონული მასალები:

1. საქართველოს პარლამეტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
2. Myadvokat.ge/wp/07/ მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა. 12:30. 03.02.2017

CONCEPT AND PLACE OF EVIDENCE IN THE SYSTEM OF CRIMINAL PROCEDURES AND THEIR EVALUATION

ELENE GERMANOZASHVILI

PhD Student of the Law School of the Davit Aghmashenebeli University of Georgia

Evidence plays a decisive role in the criminal procedure. Each side uses evidence for corroborating its position and vice versa, it is possible to establish position by presenting the evidence. The Criminal Procedure Code of Georgia is based on the principle of adversarial proceeding and equality between the parties. Unlike the soviet approach, today the priority is given to the preparation of parties, their qualification and competition with each other; resolving a case for the favor of a particular side depends on their work done while obtaining evidence. The concept and purpose of evidence is a cornerstone in criminal proceedings and, therefore, it takes much time and work to study its essence and other important issues about it. In modern times, the adversarial principle has become important, which means that if the trial is done based on this principle, only the party, which has solid positions and evidence confirming these positions has a chance to succeed. This is why it will be important to conduct a legal study of the concept and essence of evidence.

The previous Criminal Procedure Code differentiated between “evidence” and “proof”, correspondingly, the chapter addressing the evidence was titled as “evidence and proofs”. Actually, this was correct because the concept of evidence differed from that of proof. An evidence is a specific circumstance established in a criminal case, for example, the witness testimony, expert report, etc., which help determine guilt or innocence of a person, and a proof means a process of discovering the evidence, linking it to the case, or its examination and evaluation. We will discuss the evidence and its characteristic features in the article.

Unlike the past, currently there are liberal and lawful methods used for evaluating and using the evidence. Correspondingly, the concept and content of evidence has changed. Determination of evidence in criminal procedure, first and foremost, is of paramount importance for establishing the truth. However, based on the purpose of evidence, only those evidence will be admitted, if they were obtained by observing relevant regulations and legal norms.

მხარეთა მიერ საგამოძიებო მოქმედებების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში

ვლადიმერ მაჭარაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

2009 წელს, საქართველოში მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ახალი ერა დაიწყო ქართულ სამართლებრივ სივრცეში. კანონმა რადიკალურად შეცვალა მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონი და საზოგადოებას შესთავაზა საპროცესო ურთიერთობების სრულიად სხვაგვარი სისტემა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ბევრი ახალი ნოვატორული ნორმა შემოიტანა სამართლის სფეროში, რომლის არსებობასაც ქართული სამართლის ისტორიის მანძილზე, ანალოგი არ ჰქონდა. კანონმა სხვაგვარად დაარეგულირა სახელმწიფო ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებები, რომელიც ადრე მოქმედ კანონთან შედარებით, მეტად მოქნილი და უფლებრივად (დაცვის მხარე) გაზრდილია, ასევე, თავისებურად განსაზღვრა პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი ნორმები ყურადღებას ამახვილებენ სამართალწარმოების აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა შეჯიბრებითობის პრინციპი და ზოგადად,

მტკიცებულებითი სამართალი. სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად, განსაკუთრებით ყურადსაღებია ახალი საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს, დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით უფლება აქვს ჩაატაროს გამოძიება.“ აღსანიშნავია, რომ მსგავს ჩანაწერს ვერ შენიშნავდით ადრე მოქმედ კოდექსებში, სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ კანონის ეს ჩანაწერი დაცვის მხარის მთავარი ქვაკუთხედაა, რომლის საფუძველზეც, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობის ჯეროვანი და ეფექტიანი განხორციელება.

საგამოძიებო მოქმედება, როგორც მოპოვებული მოპოვების ხმრხი

სისხლის სამართლის საქმეში, მტკიცებულებების მოპოვებისა და შეგროვების ძირითად წყაროს წარმოადგენს გამოძიების ჩატარება. გამოძიება უნდა ეფუძნებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს. გამოძიებლის საქმიანობასა და მოქმედებებს გამოძიების პროცესში შეიძლება დავარქვათ საპროცესო მოქმედებები.

გამომძიებლის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებები მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმეზე ყოველმხრივი, სრული და ობიექტური სინამდვილის დადგენას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის ვალდებულება დაცვის მხარეს არ გააჩნია, რაც თავშივე განასხვავებს სახელმწიფოსა და ადვოკატის მიერ ჩატარებული გამოძიების იურიდიულ ბუნებას. გამოძიებლის ყოველი საპროცესო მოქმედება სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგამოძიებო მოქმედება. თუმცა კანონის თანახმად, საგამოძიებო მოქმედებად იწოდება გამოძიებლის მხოლოდ ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც მიმართულია მტკიცებულების აღმოჩენის, შემოწმების, შეფასებისა და საქმეზე დართვისათვის.

საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული ოპერაციებისა და მეთოდების ერთიანობა.¹ თითოეული საგამოძიებო მოქმედება არის როგორც შესამეცნებელი მეთოდების სპეციფიკური ერთიანობა, გარკვეული მტკიცებულების გამოსავლენად ან მოსაპოვებლად.²

გარკვეული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ანუ როდესაც არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რაც გვკარნახობს განსაზღვრული ქმედებების შესრულების აუცილებლობას სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებისათვის, იწყება საგამოძიებო მოქმედებების წარმოება.³ როგორც წესი, საგამოძიებო მოქმედებები იწარმოება გამოძიებლის ინიციატივით, მაგრამ ისინი შეიძლება ჩატარდეს პროკურორის მითითებით ან დაცვის მხარის შუამდგომლობით.

ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკაზე, საქმის კონკრეტულ გარემოებებზე და სხვ. ამასთან, კანონი ითვალისწინებს მისი აუცილებელი წარმოების შემთხვევებსაც. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის თანახმად, საგამოძიებო მოქმედებად ითვლება: დაკავება, დაკითხვა/გამოკითხვა, ამოცნობა, ჩხრეკა, ამო-

ლება, ქონებაზე ყადაღის დადება, დათვალიერება, გვამის ეგსჰუმაცია, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა.

კანონში არ არის განსაზღვრული საგამოძიებო საქმიანობის წარმოების რიგითობა, იგი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე და დგინდება გამოძიებლის/ადვოკატის მიერ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გამოიყენება ცნება „გადაუდებელი“ საგამოძიებო მოქმედებები. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები სახელმწიფო გამოძიების ექსკლუზიური უფლებაა და დაცვის მხარეს ეს უფლება არ გააჩნია. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით ხომ არ ხდება დაცვის მხარის უფლებრივი შეზღუდვა, თუმცა ამ კითხვის პასუხი ცალსახაა, რომ იგი არ არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან ხსენებული უფლების განხორციელების შესაძლებლობა, რომ მივანიჭოთ დაცვის მხარეს, შესაძლებელია შეიქმნას ქაოსური მდგომარეობა ქვეყანაში. ის, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედების წარმოების უფლება აქვს დაცვის მხარეს „გადაუდებელი აუცილებლობის“ გამოკლებით, ჩვენი აზრით, უკვე საკმარისად იცავს მხარეთა ბალანსს სისხლის სამართალწარმოებაში.

სახელმწიფოსათვის გამოძიების ჩატარება და რიგი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება არა მხოლოდ უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება გახლავთ,⁴ რადგან თუ საქმეზე არ იქნა საკმაო მტკიცებულებები მოპოვებული, შესაბამისად, პირის მსჯავრდება ვერ მოხერხდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. თუ ყოველივეს შევადარებთ საადვოკატო გამოძიებას, ასეთ შემთხვევაში ამგვარი აუცილებლობა არ დგას, რადგან თუ დაცვა არ ჩაატარებს საგამოძიებო მოქმედებებს იგი ვერ იქნება საფუძველი, რომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნას გამოტანილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ადგენს დროს, როდესაც შესაძლებელია საგამოძიებო საქმიანობის ჩატარება. როგორც წესი, იგი წარმოებს დღის საათებში. ღამის საათებში საგამოძიებო საქმიანობა შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევებში, როდესაც შეყოვნება საშიშროებას უქმნის მტკიცებულების დაკარგვას, დაზიანებას, იქმნება დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საშიშროება, დამნაშავის მიმალვის საშიშროება და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი წესები არ ვრცელდება დაცვის მხარეზე. კანონის ზემოხსენებული ჩანაწერები განკუთვნილია სახელმწიფო ბრალდებისათვის, ხოლო ადვოკატი თავისუფალი მსგავსი ვალდებულებებისაგან, რომ მან თავი შეიკავოს გარკვეული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად დროის პერიოდის გამო. ჩვენ შეიძლება ეს მითითება სარეკომენდაციოდ ჩავთვალოთ თუმცა, ამ პერიოდში ჩატარებული მოქმედებით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელი არ გახდება.

ზოგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს იმ პერიოდის განმავლობაში, რაც კანონით დადგენილია გამოძიებისათვის. სისხლის სამართლის საქმის დასრულება ან შეჩერება გამოძიებელს უზღუდავს უფლებას გააგრძელოს საგამოძიებო საქმიანობა. ძირითადად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ხანგრძლივობას კანონი არ ზღუდავს, იგი მთლიანად დამოკიდებულია თვით საგამოძიებო საქმიანობის ხასიათზე, პირობებზე, რომლებშიც იგი მიმდინარეობს, ასევე, გამოძიებლის მიერ დაგეგმარებასა და ორგანიზებაზე. აქვე აღსანიშნა-

ვია, რომ თუ გამომძიებელი მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში და მისი კონკრეტული მოქმედებები ითვალისწინებს გარკვეულ ქრონოლოგიურ წყობას, მსგავსი ვალდებულებები დაცვის მხარეს არ გააჩნია და იგი თავისუფალია დამოუკიდებლად დაგეგმოს საგამომძიებო მოქმედებათა წყობა და ქრონოლოგია, რაც ვფიქრობთ, უფრო მოქნილს ხდის დაცვის მხარის საქმიანობას.

გამომძიებელს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები ნივთიერი მტკიცებულებებისა და დანაშაულის კვალის აღმოსაჩენად. საგამომძიებო მოქმედების წარმოების დროს ტექნიკური საშუალებების გამოყენება ერთი მხრივ, ამაღლებს ეფექტს გამომძიებლის მიერ მტკიცებულებითი ინფორმაციის მოძიების და შეგროვების საქმეში,⁵ მეორე მხრივ, ტექნიკური საშუალებების გამოყენება ამსუბუქებს გამომძიებლის შრომას, ამაღლებს მისი სამუშაოს შედეგიანობას, ხელს უწყობს საგამომძიებო მოქმედებების წარმოების დაჩქარებას.⁶ კანონი გამომძიებელს ასევე, საშუალებას აძლევს გამოიყენოს კინო, ფოტო, ვიდეო და ხმისჩამწერი მოწყობილობა. ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ კანონის ის წინსვლა, რომ ახალი პროცესის თანახმად, ადვოკატს შეუძლია გამომძიებლის მსგავსად, ჩაატაროს ყოველი საგამომძიებო მოქმედება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და საჭიროების შემთხვევაში, თვითონაც გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, კონკრეტული გარემოებების გამოსავლენად.

საგამომძიებო მოქმედებათა შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ჩხრეკა. ჩხრეკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი საგამომძიებო მოქმედებაა. მოგეხსენებათ, წარსულში დაცვის მხარეს არ ჰქონდა უფლება ჩხრეკა ჩატარებინა განსაზღვრულ შემთხვევებში. ახალი კანონის თანახმად, ამგვარი რამ უკვე შესაძლებელია. დაცვის მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ჩხრეკის ჩატარების თაობაზე და თუ ეს შუამდგომლობა დასაბუთებულია, სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი. რა თქმა უნდა, ჩხრეკას დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვერ ატარებს, თუმცა ამგვარი უფლების არსებობა დაცვის მხარისათვის საკმარისია, რათა ჩავთვალოთ, რომ მხარეები ამ საგამომძიებო მოქმედების განხორციელებისას სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

ჩხრეკის ძირითად შინაარსს წარმოადგენს მოიძებნოს ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებები და მოხდეს მათი ამოღება. ჩხრეკა ასევე, ტარდება მიმალული ბრალდებულის მოსაძებნად, გვამის აღმოსაჩენად. როგორც ვხედავთ ჩხრეკას ფართო იურისდიქცია გააჩნია, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მიმალული ბრალდებულის მოსაძებნადაც, გვამის აღმოსაჩენად, რაც დაცვის ინტერსებში არ შედის, აქედან გამომდინარე სახელმწიფოსათვის ჩხრეკას ფართო დანიშნულება აქვს და პრაქტიკული რეალობიდან გამომდინარე, დაცვის მხარე იყენებს ჩხრეკის მხოლოდ გარკვეულ სახეებს.

ყურადღებას ვაკმაყობთ კიდევ ერთ საგამომძიებო მოქმედებაზე, რომლის წარმოების უფლებაც დაცვის მხარეს მიენიჭა. ამოღება – დამოუკიდებელი საგამომძიებო მოქმედებაა, ფიზიკური ან იურიდიული პირისგან გარკვეული ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმისათვის და ცნობილია სად და ვისთან ინახება ისინი. საადვოკატო საქმიანობაში, პრაქტიკაში უკვე არსებობს პრეცედენტები, სადაც დაცვის მხარემ შუამდგომლობების საფუძველზე მოახდინა გარკვეული მტკიცებულებების ამოღება, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად. აღნიშნულმა მტკიცე-

ბულებებმა რადიკალურად შეცვალეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ვითარება, რაც ვფიქრობთ, უდიდესი მიღწევაა თანამედროვე სამართლისათვის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალმა ცვლილებებმა რადიკალური გარდატეხა შეიტანეს მხარეთა უფლებრივ მდგომარეობაში. ჩვენ მიმოვიხილეთ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები და ნათლად გამოჩნდა, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. დაცვის მხარეს, სახელმწიფო გამოძიების მსგავსად, შეუძლია ჩაატაროს სრულიად დამოუკიდებელი გამოძიება და ამისათვის საჭირო არ არის ნებართვის აღება სახელმწიფო უწყებებისაგან. მტკიცებულებების მოპოვების პროცესში სრული თანასწორობაა და მხოლოდ მხარის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ შედეგიანად გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს. რა თქმა უნდა, არსებობს მოსაზრებები, რომ დაცვის მხარე მაინც ვერ იქნება სრულად გათანაბრებული და თანასწორი სახელმწიფოსთან მიმართებაში თუმცა, ხელისფლების მისწრაფება, რომ უფრო მეტად იყოს დაცული ბრალდებულის უფლებები, აშკარად მისასალმებელია.

კვლევამ აჩვენა, რომ თუ რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა სავალდებულოდ ჩასატარებელია სახელმწიფო ორგანოებისათვის, დაცვის მხარისათვის იგი მხოლოდ უფლებამოსილებაა. ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები და მათი სახეები, მხოლოდ სახელმწიფო გამოძიებისთვისაა დამახასიათებელი, მისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე.

ჩვენ ვახსენეთ, რომ არის რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა, რომელსაც ვერ ჩაატარებს დაცვის მხარე დამოუკიდებლად თუმცა, კანონი ითვალისწინებს შუამდგომლობის დაყენებას სასამართლოს წინაშე და ამ მხრივ, ეს უფლებაც შესაძლებელია რეალიზებულ იქნას. აქედან გამომდინარე, უდავოა ახალი საპროცესო კანონის პირობებში დაცვის მხარის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც ვფიქრობთ, წინაპირობა უნდა იყოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ იქნას კანონიერი და სამართლიანი განაჩენი.

შენიშვნები:

- ¹ Белкин А. Р., Теория доказывания в уголовном судопроизводстве / А. Р. Белкин., М., 2005.
- ² Bennett W. W., & Hess, K. M., Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson, 2004.
- ³ Becker R., Criminal investigation (2nd ed.). Boston: Jones & Bartlett, 2005.
- ⁴ Dempsey J., Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson, 2003.
- ⁵ Громов Н. А., Доказательства, доказывание и использование результатов оперативно-розыскной деятельности / Н. А. Громов, В. А. Пономаренков, А. Н. Гущин, Ю. В. Францифоров, М., 2001.
- ⁶ Chang D. & Fagin J., Introduction to criminal justice: Theory and application (2nd ed.). Geneva, IL: Farley Court of Publishers, 1985.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950;
3. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 1994;
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1999;
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2009;
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1998;
7. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, თბილისი, 1999.


ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. გ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, თბილისი, 2008;
2. გ. აბაშიძე, დამცველი სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010;
3. მ. ს. სტროგოვიჩი, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1949;
4. ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1963;
5. ა. ფალიაშვილი, ლ. თალაკვაძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988;
6. ა. ფალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1998;
7. შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1999;
8. რ. გოგშელიძე, რედ: სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა) თბილისი, 2005;
9. ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011;
10. ი. აქუბარდია, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2008.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Barefoot, J. K. (1995) Undercover investigation. Newton, MA: Butterworth-Heinemann;
2. Becker, R. (2005). Criminal investigation (2nd ed.). Boston: Jones & Bartlett;
3. Bennett, W. W., & Hess, K. M. (2004). Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson;
4. Brandl, S. (2004). Criminal investigation. Boston: Pearson Education;

5. Carte, G. E., & Carte, E. H. (1975). Police reform in the United States: The era of August Vollmer, 1905-1932. Berkeley, CA: University of Berkeley;
6. Chang, D. & Fagin, J. (1985). Introduction to criminal justice: Theory and application (2nd ed.). Geneva, IL: Farley Court of Publishers;
7. Dempsey, J. (2003). Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson;
8. Ferraro, E. F. (2000). Undercover investigations in the workplace. Woburn, MA: ButterworthHeinemann;
9. Петрухин, И. Я. О реформе уголовного судопроизводства / И. Я. Петрухин // Судебная реформа: проблемы и перспективы. М., 2001;
10. Петрухин, И. Я. Состязательность и правосудие / И. Я. Петрухин // Государство и право. 1994. – № 10.
11. Белкин, А. Р. Теория доказывания в уголовном судопроизводстве / А. Р. Белкин. М., 2005.
12. Берзинь, О. А. Использование специальных познаний при раскрытии и расследовании преступлений, совершаемых во внешнеэкономической сфере : учеб. пособие / О. А. Берзинь. Н. Новгород, 2004.
13. Боруленков, Ю. П. Теоретические основы процессуального познания / Ю. П. Боруленков; Владим. гос. пед. ун-т. Владимир, 2006.
14. Горский, Г. Ф. Проблемы доказательств в советском уголовном процессе / Г. Ф. Горский, Я. Д. Нокорев, П. С. Элысинд. Воронеж, 1978.
15. Громов, Н. А. Доказательства, доказывание и использование результатов оперативно-розыскной деятельности / Н. А. Громов, В. А. Понома-ренков, А. Н. Гущин, Ю. В. Францифоров. М., 2001.



CARRYING OUT INVESTIGATIVE ACTIONS BY PARTIES IN CRIMINAL PROCEDURE

VLADIMIR MACHARASHVILI

PhD Student of the Law Faculty of the Caucasus International University

This article aims at providing readers with an idea about a new legal institute, which is referred to as “investigation by the defence”. The Criminal Procedure Code adopted in 2009 introduced new regulations in the criminal procedure. At first glance, the human rights standards are organized more effectively. Whole range of new rights has been granted to the defence, as a safeguard for exercising an effective defense. The new law grants the right to the defence to conduct independent investigation for the criminal case, obtain evidence and submit it to the court, where these evidence shall have an equal legal force as those obtained by the prosecution.

This article discusses what procedures are to take place for carrying out a particular investigative measure by the respective state agencies, and how the same activities are conducted by in case of an investigation by the defence. The article also lays emphasis on some investigative measures, which can be implemented for the defense for the first time in the criminal procedure.

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი, მისი დაშვებისა და დაუშვებლობის პირობები

ნინო ფიფია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

სტატიამი განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ხელშეკრულებიდან გასვლის დაშვებისა და დაუშვებლობის პირობები, სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან მისი განმასხვავებელი ნიშნები. ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი ხელშეკრულებაზე – გერმ. Rücktritt¹) ხელშეკრულების დასრულების ერთ-ერთი სახეა. ეს ინსტიტუტი კანონმდებლობაში სათანადოდ დახასიათებული არ არის და შესაბამისად, არც მსგავსი ინსტიტუტებისგან არის გამიჯნული. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ის ნიუანსები, რომლებიც ამ ინსტიტუტს სხვა მსგავსი ინსტიტუტებისგან განასხვავებს (მაგალითად, ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულების გაუქმება), რათა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების სწორი ინტერპრეტაცია განხორციელდეს.

1. ხელშეკრულებიდან გასვლის არსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის² ვალდებულებითი სამართლის პირველი კარის, მეხუთე თავი არეგულირებს ხელშეკრუ-

ლებიდან გასვლის სამართლებრივ ურთიერთობას. სსკ არ შეიცავს ერთიან ცნებას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. ეს თავი იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებზე საუბრით. სსკ-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის ზოგადი დებულება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ხელშეკრულებიდან გასვლა არის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს პირ(ებ)ის უფლებას (გერმ. Gestaltungsrecht³ და არა მოთხოვნის უფლებას, გერმ. Anspruch⁴), გარკვეული წინაპირობების არსებობისას, მეორე მხარისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინებით მოახდინოს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგია ახალი სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება (გერმ. Rückgewährschuldverhältnis⁵), რომლის საფუძველზეც მხარეებს უჩნდებათ უფლებები და ვალდებულებები მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება, ხოლო განხორციელებული ექვემდებარება დაბრუნებას (ორმხრივი რესტიტუციის წესი). ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება მოკლევადიან ურთიერთობებში როგორც: ნასყიდობა, გირავნობა, ლიზინგი, ნარდობა და ა. შ. ამ ხელშეკრულებებში ერთი მხარე – გამყიდველი, მოგირავნე, ლიზინგის გამცემი, მონარდე პასუხს აგებს ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლული ნივთის მიწოდებისთვის და მიწოდების პირობების დარღვევისთვის.

ხელშეკრულებიდან გასვლა არის „ცალმხრივი მიღება სავალდებულო ნების გამოვლენით“⁶ ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევა.⁷ ხელშეკრულებიდან გასვლა არის აღმჭურველი უფლება, რომელიც გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა (ultima ratio). მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა და გარკვეული წინაპირობებისა და საფუძვლების არსებობისას შეიძლება მივმართოთ ნებისმიერ დროს, თუ მხარეები ხელშეკრულებით სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.⁸

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადამოსული მოთხოვნის შეუსრულებლობა⁹ ან ისეთი აშკარა ვარაუდის არსებობა, რომელიც კრედიტორს აფიქრებინებს, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.¹⁰

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია მხოლოდ ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო ვალდებულების დარღვევა. თუ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი და შესაბამისად, უფლება არა აქვს.¹¹

2. ვალდებულების შესრულების სავალდებულობა

სსკ-ის ხელშეკრულებიდან გასვლის თავი იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებზე საუბრით თუმცა, კონკრეტულად სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის მესამე კარი არეგულირებს ვალდებულებათა დარღვევის (გერმ. pflichtverletzung) პირობებსა და შედეგებს. სსკ-ის¹² თანახმად, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“¹³ ასევე, სსკ-ის¹⁴ თანახმად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი,“ (გერმანული ანალოგი – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 242, nach Treu und Glauben¹⁵). ეს არის ზოგადი დათქმა

მხარეთა ვალდებულებების შესახებ, თუ ეს დათქმა ირღვევა, ერთი მხარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.¹⁶

ვალდებულების დარღვევა კონკრეტულად გულისხმობს ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებას,¹⁷ ვალდებულების შეუსრულებლობას ვალდებულების ნაწილობრივ (შეუსაბამო) შესრულებას, შესრულების შეუძლებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას. ხელშეკრულებიდან გასვლისას აუცილებელია ადგილი ჰქონდეს ამ პირობათაგან ერთ-ერთს. კოდექსი დეტალურად არეგულირებს ვადის გადაცილებით ვალდებულების დარღვევას, ხოლო დანარჩენი წინაპირობები არ არის სათანადოდ მოწესრიგებული.

ვალდებულების დარღვევისას, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერ წინაპირობას არეგულირებს სსკ,¹⁸ რომლის თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვება მისი ყველა უფლების დაკარგვა. ამავე მუხლის თანახმად, მხარეების მიერ ასეთის შეთანხმების შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორი არჩევანის მიხედვით: ან აგრძელებს ხელშეკრულებას და მოვალე კარგავს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლებას ან ვადის ხელშეკრულებიდან და მოვალეს უნარჩუნდება უფლება, მიიღოს ის, რაც მან ვალდებულების შესასრულებლად გადასცა მეორე მხარეს.

3. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაუშვებლობა

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაუშვებლობის პირობად ითვლება თუ მხარემ იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს და არ განაცხადა ამის შესახებ ან ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში არ წარადგინა მოვალესთან თავისი პრეტენზია.¹⁹

სსკ-ის 405.3 მუხლი²⁰ აგრეთვე, ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის პირობებს. მაგალითად თუ: ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; ბ) დარღვეულია სსკ-ის 316.2 მუხლის²¹ მოთხოვნები და ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი; დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.

სსკ-ის 358-ე მუხლის²² თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობას არ აქვს ადგილი და ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია თუ მოვალეს შეუძლია გაქვითვის გზით შეასრულოს ვალდებულება. ეს ნორმა გულისხმობს, რომ მოვალეს ყოველთვის აქვს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელმაც შეიძლება გაქვითოს კრედიტორის მოთხოვნა. გაქვითვის მოთხოვნის მიუხედავად თუ კრედიტორი მანაც განაცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნას, მოვალეს უფლება აქვს დაუყოვნებლივ განაცხადოს გაქვითვის შესახებ, რაც იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის (შეტყობინების) ბათილობას.²³

4. ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო წინაპირობები

კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ თვითონაც განსაზღვრონ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას ხელშეკრულებიდან

გასვლის სახელშეკრულებო პირობები (საფუძვლები). ასეთი პირობა შეიძლება იყოს: მყიდველის მიერ ნივთის ფასის დათქმულ დროზე გადაუხდელობა, ნაყიდი ნივთის დროზე წაუღებლობა, საქონლის მიწოდების ვადების დარღვევა და ა. შ.²⁴

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებიდან გასვლა არ დაუკავშირონ რაიმე კონკრეტულ პირობებს და წინასწარი შეთანხმებით მისი განხორციელება თავიანთ ნებაზე დამოკიდებული გახადონ, მაგალითად მაშინ, როდესაც ხელშეკრულების განხორციელებისას არ მართლდება ერთ-ერთი მხარის მოლოდინი.²⁵

ხელშეკრულებიდან გასვლის პირობებზე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ამ შემთხვევაში აუცილებელია იმ მესამე პირთა უფლებების უზრუნველყოფა, რომელთა მდგომარეობაც შეიძლება შეილახოს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ.

ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ პირობებზე შეთანხმებისთვის, კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას არ ითვალისწინებს. მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით არსებობს იმპერატიული მოთხოვნა – გასვლა უნდა გაფორმდეს იმავე წესით, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებისთვის.²⁶

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აქვს მოვალესაც. ასეთი შემთხვევები იშვიათია და მისი ყველაზე გავრცელებული მაგალითია დაუძლეველი ძალა ე. წ. force-majeure, როდესაც მოვალეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

5. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა²⁷ შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების წინაპირობაა.²⁸ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ამ დროს ხელშეკრულების შესრულება ჩვეულებრივ შესაძლებელი იყო, მაგრამ დადების შემდეგ გამოვლინდა ე. წ. გაუთვალისწინებელი გარემოებები. კრედიტორი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას ავტომატურად თავისუფლდება თავისი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან და უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. შესრულების შეუძლებლობა არ არის თუ მაგალითად, შესაძლებელია ფუნქციურად იდენტური ნივთის მიწოდება.²⁹

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა „გამართლებულია“ თუ მოვალისთვის წინასწარ არ იყო გასათვალისწინებელი ის დამაბრკოლებელი გარემოებები, ან ვერ აიცილებდა თავიდან იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა შესრულების შეუძლებლობა. სსკ-ის³⁰ თანახმად, კრედიტორი ვერ მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას, თუ ზარალი მოვალის ბრალით არ ყოფილა გამოწვეული.

„შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება იქ, სადაც შესრულებამ მოვალისათვის არაგონივრული ზომების ან ხარჯების გაწევა შეიძლება გამოიწვიოს.“³¹ ასეთ დროს შეიძლება გამყიდველის მხრიდან მოთხოვნილ იქნას ხელშეკრულებიდან გასვლა ან შეცვლილ პირობებთან მისადაგება, რაც გულისხმობს გადაისინჯოს ხელშეკრულების შინაარსი და შესრულების ხასიათი. ეკონომიკური შეუძლებლობის ცნება გერმანულ სამართალში შესრულების გართულების ცნებაში მოიაზრება.³² „ხელშეკრულებაც

ადამიანის ორგანიზმით უნდა შეეგუოს ახალ გარემოებებს და თუ ეს შეუძლებელია, სწორედ მაშინ უნდა ითქვას მასზე უარი.⁴³³

რომაული სამართლის თანახმად, „ხელშეკრულება ყოველთვის და ყველა გარემოებაში ბათილია, თუ გამოვლინდა, რომ დადების მომენტისთანავე მისი შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო (impossiblum nulla obligatio).“⁴³⁴

გაეროს კონვენციაში „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) შესახებ“ მხოლოდ ერთი ნორმაა, მუხლი 79¹, რომელიც ათავისუფლებს მხარეს ვალდებულებებისგან „თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო მისი კონტროლის გარეშე არსებული წინააღმდეგობით და იგი ვერ მიიღებდა მხედველობაში მოცემული წინააღმდეგობის არსებობას ხელშეკრულების დადების მომენტში, ვერ აცილებდა თავიდან ან ვერ გადალახავდა მოცემულ წინააღმდეგობას ან მის შედეგებს.“

ინგლისური სამართალი უფრო მკაცრად უდგება ამ საკითხს. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს შეცდომის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევს და მხარეთა „ორმხრივ შეცდომაზე“ დაფუძნებულ გარიგებებს უწოდებს და ამგვარ ხელშეკრულებებს ბათილად მიიჩნევს (ინგლისის კანონი საქონლის გაყიდვის შესახებ³⁵, დებულება ნ). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში³⁶ იგივე სიტუაცია რეგულირდება 1601 მუხლით, ხოლო აშშ-ის ერთიან კომერციულ კოდექსში³⁷ – მუხლი 2-613-ით.

ამერიკულ სამართალში გამოკვეთილია მსგავსება შეცდომასა და ძირითად ვარაუდს, შეუძლებლობასა და მიზნის იმედგაცრუებას შორის.³⁸

6. შესრულების შეუძლებლობა გერმანულ სამართალში

გსკ-ში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას არეგულირებს §275³⁹, რომლის სათაურიც შემდგენიარადაა ფორმულირებული: „ვალდებულების შესრულების გამორიცხვა,“ კერძოდ: „შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება, თუ იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია.“ ეს შესრულებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს შეუსაბამო ხარჯების გამო. ნორმა ათავისუფლებს მოვალეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში. გერმანული სამართლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც დაბრკოლება მხარის კონტროლის მიღმაა, როდესაც პასუხისმგებლობაც კი არ შეეჩვენება.⁴⁰

გერმანული სამართალი იცნობს ტერმინებს: „თავდაპირველი შეუძლებლობა“ და „შემდგომ დამდგარი შეუძლებლობა“ (nachträglicher (tatsächlicher) Unmöglichkeit⁴¹). თავდაპირველი შეუძლებლობის მაგალითია, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა არ იცინ ხელშეკრულების საგნის ნაკლის შესახებ. შემდგომ დამდგარი შეუძლებლობა კი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მოგვიანებით წარმოშობილი დაბრკოლებების გამო. ამის მაგალითია: მუსიკალური დარბაზის ქირავნობის ხელშეკრულების დადება და კონცერტის ჩატარებამდე ხანძრის გამო დარბაზის განადგურება.

ბრალეულობის თვალსაზრისით, გსკ⁴² ათანაბრებს დასაწყისშივე და მოგვიანებით შეუძლებლობის შემთხვევებს, ორივე შემთხვევა გამოირიცხავს მოვალის მხრიდან ბრალეულობის მომენტს. შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორი განსხვავებულ ვითარებაშია, მაშინ, როცა შესრულება

პრაქტიკულად შეუძლებელია და იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორის მიერ მოვალისაგან შესრულების მოლოდინი არაგონივრულია საქმის გარემოებების გათვალისწინებით. გსკ-ის § 275.2-ის⁴³ მიხედვით, მოვალე უფლებამოსილია უარი თქვას შესრულებაზე, თუ ეს შესრულება მოითხოვს კრედიტორის ინტერესებისათვის აშკარად შეუსაბამო ზომების მიღებას, ვალდებულების შინაარსისა და კეთილ-სინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გსკ-ის §307⁴⁴ ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე ერთმა მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მისი შესრულების შეუძლებლობა. ამ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე უდანაშაულო მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების ნამდვილობისადმი რწმენით მიყენებული ზარალი.

დასკვნა

განხილული სამართლებრივი საკითხების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სსკ-ში მნიშვნელოვანი ხარვეზებია ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირებაში. ქართული სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ცალკეული ინსტიტუტების შესახებ ერთიან ცნებებს (მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლის, ვალდებულების დარღვევის, ვალდებულების შეუსრულებლობის), რაც ვფიქრობთ, ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამართლის ინსტიტუტების უფრო ფართო რეგულირება და ზოგადი პრინციპების განსაზღვრა.

ხელშეკრულებიდან გასვლის თავი იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებზე საუბრით. ვფიქრობთ, თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, შემდგომ წინაპირობები, თანმდევი პროცედურები და ბოლოს შედეგები. აქ ვხვდებით კოდექსის სტრუქტურულ ხარვეზს.

ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი პირობაა მოვალის მიერ ვადის გადაცილებით ვალდებულების დარღვევა, თუმცა, სსკ-ში ვალდებულების დარღვევის კარში ცალკე თავად არის გამოყოფილი ეს ერთი პირობა და დანარჩენებს ეთმობათ მხოლოდ რამდენიმე მუხლი. ვფიქრობთ, ცალკე თავის დამატებას საჭიროებს კოდექსი ნაწილობრივი (შეუსაბამო) შესრულების, ვალდებულების შეუსრულებლობის და შესრულების შეუძლებლობის რეგულირებისათვის.

მაგალითად, სსკ-ის 405.2(ა) მუხლის⁴⁵ ფორმულირებით, დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, როდესაც აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ამ განმარტებაში სავარაუდოდ იგულისხმება შემთხვევა, როცა შესრულება შეუძლებელია თუმცა, შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი სსკ-ში არ არის განმარტებული, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახე. ვფიქრობთ, შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი ხელშეკრულებიდან გასვლისას ნამდვილად მეტად აქტუალურია და შესაბამისად, სსკ-ში ის ცალკე თავად უნდა გამოიყოს.

სსკ-გან განსხვავებით გსკ დეტალურად აწესრიგებს „არაჯეროვნად შესრულებას“ (გერმ. nicht wie geschuldet erbracht⁴⁶) მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მოწესრიგება ჩვენს სამართალშიც, რადგან იგი ზუსტად შეესაბამება ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულების იდეას, რაც ისეთ მოქმედებას გულისხმობს, რომელიც დაგვიანებით ან მხარეების მიერ შეუთანხმებელ ადგილზე სრულდება.

შენიშვნები:

- ¹ ქართულ-გერმანულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, იხ.: <http://gil.ge/gergeo.php>, (01. 04. 2017).
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1987, იხ.: www.matsne.gov.ge, (01.04.2017), შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც სსკ.
- ³ იქვე, დასახელებლი ლექსიკონი.
- ⁴ იქვე, დასახელებლი ლექსიკონი.
- ⁵ იქვე, დასახელებლი ლექსიკონი.
- ⁶ სსკ-ის მუხლი 51, იხ: www.matsne.gov.ge
- ⁷ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მიუნჰენი, 2011, გვ. 242.
- ⁸ შენგელია ვ., სტატია „გასვლის ცნება და დახასიათება.“ იხ.: www.iuristebi.ge, (07.03.2017).
- ⁹ შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც ვალდებულების დარღვევა ან ხელშეკრულების შეუსრულებლობა. „ხელშეკრულება“ და „ვალდებულება“ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ხელშეკრულება იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს ვალდებულების წარმოშობას, ვალდებულება სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე სხვა საფუძვლებიდანაც. ხელშეკრულებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულებიდან წარმოიშვა, ასევე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ვალდებულების წარმოშობას მონაწილეთა ნებით. ახლვედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ. 10-11.
- ¹⁰ ძლიეროშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011, გვ. 141.
- ¹¹ სსკ-ის მუხლი 361.2, იხ: www.matsne.gov.ge
- ¹² ჭანტურია ლ. და ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 364.
- ¹³ სსკ-ის მუხლი 8.3, იხ: www.matsne.gov.ge
- ¹⁴ Bürgerliches Gesetzbuch 1984 y. § 242, იხ.: www.gesetze-im-internet.de
- ¹⁵ ჭანტურია ლ. და ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 231.
- ¹⁶ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი ეს არის მოქმედებით მიყენებული ზიანი.
- ¹⁷ სსკ-ის მუხლი 359, იხ: www.matsne.gov.ge
- ¹⁸ ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008, გვ. 99.
- ¹⁹ სსკ-ის მუხლი 405.3, იხ: www.matsne.gov.ge
- ²⁰ სსკ-ის მუხლი 316.2, იხ: www.matsne.gov.ge
- ²¹ სსკ-ის მუხლი 358, იხ: www.matsne.gov.ge
- ²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, გვ. 261.
- ²³ იქვე, გვ. 240.
- ²⁴ იქვე, გვ. 246.
- ²⁵ იქვე, გვ. 247.
- ²⁶ ვალდებულების შეუძლებლობისას ვალდებულების არარსებობას ეძღვნება BGB § 306, შვეიცარიის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ, მუხლი 20, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 878.
- ²⁷ Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law,

Vol. 15, No. 4, 2007, 483. იხ.: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, N2, თბ., 2011, გვ. 134.

²⁸ მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2008, გვ. 132.

²⁹ სსკ-ის მუხლი 407, იხ.: www.matsne.gov.ge

³⁰ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, თბ., 2000, გვ. 150.

³¹ იხ.: ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 135.

³² იხ.: ზოიძე ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 304.

³³ იხ.: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 178.

³⁴ The United Nations Convention International Sale of Goods (1980). იხ.: www.uncitral.org, (03.04.2017).

³⁵ Sale of Goods (of England) Act. (1979), იხ.: www.Legislation.gov.uk, (03.04.2017).

³⁶ Civil code (france) 1804, იხ.: www.lexinter.net, (03.04.2017), შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც საფრ. სკ.

³⁷ Uniform Commercial Code (1952), იხ.: www.law.cornell.edu/ucc, (03.04.2017).

³⁸ Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, pp. 342. იხ.: www.twirpx.com, (04.04.2017).

³⁹ BGB § 275, იხ.: www.gesetze-im-internet.de

⁴⁰ იხ.: ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

⁴¹ იხ.: დასახელებული ლექსიკონი.

⁴² BGB § 275.1, იხ.: www.gesetze-im-internet.de

⁴³ BGB § 275.2, იხ.: www.gesetze-im-internet.de

⁴⁴ BGB § 307, იხ.: www.gesetze-im-internet.de

⁴⁵ სსკ. მუხლი 405.2(ა), იხ.: www.matsne.gov.ge

⁴⁶ BGB. § 281, იხ.: www.gesetze-im-internet.de

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999;
2. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005;
3. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, თბ., 2000;
4. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მიუნჰენი, 2011;
5. მაჭარაძე მ.; ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2008;
6. ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეკროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2008;
7. შენგელია ვ., სტატია „ხელშეკრულების გასვლის ცნება და დახასიათება“, www.iuristebi.ge
8. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, N2, თბ., 2011;
9. ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011;

10. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001;
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1987, www.matsne.gov.ge
12. ქართულ-გერმანულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, <http://gil.ge/gergeo.php>
13. Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006 y. www.twirpx.com;
14. Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007.
15. Civil code (france) 1804) www.lexinter.net
16. The United Nations Convention International Sale of Goods (1980). www.uncitral.org
17. Sale of Goods Act 1979, www.Legislation.gov.uk
18. Uniform Commercial Code (1952), www.law.cornell.edu/ucc
19. Bürgerliches Gesetzbuch 1984 y. www.gesetze-im-internet.de

INSTITUTE OF LEAVING AN AGREEMENT, CONDITIONS FOR ITS ADMISSIBILITY AND INADMISSIBILITY

NINO PIPIA

PhD Student of the Law Faculty of the Caucasus International University

The paper “Institute of Leaving an Agreement, Conditions for Its Admissibility and Inadmissibility” discusses an important institute of Civil Law, such as leaving the agreement, and conditions for its admissibility and Inadmissibility, related problems, theoretical grounds for leaving an agreement, and its functions in the civil transaction. These issues are discussed according to the Civil Code of Georgia and then compared to the civil codes of foreign countries. The Civil Code of Georgia does not contain uniform concepts for specific institutes (for example: leaving an agreement, failure to meet obligations, violation of obligations), which is discussed and explained in the thesis. The paper provides a detailed description about leaving an agreement, as one of the types of ending an agreement, its similarity and differentiating features from other similar institutes such as: termination of agreement, annulling an agreement. The thesis is divided into the following parts: introduction, essence of leaving an agreement, performance of obligations, inadmissibility to request leaving of an agreement, contractual preconditions for leaving an agreement, inability to perform obligations, inability to perform in the German law and conclusions. This article is targeted to the beginner lawyers, also the people interested in jurisprudence. This paper will assist them to better understand the essence of the institute of leaving an agreement and to use it purposefully.

მტკიცების პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პირობებში

მაია ყუშითაშვილი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის დოქტორანტი*

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესი, ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, არ მოითხოვს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ზემოაღნიშნული სისტემის არსებობის პირობებში, სწორედ მხარეთა მიერ მტკიცების განხორციელებაზე დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის საპროცესო შედეგი და მისი სამართლებრივი რეზულტატი. რაც შეეხება სასამართლოს, იგი ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის პროცესში, მათ შორის: მისცეს თანაბარი შესაძლებლობები გამოხატოს პოზიცია მეორე მხარის შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით (სსსკ-ის 25 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები); სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, მათ შორის, ეკრძალება კითხვები დაუსვას დასაკითხ პირს გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებთან შეთანხმებით შეუძლია დასვას დამაზუსტებელი კითხვა (სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი); სასამართლოს ეკრძალება განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის შესახებ აზრის გამოხატვა (სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სამართალურთიერთობის მონაწილემ მნიშვნელოვანია შეძლოს მისი უფლებების ჯეროვანი დაცვა და საკუთარ სიძარტლეში სასამართლო ხელისუფლების დარწმუნება, ამის უმთავრეს საშუალებას „მტკიცების“ ინსტიტუტი წარმოადგენს. მტკიცება მოიცავს დარწმუნების პროცესს, ამ პროცესში რა-საკვირველია, გადამწყვეტ მნიშვნელობას მტკიცებულებები იძენენ, რადგან მხოლოდ მტკიცებულების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი და საჭირო ცნობები, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. შესაბამისად, წარმატების შანსი აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც მყარი პოზიციები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გააჩნია, რომელსაც საბოლოოდ, მტკიცების პროცესში გამოიყენებს. მტკიცების პროცესში მხარეების როლი შეუცვლელია, სწორედ მათ მიერ ხდება სისხლის სამართლის პროცესის წარმართვის მიმართულების განსაზღვრა და შემდგომში რეალიზება. მტკიცების პროცესის არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სწორედ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა, საინტერესო იქნება მტკიცების პროცესის სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა.

„მხარეთა პროცესი“ და „სასამართლო – ნეიტრალური არბიტრი“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. აღნიშნული პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ ისეთ სპეციალურ უფლებებს, როგორცაა წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;¹ საკმარისი დროისა და შესაძლებლობების ქონა დაცვის მოსამზადებლად;² ბრალდებულმა დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით;³ უფლება დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ტრილში, რომელიც განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ბუნებრივია, შეჯიბრებითობის პრინციპი თეორიულად მოიაზრება სრულყოფილი სასამართლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილად. „უდანაშაულობის პრეზუმფცია დაძლეულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“⁶

შეჯიბრებითობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია, არამედ იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ტიპს. მხარეთა თანასწორობა და მოსამართლეთა დამოუკი-

დებლობა ერთობლიობაში ქმნიან შეჯიბრებითი პროცესის „მყარ კონსტრუქციას.“ შეჯიბრებითი სამართალწარმოების ყველა სხვა ინსტიტუციური პრინციპი ლოგიკურად გამომდინარეობს ამ ორი ფუნდამენტური საწყისიდან.⁶ შეჯიბრებით პროცესს ახასიათებს მხარეთა დაპირისპირება, ზეპირობა, საჯაროობა, მოსამართლე ამ მოდელში „ნეიტრალური არბიტრია.“ კერძოდ, განსახილველ საქმეზე მოსამართლეს საკუთარი ინიციატივის გამოვლენა არ შეუძლია და იგი მხოლოდ მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს უნდა დაეყრდნოს და მათგან გამომდინარე განსაჯოს. მხარეებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი მტკიცება, დასკვნები და შეეკამათონ სასამართლო განხილვის მეორე მონაწილეს (მოწინააღმდეგე მხარეს). ბრალდებულს და მის დამცველს ენიჭებათ უფლებამოსილება სისხლისამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოსაგან დამოუკიდებლად გამოავლინონ და შეაგროვონ ის მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობით სასამართლოში საქმის განხილვისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბრალდების მხარის მტკიცებულებების გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლომ, რომელსაც ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა ეკრძალება, განაჩენს საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები. მოწინააღმდეგე მხარეებს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, აირჩიოს მისი უფლებების დაცვის შესაბამისი საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N3/1/608 და N3/1/609, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა შეჯიბრებითობის პრინციპზე და გამიჯნა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართალწარმოების მოდელი და შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტი. შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში, სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს, ხოლო თვით შეჯიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ინკვიზიციური სისტემისაგან განსხვავებით, შეჯიბრებით რეჟიმში, ზოგადი წესის მიხედვით, მხარეები წყვეტენ თუ რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ. სამართალწარმოების ფარგლებში აღნიშნული პრინციპის მიზანია, უზრუნველყოს პროცესის მხარე შესაძლებლობით გაეცნოს, აზრი გამოთქვას და თუ ეს მის ინტერესებშია გააქარწყლოს ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება. აგრეთვე, დაარწმუნოს სასამართლო თავისი პოზიციის სისწორეში, წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები და მოსაზრებები, რასაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში როგორც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში. ზემოაღნიშნული პრინციპი უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც – მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის

მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა. შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (საქმე N 410 აპ-16) ვკითხულობთ: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქმარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან.⁷ აქვე უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე N2კ-227აპ-16) სამოტივაციო ნაწილი: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს რა, „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს,“ განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას.⁸

მოქმედი საპროცესო კოდექსით, მოსამართლის უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია, იმის ფონზე როდესაც კანონის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი და ამ მიზნით უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრული შესწავლა. შეჯიბრებითი სამართალწარმოება არ მოითხოვს მოსამართლეების უგამონაკლისო და ბლანკეტურ ბოჭვას მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ან განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას. მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, თავის თავზე აიღოს ბრალდების ან დაცვის ფუნქცია, ის განიხილავს საქმეს, რომელშიც პირი ბრალდებულად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანომ ცნო, ამასთან მას უფლება არა აქვს, გასცდეს ბრალდების ფარგლებს შეჯიბრებითი პროცესის დროს, ამ დროს მამოძრავებელი ძალა ბრალდების ირგვლივ დავაა. „არ არის ბრალდება – არ არის პროცესი“ – ეს არის შეჯიბრებითი პროცესის მნიშვნელოვანი წესი, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს.⁹ სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „მხარეთა პროცესი“ საკმაოდ სიღრმისეული და მრავლისმომცველი საკითხია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ, როგორც ზემოთ ითქვა, ფაქტობრივად სასამართლო გაათავისუფლა ბრალდებისა და დაცვის ფუნქციისაგან. სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმის გადაწყვეტის ფუნქცია გაიწმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისაგან, რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებისათვის. კერძოდ, ჯერ ერთი, კანონმდებელმა აუკრძალა სასამართლოს ახალი ბრალდების წაყენება განსასჯელისა და ახალი პირის მიმართ; მეორეც, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, სასამართლოს

შეუძლია არ გააგრძელოს მტკიცებულებათა გამოკვლევა და ჩაატაროს შეკვეცილი სასამართლო პროცესი; მესამე, დამატებით გამოძიებაში სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება დასაშვები გახდა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით; მეოთხე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როცა მას ეთანხმება დაზარალებული, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას, ის ასევე, ვალდებულია არ ჩაერიოს მტკიცების პროცესში, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, რადგან მათი აღმოჩენა და წარმოდგენა, მხარეთა კომპენტენტციას განეკუთვნება. მთელ ამ პროცესში, სასამართლოს მხოლოდ ის ფუნქცია აკისრია, რომ თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში. სასამართლო განხილვაში მხარეები მონაწილეობენ ყველა სასამართლო მოქმედებებში. საჯაროობის, შეჯიბრებითობის, უშუალოების და ზეპირობის პირობებში, მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები. სწორედ, სისხლის სამართალწარმოების ამ სტადიაზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და გამოთქვან თავიანთი აზრი შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რაც განაცხადეს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებმა. უდავოა, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა ევალდება სასამართლოს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

შტეფან ტრექსელი, თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებები სისხლის სამართალში“ პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მტკიცებულებათა შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები. მოსამართლეს საკმაოდ მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია, მას სახელმწიფოს სახელით გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება და შესაბამისად, განსახილველი საქმის საბოლოოდ შემფასებელი მხოლოდ ის არის. შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის დროს, მოსამართლე არ შეიძლება იყოს სასამართლო გამოძიების პასიური მეთვალყურე. მან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო უნდა შექმნას მხარეებისათვის ყველა პირობა საქმის გარემოებების გამოსაკვლევად (მაგალითად, მხარეთა შუამდგომლობით გამოძახებული იქნას საჭირო მოწმე, მოითხოვოს ესა თუ ის დოკუმენტი, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა), არამედ აუცილებლობის შემთხვევაში, დაუსვას კითხვები სასამართლოზე დასაკითხ პირებს და სხვა. საინტერესო მოსაზრება აქვს იელის სამართლის სკოლის პროფესორ დამასკას, რომელიც ამბობს, რომ თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მისმა ჩაურევლობამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პროცესზე ან შელახოს საჯარო ინტერესი, მას შეუძლია აქტიურად ჩაერთოს პროცესის მიმდინარეობაში. მოსამართლის, სასამართლოს სისტემის ძირითად ფუნქციად განისაზღვრება საგამოძიებო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.¹⁰

შეჯიბრებითობის პრინციპი საპროცესო ლიტერატურაში, სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში გვევლინება ფუძემდებლურ ელემენტად დემოკრატიული მექანიზმის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებების დაცვას სისხლის სამართალწარმოებაში. თუმცა, „შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ ინტერესებს მოემსახუროს, კრიტიკოსთა აზრით, ყოველთვის ქმნის საფრთხეს, რომ მხარეებს მიეცემა შესაძლებლობა, შეცვალონ ჭეშმარიტების დადგენის ტაქტიკა და გადაუხვიონ ამ გზიდან. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვალონ, არ გამოაჩინონ ან გადამალონ მთელი რიგი მტკიცებულებები. საბოლოო შედეგი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის ჭეშმარიტების დასადგენად ყველა მტკიცებულების წარდგენა კი არა, არამედ ბრძოლა გარკვეულ გარემოებათა დასამალად.“¹¹ მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება. ბრალდებულს კი შეუძლია, იყოს პასიური და შეინარჩუნოს დუმილი მთელი სამართალწარმოების მანძილზე. თანასწორობა ასეთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ერთგვარი პარიტეტი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება გავიხსენოთ გლადიატორთა ორთაბრძოლა ძველ რომში, სადაც ერთი იყო ჯავშნიანი და შეიარაღებული ხმლით, ხოლო მეორე ჯავშნის გარეშე, სამაგიეროდ, შეიარაღებული ბადითა და სამკაპით.¹² სამართლიანობა მოითხოვს, რომ მხარეები იმყოფებოდნენ თანაბარ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეჯიბრებითობა გადაიბრდება სისხლისსამართლებრივ ანგარიშსწორებაში. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მხარეები იმყოფებიან მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, რადგან პროკურორის საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო სტატუსს. თვით სასამართლო სხდომამაც კი, სადაც მხარეებს აქვთ გარეგნულად თითქმის იდენტური უფლებები – წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები, ალძრან შუამდგომლობა, გამოვიდნენ სასამართლო კამათში და ა. შ. – მთლიანობაში მათი საპროცესო მდგომარეობა არ ემთხვევა, რადგან მტკიცების ტვირთი აწევს ბრალმდებელს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი განიმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ.¹³

მძივების პროცესის სამართლებრივი ანალიზი

სისხლის სამართალწარმოება შეგვიძლია შევადაროთ სახიფათო მოგზაურობას, მას მუდმივად მივყავართ გზაგასაყართან, სადაც აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება. გადამჭრელი ზომების მიუღებლობას მოსდევს გარკვეული უფლებების დაკარგვა, მცდარ გადაწყვეტილებას კი, შეუქცევადი ზიანის გამოწვევა შეუძლია. სამართლისა და პრაქტიკის კარგი ცოდნა საჭირო ამგვარი გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებისათვის. ასეთი შეფასების გაკეთება ჩვეულებრივ, გაუჭირდება ბრალდებულს. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ბრალდებული გარშემორტყმულია სისხლის სამართლის პროცესის სფეროს ექსპერტებით, პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებით დაწყებული, პროკურორით, მოსამართლით ან სასამართლო წევრებით დამთავრებული. ამ თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ „შეჯიბრებითობის პრინციპი.“¹⁴ ადამიანის ძირითად უფლებებთან სახიფათო სიახლოვის გამო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უნდა ბოჭავდეს ბრალდების მხარეს, რათა ადამიანი სახელმწიფოს საქმიანობის „შიშველ ობიექტად“ არ იქცეს.¹⁵

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი ყოველ ადამიანს აძლევს უფლებას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, რომლის ვალდებულებაც არის საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდების მხარის, როგორც მტკიცების სუბიექტის განსაზღვრას, ხოლო რაც შეეხება მტკიცებას და მის პროცესს – არც მისი საგნის, არც ფარგლების და არც ამოცანების საკანონმდებლო რეგულაციას არ გვთავაზობს. შეჯიბრებითობის პრინციპის იდეას ფაქტობრივად და სამართლებრივად დაეკარგება აზრი, თუ მტკიცების პროცესი არ იქნება საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილად დარეგულირებული. სისხლის სამართლის განხილვისას ყველა ფაქტობრივი გარემოება საჭიროებს დამტკიცებას. თუ ბრალდებული საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებას არ შეეცდება პროცესზე, დადგება მისთვის არასასურველი შედეგი და კანონდებლის მიერ მისადმი მტკიცების ვალდებულების არსებობა რაიმე სამართლებრივ უპირატესობას არ მოუტანს. უდავოა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წამოიჭრება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის მტკიცებაც ბრალდების მხარის სტატუსიდან გამომდინარე შეუსაბამოა, ამ სიტუაციის გაანალიზებით, მთავარი საკითხი წამოიჭრება, კერძოდ – თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართლიანი პროცესის მნიშვნელობა და მისი განხორციელება. „ყოველი გარემოება, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას, არის არსებითი სისხლის სამართლის საქმისათვის და უნდა იყოს გამოკვლეული გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მიერ. სასამართლოს განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე. მრავალი გარემოება, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას უნდა განისაზღვროს საბრალდებო დასკვნის შინაარსში და განაჩენში.“⁴⁶

საერთო სამართლის იურისტები სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ საკითხს, კერძოდ, ისინი უპირისპირდებიან სამხილის წარდგენის მოვალეობას და სამხილის დაჯერების მოვალეობას. პირველი კონცეფცია შეესატყვისება კონტინენტური ევროპის მტკიცების ტვირთს, მეორე არის მოსარჩელის მტკიცების ხარისხი ან წილი, ამიტომ ხშირად სამხილის შეფასება განიხილება სამხილის დადასტურების მოვალეობის თვალსაზრისით. რეალურად, ეს არის გადმოცემის საკითხი, მაგრამ საქმის გართულების შემთხვევაში, მოსარჩელის წინაშე გადმოცემული სამხილის ხარისხი დამოკიდებულია მოსარჩელეზე, ბრალდების მხარეზე დაკისრებული სტანდარტი უფრო ძლიერია, ვიდრე დაცვაზე. ძირითადი პრინციპი ამგვარია: სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს დანაშაულის ყველა ელემენტი და დანაშაულის შემსრულებლის ვინაობა ყოველგვარი სამართლიანი ეჭვის დატოვების გარეშე.¹⁷ ბრალდებულს ეხება მხოლოდ სამხილის მცირე ნაწილი, მისთვის საკმარისია გამოიწვიოს სამართლიანი ეჭვი. ამ სისტემას ეწოდება ალბათობის ბალანსი, ასევე სამხილთა სიჭარბე. გამონაკლისის სახით განსასჯელს შეუძლია თავისი დაცვა ააგოს ყოველგვარი სამართლიანი ეჭვის გამოწვევის ფარგლებს გარეთ. ამის შესაძლებლობა მაშინ არის, თუ საკანონმდებლო ტექსტში გამოყენებულია მაგალითად ამგვარი გამოთქმა: „... თუ მხოლოდ არ დასტურდება...“¹⁸.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი მტკიცების ტვირთს სახელმწიფო ბრალდებას აკისრებს, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების გაანალიზებით, შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი გარკვეულწილად დაცვის

მხარესაც აწევს, რადგანაც ე. წ. „შეჯიბრებითი“ რეჟიმით მიმდინარეობს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა. „დაცვის მხარე ნამდვილად არის მტკიცების პროცესის სრულყოფილებიანი მონაწილე, მას აქვს სხვადასხვა უფლება-მოვალეობები, რაც მას საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას აძლევს, მაგრამ ის არ არის ოფიციალური პირი შესაბამისად, მის მიერ განხორციელებულ მოქმედებას მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მოქმედების შედეგად შეიძლება მოყვეს სამართლებრივი შედეგები.“⁴⁹ მტკიცების ტვირთი, ანუ პირის იურიდიული მოვალეობა – შეასრულოს გარკვეული პროცესუალური მოქმედება, შეეხება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას. ამ მტკიცების ტვირთს, რომელმაც გარკვეული სახის ფაქტები უნდა დაამტკიცოს, როგორც საპროცესოსამართლებრივი ისე მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მტკიცების სუბიექტი ამტკიცებს როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ გარემოებებს. მტკიცების ტვირთი ეს არის მტკიცების სუბიექტის მოვალეობა, დაასაბუთოს (დაამტკიცოს) დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. ამ მოვალეობის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს პროცესუალური ვალდებულება არ ან ვერ შეასრულა, ხოლო მტკიცებულება ეს არის პროცესუალურსამართლებრივი საშუალება, რომლის მეშვეობითაც დგინდება სასამართლო დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები და დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა ეს ფაქტი შედის მტკიცების საგანში. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მხარეებმა უნდა იზრუნონ მტკიცების პროცესზე, მის წარმატებით ჩატარებაზე და ამ პროცესში კანონმდებლის როლი უმნიშვნელოვანესია, ეს ყველაფერი საბოლოოდ გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.

მტკიცების პროცესის სამართლებრივი ანალიზისთვის, საინტერესო იქნება 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წარმოდგენა, რომელიც ბევრად უფრო დაწვრილებით არეგულირებდა მტკიცების პროცესს, ხოლო მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა ნორმებში ფრაგმენტულად და მცირე მოცულობით არის რეგულაციები მოცემული ამ საკითხზე. მაგალითად, სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი, რომელიც განმარტავს მტკიცებულების არსს, გარკვეულწილად, მტკიცების საკითხს უკავშირდება. მოცემული ნორმის მიხედვით: „მტკიცებულებების საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ახორციელებენ მოვალეობებს, იცავენ თავის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს:

- არსებოს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი;
- ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა;
- დამნაშავეა თუ არა იგი;
- აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.“

კანონმდებლმა განსაზღვრა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების დადგენა სასამართლოს მხრიდან, ჩვენ კი, შეჯიბრებით რეჟიმში მხარეთა დომინანტობაზე ვსაუბრობთ, სადაც სასამართლო პასიურია

როლით არის წარმოდგენილი. ამ მხრივ, უმჯობესი იქნება, კანონმდებელმა განსაზღვროს მტკიცების სუბიექტის ვალდებულება და სწორედ მას განუსაზღვროს თუ რა გარემოებები უნდა დაამტკიცოს სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პროცესში (ამასთან, კანონმდებლის მიერ სასამართლოს მხრიდან დასადგენი გარემოებების ჩამონათვალი ზოგადია და საჭიროებს უფრო მეტად დაზუსტებას „მტკიცების საგნის“ სახით). აღსანიშნავია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავი X – მტკიცებულება, მტკიცების საგანი და ამოცანები, ეხება შემდეგ საკითხებს: დაუშვებელ მტკიცებულებებს, პრეიუდიციულ ფაქტებს, ბრალდებულის ჩვენებას, მოწმის ჩვენებას, დოკუმენტის მტკიცებულებით ძალას და ა. შ. აღნიშნულ საკითხებში არ არის საუბარი კონკრეტულად მტკიცების არსზე, მის საგანზე, ეტაპებზე, ამოცანებზე და ამ პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, რაც საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრას, რადგან როგორც ზემოთ ითქვა, კოდექსის აღნიშნული თავი ძირითადად, ეხება მტკიცებულებების სახეებს და არა მტკიცების პროცესს/საგანს/ამოცანებს.

1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებდა მტკიცების პროცესს, კერძოდ, თავი XV – მტკიცებულებანი და მტკიცების საგანი და თავი XVII – მტკიცება, შესაბამისი ქვემდებარე მუხლებით. 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად: მტკიცება არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ტეშმარიტების დადგენის მიზნით. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, მტკიცებას ახორციელებს მხრეთა აქტიური მონაწილეობით. ასევე საინტერესოა, სსსკ-ის 112-ე მუხლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს: ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა); ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი; დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას; ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. მტკიცების საგანს აქვს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე სისხლის სამართლის პროცესუალური მხარე. მტკიცების სრულყოფილად წარმართვა ორგანულად განსაზღვრავს ქმედების ფაქტობრივ სურათს, აქვს გადაწყვეტი სამართლებრივი მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა უარყოფით პასუხს ბრალდებული პირის ბრალეულობის შესახებ. დაბოლოს, მტკიცების საგანში შედის ყველა ის გარემოება, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება. „გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე, ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით და უზრუნველყოფს ტეშმარიტების დადგენას სისხლის სამართლის საქმეზე პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვით და სავალდებულოა როგორც პროცესის მწარმოებელი პირის, ასევე პროცესის სხვა მონაწილეთათვის.“²⁰

დასკვნა

„შევიბრები თი პროცესის“ მოქმედების გათვალისწინებით, სასურველია, მტკიცების პროცესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, რომლის სწორ და ეფექტიან წარმართვაზე გახდა სრული მოცულობით დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგი. ზემოაღ-

ნიშნული საკითხის კონკრეტიზაციით, დაინტერესებულ პირებს ექნებათ სათანადო ინფორმაცია, თუ რას მოითხოვს მართლმსაჯულება და კანონმდებელი მტკიცების სუბიექტისაგან, რა სავალდებულო მითითებები უნდა დააკმაყოფილოს მან, რომ მტკიცების პროცესის მთავარი მიზანი იქნას მიღწეული. კერძოდ, სასამართლოსთვის ნათელი გახდეს იმ გარემოებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქმეზე კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკმაოდ საინტერესოა, 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები მტკიცების პროცესთან მიმართებაში. პროცესის არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულირება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს პრაქტიკაზე, დღის წესრიგში სვამს კვლევის გაგრძელების საჭიროების საკითხს. კერძოდ, განსახილველ საკითხზე არსებული პრაქტიკის სიღრმისეული კვლევის კუთხით, აუცილებელია, როგორც მოსამართლეების, ასევე დაცვისა და ბრალდების მხარის გამოკითხვა მტკიცების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. განსახილველი საკითხის სრულყოფილი ანალიზი „მტკიცების პროცესის თავისებურებების“ გამოვლენა ხელს შეუწყობს არსებული ნიუანსების დაძლევის გზების ძიებას, რაც მხარეებს ინფორმირებისა და შეჯიბრებითი რეჟიმის განმტკიცების მეტ საშუალებას მისცემს. ყოველი გარემოება, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას, არის არსებითი სისხლის სამართლის საქმისთვის და უნდა იყოს გამოკვლეული მხარეებისა და სასამართლოს მიერ.

შენიშვნები:

- ¹ ევროპული კონვენციის 6.3 (ა) მუხლი.
- ² ევროპული კონვენციის 6.3 (ბ) მუხლი.
- ³ ევროპული კონვენციის 6.3 (გ) მუხლი.
- ⁴ ევროპული კონვენციის 6.3 (დ) მუხლი.
- ⁵ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 183.
- ⁶ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2009, გვ.153.
- ⁷ იხ.: El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia №39630/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და Hassan v The UK №29750/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება.
- ⁸ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე Labita v. Italy №26772/95, 2000 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და Fyodorov and Fyodorova v. Ukraine №39229/03, 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.
- ⁹ ფაფიაშვილი შ., მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ. და სხვა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 61-62.
- ¹⁰ ფაფიაშვილი შ., მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ. და სხვა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ.11.
- ¹¹ ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2015, გვ.123-124.
- ¹² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 119.
- ¹³ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, თბ., 2009, გვ.150-151.
- ¹⁴ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 264.
- ¹⁵ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ.87.
- ¹⁶ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2009, გვ. 351.
- ¹⁷ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი / თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა; რედ.: თედო ნინიძე, თბ., 1999, გვ. 350.
- ¹⁸ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი / თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა; რედ.: თედო ნინიძე, თბ., 1999, გვ. 351.
- ¹⁹ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 60.
- ²⁰ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2009, გვ. 342.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. ჩომახაშვილი, თ. თომაშვილი, გ. ძეგნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016;
2. დავის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით, კვლევა და რეკომენდაციები, ფონდი „ლია საზოგადოება“, თბილისი, 2016;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015;
4. თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015;
5. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, სტუ, თბილისი, 2013;
6. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლეთა კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013;
7. მ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარები“, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2007;
8. კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007;
9. ი. აქუბარდია, რ. გოგშელიძე, ლ. ფაფიაშვილი და ნ. გოგნიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, თბილისი, 2009;
10. ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, ნარკვევები, თბილისი, 1982;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015;
12. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2013;
13. ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი და ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2013;
14. გ. ტაბატაძე, მტკიცების ტვირთი და სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში, სტატიათა კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
15. ა. გურიელი, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „LAW AND THE WORLD“, თბილისი, 2016;
16. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი/თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა, რედ.: თედო ნინიძე, თბილისი, 1999;
17. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009;
18. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის საპროცესოსამართლებრივი სისტემები, თბილისი, 2002.


PROCESS OF PROOF IN THE ENVIRONMENT OF ADVERSARIAL PROCEEDINGS AND EQUALITY OF PARTIES

MAIA KUSHITASHVILI

PhD Student of the Law School of Georgia Davit Aghmashenebeli University

Unlike inquisitorial proceedings, the trial that is based on the principle of adversarial proceeding and equality of parties does not require establishment of objective truth in the criminal case by the court. Given the above-mentioned system, the procedural result of a criminal case and its outcome depend on how the parties prove the case. As for the court, it should provide equal opportunities to the parties and protect their interests and rights, inter alia: provide equal opportunities to express positions regarding the motion and complaint of the other party (part 1 and 4 of the Article 24 of the CPC of Georgia); the court is restricted to independently obtain and examine evidence supporting either the government or the defence, neither can they ask questions to person under examination, except the case when it can ask a clarifying question after agreeing it with the parties (part 2 of the Article 25 of the CPCG); the court is prohibited to express any opinion about the innocence or culpability of a defendant before passing a judgment or any other summary decision (part 3 of the Article 25 of the CPCG).

It is important for the party in legal relations to be able to duly enjoy its rights and convince the judiciary in its truth, and the institute of “proof” is the main instrument to do so. The proof includes the process of convincing, and of course, the evidence gains a decisive significance



in this process. This is because the essential and important information about the case, also the factual and legal circumstances can only be established based on the evidence. Correspondingly, a party has a chance of success only if it has a solid position and corroborating evidence, to be used in the process of proof. The role of parties is unchanged in the proving process, as far as it sets the direction for criminal procedure and ensures its further implementation. It will be interesting to provide a legal analysis of the process of proof, considering the incomplete legislative regulations on the proving process, especially when a criminal case is tried in the environment of adversarial principle and equality of parties.◊

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9 771512 259007